ლუარა სორდია

ინდიგო – ადამიანთა ახალი, „იისფერი რასა“

ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკის“ შთაგონება



ლუარა სორდია

ინდიგო – ადამიანთა ახალი, „იისფერი რასა“

ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკის“ შთაგონება

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023

რედაქტორი – ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი **ლელა მირცხულავა**

© ლ. სორდია, 2023

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2023**
თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-615-7

ინდიგო – ადამიანთა ახალი „იისფერი რასა“ – ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკის“ შთაგონება

შესავალი.....5

თავი I
ესთეტიკის საკითხები 7
მოგზაურობის მასშტაბები 7
სიზმრის კონცეპტი 22
რწმენა – სიბრძნის წინამძღვარი 26
იმპრესიონისტული ხელწერა. მშვენიერი წამის ძიება ...40

თავი II
თანამედროვე პედაგოგიკის პრობლემები 49
ინდიგოს მოვლინება 49
ინდიგოს პრეტენზიები 63
არაორდინალური სიტუაცია და მოძღვრის
ყოვლისშემძლეობა 68
იდეალიზმის მაძიებელნი 85
მოძღვარი-შეგირდის იდეალი 92
შეხვედრა ქართული პოეზიის დედოფალთან 96

თავი III
ფილოსოფიური იდეალები 100
წუთისოფელი და მარადისობა 100
ბედისწერის კონცეპტი 109
ბედნიერების ძიება 115
მინდიას რეინკარნაცია 120

თავი IV
საზოგადოების სოციალური და ზნეობრივი სატკივრები 146
ანგარებით დამარცხებულნი 146
„დიდებულნი და მდაბიონი“ 152
ჰარმონიული საზოგადოების ძიება.....160

თავი V
ქართული ეროვნული ფენომენი 170
მუსიკის პრიმატი.....183

თავი VI
უზენაესი ძალებისგან გამორჩეულნი 190
უფლის სასწაულები 190

თავი VII
„ლიტერატურული მოზაიკის“ ესეები
როსტომ ჩხეიძის „ვითა სიზმარი ღამისა“. „რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა“.....206
ჯელსომინა, მიშკინი და დონკიხოტი 214

თავი VIII
სახისმეტყველების საკითხები.....218
ცის პარადიგმა 218
მზის სადიდებელი „ლიტერატურულ მოზაიკაში“ 223
ვარდ-ყვავილთა სურნელი 226

თავი IX
გალაკტიონ ტაბიძის რემინისცენცია „ლიტერატურულ მოზაიკაში“ 230

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 238

შესავალი

ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკა“ ჩვენი თანამედროვეობის მრავალი აქტუალური პრობ-ლემის ამსახველია.

წიგნში ახლებურად არის დასმული და გადაწყვე-ტილი თანამედროვე პედაგოგიკის, მოძღვარ-შეგირდთა ურთიერთობის მარადიული ამოცანა.

მასში ასახვა ჰპოვა ურთიერთობამ ახალი, განსაკუთ-რებული თაობის – ინდიგოს-იისფერი აურით გამორჩე-ულ მოზარდთა ფსიქოლოგიამ, არაორდინალურმა სი-ტუაციებმა, რასაც უნდა დაუპირისპირდეს ჰუმანიზმი, მასწავლებლის ყოვლისშემძლეობა, ჩიხიდან გამოსავ-ლის ძიებისა და პოვნის უნარი, უცდომელი ინტუიცია.

კრებულში ლიტერატურა წარმოისახება, როგორც ციდან დაშვებული „ნათლის სვეტი“ და შემეცნების პროცესის მისაღწევად აუცილებელია მისი ინტეგრირება მრავალ მონათესავე დისციპლინასთან.

ყურადღების ცენტრში მოქცეულია საზოგადოების ფილოსოფიური პრობლემები, გამიჯნულია მიწიერი, პრაგმატული და საღვთო სიბრძნე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მინდიას რეინკარნაცია, ნათელსმენისა და ნათელხილვის მაგალითები.

ხალხის სოციალურ და ეროვნულ სატკივრებს, ნეგა-ტიური მოვლენების კვალდაკვალ, აემგზავრება ოცნება ჰარმონიული საზოგადოების ძიებაზე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ეროვნული ფენომენის თავისებურებათა ჩვენებას, მისი მხატვრულ-შემოქმედებითი პოტენციალის წარმოჩენას საერთაშო-

რისო ასპარეზზე, მეთორმეტე და მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის რენესანსულობაზე ხაზგასმას.

წიგნში გაზიარებულია მესიანისტური იდეა, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილია, რომ ქრისტეს კვართი მცხეთაშია ჩამოტანილი, ხოლო ქართველი ბაგრატიონები ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის 78-ე შთამომავლები არიან.

ნაწარმოების ოპტიმიზმი ნასაზრდოებია უფლის, ჩვენი ზეციური დედის გამოცხადების მაგალითებით. „ლიტერატურული მოზაიკის“ ესეებში შთამბეჭდავად იელვებს საყოველთაო ინტერესით გამორჩეული სიტყვის ოსტატის, პროზაიკოსის, პოეტის, მეცნიერის, მთარგმნელის, ესეისტის, 30 ბიოგრაფიული რომანის ავტორის – როსტომ ჩხეიძის განუმეორებელი შემოქმედებითი პორტრეტის ზოგიერთი შტრიხი, მისი წიგნებიდან გამოშუქებული ნათელი.

კრებულში სათანადო გამოხატულებას პოულობს ავტორის დადებითი დამოკიდებულება მშობლიური სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი, მისი ავტორიტეტის ამაღლება საერთაშორისო ასპარეზზე რექტორის – პროფესორ ზურაბ ხონელიძის ძალისხმევით.

ნაშრომი განკუთვნილია დიდაქტიკურ – ზნეობრივი, რელიგიური, ფილოსოფიური პრობლემებით დაინტერესებული სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, საერთოდ ჭეშმარიტების მაძიებელი მკითხველისთვის.

თავი I
ესთეტიკის საკითხები

მოგზაურობის მასშტაბები

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი ცდილობს თვალი გაადევნოს ეროვნული და მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდებს, სხვადასხვა ეპოქის რელიგიურ-ფილოსოფიური თუ მხატვრული აზროვნების გიგანტთა სიბრძნეს. ის სულით მოგზაურია მთელ სამყაროში, როგორც ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი. წიგნის ავტორის მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ ჰქონდეს საკუთარი, ფართო თვალსაწიერის ცნობიერება, მაღალი მორალი, რწმენა და სიყვარული ღმერთის, ადამიანების, მოზარდი თაობის.

განსახილველი წიგნის 22-ე გვერდზე ნათქვამია: „დროსა და სივრცეში, ეპოქებსა და წლებში, წუთებსა და წამებში, იდეებსა და ყველა ხელოვანის მთავარ სათქმელში მარადიულ მოგზაურს ვგავარ... რამდენი ღიმილი, რამდენი წყენა, რამდენი ოცნება, რამდენი ცოდნა და უვიცობა უნდა შევკრიბო და ერთ ყულაბაში მოვაქციო, ყოველ საგაკვეთილო დროს, ყოველი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ფსიქოლოგიც უნდა იყო, რომანტიკოსიც და რეალისტიც...

„მეც ჩემი სამყარო მეძახის. შორიდან ექო მეხმიანება“.

ამ განაცხადს ერთვის შექსპირის სიბრძნე: „გამბედაობას, შეუდრეკელს იმის ბუნებას, ნათელი ჭკუა წინ მიუძღვის გამაფრთხილებლად“(1,23).

სულის, სულიერების, სულის თვალის გარეშე წარმოუდგენელია შემოქმედება, რაც მხოლოდ ფიზიკურ სამყაროში, გეოგრაფიულ სივრცეში ხეტიალს როდი გულისხმობს, არამედ ადამიანის შინაგანი არსის, ცხოვრების, ურთიერთობების საიდუმლოებათა განჭვრეტასაც.

ამ თვალსაზრისით, წიგნის ავტორის თვალსაწიერი გასწვდენია ქართულ თუ უცხოურ სულიერ კულტურას, მსოფლიო

აზროვნების კოორდინატებს, ქვეყნის ოთხივე კიდეს, ანტიკური ეპოქიდან დღემდე.

დიდი ჩინელი მოაზროვნე ლაო-ძი აცხადებდა „დაო დე ძინში“: „სახლიდან გაუსვლელად ეგების: სამყაროს შეცნობა. სარკმლიდან გაუსვლელად ეგების: დაოს ჭვრეტა. ვინცა მიმოიძვრის, ვერაფერს შეიცნობს. ამიტომაცაა: ყოვლადბრძენი არ იძვრის... მაგრამ ყოველივეს შეიცნობს. თვალდახუჭულია და ბნელში დგას: მაგრამ უჭვრეტს საგანთა არსს“ (2,20, 10,2).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ „კაცნი მგზავრობენ ნდობით, ერთ ადგილზე თავად შთენილნი“(3,141).

თვითონ დანტემ არა ფიზიკური მოგზაურობით, არამედ სულის თვალით იხილა მიღმური სამყარო, ჯოჯოხეთი, სალხინებელი, სამოთხე. ის მოგზაურობდა სულით, „ნდომით, ფიზიკურად ერთ ადგილს შთენილი“. მისი მიზანი იყო თვალის გამახვილება, შემეცნების გაფართოება.

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი საუბრობს „მშვინვიერ, ასტრალურ მოგზაურობაზე, რომელსაც იგი სულიერი სამყაროს რეალურ ჭვრეტამდე მიჰყავს“ (4,5).

გიორგი გურჯიევს ამ მოგზაურობის აზრი, მიზანი და შედეგი აინტერესებს: „გამოდით უღრუბლო, ვარსკვლავიან ღამით გარეთ და შეხედეთ ზეცას, შეხედეთ იმ მილიონიან სამყაროებს, რომლებიც იმყოფებიან თქვენს ზევით ცაზე. შეხედეთ ირმის ნახტომს. შეუძლებელია დედამიწას ამ უსასრულობაში ქვიშის მარცვალიც კი ეწოდოს. იგი დნება და იკარგება ამ უსასრულობაში...

„სამყაროს წინაშე შეეკითხეთ თქვენს თავს: რას წარმოადგენენ თქვენი მიზნები და ამოცანები, თქვენი ზრახვები და ის საშუალებანი, რითაც აპირებთ მის განხორციელებას.

„...თქვენს წინაშე ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობაა. მოგზაურობის მიზანია თქვენთვის უჩვეულო, უცნობი მიწა. გზა უძნელესი და უსასრულობაა...

„გაზომეთ თქვენი ძალები. გაწვდებიან კი ისინი მთელ მოგზაურობას? ვაი თქვენ, თუ დასუსტდით და სახლის გზა დაგავიწყდათ. თქვენ ვერასოდეს ვერ შეძლებთ დაბრუნებას... მწვანე ყვავილებით მორთულ, მწვანე ბალახით მოსილ მინდორში უღრმესი უფსკრულები ილანდებიან. საჭიროა თითოეული ნაბიჯის გაკონტროლება.

„გაიხსენეთ, რატომ ხართ აქ. არცერთი მცდელობა არ იკარგება უქმად“)(5,106).

წმინდა წერილი შეგვაგონებს:

„მოხეტიალე კაცმა ბევრი იცის და მრავალნაცადი გონივრულს გვაუწყებს.

„ვინც გამოუცდელია, მცირემცოდნეცაა, ხოლო ვინც იხეტიალა, ცოდნაც გაიმრავლა“ (სიბრძნე ზირაქისა, 34,9,10) (6,522).

ელენე ბლავატსკაიას აინტერესებდა „ჭვრეტისა და სმენის გზა“, „მოგზაურობა ფარულ გზაზე“, „ინდივიდუალური ცნობიერების შერწყმა სამყაროს ცნობიერებასთან, განდობილების, ადეპტების საკრალური ცოდნის მიღება, „შეცნობის სასახლეში“ მიღწევა, „შემეცნების სინათლეში“ ამაღლება“ (7,71).

სულიერი თვალთახედვის გახსნის საწინდარია „სიბრძნის პურით დაპურება“, „უკვდავების წმინდა წყლის მიღება, მოგზაურობა სმენისა და ჭვრეტის გზებზე, მიწიერი ხიფათებისგან თავის არიდება“, საჭიროა „ბრძოლა წარმავალთან, ილუზიებზე ამაღლება“ (7,83).

პოეზია, მწერლობა მოგზაურობაა, დაუსრულებელი მოხილვა სულის, გულის, ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სივრცეთა საიდუმლოებებში დაუსრულებელი ხეტიალი.

შემოქმედი არის მოგზაური, მეზღვაური, მარადი მგზავრი მიწაზე, ზეცაში, მიღმურ სამყაროში, თუ უდაბნოში მოხეტიალე ბედუინი.

ფრანგი პოეტის – შარლ ბოდლერის „მიპატიჟება სამოგზაუროდ“ იდუმალი ოცნების სამყაროში, უხილავ ლაბირინთებში შეღწევისკენ გამიზნული სვლაა სულის თვალით.

„ქვეყნიერების გარშემო მოგზაურობაში“ ღვთისმეტყველებიც ანალოგიურ აზრს გულისხმობენ.

„მთელი სამყარო უმცირეს დროში მოვიარე და, ამავე დროს, მშვიდად ვიჯექი ჩემს სკამზე“, წერს წმ. გრიგოლ პალამა (წმ. ეპისკოპოს ეგნატეს წერილები ერისკაცთა მიმართ) (8,162-163).

ქართული ეროვნული ფენომენის ამაღლება იყო ჯუმბერ ლეჟავას პიროვნება, რომელიც იყო 13 გზის რეკორდსმენი სპორტში, მსოფლიოს მოქალაქე. მისი სახელი შესულია „გინესისა“ და „დივოს“ არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნში. ამ პიროვნებამ განახორციელა უპრეცედენტო მოგზაურობა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, 238 ქვეყანაში, 9 წლისა და 3 თვის მანძილზე. 3333 დღის განმავლობაში 6 ათასამდე კილომეტრი გაიარა ველოსიპედით და ამ პერიოდში ნანახი ღირსშესანიშნაობების, განცდილისა და გადატანილის შესახებ შექმნა დღიურები, წიგნები, ფოტოები, სულ – 55 ტომი.

ჯუმბერ ლეჟავას ზეკაცურმა ძალისხმევამ მთელი მსოფლიოს გაოცება და გამოხმაურება გამოწვია (9,7,219).

ქართველი პოეტების მეფის გალაკტიონის ბედისწერა იყო „უგზო ხეტიალი“, მოგზაურობა ადამიანის სულსა, წარმოსახვასა თუ ოცნებებში: „...გული კი გზაა და მეზღვაური“.

„მოგზაურობა სიძნელით სავსე ჩემთვის არასდროს არაა ძნელი, როდესაც იცი, გადიფრენს თავზე წელიწადების ქროლვა ფიცხელი“, აცხადებდა მსოფლიო მნიშვნელობის შედევრების ავტორი.

სულის ცნობიერ თუ ქვეცნობიერ ლაბირინთებში ხეტიალისას პოეტს უხილავს „მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზე და სინარნარე“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (10,28).

რწმენით, სულით მოგზაურობდა პოეტი ისეთ სფეროებში, სადაც გაღწევა მხოლოდ ერთეულთ, სულიწმინდის მადლით ცხებულთ ხელეწიფებათ, მისი „ფეერიული ნავები“ მოგზაურობენ ოცნების ზღვაში, განახლების ზღაში, ახალ ღელვათა ზღვაში, ვედრების ზღვაში, აღტაცების ზღვაში, სიბრძნის ზღვაში, ფიქრთა ოკეანეში, ანუ საკუთარ უკიდეგანო სულში არსებული ოქრო-მარგალიტების (შედევრების) მოსახელთებლად.

„უსახლო“ სულს არა აქვს ნავთსაყუდარი, მისი გზა არსთაგანმრიგეს, ბედისწერას განუსაზღვრავს: „მოვიარე მიწის კალთა, თანა მსდევდა ბედისწერა ჩემთა უგზო ხეტიალთა“.

გალაკტიონის სულს თითქოს მისჯილი აქვს აგასფერივით მარადიულად იხეტიალოს ყველა განზომილებაში.

პოეტების მეფის ოცნების ხომალდი მიემართებოდა იქ, „სადაც მთელი მსოფლიოს ბრწყინავს ვარსკვლავი“.

მიზანია კლონდაიკის, ოქროს საბადოს, სიტყვის ოქროს მიგნება, თანაც სვლა არა დინების მხარეს, არამედ „ქარის პირდაპირ“.

პოეტი მეზღვაურის ამოცანაა სულის რუკაზე „ახალი კამჩატკის“ აღმოჩენა, „ახალი კართაგენის“ აგება (918).

„პოვნა, გამოგონება, აღმოჩენა, შექმნაა“ მთვარი ორიენტირი, რასაც სჭირდება „გამბედაობის დიდი გენია“, მოგზაურობა სულის ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სიღრმეებში, ასტრალურ სამყაროში, „ჩარჩოს გადაცდენა“, „ბედს იქით“ გაღწევა, უდაბნოს (ურწმუნო ადგილის) გაცისკროვნება, სილაჟვარდეში ამაღლება, „მეფისტოფელის საუკუნის“ მიბრუნება ტაძრისკენ, „ლურჯა ცხენების“ ქროლვა „ზევით თუ სამარეში“, „არყოფნისა და ყოფნის წიგნების“უცდომელი წაკითხვა.

გალაკტიონი იყო „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“, უცხოური და ქართული პოეზიის მიღწევების მსოფლიო სიბრძნესთან ინტეგრირებით ახალი მერიდიანის გამვლები მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე, რენესანსული იდეების დამამკვიდრებელი მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, „კოსმიური ორკეს-

ტრის“ დირიჟორი (ეფემერა, კოსმიური ორკესტრი) (10,302, 241).

ტერენტი გრანელი იყო „მოღლილი მგზავრი“, ხან უდაბნოში, ხან ცაში, უსაზღვროებაში გაჭრილი ახალი ცნობიერების ადეპტი, მოგზაური „ოცნების ხომალდით“, „ფიქრის ნავებით“, „ცრემლის რაშით“. მისი „ბედისწერა იყო ხეტიალი, მიწაზე ამაღლება, „წმინდა გზის“- „მესამე გზის“ ძიება, „შორი პლანეტის“ მოხილვა, „მარსის წიაღში გაქანება“, მიღმური სამყაროს გამოცანებთან მიახლოება.

გამოჩენილი მწერლისა და მხატვრის-რეზო ადამიას აზრით, ტერენტი გრანელს ახასიათებდა „კოსმიური მოგზაურობა, ...მას კავშირი ჰქონდა „მამა კოსმოსთან“ (11,121).

„ანტიკურ ეპოქაში, შუა საუკუნეებში ხეტიალი აუცილებელი იყო ინიციაციის მისაღწევად: „მოგზაურობა, ხეტიალი ანტიკურ და შუასაუკუნეობრივ პოემებში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონისა, ოდისევსისა, ენეასისა, შუა საუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა“, წერს ზვიად გამსახურდია (12,304).

ქართველი პოეტები ასტრალური მოგზაურობის უნარითაც იყვნენ მომადლებული.

„ჰაერით მოგზაურობა იწვევს აზრის შეცვლას, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესირებას მენტალურ უნართა განვითარების გზით“ (12,304).

გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე, ნიკო სამადაშვილი ცაში ფრენდნენ სულით, მათი ასტრალური ორეული ცის სივრცეებს, დედამიწის კიდეებს, პოლუსებს, პლანეტებს ზვერავდა.

ჩვენი თანამედროვე ქართველი პოეტის ვაჟა ეგრისელის მოგზაურობის მარშრუტია მთა, ზღვა, მიწა, ზეცა, სამყარო, ისტორიის უღრანები, ტრანსცენდენტური პლანეტები, კოსმიური ცა: „ცაში ქროლვა-ალური... და უცნობ პლანეტებზე

მგზავრობა ასტრალური“, წერს „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი (მგზავრობა ასტრალური) (13,494).

„მე მოვიარე ბილიკ-ბილიკ ცა და ხმელეთი, თვალს ვერ ვუსწორებ ჯადოსნურ კოსმოსს“, აცხადებს ახალგაზრდა პოეტი რობერტ მესხი (14,58,81).

ლამარა გერგედავა „ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი და ზოგ შემთხვევაში პერსონაჟია (პედაგოგი). ის თავის აღსაზრდელებთან ერთად მოგზაურობს სინათლის, სიწმინდის, რწმენის, სიბრძნის სავანეში და ახალგაზრდა თაობას მოძღვრავს მარადიული ჭეშმარიტების მაგალითებით.

წიგნში მოგზაურობაა მუსიკის, მხატვრობის, ქანდაკების, მეცნიერების, ტექნიკის სამყაროში. მწერალი ფიქრობს რაფაელზე, მიქელანჯელოზე, მოცარტზე, ბახზე, ძველბერძნულ კულტურაზე, შუმერებზე, ვარსკვლავთა სამყაროზე, ცაზე, დედამიწაზე, არსებობის საიდუმლოებებზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე. უნდა შეიგრძნოს, გაითავისოს მთელი სამყაროს იდუმალება.

ავტორის განაცხადით, ის „მარადიული მოგზაურია“, წარსულის ჭეშმარიტებებთან ნაზიარები, „რომანტიკოსიც, რეალისტიც, ფსიქოლოგიც“, რომელსაც ესმის „სამყაროს, საგნების, მცენარეების მუსიკა“.

მწერალი ვირტუალურად მოგზაურობს აწმყოსა და წარსულში, საქართველოს ისტორიაში, ლიტერატურის უკიდეგანო სივრცეში, თავისი მრავალტანჯული, მაგრამ ბედისწერით გადარჩენილი სამშობლოს ადგილს ეძებს მსოფლიოს რუკაზე. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთელია, იმედს არ კარგავს, როგორც მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მოქალაქე.

უძველესი, ქალდეველთა შთამომავალი ერის შვილი ამაყობს სამშობლოს ისტორიით, ლიტერატურით, იმედიანად უყურებს მრავალი ისტორიული ქარტეხილის გადამტანი მამულის მომავალს, მისი მარადიულობის რწმენა ასულდგმუ-

ლებს, როგორც ჩვენს კლასიკოსებს, სახარებისეული ლაზარედ სახელდებული მშობელი ერის აღდგომის, გაბრწყინების იმედი ფრთებს ასხამს.

„დროსა და სივრცეში, ეპოქებსა და წლებში, წუთებსა და წამებში, იდეებსა და ყველა ხელოვანის მთავარ სათქმელში მარადიულ მოგზაურს ვგავარ. რამდენი ღიმილი, რამდენი წყენა, რამდენი ოცნება, რამდენი ცოდნა და უვიცობა უნდა შევკრიბო და ერთ ყულაბაში მოვაქციო, ყოველ საგაკვეთილო დროს, ყოველი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ფსიქოლოგიც უნდა იყო, რომანტიკოსიც და რეალისტიც და... მეც ჩემი სამყარო მეძახის... შორიდან ექო მეხმიანება. ფიქრებში „რომელიღაც ზღაპრის ფერია ცოცხლდება და გაღიმებული იყურება. ქოხის შუაგულში მთვარე ირეკლება და თვალნათლივ ვხედავ, მასზე ადამიანი, დედამიწისეული არსება დააბიჯებს... ეგვიპტის ფარაონი ათასგვარ უცნაურობებზე ყვება და პირამიდებში შესასვლელ გზებს მასწავლის... შერლოკ ჰოლმსი მოცეკვავე კაცუნებს ჩასცქერის დაკვირვებით და ვხედავ, გარეთ გასვლას აპირებს, რათა შემოიაროს ქვეყნიერება“... (1. 269).

მწერლის იდეალია, რომ ცხოვრება იყოს „პოეზიის, მხატვრობის, მეცნიერების, ტექნიკის დაუღალავი შრომის ურთიერთშერწყმა და არა ცისკენ შიშით მომზირალი ადამიანების გულის ფეთქვა, ვარსკვლავეთის ომი ხომ არ დაიწებაო“ (1. 265).

წიგნის ავტორი ოცნებობს კოსმოსის, მთელი სამყაროს, მზის, მთვარის საიდუმლოებათა შემმეცნებელ თაობაზე.

სანთლის შექზე სული ზღაპრულ ფერიასთან, მთვარეზე მავალ ადამიანთან, ეგვიპტის ფარაონთან ერთად მოგზაურობს“ (1.269).

მწერალი „მზის ბილიკს“მიჰყვება.

დროში წარმოსახვით მოგზაურს ორი ბრწყინვალე ეპოქა უხმობს, „საუკუნეთა სიღრმეებში“ დააბიჯებს.

„კლდეში გამოკვეთილი, ხელოვნური გამოქვაბულის შესასვლელთან. როკაილთან, თავაზიანი ფრანგი მიხრის თავს.

„შორს როკოკოა... საფრანგეთის მეფის, ლუი მე-14-ის სტილად წოდებული.

„ლამაზი ინტერიერები... ოქრო-ვერცხლით მორთული ავეჯი, ნივთები, კამერული მუსიკა, „ორკესტრის დედოფალი“ ვიოლინო, ფლეიტა, კლავესინი, არფა.

„მე-18 საუკუნის ფრანგი არისტოკრატები.

„რევერანსები მეფესთან... აინტერესებთ, რით გამოვირჩევი სხვებისგან, რომ უფლება მომეცა მისი ბრწყინვალების კართან მიახლოებისა.

„არავითარი განსაკუთრებულობა“...

„კარები მიმიხურეს... დარდმა მომიყვანა – მეთქი, ქარს ვუთხარი, მანვე წაიღო“...

„ისევ ბილიკები... აქ არ არსებობს დროის შეგრძნება, მე-12 საუკუნეა... აქ ქართული გენიის აჩრდილი სვლას მთავაზობს „ვეფხისტყაოსნის“ სიღრმეებისკენ, აქ ფართოდ იღება ქართველი მეფის სასახლის კარი.

„ულამაზესი, არნახული სფეროები, სიდიადის განცდა, მხატვრობის, მუსიკის, ხუროთმოძღვრების, გონის ზეიმი... შემოქმედს წელთასვლა მხრებით უჭირავს“...

მერე იმპრესიონიზმის ბილიკები, საინტერესო მიმდინარეობისა.

ბილიკს მზე ანათებდა და მონეს მზეს ჰგავდა“(1,237).

„ჯოკონდა, ლაოკოონი, ვან გოგის „მწუხარე მოხუცი“, გალაკტიონი ანგელოსის ფრთებით...

ძველეგვიპტური ტაძრის სვეტები, მთვარის ღმერთის ტაძარი.

შეხვედრები... ეგვიპტის ულამაზეს ასულთან, მაღალტიარიან ნეფერტიტთან და მის მეუღლესთან, ეხნატონთან...

...პართენონის სილუეტები.

...სევდა ღვთაებრივსა და ადამიანურს შორის დაკარგულ ზღვარზე...

...რეჟისორის ხელით ჩამოშვებული შავი ფარდა ცისეულ სცენაზე.

ცის ტატნობზე დახატული სამშობლოს მომავალი“... (1. 246).

„ჭეშმარიტი ისტორია მასწავლებელია საზოგადოებისა. მიზანია „სვლა ჭეშმარიტებისკენ, ბრძოლით, წინააღმდეგობათა დაძლევით“... (1,247).

...„მიხმობს მარადიულობა ყოველივე ამაღლებულისა და მშვენიერებისა“ (1,282).

„მდუმარების ხმის“ ავტორი მიიჩნევდა, რომ „ადამიანი, როგორც მაკროკოსმიური არსება, მთელი დანარჩენი სამყაროს დამტევია საკუთარ სულში“ (7,122).

ნიკო სამადაშვილი იყო „უჟამო სივრცის მგზავრი“, ხედავდა „სამყაროს იქით“ მიმავალ მგზავრებს (ფერისცვალება) (15,62) პოეტი მთავარ ორიენტირებს ეძებდა, მაგრამ „მიუვალი გზა“ „სფინქსის ზუზუნში“ იყო ჩაფლული (ბალახი როცა ამოვა) (15, 64-65).

პოეტის ბედისწერა იყო „უსაზღვროებაში ხეტიალი, პლანეტების გუგუნის“ მოსმენა.

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ „ლიტერატურული მოზაიკის“ მოგზაური იდეალისტია, არა ნივთის, მატერიის, საგნის მაძიებელი, არამედ სულის, სულიერების, ზნეობრიობის, უანგარობის, სიმართლის დასაცავად დონკიხოტივით მოგზაური მრავალ სივრცეში, ამიტომაც სკოლის ჭიშკრიდანვე დონკიხოტის აჩრდილი ეგებება და ამ მარადიული რაინდის კითხვაზე: „თქვენი მიზნები?“ მასწავლებელი პასუხობს: „სიახლეებს უნდა მივყვე კვალდაკვალ, სასიკეთო ცვლილებებსა და სამართლიანობას მივემხრობი“.

ამის შემდეგ იწყება „მოგზაურობა კლასიდან კლასში დონ კიხოტისა და სანჩო პანსას თანხლებით.

კლასიდან კლასში მასწავლებლის მეგზურები არიან სერვანტესის მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული პერსონაჟები.

„მოსწავლეებს თვალებში მზე ჩაბუდებიათ“, არა ფიზიკური, არამედ სამყაროს შემქმნელი მზე.

მზე ხომ საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83/84,12)(6,438).

მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ვირტუალურად მოგზაურობენ კვირის ერთ-ერთ დღეს.

მოგზაურობენ ზღვის ნაპირას და ფიქრობენ იმაზე, არგონავტებს იაზონის მეთაურობით და მედეას დახმარებით როგორ მიაქვს კოლხეთის მეფის აიეტისგან ოქროს საწმისი.

ზოგჯერ კი ზღვიდან მსოფლიო რენესანსის უპირველესი წარმომადგენლის, დანტეზე მთელი საუკუნით წინმსწრები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოახლოებას გრძნობენ.

ყოველივე ეს ხდება „ინდიგოების“ – იისფერი აურის მქონე მოზარდებში, რომლებმაც იციან, რომ ბიბლიის მიხედვით, ზღვა ბოროტების სიმბოლოა, რომ გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) უზენაესის მეტაფორაა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 64/65,12)(6,429).

აქვე არ ავიწყდებათ იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელშიც ქართული ენა საგალობელია, ღვთის რჩეული ენა, რომლითაც მეორედ მოსვლისას განიკითხება ცოდვილი კაცობრიობა, რაც იმის მაუწყებელია, რომ მესიანისტური იდეა ასულდგმულებს ჩვენს მცირერიცხოვან, მაგრამ რჩეულ ერს.

მეათეკლასელი მოსწავლეები მომავალ მოგზაურობაზე ფიქრობენ.

მასწავლებელი და მოსწავლეები მოგზაურები არიან, ლიტერატურის საწყის ბილიკზე მდგომნი, მერე ოდისევსივით ბრუნდებიან სამშობლოში, სულხან-საბა ორბელიანის გზებს

აკვირდებიან და საფრანგეთიდან დაბრუნებულ ხელმოცარულ ქართველ ელჩს თანაუგრძნობენ. ჯუმბერ ლეჟავას ჯერ კიდევ ბოლომდე დაუწერელ ისტორიებს ელოდებიან, დონ კიხოტის კვალდაკვალ დადიან ესპანეთში, გრაალის ძებნაში ქანცგაწყვეტილნი. მათთვის ერთნაირად მისაღებია რეალური და ლიტერატურული, ვირტუალური მოგზაურობები, ტერენტი გრანელის ფიქრები სამშობლოზე, იაკობ გოგებაშვილის სკოლასა და ბავშვებზე, ვაჟა-ფშაველას კარგ ყმაზე, ილია ჭავჭავაძის მამულსა, ენასა და სარწმუნოებაზე.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ საუბარია სიუჟეტების მოგზაურობაზე და დამოწმებულია არგენტინელი მწერალი ბორხესი, რომლის მოსაზრებით, მხატვრულ ლიტერატურაში სულ ოთხი ამბავი ტრიალებს... პირველი ბრძოლაა, მოიერიშე აქილევსია, მეორე-ოდისევსის დაბრუნება, მესამე-ძიება, იაზონისა და ოქროს საწმისის თავგადასავალი; მეოთხე – ღმერთის თავგანწირვა.

სხვები უფრო მეტსაც ასახელებენო. ჩვენც, ადამიანებიც, მოარულ სიუჟეტებს ვგავართ...

მასწავლებელს იდეალისტი უწოდა დონ კიხოტმა. მას მიაჩნია, რომ იდეალისტებიც არ არიან შეცდომებისგან დაზღვეულნი.

გამოყოფენ მასწავლებელთა ტიპებს. ერთ-ერთი გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ვხვდებით იდეალისტებს, პრაქტიკოსებს, რაციონალისტებსა და ზომიერებს.

იდეალისტი პედაგოგი სასწავლო პროცესში სიახლეების შეტანაზე ზრუნავს, ის ფიქრობს მოსწავლეებზეც და საზოგადოებაზეც, მიზნად ისახავს სოციალური სამართლიანობა გააუმჯობესოს, სამუშაოს ძიებისას წინასწარ ფიქრობს ცვლილებებზე, უყვარს თავისი საგანი და ბავშვები (https://www.etaloni.ge/geo – გაიგეთ, რომელი ტიპის მასწავლებელი ხართ).

იდეალიზმის მაძიებელი სული ჭეშმარიტების კარიბჭემდე მაინც მოგზაურობს.

მასწავლებელი მოსწავლეებს მოგზაურობას სთავაზობს ქალაქში, რასაც ისინი აღტაცებით ხვდებიან და მათი მიზანია ადამიანების დაცვა, მათთვის დახმარება, ტანჯვის შემსუბუქება, სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა.

ორივე თაობას ეიმედება „მზე ღმერთი, რომელიც უამრავ ნათელ სხივს გზავნის დედამიწაზე“.

...შემდეგ ისევ გამოჩნდებიან სკოლის ჭიშკართან დონ კიხოტი და სანჩო პანსა და „ნათელი სხივის შემგროვებლებს“ ეძებენ.

და ბუნებრივად ჩნდება გოდერძი ჩოხელის რემინისცენცია. მწერლის პერსონაჟი, ერთი ღვთისნიერი კაცი ადამიანთა სევდას აგროვებდა.

„ლიტერატურული მოზაიკის“ მასწავლებელი „ნათლის სხივებს“ ეძებს და აგროვებს პეშვით, მერე ისევ სამყაროს უბრუნებს. ის მხოლოდ შუქს კი არა, ბნელსაც ხედავს და ცდილობს სხივებით სიბნელის დამარცხებას. როცა მას ეკითხებიან, უნახავს თუ არა ნათლის სხივები, ირწმუნება, რომ მას ადამიანებში პოულობს და იხსენებს ქართული პოეზიის დედოფალს – ანა კალანდაძეს, რომელსაც სკოლაში შეხვედრაზე ეახლა აფხაზეთიდან ჩამოტანილი წიგნით. ავტორს ასულდგმულებს დიდი პოეტის ავტოგრაფი და მისგან, ახლობელივით, შინაურივით შინ მიწვევა „კეთილი მასპინძლისგან, თითქოს შორეული და ახალგაცნობილი ნათესავი ყოფილიყო“...

ავტორის თქმით, ანას კრებულს ორი გამორჩეული ხელი შეეხო, ერთი ომისა, სასტიკი, უსაზარლესი, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულისა, რომელიც არყევს და თავდაყირა აყენებს ყოველივეს.

მეორე – თვით უკვდავება. ფერშეცვლილი კრებულის გარეკანსა და თავფურცელზე, სამუდამოდ აღბეჭდილი წარწე-

რა: „აფხაზეთის ომიდან გადარჩენილი ჩემი წიგნი. პატივისცემით ანა კალანდაძე“, 23,04,97წ.

„დრომ მხოლოდ მელნის ფერი გააფერმკრთალა, განა ნათლის სხივი“.

კითხვის – „ნათლის სხივს“ მხოლოდ ადამიანებში პოულობთ?“ პასუხი ასეთია: „ნათლის სხივი ხან ჩვენსავე ფიქრებშია დავანებული, ხან ადამიანის სახით დაგვემგზავრება ხოლმე ცხოვრების გზებზე, სამშობლოს ზეციდან, გაზაფხულის სიმწვანიდან, წიგნის სტრიქონებიდან, მუსიკის ბგერებიდან, მხატვრობის ფერებიდან კრთის და ასხივებს. ის ზოგჯერ გულწრფელად წარმოთქმულ სიტყვებშია: „რომ შექმნა, რომ მოიმოქმედო რაიმე დიადი, საჭიროა, რომ მთელი ძალა სულისა ერთი წერტილისკენ მიმართო. რომ შექმნა რამე დიადი, ერთი რაიმე დიადი, უნდა გახდე მთელის შენის არსებით ნაწილი მეორე, არსებული დიადისა“.

„ბგერწერის ოსტატმა, გენიალური სიტყვა-ბგერების შემქმნელმა გალაკტიონმა, ჩვენც, „ნაწილს მეორე, არსებული დიადისა“ გვაზიარა.

წიგნში ტერენტი გრანელი „მზე ღმერთისკენ მიმავალი მარადიული მოგზაურის“ სახით წარმოჩნდება: „მე ქვეყნის გაჩენიდან მივდიოდი სინათლისკენ, რომ მეხილა მზე“.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მთავარია რწმენა, როგორც ზნეობრიობის წყარო, ღვთის შიში.

წიგნში მასწავლებლის წარმოსახვა თავის შეგირდებთან ერთად მოგზაურობს მთელ სამყაროში, მარადიული ჭეშმარიტების მისაკვლევად.

მთავარია სულიერი თვალთახედვის გახსნა, აღსაზრდელებში რწმენის, სიბრძნის, სიყვარულის, მაღალი ზნეობის გაღვიძება ეროვნული და საკაცობრიო სიბრძნის მაგალითების წვდომით (იდეალიზმის მაძიებელნი) (1).

დამოწმებანი

1. ლამარა გერგედავა, „ლიტერატურული მოზაიკა“, „უნივერსალი“, თბ. 2023
2. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკისა, „საბჭოთა საქართველო, თბ. 1983
3. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ. 2012
4. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“ თბ. 1994
5. გიორგი გურჯიევი, ჭეშმარიტების სამყაროში, თბ. 2000
6. ბიბლია, თბ. 2013
7. ელენა ბლავატსკაია, მდუმარების ხმა, თარგმნა თ. თავაძემ, თბ. 2011
8. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, I, თბ.1990
9. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ანთოლოგია, ტ. VIII, თბ. 2019
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1977
11. რეზო ადამია, „უკვდავებაა სიკვდილში“, „საქართველო“ თბ. 2011
12. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991
13. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ 30 ტომად, ტ. I, „ივერიონი“, თბ. 2016
14. რობერტ მესხი, NARCOSIS, თბ. 2020
15. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ. 2004

სიზმრის კონცეპტი

სიზმრის საიდუმლოებით ინტერესდებოდა მითოლოგია, ბიბლია, ღვთისმეტყველება, ფსიქოლოგია, მხატვრული ლიტერატურა.

დანტეს, რუსთაველის, ედგარ პოს, რუსი და ფრანგი სიმბოლისტების, ქართველი „ცისფერყანწელების, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიზმრის ფენომენს.

ბერგსონი, იუნგი, ფრიოდი, ელენე ბლავატსკაია უღრმავდებიან სიზმრის მოვლენას და საგულისხმო დასკვნებიც გამოაქვთ.

აღიარებულია, რომ არაფრისმთქმელ, უაზრო სიზმარ-ხილვების გარდა, არსებობს წინასწარმეტყველური, მომავალზე მიმანიშნებელი სიზმრები.

გრიგოლ რობაქიძე „ხელოვნურ სინამდვილეს ზღაპარს, მითს, ლეგენდას“ უწოდებდა, ხოლო „ხელოვანს თვალღია სიზმარში გახვეულს“.

ტერენტი გრანელი თავის შემოქმედებას „დედამიწის სიზმრად“ მოიხსენიებდა, გალაკტიონ ტაბიძე – „ოცნება – სიზმრად“ და თავის მოშურნე, ჩასაფრებულ ვაიშემოქმედთ მიმართავდა: „...ბევრს ეშინოდეს ჩემი სასტიკი, ულმობელი გამოღვიძების, ვით გათენებას, მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“ (მე მძინარე ვარ“) (1,326).

საერთოდ, სიზმარი, ზღაპარი, ლანდი, მოჩვენება, არაკი მრავალმნიშვნელოვანია პოეტების მეფის შემოქმედებაში, ერთ-ერთი გაგებით კი პოეტური გამონაგონის სიმბოლოა. ბევრი სიზმრის შემცველი ლექსი მის შემოქმედებაში წინასწარმეტყველებას უკავშირდება.

კონსტანტინე გამსახურდია ხაზს უსვამდა „ზმანებისა და მითის ჯადოს“ და მიიჩნევდა, რომ მათი იგნორირებით იწყებოდა მწერლის კრიზისი.

დიდოსტატი პროზაიკოსის თითქმის ყველა შედევრში გვხვდება წინასწარმეტყველური, მომავლის მაუწყებელი სიზმრები („მთვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“, „დავით აღმაშენებელი“).

მიწიერი ცხოვრების სიზმარეულობაზე, ილუზორულობაზე ამახვილებდა ყურადღებას აღმოსავლური (ჩინური, ინდური, კორეული) პოეზია(2).

ანალოგიურ მოსაზრებას ვიპოვით ფრანგულ, რუსულ, ამერიკულ ლიტერატურაში“ (3,261).

„სიზმარი არის სიმბოლური... სიზმარში შეიძლება მთელი ისტორიების დანახვა“, ამტკიცებდა ანთროპოსოფიის წარმომადგენელი (4,116).

„განსაკუთრებული შინაგანი სენსიტიურობის მქონე ადამიანებთან... სიზმარი მოქმედებს, როგორც წინასწარმეტყველება“, ირწმუნებოდა შტაინერი (3,111).

„ზოგჯერ სიზმარს დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებისათვის“, წერდა შტაინერი და იმოწმებდა ედისონს, რომელსაც ესიზმრა, როგორ გაეკეთებინა ვარვარა ნათურა. მან დაიმახსოვრა ეს სიზმარი და ნამდვილად გააკეთა ისეთი ნათურა, როგორიც მას ესიზმრა (4,18).

რუდოლფ შტაინერი ახსენებს ფრანცისკო ასიზელის წინასწარმეტყველურ სიზმარს, როცა მან იხილა იარაღი, ფარი და მოესმა ხმა, რომ იარაღი გულმოწყალების, თანაგრძნობისა და სიყვარულის მშვინვიერ-სულიერი იარაღია, ფარი კი ნიშნავს ცნობიერებას, რომელიც მოწყალების, თანაგრძნობისა და კაცთმოყვარეობის გამო ამა სოფლის სიძნელეებისგან დაგიცავსო (4,33).

სიზმრებს ჭეშმარიტებას, გეგმებს, ანტიციპაციას, ტელეპატიურ ხილვებს უკავშირებდა კარლ გუსტავ იუნგი (5,305).

ზიგმუნდ ფროიდი სიზმარს ოკულტიზმთან ახსენებდა, „მისტიკური სამყაროს კარიბჭედ“ აცხადებდა, ძილის მდგომარეობას ტელეპატიური ცნობების მიღებისათვის, ზეადამიანური ძალების ზემოქმედებისათვის ხელსაყრელად მიიჩნევდა (6,260).

ელენე ბლავატსკაია განასხვავებდა წინასწარმეტყველურ, ალეგორიულ, ადეპტების მიერ გამოგზავნილ გამაფრთხილებელ და უწესრიგო, ქაოტურ სიზმრებს (7,12).

ლამარა გერგედავას „ლიტერატურულ მოზაიკაში“, საუბარია „შეუცნობელ, ამოუხსნელ ფენომენზე“: „ვფიქრობ, ზოგიერთი ადამიანის სიზმარი, ხილვა ამოუხსნელი საიდუმლოა...

„პაულო კოელიოს ერთი პერსონაჟი „ალქიმიკოსში“ მეორეს ეუბნება: „სიზმრები ის ენაა, რომლითაც უფალი გვესაუბრება ხოლმე“.

აფხაზეთელი ავტორი აგრძელებს: „შეუცნობელი და უცნაურია-მეთქი სიზმარი, ვუთხარი ერთხელ მეგობრებს, რასაც უნდობლობით შეხვდნენ, უცნაურად იღიმებოდნენ, მე კი მოვუთხრობდი მათ“, აცხადებს ლამარა გერგედავა და ამცნობს მსმენელ-მეგობრებს: „პირველად... ჩვენი სკოლის შენობა მწვანე ფერის უხეში, წყალგაუმტარი ქსოვილით გადაეხურათ, მასწავლებლები და მოსწავლეები თალხი სამოსით, ჩქარი ნაბიჯებით, მდუმარედ ტოვებდნენ არემარეს. მათ სხვებიც უერთდებოდნენ. მერე ყველანი მზის სხივებივით იფანტებოდნენ სხვადასხვა მიმართულებით“.

„წლების შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სიზმარში. აფხაზეთში ომი და ათასგვარი უბედურება დატრიალდა.

„სკოლაში ჯარისკაცებმა დაიდეს ბინა. შენობა მწვანე ფერის უხეში, წყალგაუმტარი ქსოვილით გადახურულს დაემსგავსა.

მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მართლაც დატოვეს მშობლიური არემარე, მათ სხვებიც შეუერთდნენ. მერე ყვე-

ლანი მზის სხივებივით დაიფანტნენ სხვადასხვა მიმართულებით (8,161).

საშინელ სიზმრებს ბევრი ხედავდა, ქუჩა სავსე იყო ორმოებით, სისხლით, რაც შემაშფოთებელ წინათგრძნობას აღძრავდა და როცა ომის მოლოდინზე ჩამოვარდებოდა საუბარი, შიშს კიდევ უფრო ამძაფრებდა ვითომ ჩვენი თანამოძმის თუ თანამოქალაქის თვალების ქვეწარმავლის მსგავსი გამოხედვა.

გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“ წითელი თოვლი მოდის, ავბედითი მომავლის მაუწყებელი.

რობერტ მესხის ლირიკაში წითელი ფერის პრიმატი აძრწუნებს სულს.

აფხაზეთში ჩასული, ენგურის ხიდის იქით გადასული ადამიანები ამბობდნენ, რომ გალის იქით ჰაერიც სხვანაირი იყო, სულისშემძვრელი, უბედურების მაუწყებელი, ბუნებაშიც იგრძნობოდა საბედისწერო მომენტების დადგომი სუნი...

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ყურადღების ცენტრში მოქცეულია გალაკტიონის მრავალი შედევრი, მათ შორის სიზმრის კონტექსტში.

ლექსში „მე მოვალ“ პოეტების მეფე მიჯაჭვული ამირანის, წაქცეული მგოსნის სახით გვევლინება, რომელსაც ყორნის დაუნდობელი კლანჭები ესობა თვალში, ფრთაშეკვეცილია და იტანჯება. ამაოა დედოფალთ გროვიდან მოსმენილი უცნობი ძახილი და დაპირება ყვავილებისა და საამური სიზმრების მოვლინებაზე.

ვფიქრობთ, ყვავილები მისი სარწმუნოებრივი იდეალია, ხან ძე ღმერთის, ხან მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლო, ხოლო სიზმარი მისი მუზის, შემოქმედებითი ფანტაზიის, მხატვრული გამონაგონის, რომლის გაუჩინარება ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს აძრწუნებს.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ანალოგიურ ჭრილში მოიაზრება ზემოხსენებული ლექსის ჩანაფიქრი.

დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ. 2014
2. აღმოსავლური პოეზია, თარგმანი თამაზ ჩხენკელის, თბ. 1980
3. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) განსახურდიასი, „პითაგორა“, თბ. 1994
4. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელები ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, თბ. 2014
5. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1996
6. ზიგმუნდ ფროიდი, ფსიქოანალიზი, მთარგმნელი და რედაქტორი ვიტალი კაკაბაძე, თბ. 2009
7. ელენე ბლავატსკაია, საიდუმლო დოქტრინის კომენტარები, ბლავატსკაიას ლოჟის თეოსოფიური საზოგადოების შრომები, საიდუმლო დოქტრინის I ტომის სტანსების განხილვა. გამომცემელი და მთარგმნელი ვაჟა ნარიმანიძე, თბ. 2011
8. ლამარა გერგედავა, „ლიტერატურული მოზაიკა“, „უნივერსალი“, თბ. 2023

რწმენა – სიბრძნის წინამძღვარი

ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკა“ დიდაქტიკური, ფილოსოფიური ნაწარმოებია, გამორჩეული ენიგმებით, სიმბოლო – ალეგორიებით, მრავალმნიშვნელოვანი სახეებით.

„იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა“, ნათქვამია წმინდა წერილში (ფს.77/78)(1,434).

ცნობილია, იგავებით, სიმბოლოებით აზროვნება უმაღ-ლესი ხელოვნებაა.

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის უპირველესი მახასიათე-ბელია რელიგიურობა, მორწმუნეობა, სვლა არა დინების მხა-რეს, არა ტრაფარეტებით მანიპულირება, არამედ „სხვისთვის უხილავ-ფარულის“ ხილვა, წუთისოფლის ცდუნებების დაძ-ლევა, მარადიული სიბრძნის გათავისება, რაც მომავალში გაღწევის გარანტიაა.

ბიბლია შეგვაგონებს: „მთავარი სიბრძნე სიბრძნის მო-ხვეჭაა, ყოველთა მოსახვეჭელთაგან სიბრძნე მოიხვეჭო“.

სიბრძნე ყოველგვარ სიმდიდრეზე ძვირფასია: „სიბრძნე უკეთესია ძვირფას თვლებზე და ვერც ერთი სანატრელი საგანი ვერ შეედრება მას“.

„ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (იგავნი სოლომონისა, 7,11,16,16,7,28) (1, 466, 471,494).

ამასთან, „შურიანი ვერ ეზიარება სიბრძნეს“ (სიბრძნე სოლომონისა (6,23)(1,493).

„სიბრძნე ზირაქისა“ გვმოძღვრავს: „ყოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“.

„მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შე-სწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმე-ტყველებაში გაიწაფება“.

„ბოროტის ცოდნაა არაა სიბრძნე და არც გონიერებაა იქ, სადაც ცოდვილნი ბჭობენ“ (სიბრძნე ზირაქისა, 18,22,43, 33,39,1) (1,513,528,525).

დავით წინასწარმეტყველი გვამცნობს: „სიბრძნის დასა-ბამია შიში უფლისა“ (ფს. 110/111,10)(2,646).

ფსალმუნის ავტორი ღმერთს ემადლიერება მისი მცნე-ბების გათავისებით გამორჩეული: „უფალო, „ჩემს მტრებზე მეტად დამაბრძენე შენი მცნებებით, ყველა ჩემს მოძღვარზე

გონიერი გავხდი, რადგან შენი მცნებანი სააზროვნოა ჩემთვის“ (ფს. 118,98,99) (2,657).

„უმჯობესია ჩემთვის რჯული შენი ბაგისა, ვიდრე ათასი ოქრო და ვერცხლი. ააცილე თვალი ჩემი ამაოების ცქერას, შენი გზით მაცოცხლე“ (ფს. 118,72,38).

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორის წინამძღვარია ბიბლიურ წინასწარმეტყველთა მარადიული სიბრძნე. წიგნში მთელი ძალისხმევა ადამიანის მამოძრავებელი იმპულსების ხილვას, მისი სწორი გზით წარმართვას ემსახურება, ამის საწინდარი კი რწმენა, უზენაესის მცნებების დაცვა, ტაძარში სიარული, ლოცვა, რელიგიური საგალობლების გათავისებაა. აქ ყოველდღიურობა მარადისობისკენ სავალი გზის პირველი საფეხურია. წიგნის ავტორი სიბრძნეს ეძებს მთელ სამყაროში, სიბრძნე კი ორგვარია წმინდა წერილის მიხედვით: მიწიერი და ზეციური.

ზეციურ, მარადიულ სიბრძნესთან ზიარება, ჭეშმარიტებას მიგნება მხოლოდ მორწმუნეთა ხვედრია.

წმინდა წერილში დაპირისპირებულია მიწიერი და ზეციური სიბრძნე: პავლე მოციქული გმობდა „წუთისოფლის სიბრძნეს“ და შეგვაგონებდა, შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (I კორინთელთა, 2,4,5,6,7)(1,935).

წმინდა მამის ეპისტოლეში გარჩეულია „ხორცის საქმეები“, რომელიც დასაგმობია და „სულის საქმეები“ რომელსაც უნდა ითავისებდეს ყოველი ჭეშმარიტი მოაზროვნე (გალატელთა მიმართ) (2, 16-26).

„ღვთის მორწმუნეს ლოცვით მიემადლება ყოველგვარი სიბრძნე და სულიერი გონება“, გვმოძღვრავს პავლე მოციქული (კოლასელთა 1,9) (2,431).

ნიჭთა მომმადლებლად მიიჩნევა სამების მესამე წევრი-სულიწმინდა (I კორინთელთა, 12, 8-11) (2,941).

სიბრძნე ღმერთია: „წყარო სიბრძნისა-უფალი“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12) (1, 618).

„ღმერთი სიბრძნეა-ყოველთა შემოქმედი“(სიბრძნე სოლომონისა, 7,27)(1,24).

ახალ აღთქმაში გარჩეულია „მიწიერი, მშვინვიერი, ეშმაკეული სიბრძნე“ და „მაღლიდან გარდმოვლენილი, წმინდა, მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე“ (იაკობ მოციქული, 4,15,17) (2,298).

ღმერთი არის „არსი, არსთა გამრიგე“.

„აზრი, მოაზროვნე, სიბრძნე და ბრძენი, გონება და გონებისმიერი, სიტყვის მშობელი“ (იოანე დამასკელი) (3,127).

ბასილ დიდის მიხედვით, სიბრძნის მომნიჭებელი სულიწმინდა არის „ფალავანი მწიგნობარი“ (4,146).

შტაინერი საუბრობდა ეგვიპტის იდუმალ სიბრძნეზე, ქურუმთა სიბრძნეზე,... პლატონის „ნადიმზე“, რომელშიც სიყვარული სიბრძნის მაცნედ ესახება. ხაზს უსვამდა პითაგორელების, სოკრატეს სიბრძნეს, შემოქმედის ურთიერთობას მარადიულთან, სიბრძნის სიყვარულს“ (5,44).

შტაინერის აზრით, „მხოლოდ ინტელექტუალური აზრები მკვდარია, არიმანულის პროდუქტია, რომელიც გზა-კვალს ურევს, ზემიწიერ ძალებს სწყვეტს ადამიანს, ამიტომ მთავარია სულიერებისკენ მიმავალი გზის პოვნა (6,12).

„განვითარება იწყება იქ, სადაც სიბრძნე სიყვარულით არის გამობრძმედილი“ (6, 121).

დანტემ უზენაეს სულს შესთხოვა „სიყვარული და სიბრძნის ნიჭი“.

„ბჰაგავად-„გიტაში“ „სიბრძნის სახმილში გამობრძმედილ ადამიანს „ნათელღებული“ ეწოდება.

ეშმაკეულთა, ბნელითშემოსილთა უმდაბლეს გზას უნდა დაუპირისპირდეს ღვთაებრივი სიბრძნე (7,46).

„სიბრძნის პურით დაპურება, უკვდავების წმინდა წყალთან ზიარებაა“ მთავარი ელენე ბლავატსკაიას „მდუმარების ხმაში“ (8,85).

პური, წყალი საღვთო სახელებია.

„საწუთროს ზემოქმედებას ქრისტინული აღზრდის კეთილ-გონიერი პრინციპები უნდა დავუპირისპიროთ“, გვირჩევს წმ. თეოფანე დაყუდებული (9,345).

წმინდა წერილში უგუნური უღმერთოს ეწოდება: „თქვა უგუნურმან გულსა შინა თვსსა, არა არს ღმერთი“ (ფს. 13,1).

პავლე მოციქული მორწმუნეთ „ნათლის შვილებად“ მოიხ-სენებს და შეგვაგონებს: „ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმე-ნისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმედის მუზარადით“ (I წერილი თესალონიკელთა მიმართ, 2,56).

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანოვი) განარჩევს „ხორ-ციელ თვალს და სულიერ თვალს“ (ლოცვისა და ფსალ-მუნების შესახებ) (9,392).

„სულიერი ხედვა მხოლოდ მორწმუნეთა, თავმდაბალთა ხვედრია. ვინც არარად შერაცხავს თავის თავს. იმას განაბრ-ძნობს უფალი, ხოლო ვისაც თავისი თავი ბრძნად უჩანს, იგი ღვთაებრივი ნათლისგან განდგომილია.

„ეკლესია მასში შემავალთ აღმოიყვანებს ამქვეყნიურ საქ-მეთა მორევიდან, სიმშვიდით და ღვთის სიტყვით დააპურებს მათ და დაიცავს ყოველგვარი განსაცდელისგან.

„სიბრძნისმოყვარეს მთელი თავისი მოღვაწეობა სულში აქვს გადატანილი და გარეგნული არაფერი სჭირდება.

„შვილები უნდა გავზარდოთ უფლის სწავლებითა და მო-ძღვრებით“, გვირჩევს წმ. იოანე ოქროპირი (ქადაგება ეკ-ლესიაში სიარულის შესახებ) (9,137-141).

„საწუთროს ზემოქმედებას ქრისტიანული აღზრდის კე-თილგონიერი პრინციპები უნდა დავუპირისპიროთ“, შეგვაგო-ნებს წმ. თეოფანე დაყუდებული (9,345).

ნეტარი ავგუსტინე განასხვავებდა „ზერელე სწავლას“ და „შემეცნებას“, კიცხავდა „ხორციელ სიბრძნისმეტყველებას“ და მას უწოდებდა „სხეულებრივი გრძნობების უძლურებას“ (9, 49-50).

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე აღნიშნავდა, რომ „ადამიანები სულის თვალს-გონებას ყოველგვარი ნაგავით ავსებენ“ (9, 263).

რუდოლ შტაინერი სრულფასოვანი შემეცნების, სიბრძნის, ხელოვნების საწინდრად უპირველესად რელიგიას მიიჩნევდა: „შემეცნებას, ხელოვნებასა და რელიგიას ერთი და იგივე წყარო ასაზრდოებს. ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ ისეთ სულიერ წყობას, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ჩვენი სამშვინველი შეძრულია რელიგიურით და გამსჭვალულია მხატვრულით.

„გრძნობად საუფლოზე ამაღლებულ ამ სიბრძნეს, რომელშიც ადამიანს ეხსნება თავისი რაობა და დანიშნულება, შესაძლოა ეწოდოს ღვთაებრივი სიბრძნე ანუ თეოსოფია“ (10,10).

შტაინერის მიხედვით, ხელოვანისთვის აუცილებელია სულიერი ხედვა, სულიერი სმენა.

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი განასხვავებს ეგზოტერულ და ეზოტერულ სიბრძნეს. პირველი განკუთვნილია ფართო მასებისთვის, მეორე – რჩეულთათვის. ტვინის მარცხენა ნახევარსფერო გონებრივ აზროვნებას ემსახურება და მას ეწოდება ჰიპოფიზი, ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს პრეროგატივაა ინტუიცია, მოვლენების წინასწარჭვრეტა და ის მოიხსენება, როგორც ეპიფიზი.

მარკუს ავრელიუსი განასხვავებდა „ხორციელ თვალს“ და „ხედვის სულ სხვა ორგანოს“, რომელსაც „ხელეწიფება ამ მისტიური ქმნადობისა და ფარულად მოქმედ მიზეზთა ჭვრეტა“ (11,247).

ანრი ბერგსონი, ნეტარი ავგუსტინე, იოანე დამასკელი, ბასილ დიდი განარჩევენ ცოდნის ორ სახეს – რაციონალურს და ინტუიციურს.

„შემეცნების სინათლეში შეღწევის თითო ნაბიჯს წინ უნდა უძღოდეს მორალობისკენ გადადგმული ორი ნაბიჯი“, გვმოძღვრავს ეროვნული გმირი და აზროვნების მწვერვალებთან მიღწეული მერაბ კოსტავა (12,139).

გალაკტიონი მუდმივად საუბრობს „ძველისძველი ღვინით“ თრობაზე, „ცისფერი ღვინოების“ მონატრებაზე, „ყოფნით“, „ცეცხლით“ თრობაზე, „ღვინოს“ მოიაზრებს, როგორც „ფარს“ – მხსნელს და ამ სიმბოლურ ფრაზებში იგულისხმება რწმენით თრობა, რადგან ღვინო, „ძველისძველით“ და „ცისფერის“ ეპითეტებით წარმოჩენილი, საღვთო სახელია ისევე, როგორც „ყოფნა“ (სიცოცხლე), „ცეცხლი“.

პოეტების მეფე იყო „ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ (უმშვენიერეს კიბეზე).

ესაიას წინასწარმეტყველებაში იესოს მოვლინება წარმოისახება, როგორ ნადიმი, რომელზედაც ადამიანები დაეწაფებიან „ძველ, დაწმენდილ ღვინოს“: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძვლის ტვინიანი მსუყე კერძებით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (25,6) (1,546).

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი წერს: „სულიერი ღვინო, ზეციური ღვინით საზრდოობა განწმენდს ადამიანის სულიერი წყლულების სიბილწეს და მას სრულ სიჯანსაღეს მიანიჭებს“ (სინანულისა და ლოცვის შესახებ, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, თბ. 1990).

ლამარა გერგედავას „ლიტერატურულ მოზაიკაში“ მთელი ძალისხმევა ადამიანის მამოძრავებელი იმპულსების ხილვას, მისი სწორი გზით წარმართვას ემსახურება, ამის საწინდარი კი არის რწმენა, უზენაესის მცნებების დაცვა, ტაძარში სიარული, ლოცვა, რელიგიური საგალობლების გათავისება. აქ ყოველდღიურობა მარადისობისკენ სავალი გზის პირველი საფეხურია.

წიგნში ძალზე ხშირად იხსენებიან გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე, გოდერძი ჩოხელი რელიგიურ ჭრილში, რაც რწმენაზე აქცენტირებას ემსახურება.

მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია მაღალი ზნეობით, საღვთო ეთიკით, მასში საუბარია „ფილოსოფიურ ქვაზე“,

რომელსაც, ბოშა ქალის თქმით, ეძებს უფლისწული (მოთხრობა „დიდებულნი და მდაბიონი“).

ფილოსოფიური ქვა, საწმისი, გრაალი კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდის, მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია (ზვიად გამსახურდია) (13,38).

გუსტავ იუნგი საუბრობს შვიდ საფეხურზე მდგარ მზით და მთვარით განათებულ ბრძენთა ტაძარზე. თავყრილობათა ტაძარი მთაშია შემალული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფილოსოფური ქვა მიწაშია ჩათხრილი, საიდანაც ის უნდა მოიპოვონ და გაასუფთაონ“ (14,87).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“, ფილოსოფიური ქვის პარალელურად მრავალგზის მოიხსენება მზე, ვარდი, ყვავილი, ზამბახები, ია, როგორც რეალისტურ, ისე სიმბოლურ ჭრილში.

მასწავლებელი, ბავშვები, გამუდმებით მზეს ადიდებენ, „მზის ბილიკს“ მიჰყვებიან, მზეს თაყვანს სცემენ, როგორც გალაკტიონი, ანა კალანდაძე, ნიკო სამადაშვილი, რომელთაც მზესთან (უზენაესთან) სულით ახლოს ყოფნა ესახებათ ჭეშმარიტი არსებობის გარანტად.

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს.84,12)(1,614).

ღმერთი მოიხსენიება, როგორც „მზე სიმართლისა“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 3,20)(1,704).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ბოროტებას სიკეთე უპირისპირდება, ანგარებას სიწმინდე, უვიცობას – ცოდნა, გულგრილობას – სათნოება და ყოველთვის იმარჯვებს პროგრესული.

წიგნში ლიტერატურა წარმოიდგინება, როგორც მარადიული „ათინათი“, „ნათლის სვეტი“, რომელიც გაახლოებს იდუმალებასთან, გარდასულ სულთა საგალობლებთან“.

იდეების, აზრების სამეფო „სულიერ საზრდოს გაზიარებს, „ნათლის სვეტის ციმციმა შუქი რეალობისკენ მიგიძღვის“.

გარეთ შემოდგომაა, საკლასო ოთახში გაზაფხულია, სადაც „ნათლის სვეტი“ ციმციმებს.

ნათელი საღვთო სახელია. ასევე „ცეცხლის სვეტი“.

ნათლის სვეტი, ღრუბლის სვეტი უძღოდა ბიბლიურ მოსეს, როცა თავისი ხალხი, ებრაელები ეგვიპტის მონობიდან გამოჰყავდა.

მასწავლებელმა წარმავალ, მდაბალ რეალობას ამაღლებული იდეალები უნდა დაუპირისპიროს, ამის საუკეთესო საშუალება კი ქართული და უცხოური კლასიკური მწერლობაა, რასაც წარმატებით იყენებს მოძღვრის სტატუსით მოვლენილი რელიგიური პიროვნება.

მომავალში გაღწევის საწინდარია არა პრაგმატული, არამედ ამაღლებული აზრი, სულიერება, რწმენა და ამის უპირველესი მაგალითები რომანტიკოსების, რეალისტებისა თუ სიმბოლისტთა ნაწერებია.

ადამიანის სულის წარსულიდან აწმყოში, აწმყოდან კი მომავალში გაღწევა რჩეულთა ხვედრია.

„არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა“, იმოწმებს მოძღვარი არა მარტო ქართული რენესანსის, არამედ დანტეზე საუკუნით ადრე მოვლენილი გენიოსის – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს, რომლის უპირველესობაზე დიდი ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე 1947 წელს საუბრობდა, ხოლო გალაკტიონი 1926წ. „კოსმიურ ორკესტრში“ წინმსწრებად იმავე მოსაზრებას ავითარებდა.

„ლიტერატურული მოზაიკის“ ფურცლებიდან მრავალგზის შემოგვანათებს როგორც ქართული, ისე უცხოელი კლასიკოსების სიბრძნე.

აქცენტირებულია ვარდები, ია, ზამბახები, ფურისულები.

მარტოკაცს, ქარიშხალში ქუჩაში მიმავალს, ქარის მიერ ჰაერში აფრიალებული ია აუტაცნია და გულში იხუტებს (15,70).

ვარდზე ფიქრი გოდერძი ჩოხელის რომან „მგელის“ პერსონაჟის – ლუკას ასოციაციას იწვევს, რომელიც მომსვლელებს ყვავილით ხვდება, ყვავილით აფრთხობს მგლებს. ყვა-

ვილის ცვენაა სულიწმინდის მოფენის დღეს, ყვავილშემოსილია ნაწარმოების პერსონაჟი თანდილა, უფრო მეტი, ყვავილად იქცევა, მისი აღსასრულიც ყვავილს უკავშირდება და ამ ეპიზოდს განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა „ლიტერატურულ მოზაიკაში“, რადგან ყვავილი საღმრთო სახელია: „ყვავილები დარჩნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (1,2,12) (1,488).

ყვავილშემოსილობა ღმერთშემოსილობას, მორწმუნეობას გულისხმობს ისევე, როგორც სიხარულით და გაზაფხულით შემოსილი გვევლინება გალაკტიონი ლექსში „ეს გრიგალია სიახლის“: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“.

ქრისტე არის „სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა 2,10) (2,113).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, უზენაესის სიმბოლოა: „გვირგვინი დაადგი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 64/65,12)(2,586).

მხოლოდ წმინდა სულის, ხალხის გულისტკივილის გამგებთ, მარადიული სიბრძნის მსახურთ ანიჭებს უფალი განსაკუთრებულ მისიას, როგორც გოდერძი ჩოხელის რომან „მგელის“ პერსონაჟს ლუკას, რომელსაც ავალებს იპოვის ყვავილი (რწმენა) და ამით დაამარცხოს ბოროტება.

მართლაც, შემთხვევითი როდია, რომ ლუკა ურწმუნოთ, მხეცური ინსტინქტების ტყვეთ ყვავილით ხვდება, ყვავილად მოიქცევა ერთ დროს მგლების ტყვეობაში მყოფი თევდორე, ხოლო თანდილას აღსასრული განსაკუთრებულია, იგი ყვავილს ემსგავსება, ანუ ჩვეულებრივი, ურწმუნო მასისგან გამორჩეულია, უზენაესის ხელდასხმულია.

რწმენასთან, სიბრძნესთან ზიარება რთული პროცესია, მრავალ გამოცდაზე დაფუძნებული: „სინათლისაკენ ეჭვებით, უფსკრულებიდან ძლევამდე“, აცხადებდა ანა კალანდაძე და ეჭვებს ამარცხებდა რწმენით.

გალაკტიონი იყო „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახული“.

ედგარ პოს სულს გამოვლილი ჰქონდა „სიბრძნის სასუფევლები“.

ლამარა გერგედავას წიგნში მარადიულობა ყოველთვის სიბრძნით განისაზღვრება და ბუნებრივია, რომ გოდერძი ჩოხელი მწერლის განსაკუთრებული იდეალია, რადგან მისი შემოქმედება მომავლის კუთვნილებაა: „გუდამაყარში მოსიარულე ცოცხალ მოთხრობებზე ვწერ, იმათი სულის ბინდისფერი ხეობიდან გამომაქვს სიკეთე და მომავლის ნათელში ვფენ“, იმოწმებს გამორჩეულ წინამორბედს ჩვენი თანამედროვე (15,68).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ბოროტებას სიკეთე, ურწმუნოებას რწმენა, ანგარებას სიწმინდე, უვიცობას ცოდნა უპირისპირდება და ყოველთვის იმარჯვებს პროგრესული.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ არც იისადმი განსაკუთრებული ინტერესია შემთხვევითი, ეს ეპიზოდი აქცენტს უკეთებს ლუკას მორწმუნეობას, რადგან ია, „უბიწოებით შემკული ია“ მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

ლუკა, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, ღმერთს იპოვის, ღვთისმსახური ხდება და საღვთო სიბრძნეს ეზიარება, ხოლო ქურდს, უსულგულო გიოს, რომელიც თითქოს გამდიდრდა სხვისი ფულით, არაერთ განსაცდელს მოუვლენს არსთაგანმრიგე.

წიგნში მრავალგზის ესმება ხაზი წარმავლობის მსახურთა უბედურებას.

ამ ჭრილში მწერალი იმოწმებს ერთ იაპონურ ჰაიკუს: „ანკარა წყარო, უზალთუნები ბრწყინავდნენ ფსკერზე.... მგზავრს მოწყურებულს შიგ ჩაჰბნევია“...

ავტორი მსჯელობს, ფიქრობს სამსტრიქონიანი იაპონური კლასიკური პოეზიის ნიმუშზე „ლიტერატურულ მოზაიკაში“:

„ვიღაცამ დაკარგა, სხვამ იპოვა, მაგრამ მისთვისაც ფსკერზეა იგი, თუნდაც ამოიღოს იქიდან, შეეხოს...“ (15,88).

და აღმოსავლური სიბრძნე, რომელიც ამ თემას მიგნებულად ეპასუხება: „ვისი ღვაწლიც სიბრძნის სახმილშია გამობრძმედილი, ნათელღებულად იწოდება.

„ნივთთა შეწირვას სიბრძნის შეწირვა სჯობს.

„სიბრძნე მოიცავს ყოველგვარ საქმეს“ (ბჰაგავად-გიტა) (16,33,38,41,57).

არა მიწიერ, არამედ საღვთო სიბრძნეს აიდეალებდნენ ღვთისმეტყველები, ბიბლიური წინასწარმეტყველები, კლასიკოსები. დანტემ, ედგარ პომ, გალაკტიონმა, ტერენტი გრანელმა, ანა კალანდაძემ, ნიკო სამადაშვილმა, გოდერძი ჩოხელმა, მათზე უწინარეს კი ვასილ ბარნოვმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, მიხეილ ჯავახიშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ, მთელი გულისყური საღვთო სიბრძნეს მიაპყრეს.

„ფაუსტური სწრაფვაა, რომ ადამიანებმა გრძნობა მიმართონ სულიერი სამყაროსკენ“ (შტაინერი).

გოეთე, როგორც უფლის ხელდასხმული და ნათელმხილველი, გვამცნობს: „ფრთამალი ფიქრიც – ჩემი ლაღი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა“ (შუაღამისას).

ლამარა გერგედავას „დიალოგში“ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის საუბარია ნაჩვენები, აღსაზრდელს იდეალად უქცევია თავისი მასწავლებელი, მას შეგნებული აქვს, რომ სიბრძნეა ურთულესი სიტუაციებიდან გამოსავალი ამ წუთისოფელში, სიბრძნე, რწმენით განმტკიცებული და ეს გამხდარა მისი მომავლის წინამძღვარი: „ყველა ბრძენკაცის სიბრძნეს ვისესხებ, ხშირად მოგბაძავთ, სხივების მსგავსო, ღმერთს მადლს შევწირავ, ვთხოვ, დამეხმაროს, ჩემს მასწავლებელს რომ დამამსგავსოს“ (15,288).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მთავარია „გონების თვალის ახელა“ „ამაღლებული მიზნის მსახურება“ (15,38).

მთავარია „საზღვრულში საზღვარდაუდებლის აღმოჩენა, არა ამქვეყნიური წარმატება, არამედ „შეუცდომლობა, სიკეთეა ბუნების მიერ მომადლებული საგანძური“, წერს წიგნის ავტორი და იზიარებს ხუნ ძიჩენის „ბრძენკაცის“ იდეას (თავშესაფარი) (15,102).

მწერლის იდეალია „თმადათოვლილი, ჭკვიანი და ნიჭიერი მოძღვარი“, რომელსაც არაფერი აბადია წიგნებისა და ცოდნის გარდა, მაგრამ უზენაესის გზაზეა დამდგარი და სიკეთის განხორციელება მიაჩნია ადამიანის ცხოვრების მიზნად (დიდებულნი და მდაბიონი) (15,126).

ცაშია წმინდა ადამიანის ადგილი, რომელიც ამქვეყნიურ დიდებას კი არა, ამაღლებულ იდეებს, ზეციურ სიბრძნეს მსახურებს (იქვე).

წიგნში გაზიარებულია ლაო-ძის „დაო დე ძინის“ სიბრძნე: „ყოვლად ბრძენი უარყოფს განდიდებას. ყოვლად ბრძენი უარყოფს ფუფუნებას. ყოვლად ბრძენი უარყოფს ბრწყინვალებას“ (15,134).

ჭეშმარიტებისკენ სვლას, მარადიული სიბრძნის გათავისებას ბრძოლა, წინააღმდეგობის დაძლევა სჭირდება, „ცხოვრება მშვენიერებაცაა და სცილასა და ქარიბდას შორის მოარული ხიფათიანი ხომალდიც. შეეცადე, ორივე შემთხვევაში შეძლო მისი მეზღვაურობა“, მოძღვრავს თაობებს მწერალი და ორმაგი საფრთხიდან თავის დაღწევის გზებს ასწავლის.

აქვეა ამონარიდები სერვანტესის „დონკიხოტიდან“, რომელიც წმინდა წერილის სიბრძნეს ეფუძნება: „ღვთისა უნდა გეშინოდეს, რამეთუ ღვთის შიში სიბრძნის დასაბამია და თუ ბრძენი იქნები, არასოდეს არ შეცდები“ (15,256).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ვაჟა ეგრისელი „სიბრძნის ცას“, „სიბრძნის ზღვას“ მიმართავდა, „სიბრძნის ღვინოს“ ეწაფებოდა, „ფილოსოფიური ქვა, ტაბუდადებული „საიდუმლო სიბრძნე“ აინტერესებდა. „სიბრძნის პიედესტალზე“ იყო შემდგარი. „მადლის მწვერვალს, „სიბრძნის სულს“

მიაპყრობდა მზერას (კოლხეთის შორეული წარსულიდან) (17,451).

რუდოლფ შტაინერი ირწმუნებოდა: „მხოლოდ ინტელექ-ტუალური აზრები მკვდარია, რომელიც გზა-კვალს ურევს, ზემიწიერ ძალებს სწყვეტს ადამიანს, ამიტომ მთავარია სულიერებისკენ მიმავალი გზის პოვნა“.

შტაინერი მატერიალისტური შემეცნების უბედურებად თვლიდა ადამიანის მოწყვეტას ზეციური ძალებისგან, „მი-წიერთან შეზრდას“ (18,253).

დამოწმებანი

1. ბიბლია, თბ. 2013
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
4. ბასილ დიდი, „ექუსთა დღეთა“, მ. კახაძის გამოცემა, თბ. 1977
5. რუდოლფ შტაინერი, შუა საუკუნეების მისტერიათა ცენ-ტრები. როზენკროიცერობა და თანამედროვე ხელდასხ-მის პრინციპი. ტანჯვის წარმოშობა. ბოროტების წარმო-შობა. როგორ გავიგოთ ავადმყოფობა და სიკვდილი. მთარგმნელი ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2014
6. რუდოლფ შტაინერი, როგორც მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება, გამომცემელი ვ. დარსანია, თბ. 1993
7. „ბჰაგავად-გიტა“, თბ. 1988
8. ელენე ბლავატსკაია, „მდუმარების ხმა“, თარგმანი და გამოცემა თ. თავაძის, თბ. 2011
9. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, I, თბ. 1990

10. რუდოლფ შტაინერი, „თეოსოფია“, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970წ. რედაქტირებულია 1995წ.
11. მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1972
12. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
13. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
14. გუსტავ იუნგი, ფსიქოლოგია და ალქიმია, მთარგმნელი მაია ბადრიძე, თბ. 2005
15. ლამარა გერგედავა „ლიტერატურული მოზაიკა“ „უნივერსალი“ თბ. 2023
16. ბჰაგავად-გიტა, ინდური ლოტოსი, თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თამაზ ჩხენკელმა, „ლიტერატურის მატიანე“, თბ. 2006
17. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ 30 ტომად, ტ.I, „ივერიონი“,თბ. 2016
18. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ. 1994

იმპერიონისტული ხელწერა. მშვენიერი წამის ძიება

ადრეული, კრიტიკული, სოციალისტური რეალიზმის შემდეგ ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ნიჭით მომადლებული სიტყვის ოსტატები იწყებენ ახალი მეთოდის ძიებას, რომელთაგან განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა იმპრესიონიზმი (გალაკტიონის, ტერენტი გრანელის პოეზიაში, ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში).

გალაკტიონი და ტერენტი გრანელი ასევე შემოქმედებით დამოკიდებულებას ავლენენ სიმბოლიზმისადმი და ამ ასპექტითაც ქმნიან ლირიკულ შედევრებს.

ნატურალიზმს, შაბლონებს, იმპრესიონიზმს ემიჯნებიან გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია, ისინი ექსპრესიონისტულ ხელწერას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში თავს იჩენს პოსტმოდერნიზმი.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ გაიდეალებულია იმპრესიონისტული მეთოდი.

1874 წ. ფრანგულ მხატვრობაში წარმოშობილ იმპრესიონიზმს კლოდ მონეს „მზის ამოსვლის“ შთაბეჭდილება წინამძღვრობდა, ეს მიმდინარეობა მრავალგზის ყოფილა აზრთა სხვადასხვაობის, განკიცხვის თუ მოწონების საგანი, ბალზაკის, ზოლას, ბოდლერის, მალარმეს მიერ იყო გზადალოცვილი, ასევე ჯ. რევალდის, ლ. ანდრეევის, კ. პაუსტოვსკის, გ. პლეხანოვის მიერ „რეაბილიტირებული“.

გალაკტიონის პოეზიაში განხორციელდა იმპრესიონიზმის მთავარი პრინციპი: „ასწლად წამიერი, წამის გასაუკუნება“, რაც გულისხმობს წამებში არსებითის, მარადიულობის მოხელთებას. პოეტი „ბრძოლას არ იწვევს წუთიერ დღეში“, „გამვლელ-გამომვლელ წამს“ არ ეფერება.

წუხილის საგანია „უსაზრო წამები, ნგრევის წამები, წყვდიადის წამები, წუთების ერთსახეობა, განწირულების წამი, ობოლი წამი, წამშლელი წამი, ბნელზე ბნელი წამი“.

გალაკტიონის ყოველი წუთი და წამი ძიებით, განცდით, შთაგონებით, ახლის პოვნის სურვილით არის სავსე, ბრძოლაა ყოველ წუთსა და წამს იმისთვის, რომ დაიპყროს „მასალათა სიმძლავრე ჯიუტი“ (ჩემი პოეზიის ინტეგრალები). წამებშიც კი გულში ხმაურობს „სურვილთა ზღუდე“, პოეტმა არ იცის „ერთი წამით მაინც დაცხრომა“ (ეს იყო ოქტომბრის დამლევს), მოგონება წამზე უმალია, გრძნობით რეკავს

ყოველი წუთი, ყოველი წუთი გზაა თავისდაგვარი, წამი წამს ეზიდება, ხდება „წამის წამთან გადაწინდვა“.

მრავალფეროვანია „წამთა ფერხული“, გამოუთქმელი და უბოლოო წუთების შვავი, წამებშიც კი „სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი“, წამებში ხდება „სულის წუხილის ძეგლად“ აგება, „განათების წამებში“ ჭეშმარიტების, მშვენიერების მოხელთება, სიტყვის პოვნა: „უთხარ თავის თავს ყოველ წამში ათჯერ, ათასჯერ, რომ გზა გაეხსნას ქაოსს ნაგუბარს“ (იყავ გულწრფელი, გაიგონე ხმა ანთებული).

პოეტის მიზანია გააუკვდავოს „ჩვენი ცხოვრების უმჩნევი წამი სხვადასხვაგვარი“ და ამის რწმენას ავლენს: „გზა მიჰყვებოდა მიმოფანტვას უმეტეორესს, რომ თან წაეღო საუკუნის მრავალი წამი“.

„უძლეველი დიდი წამი შემოქმედებისა“ „ახალ ღმერთად“ აქცევს პოეტს(შემოქმედება).

„საოცარ წამებში“ პოეტების მეფე შორიდან ხედავს თავის გენიას „მაღალ ანძასთან დროშით ხელში“ (შეხედეთ, მიწა).

გალაკტიონის წამები „სხვისთვის უხილავ-ფარულის“ ხილვის, ამოუხსნელის წვდომის, საოცრებათა აღმოჩენის წამებია და ამიტომაცაა მისი იმპერიონისტული ხილვები ასეთი განუმეორებელი, მარადიული.

ასეთ ლექსებში განხორციელებულია დეტალებით არსებითის ხილვის პრინციპი (შდრ. გოეთე: „უუმცირესში იხილე მთელი“), უდიდესი ჭეშმარიტების ხილვა: „უდიდესისკენ მიჰყავდა სული, მცირედისაგან ასე წასული“.

იმპერსიონიზმი განაპირობებს მოულოდნელობას, უშორეს ასოციაციათა ძიებას, დაპირისპირებულობათა გაერთიანებას, სინათლეს, სისწრაფეს, უშუალო შთაბეჭდილებათა ახალ რანგში წარმოჩენას, ხილულით აღტაცების და გაოცების უნარს, მუსიკალობას, რიტორიკის, მჭევრმეტყველების უკუგდებას, სათქმელზე მინიშნებას, ახალ-ახალი შთაბეჭდილებების ფიქსირებას, ახალი ფერების ძიებას, ნახევარტონებს,

კონტურებს, ასოციაციურ აზროვნებას, კონტრასტებს, თემის ვარიაციულ დამუშავებას, ფერწერული ხილვის პრიორიტეტს, პროზაულში პოეტურის პოვნას, შაბლონთან ბრძოლას, ტრადიციების შემოქმედებით გათავისებას, ნახევარტონებს, შუქჩრდილებს, „ნეგატივებს“, მჭევრმეტყველებასთან შედარებით „სიტყვა ნაწყვეტის“ თეორიის უპირატესობას.

გოეთე აფრთხილებდა იოლი გზის მაძიებელს, განრიდებოდა წუთის ცდუნებებს: „ნუ მიენდობით მედინ ელემენტს“. „ფაუსტის“ ავტორის „შეჩერებულ წამს“, „წარუდინებულ წამს“ ეხმაურება გალაკტიონის „წამის გადიადება“, „წამის გასაუკუნება“, „ასწლად წამიერი“.

ქართველი პოეტის დევიზია: „განსაზღვრე რიცხვი წუთებისა, ნიავქარს არ აჩუქო ერთი წამი ან წუთი, წამები – მათი შეუწყვეტლობა, მისწრაფება და ხასიათი, მე არ მინდა წამიც კი შენი ნააზრისა, ნაგრძნობისა დაიკარგოს“.

გოეთეს აზრით, გონების სიდიადის წყალობით, „მარადისობად გადიქევა მედინი წამი“.

გალაკტიონთან წუთის, წამის წყალობით უკუგდებულია „დიდება ამა სოფლისა და მოპოვებულია „დიდება მარადისი“.

დროზე გასწრების გამომხატველი ფრაზაა: „დრო ხვალინდელი გააწინდელა“.

წამის გამოყენებით ქართველმა პოეტმა საოცარი ბგერწერული ფრაზები შექმნა: „ასეა ჟამი, მისდევს წამს წამი, ღამის წამწამი ახამხამდება, წამის წამთან გადაწინდვა, წამების წყნარი წარმავალობა, შენი წამწამით მისდევს წამს წამი, წყებათა წყება წამით არ წყდება“.

გახალხურებულია გალაკტიონის იმპრესიონისტული შედევრები: ნიკორწმინდა, სილაჟვარდე, თოვლი, ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი, ეს მშობლიური ქარია, შერიგება, იქეთ ნუში, აქეთ ნუში, იშლებიან ყანები... (პრობლემა იხილე დაწვრილებით „იმპრესიონიზმი და გალაკტიონის ლირიკა,

წიგნში „გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო“, „უნივერსალი“, 2018, გვ. 100-106).

ტერენტი გრანელს იმპესიონიზმთან ანათესავებს წუთიერების კულტი, შთაბეჭდილებათა ფიქსირება, თემის ვარიაციული დამუშავება, ფერწერული ტონის პრიორიტეტი, შუქ-ჩრდილებისადმი, მინიშნებებისადმი ინტერესი, სურათის დაუმთავრებლობის პრინციპი, ფიქსირებული განწყობილების რღვევა, აქცენტირება არსებით დეტალებზე, ერთგვარი ნისლოვანება, ალოგიკურობა.

პოეტის ოპტიმისტური მსოფლგანცდა უფრო მეტად მის იმპრესიონისტულ ლექსებში გამოვლინდა.

ტერენტის პოეზიაში განსაკუთრებულად არის გამოკვეთილი წამი და წუთი, შთაგონებული მომენტი, „ანთების წამი“, როცა აღწევს არსებითის, მარადიულის ხილვას და გაუკვდავებას, ფიქრიან წამში ხედავს „ოცნების იქითა შორეთს“.

ყოვლისმომცველი ემოციები, სტრესებით დატვირთული წამები ხდება უკეთესი ამინდის, იმედიანი მომავლის საწინდარი: „ვუცდი სხვა ამინდს, ახლა წამია, ასეთი წამი კლავს ადამიანს“.

„ოქროსფერი წუთის, ძიების, დიდი წამის“ მოლოდინია პოეტის მთელი ცხოვრება. შთაგონებული წამები ზეცასავით მარადიული ჭეშმარიტების მიგნების იმპულსია: „და ვგრძნობ ზეციურ წამებს“.

ნათელხილვას გვაუწყებს „ფიქრების წუთი, ცისფერი წამი ზმანების, გარინდების წამი, სხვა წამი, ზეციური წამი“.

ზეშთაგონების მომნიჭებელი უფალია, ბედნიერი წამები ცით არის გაპირობებული: „ზეცა ბედნიერ წამის მთოველი, უმშვენიერესს დღეებს მოველი“.

ასეთ წამებში დაინახება უხილავი, ცადმიმწვდომი სიხარულის წუთებში ხდება ჭეშმარიტების გასხივოსნება: „ეს წამი ჩემთვის უდრის ანთებას, ეს იყო წამი, ცისფერი წამი და იყო წამი სხვა გარინდების“.

ფიქრის ქარიშხალთან შეწყვილება, ქროლვა, მოძრაობა მაძიებელი წუთის თანმხლებია: „შორს მიდიოდა ღრუბელი ლეგა და იდგა ღამე ლურჯი წყალივით და იყო წუთი, როდესაც ყველგან დაჰქროდა ფიქრი ქარიშხალივით“.

პოეტის სიცოცხლის აზრი განიზომება შთაგონებული წუთებით, წვიმის შემდეგ გამობრწყინებული მზის სიხარულით: „და ვიცი დღემდე, რას ნიშნავს წუთი, მე წვიმის შემდეგ მთელი დღე ვწუხდი“.

თუ შთაგონებული წამები მზესთან, ცასთან არის დაკავშირებული და აღტაცების მომგვრელია, ნაღვლიანი წამი-პირიქით, ყველაფერს ბნელში ძირავს: „ჩუმი სახელი უფრო დიდია, ჩუმი ნაღველის წამი ბინდია!“...

ტერენტი გრანელისთვის ფასეულია ერთი, უძილო, თეთრი და არა მრავალი წარმავალი წამი. პოეტი გოეთესავით, გალაკტიონივით, „მავალ წამს“ უპირისპირებს ერთ, მაგრამ დამუხტულ დიად, ნათელ წამს: „წამი მავალი და წამი ერთი, წამი მრავალი და წამი თეთრი“...

ტერენტი გრანელისთვის მთავარი იყო „წამიერებაში მოქცეული მარადისობა, წარმავალში წარუვალის, მცირედში საყოველთაოს, მიწიერში ზეციურის ჭვრეტა“ (ლერი ალიმონაკი).

ამიტომ არ კარგავს თავის მიმზიდველობას ტერენტი გრანელის იმპრესიონისტული შედევრები: „გაზაფხულის საღამო, პოეტი პატიმარი, მარადისობის ლაჟვარდები, უმიზნო ხეტიალი, სოფლიდან თბილისი, ჩემი ბედი, შორეული ყვავილები, მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე, ფიქრები წაღვერში“ და სხვა.

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორის ხელწერა იმპრესიონისტულია: „...ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, კლოდ მონეს სურათის – „მზის ამოსვლის“ წინ აღმოვჩნდი. არა,... ორიგინალი არც მინახავს, უბრალოდ, ბილიკზე ვიდექი, მზე ანათებდა და იგი მონეს მზეს ჰგავდა.

„ახლაც იქ ვდგავარ... გზაზე“...

„გავლილი მანძილი წლებმა ჩაიბარეს“ „...თურმე... ყოველი გაკვეთილის შემდეგ, შთაბეჭდილების ზღვაში, მზის ბილიკს მივუყვები...

„გაკვეთილები დროთა კავშირს უფრო ძალუმად განგაცდევინებს... ლიტერატურა, შერწყმული ესთეტიკასთან, ისტორიასთან და... ულამაზეს წამებს, მალე წარსულად ქცეულს, სევდით აყოლებ თვალებს“...

„ო, ასეთი წუთი დაუბრუნებელი შენც ხომ არ გგონია?“ ანა კალანდაძის სტრიქონები გაჟღერდება მეხსიერებაში.

„წუთები გარბიან ფეხისწვერებზე... (ძველი დღიურებიდან) (გვ.237)

„...ბილიკები იმპრესიონიზმის, საინტერესო მიმდინარეობისა“...

„...ბილიკს მზე ანათებდა და მონეს მზე ჰგავდა“.

ყოველი შემოქმედის სურვილია მშვენიერების გაუკვდავება.

„მშვენიერი ხარ, წამო შეჩერდი!“ სულში ბრძენი გოეთეს ფაუსტის ფრაზა ხმიანობს და „ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორიც ამას ნატრობს: „რომ შემეძლოს, ყველაზე ლამაზ წამს შევაჩერებდი“...(გვ. 268).

მწერალი ერთი და იგივე ფაქტს, სახეს მოიაზრებს იმპრესიონისტულად, მრავალგვარ ჭრილში, მოვლენათა, საგანთა მრავალფეროვნებისა და ცვალებადობის კვალობაზე.

„შეიძლება წამში შეიცვალოს ადამიანის ცხოვრება?“ ისმება კითხვა ლამარა გერგედავას წიგნში და პასუხიც მოძებნილია მითოლოგიიდან.

„ზოგიერთების ცხოვრებას მართლაც წამი ცვლის. მითოლოგიურად, ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, წყალი დინებას წყვეტს და იძინებს, ირინდება. თუკი ადამიანი მოასწრებს, მისი წვეთებით ხელს დაისველებს და ამავდროულად, ნატვრასაც გაივლებს გულში, ოცნებები აუხდება. ასეთ დროს

სამყარო ბედნიერი დამთხვევის მოწმე ხდება. ერთსა და იმავე წამში მეტყველი „ადამიანი უტყვ ბუნებას ერწყმის: „ჩვენ ბუნებაში ვართ – იგი ჩვენშიაო“, თქვა დიდებულმა ვაჟა-ფშაველამ. ბრაზილიელმა მწერალმა კი: „როცა გულით გწადია რაღაც, მთელი სამყარო გეხმარებაო სურვილის ასრულებაში“...

„ადამიანი მითოლოგიაში ბედნიერი წამის მოლოდინშია მარადიულად და იქნებ მან ვერასდროს მოიხელთოს ასეთი წამი, იქნებ ვერასდროს შეაჩეროს ბუნების ძალამ მქუხარე წყალი, რათა ოცნება აიხდინოს“.

„თემცა... რეალურად, წელიწადში ერთხელ, მდინარე იორდანე, ნათლისღების დღესასწაულზე, უკუიქცევა და მიმართულებას იცვლის, მხოლოდ მცირე ხნით... ეს სასწაულია, რომლისაც, რასაკვირველია, ყველას არ სჯერა... ვინ იცის, რამდენს შეცვლია ცხოვრება იორდანეში ოდესღაც ნათელღებულის ძალით“...

წიგნში ამის მაგალითი დაძებნილია გალაკტიონის შემოქმედებაში. ლექსში „არაგვი“ „თანმიმყოლი ჩრდილებისა“ და „აუხსნელი ქარაგმით“, მწვანე ველზე ოცნებით მოკლული პოეტი „ღიმილისთვის“ მქუხარე მდინარეში ჩადის... ის მიეახლება არაგვს, ოცნებობს, ჩნდება იმედიც და, ყოველივე ამის შემდეგ, „გარინდდება მდინარე“.

„მდინარეში ჯადოსნური ოცნებებით ჩასული გალაკტიონის ფეხქვეშ ეს მქუხარე, ძლიერი მოგზაური, არაგვი, ირინდება: „ერთხელ შვიდ წელიწადში შენი ცა გაიხსნება, რასაც მაშინ ისურვებ, ყველაფერი იქნება. გარინდდება მდინარე (ეს არაგვი ზმანება), ყველაფერი უცნაურ მოსვლას დაემგვანება“.

„აფხაზეთის ომის შემდეგ გაქრა ნათელი სხივი, სიმშვიდე და სულიერი სიცარიელე დაგვიტოვა. მერე მოვიდა უცნაური, ყველაფრის შემცვლელი წამი და მშფოთვარე ადამიანებს იმედი უბოძა. ესეც ერთ წამში მოხდა და იმ ერთმა წამმა ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრება შეცვალა.

„ადამიანს ბედნიერ წამიც ცვლის და უბედურიც“.

II თავი
თანამედროვე პედაგოგიკის პრობლემები

ინდიგოს მოვლინება

XXI საუკუნეს თავისი, წინა ეპოქებისგან განსხვავებული პრობლემები აქვს – ეს არის გლობალიზაცია, ახალი ომები, მარსზე განსახლების სურვილი თუ ძველებურად და უფრო მძაფრად ჭიდილი სიკეთე-ბოროტებას, ანგარებასა და უანგარობას, ქველმოქმედებასა თუ მტაცებლურ ინსტინქტებს შორის. გაკეთილშობილდა თუ არა კაცობრიობა, ამის ცალსახა პასუხი არ არსებობს.

ისევ ჭიდილია სულსა და ხორცს, სიკეთესა და ბოროტებას, ნიჭსა და უგნურება-ზერელობას შორის.

წმინდა მამა ყოველგვარ ნიჭს სამების მესამე წევრის-სულიწმიდისგან მომადლებულად მიიჩნევდა.

„სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია.

მსახურებაც სხვადასხვანაირია, უფალი კი ერთია.

მოქმედებანიც სხვადასხვანაირია, ხოლო ღმერთი ერთია, რომელიც ამოქმედებს ყველას ყველაში.

მაგრამ თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ.

ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა.

მეორეს-ცოდნის სიტყვა იმავე სულით.

ზოგს რწმენა-იმავე სულით და ზოგს განკურნებათა ნიჭი იმავე სულით.

ზოგს სასწაულთმოქმედება, ზოგს-წინასწარმეტყველება, ზოგს – სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება.

ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,4-11)(1,374).

ადამიანის არსებაში გამუდმებული ჭიდილია სულსა და ხორცს შორის, პირველი ამაღლებული იდეალებისკენ მომწოდებელია, მეორე-მხეცური ინსტინქტებისკენ.

„...ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი-ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ.

ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა.

კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა.

სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი. ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.

ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება.

სიმშვიდე, თავშეკავება-ამის წინააღმდეგ არ არის რჯული.

ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმასთან ერთად.

თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ.

ნუ ვიქნებით პატივმოყვარენი, ერთმანეთის გამღიზიანებელნი და ერთმანეთის მოშურნენი“, გვმოძღვრავს პავლე მოციქული (გალატელთა, 17-26) (1,411).

დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღება მიემართება ახალი ტიპის ადამიანის მოვლინებას, რომელთაც „ინდიგო ბავშვებს“ უწოდებენ იმიტომ, რომ მათ იისფერი აურა აქვთ.

ტერმინი „ინდიგო ბავშვები“ პირველად ნენსი ენ ტეპმა გაახმოვანა. იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანის ფერს ხედავს და მისი მიხედვით ადამიანის თვისებების და ხასიათის ამოცნობა შეუძლია. ნენსის ვარაუდით, ბოლო ოცი წელია, დედამიწაზე ახალი რასა იბადება, რომელთა აურას ფერიც იისფერია და ისინი რადიკალურად განსხვავდებიან ჩვეულებრივი ადამიანებისგან.

ისინი გამოირჩევიან ინტელექტის მაღალი დონით, არიან ემოციურები, იმპულსურები, სხვადასხვა სფეროს მიმართ აქვთ გამძაფრებული ინტერესი, არიან გამორჩეულად ნიჭიერები, მაგრამ არაკომუნიკაბელურები.

ინდიგო ბავშვების ოთხ კატეგორიას გამოყოფენ.

ჰუმანისტები – ჰიპერაქტიური, დაკვირვებული, მაქსიმალურად კომუნიკაბელური ბავშვები. მათგან გენიალური ექიმები, პოლიტიკოსები და მასწავლებლები გამოდიან.

მხატვრები, ძალზე მგრძნობიარე ინდიგო ბავშვები, შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეულები და განსაკუთრებით მგრძნობიარეები. გარშემომყოფებს მათი გაგება უჭირთ.

კონცეპტუალისტები, რომლებიც ბავშვობიდან ცდილობენ მართონ გარშემო ყველა და ყველაფერი.

მცხოვრებნი ყველა განზომილებაში, მაქსიმალურად დამოუკიდებლები, გამოკვეთილი გენიოსები და პიროვნებები, რომლებიც არ იზიარებენ სხვათა მოსაზრებებს.

მშობლებმა პატივი უნდა სცენ მათ, როგორც ჩამოყალიბებულ პიროვნებებს, არ შეზღუდონ თავისუფალ არჩევანში, სხვადასხვა სფეროს საინტერესო ინფორმაციის გაცნობაში, მიიჩნიონ ის თანაბარუფლებიან პარტნიორად, არ დაამცირონ, მათი აღზრდისას უნდა გამოიყენონ შემოქმედებითი მეთოდები. მათთვის აუცილებელია მშობლის სიყვარული და თანაგრძნობა, რადგან სამყაროში ადაპტირება უჭირთ.

გასათვალისწინებელია მედლის მეორე მხარე.

ინდიგო ბავშვი ძნელი აღსაზრდელია. მას შეიძლება ახასიათებდეს ხშირი ისტერიკა, ე.წ. „ჩაციკვლა“ რაიმეზე, პერიოდული გარიყვა სამყაროსგან, აგრესია, კრუნჩხვები, აჩემებული იდეები, ნერვიული სისტემის უჩვეულო რეაქციები, უძილობა, თავის ტკივილები, თავბრუხვევა, უჩვეულო შიშები, მეტყველების დეფექტი, ხილვები, სირთულე გარშემომყოფებთან ურთიერთობისას.

ბავშვის ფსიქოლოგების დიდ ნაწილს ახალი მიმდინარეობა ფსევდომეცნიერებად მიაჩნია. ინდიგოებს შორის არიან განსაკუთრებით ნიჭიერებიც, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც პროფესიონალი ექიმების, პედაგოგების დაკვირვებას და ექიმების ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებენ.

მშობლისთვის საკმარისი არ არის შვილის სიყვარული. მთავარია გაგება, ყურადღება, თვალის დევნება მისი განვითარებისთვის და, უცნაური სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებელია ექიმისთვის მიმართვა.

ინდიგო ბავშვები – ვინ არიან ისინი და როგორ უნდა ამოიცნოთ, 09.2015-https://WWW.mshoblebi.ge. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 8.03.2023.

„იისფერი რასა“ -26 თვისება, რომლის მიხედვითაც ინდიგო ბავშვს ამოიცნობთ. 28.01.2020 https://WWW.ambebi.ge. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 8.03.2023

არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანები „გენეტიკური ინფორმაციით“ იბადებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ ახალ თაობას გაცილებით გაუმჯობესებული გონებრივი მონაცემები აქვს იმიტომ, რომ მასში გაერთიანებულია წინაპრების საერთო ინტელექტუალური ხაზის სრული პოტენციალი. ასეთები სხვებზე ადრე სწავლობენ საუბარს და თანატოლებისგან განსხვავებული ინტერესების სფერო გააჩნიათ. მათ ახასიათებთ ყველაფრის გაგების ინტერესები და სვამენ ისეთ კითხვებს, რომლებზედაც პასუხის გაცემა უფროსებს უჭირთ.

ეზოთერიკოსების აზრით, ე.წ. „ინდიგო“ ბავშვებს განსაკუთრებული ფერის – იისფერი (ინდიგოს ფერი) აურა გააჩნიათ, ინდიგოების განსაკუთრებული სიხშირით მოვლინების თარიღად მიჩნეულია 2003 წლის შემდგომი პერიოდი. ისინი არიან რეფორმატორები, კოსმოპოლიტურად მოაზროვნე თაობები. მათი ინტელექტის კოეფიციენტი მცირე ასაკშიც კი

გასაოცარ მაჩვენებელს უახლოვდება. ისინი დაკვირვებულები, გონიერები და ღრმად მოაზროვნენი არიან.

ასტროლოგები „იისფერი რასის“ ბავშვებს ორ კატეგორიად ყოფენ: ინდიგოებად (მათ შორის უფრო მამრობითი სქესის წარმომადგენლები ჭარბობენ) და „კრისტალებად“ (ძირითადად გოგონები).

კრისტალები გულმოწყალე და სენსიტიურები არიან,

ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ ინდიგო ბავშვების რუკაში რამდენიმე მთავარი ასპექტია მათი უნიკალურობის განმსაზღვრელი. მათ შორისაც ურანი, თევზები, ნეპტუნი მერწყულის ზოდიაქოში ერთმანეთთან კარგი ასპექტებით და ვარსკვლავი სირიუსი, რომელიმე მთავარ პლანეტასთან შეერთებაში, იმის მიხედვით, თუ რომელ პლანეტასთანაა კონკრეტულად ამ ვარსკვლავის შეერთება, შესაძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რა სახის რეფორმატორული მისიით მოვიდა ადამიანი ამქვეყნად.

კრისტალებთან კი წყლის სტიქია – განსაკუთრებით ნეპტუნია გამოხატული. ამასთან სირიუსი ხშირად უერთდება მათ მთვარეს, რის გამოც ეს ბავშვები სულიერი განვითარებით გამოირჩევიან. ისინი არიან გულმოწყალენი, ჰუმანურები. თუმცა საკუთარი პრინციპების დასაცავად აგრესიასაც ავლენენ.

ინდიგო ბავშვები ინსტინქტურად გრძნობენ თავიანთ განსაკუთრებულობას და აღზრდის ტრადიციულ მეთოდებს არ ემორჩილებიან. მათ აღზრდისას აუცილებელია მშობლების ლოიალურობა, რადგან ამნაირი ბავშვები არანაირ რეჟიმს არ ღებულობენ და მათზე ზეწოლა აბსოლუტურად საპირისპირო შედეგს იძლევა.

ინდიგოებს ახასიათებთ 26 თვისება, რომლის მიხედვით შესაძლებელია მათი ამოცნობა.

1. ინდიგო ბავშვები ყველაზე ხშირად იბადებიან დაღმავალი ლომის, აღმავალი მერწყულის მქონე კარმული

პროგრამით. მერწყულის ზოდიაქო რეფორმატორული და ნოვატორული ტენდენციებით ხასიათდება.

2. ინდიგოებს ახასიათებთ დიდი ჰიპერაქტიურობა და ხშირად არიან გონებაგაფანტულები.
3. მრისხანება ცივი გონებით შეუძლიათ. ისინი ყოველთვის გააზრებულად გამოხატავენ მრისხანებას.
4. მათი დამახასიათებელია ასოციალურობა, დისტანცია თანატოლებთან, პერიოდული ჩაკეტილობა. ერთი შეხედვით კომუნიკაბელურებს, მალე ბეზრდებათ ყველაფერი.
5. ინდიგო პერიოდულად ჰიპერკონტაქტურია, შემდეგ ახასიათებს რადიკალური სიმშვიდე და აპათია.
6. არ უყვართ დაქვემდებარულის, მორჩილის როლში ყოფნა, იძულების წესით რაიმეს კეთება.
7. ბავშვობიდან განსაკუთრებით უყვართ ლურჯი ფერი.
8. მათ აქვთ ჯანსაღი თირკმელი და შარდსასქესო სისტემა.
9. ინდიგოებს გამოარჩევთ ანალიტიკური აზროვნება. მომენტალურად ხვდებიან ნებისმიერი მოვლენის არსს (მაგ. როგორ მუშაობს საათი, კომპიუტერი, როგორ დადის მატარებელი და ა.შ.).
10. მათ აქვთ გამძაფრებული სიყვარულის მოთხოვნილება, ითხოვენ სითბოს, ზრდასრულ ასაკში ბევრ პარტნიორს იცვლიან, არიან სექსუალური და ქარიზმატულები.
11. ინდიგოების მახასიათებელია ე.წ. „თეთრი ყვავის“ სინდრომი, რადგან თანატოლებს არ ესმით მათი, მეგობრებად ირჩევენ ასაკით უფროსებს.
12. ინდიგო ბავშვები დიდ ინტერესს ამჟღავნებენ ოკულტური მეცნიერებისა და ეზოთერიკის მიმართ. იტაცებთ იოგა და ფანტასტიკის ჟანრის ფილმები.

13. არიან ენამოსწრებულები, იუმორის გრძნობით გამორჩეულები.
14. ინდიგოს აქვს შესანიშნავი მუსიკალური აღქმა, უფრო სმენა, ვიდრე სასიმღერო მონაცემები. თუმცა, მათ შორის სიმღერის ნიჭით დაჯილდოებულებიც გვხვდებიან.
15. ინდიგო თანდაყოლილი სიბრძნითა და ინტელექტით გამოირჩევა. მას აზრები კოსმოსიდან მიეწოდება. ის პატარა ასაკში ვერ ხსნის რა, საიდან და როგორ გაიგო.
16. ინდიგო ბავშვების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია კრისტალურად გამჭვირვალე ლურჯი, ნაცრისფერი ან მწვანე თვალები. იშვიათად გვხვდება თაფლისთვალება, თუმცა მათაც საოცრად უბრწყინავთ თვალები ისე, თითქოს მათში ერთბაშად ბევრი ვარსკვლავი აკიაფდა.
17. ინდიგო საკუთარი თავის რწმენით და სითამამით გამორჩეულია.
18. ინდიგო ბავშვის ტვინის ორივე ნახევარსფერო სინქრონულად მუშაობს. გოგონა ბიჭისთვის დამახასიათებელი რკინის ლოგიკით გამოირჩევა, ბიჭი კი ემოციურად მგრძნობიარე და სენსიტიურია.
19. ინდიგოს გამოარჩევს შორსმჭვრეტელობა და მასშტაბური ხედვის უნარი, სიტუაციის უმთავრესი არსის დანახვა.
20. ინდიგოს განვითარებული ინტუიცია და მხედველობითი მეხსიერება აქვს, შეუძლია ადამიანის აურის დანახვა.
21. მათ ცვალებადი ხასიათი აქვთ, იშვიათად ახასიათებთ პესიმიზმი. უმრავლესობა გამოუსწორებელი ოპტიმისტია.

22. ინდიგოები სვამენ „არაბავშვურ“ შეკითხვებს, აინტერესებთ, თუ კონკრეტულად რატომ, რა მისიით მოევლინენ ამ ქვეყანას.
23. ისინი ქვეცნობიერად გრძნობენ საკუთარ უნიკალურობას, რა მისიით მოვიდნენ ამქვეყნად, თუმცა არ ახასიათებთ „განდიდების მანია“.
24. ინდიგოები სოციალურად აქტიურები არიან, უყვართ ადამიანები ზოგადად და არა კონკრეტული ინდივიდები.
25. მათი დამახასიათებელია დედასთან მჭიდრო კონტაქტი, განსაკუთრებული ურთიერთობა.
26. ინდიგო ბავშვების უმეტესობა ძალიან მიმნდობი და გულღიაა, ამასთან არიან საკუთარი აზრის დამცველები და უკომპრომისოები.

მკვლევართა ნაწილის მტკიცებით, განსხვავებული თვისების მქონე ბავშვების ამ ქვეყნად მოსვლა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაფიქსირდა: კაცობრიობას ისინი სამ ტალღად მოევლინენ და თითოეულს განსხვავებული სახელი დაერქვა: პირველ ტალღას – ინდიგო, მეორეს-კრისტალური, ხოლო მესამეს-ცისარტყელასებრი (ნათელი) ბავშვები.

თითქმის მთელ მსოფლიოში, ყოველწლიურად 29 იანვარს აღინიშნება ინდიგო ბავშვების საერთაშორისო დღე.

მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ ინდიგოებს ახასიათებთ წარმოუდგენელი მოცულობის ინფორმაციის მიღებისა და შენახვის ნიჭი, მათ შესწევთ ყველაფრის დანახვის, წინასწარმეტყველებისა და მომავლის შეცვლის უნარი.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ინდიგოს ფერი წარმოადგენს მესამე თვალის, ან თვალთაშორისი ჩაკრის ფერს. ეს ბავშვები არიან ინტუიციურები, მენტალურები, სწრაფები, რის გამოც ყველაფერი მალე ბეზრდებათ. ზოგიერთი სპეციალისტის მტკიცებით, ინდიგო ბავშვებს არ გააჩნიათ კარმა.

2011 წლიდან დაიწყო კრისტალური ბავშვების ერა.

ისინი ქმნიან ახალ თაობას, რომელიც სარგებლობს ინდიგოს მიერ გაკვალული გზით და არიან მშვიდი, გაწონასწორებული ბუნების. მათზე იქნება დაკისრებული კორპორაციების მართვა, კონტინენტების განკურნვა.

ამ ასპექტით საინტერესოა კრაიონის წიგნები: „ბოლო დრონი“, „არ იაზროვნო, როგორც ადამიანმა“, „სულიერი ზამთარი“, „ამაღლების თვალით ხედვა“, „ვენერას გადასასვლელის ძლევანი“.

წინასწარმეტყველი, მეტაფიზიკოსი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დორინ ვირჩე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კრისტალური ბავშვების „უზომო, გამჭრიახ“ თვალებზე.

საინტერესოა მისი წიგნები: „ზრუნვა ინდიგო ბავშვებზე“, „ღმერთები და ანგელოზები“, „ანგელოზური მედიცინა“, „ანგელოზური თერაპია“, „გზავნილი ანგელოზებისგან“, „ფერიების ჯადოსნური სამეფო“.

სპეციალისტების ნაწილის აზრით, ამგვარი მახასიათებლების მქონე ცალკეული ადამიანები ყოველთვის ევლინებოდნენ კაცობრიობას, როგორც მოგზაური-მკვლევარები, ცნობიერების ახალი ჰორიზონტით, მაგრამ კაცობრიობა ვერ უგებდა მათ, ეშინოდა, ამიტომ დევნიდა და ხოცავდა, მაგრამ ისინი მაინც ტოვებდნენ წარუშლელ კვალს და თესავდნენ ღვთის ნაბოძებ განახლების მარცვალს.

ორი ათასი წლის წინ კაცობრიობას მოევლინა იესო ქრისტე. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ კრიტალი და ქრისტე მსგავსი სიტყვებია და მათ ერთი მნიშვნელობა გააჩნია.

არსებობს მოსაზრება, რომ ინდიგო ბავშვების ცნობიერება იოანე ნათლისმცემლის ცნობიერებას შეესაბამება, ხოლო კრისტალური ბავშვების – ქრისტეს ცნობიერების მსგავსია.

ერთი შეხედულებით, კაცობრიობას 2012 წელს ელის მეოთხე განზომილებაში – ქრისტეს ცნობიერებაში გადასვლა. ქრისტე მოგვევლინება სამყაროს გადამრჩენად.

ინდიგოებს ტელეპატიის, ფსიქოკინეზის და ტელეკინეზის (გარკვეული დისტანციიდან ობიექტების გადანაცვლება გონების ძალით) უნარი გააჩნია. ახალი თაობის ბავშვები ეუფლებიან ლევიტაციის და ტელეპორტაციის შესაძლებლობებსაც.

ინდიგოების და კრისტალური ბავშვების მძლავრი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისთვის ამჟამად არსებული სისტემა მზად არ არის.

საერთაშორისო ორგანიზაციის „ინდიგო ბავშვების ნათების წრე“ დამაარსებლის აურა-სომოს მეოთხე დონის მასწავლებლის კაროლინა ჰეგენკამპის აზრით, „ჩვენი საერთო მიზანია-ხელი შევუწყოთ ბავშვებისა და მშობლების ერთობლივ განვითარებას“.

მშობლებმა უნდა მოძებნონ ასეთ ბავშვებთან ქცევის ახალი ფორმა.

კრისტალური და ინდიგო ბავშვები ვერ იტანენ სიცრუეს, სხვათა დამცირებას.

მათ განსხვავებულობაში არ უნდა დავინახოთ პათოლოგია, მათ გააჩნიათ სპირიტუალური უნარი, ყოველთვის ეხმარებიან გაჭირვებულებს. ისინი იმსახურებენ პატივისცემას და არა დათრგუნვას და დამონებას.

„იყავი ბრძენი და საკუთარ შვილში დარწმუნებული“, მოგვიწოდებს ალექსანდრე ეჯიბაძე (ინდიგო, კრისტალური, ცისარტყელასებრი ბავშვები – ახალი თაობა, WEV Age, 26.02.2012 Http://education.ge.).

ინდიგო ბავშვი დღეს მეტაფორაა და აღნიშნავს განსაკუთრებული უნარის მქონე, პროგრესულ ბავშვებს. მათ ახასიათებთ თავდაჯერება, ცოდნის წყურვილი, აღმოჩენებისკენ სწრაფვა, „სიბრძნე“, ისეთი ინფორმაციის ფლობა, რომელიც არსად ამოუკითხავთ, სენსიტიურობა ურთიერთობებში და სამყაროს მიმართ.

მოდის თაობა, რომელიც სულ უფრო მეტად არ დანებდება არსებულ უაზრო წესრიგს და შაბლონებს.

მათ აქვთ ცოდნა არა ინტერნეტიდან, კომპიუტერიდან, არამედ სამყაროდან. თანამედროვე განათლების სისტემა ამ ბავშვებისთვის არის „ცოდნის სასაფლაო“...

აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი საუბრობს ინდიგო ბავშვების უჩვეულო ბუნებასა და მონაცემებზე, მათ მრავალწახნაგოვან შესაძლებლობებზე, რომელთა უმეტესობა ჩვენთვის უცნობი და გაუგებარია, აცხადებს ცირა ბარბაქაძე ზემოხსენებულ მეცნიერზე.

ახალი თაობა უკვე ინდიგოა, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს განათლების სისტემა, რადგან ახალ თაობას „პროკრუსტეს საწოლზე აკრავენ, „აჭრიან“ და უკლავენ ყველა უნიკალურ უნარს. თაობა ვერ აღიზრდება „ქარხნული წესით“, ვერ უკარნახებთ ძველი პედაგოგიკის წესებს, ვერ დაიმორჩილებთ.

ამ თაობისგან უნდა ისწავლონ მშობლებმა, მასწავლებლებმა... ეს არის თაობა „მზა ცოდნით, პროგრესული და ევოლუციონირებული ცნობიერებით“.

ფილოსოფიის დოქტორი Robert V.Cerara-ის ამ ბავშვების შესახებ წერს: „ბევრი ინდიგო ხედავს ნატიფი სამყაროს ანგელოზებს და სხვა არსებებს, დროდადრო ისინი დეტალურად ყვებიან ამის შესახებ. ეს არ არის წარმოსახვა, ეს რეალობაა...

ყველა მშობელმა და მასწავლებელმა სამუშაო მაგიდასთან უნდა გაიკრას ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „ბავშვები“. აქვე შემოთავაზებულია შესანიშნავი ფრაგმენტი და მანიფესტი.

„თქვენი ბავშვები თქვენ არ გეკუთვნით.

ისინი თქვენი საშუალებით მოდიან, მაგრამ არა თქვენგან.

და თუმცა თქვენთან არიან, თქვენს კუთვნილებას არ წარმოადგენენ.

შეგიძლიათ მისცეთ მათ თქვენი სიყვარული, მაგრამ არა აზრები.

რადგან მათ თავიანთი ფიქრები აქვთ.

შეგიძლიათ შეიკედლოთ მათი სხეულები, მაგრამ არა სულები, რადგან მათი სულები ხვალინდელი დღის მკვიდრნი არიან, თქვენ კი ოცნებაშიც არ შეგიძლიათ მომავლის მონახულება.

შესაძლოა, ესწრაფოდეთ, მიემსგავსოთ მათ, მაგრამ ნუ ეცდებით დაიმსგავსოთ ისინი, რადგან ცხოვრება უკან-უკან არ მიდის და გუშინდელ დღესთან არ ყოვნდება.

თქვენ მშვილდები ხართ, რომლიდანაც თქვენი შვილები, როგორც ცოცხალი ისრები, წინ-წინ გაიჭრნენ.

მსროლელი ხედავს მიზანს უსასრულობის ბილიკზე და ის გღუნავთ თქვენ თავისი ძალით, რომ მისი ისრები სწრაფად და შორს გაფრინდნენ.

იყოს თქვენი მოხრილობა მსროლელის ხელში მხოლოდ სიხარულის მომტანი, რამეთუ, როგორც გაფრენილი ისარი, ისევე უყვარს მას მშვილდი, რომელიც ადგილზე რჩება“ (ბარბაქაძე ც. ვინ არიან „ინდიგო ბავშვები“, 3.06.21, Http://mastsavlebeli.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 8.03.2023).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს უნიკუმები ორი წლიდან იწყებენ კითხვას. ხუთი წლისანი რთულ კომპიუტერულ პროგრამებს ადგენენ, ხოლო თორმეტი წლისანი უნივერსიტეტს ამთავრებენ. ცნობილია 80-ზე მეტი ფენომენი და უნარი, რომელსაც ფლობს ბავშვი-ინდიგო.

მათ შეუძლიათ სხვისი აზრის კითხვა, შესწევთ უნარი, მიიღონ ინფორმაცია იმ მოვლენის შესახებ, რომლებიც მრავალი ათასი კილომეტრის იქით ხდება, იმსჯელონ სამყაროს ბედზე, მოგვითხრონ წარსული ცხოვრების შესახებ. ისინი ქვეცნობიერად ირჩევენ სწორ გზას, რომელიც ჩვენ შესაძლოა უცნაურად მოგვეჩვენოს. ისინი უარყოფენ წესებს.

ინდიგოს ამოსაცნობად დასმულია ათი კითხვა:

1. დაბადებისთანავე აზრიანი გამოხედვა ხომ არა აქვს ბავშვს.

2. კვების დროს ხომ არ შეაჩერა მზერა ჭერზე, თითქოს თვალი გააყოლა რაიმე მოძრავ საგანს.
3. საწოლში ხომ არ იწყებდა უეცრად სიცილს, თითქოს ვინმეს ეთამაშებაო.
4. კოვზი ერთდროულად მარჯვენა და მარცხენა ხელით ხომ არ ეჭირა?
5. ხომ არ ხდებოდა მისი ყურადღების ხანმოკლე გამოთიშვა 5-10 წუთით?
6. გვიან ხომ არ ამოიდგა ენა?
7. ადვილად ითვისებს თუ არა სამგანზომილებიან კომპიუტერულ თამაშებს, საოჯახო ტექნიკის მართვას, მობილური ტელეფონის ფუნქციებს?
8. სკოლაში ხშირად ხომ არ არღვევს ქცევის წესებს?
9. ხომ არა აქვს შერჩევითი მეხსიერება – შესაძლოა, ვერ გაიხსენოს ლექსი, რომელსაც მთელი საღამო სწავლობდა, სახლში დაბრუნებულმა ვერ გაიხსენა, რა მოხდა სკოლაში?
10. ხომ არ შეუძლია ერთდროულად ორივე ხელით წერა?

ისინი იოლად წვდებიან ნებისმიერი მოვლენის და საგნის არსს, იოლად ითვისებენ ინფორმაციებს, სულ წინ, ახალი ცოდნის შესაძენად მიისწრაფვიან.

ინდიგოები თავს ლიდერებად მიიჩნევენ, ჯიუტები არიან.

გამძაფრებული აქვთ სამართლიანობის გრძნობა. ვერ იტანენ სიცრუეს.

ერთდროულად იწყებენ რამდენიმე საქმეს.

ბევრი ვუნდერკინდი ცუდად ითვისებს სასკოლო პროგ-რამას. გამოსავალი ინდივიდუალური მომზადებაა.

ინდიგო მგრძნობიარე და სუსტია. მისგან შეიძლება დადგეს როგორც გენიალური შემოქმედი, ისე გარეწარი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მოახერხებენ თუ არა მშობლები მასთან სწორ ურთიერთობას.

(კალანდაძე ნ. ინდიგო ბავშვები, 01.07.2009. Http://mkurnali.ge/pediatria/).

ინდიგო ბავშვების დაბადების მრავალი ვერსია არსებობს, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებულია სამი მათგანი: ინდიგო ბავშვები უცხოპლანეტელთან შერწყმით იბადება, ღვთის საჩუქარია და ადამიანის ბუნებრივი მუტაციაა.

უკვე ბევრ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც ტელევიზიით უკვე რამდენიმეჯერ გადაიცა სიუჟეტი, სადაც პატარა ბავშვებს, რომლებსაც ხშირად გამართულად სიარული და საუბარიც კი არ შეუძლიათ, უპრობლემოდ ძალუძთ კომპიუტერის ჩართვა, საჭირო პროგრამის გამოძახება და მისი მართვა.

მეცნიერი რობერტ ო კერი უისკონსინის უნივერსიტეტიდან თავის შრომებში „ინდიგოს ბავშვების“ შესახებ აღნიშნავს, რომ აღმზრდელები (მშობლები, პედაგოგები) უნდა გახდნენ ნოვატორები აღმზრდელობითი მეთოდების განვითარებაში და მათი მიდგომები ასეთ ბავშვებთან უნდა გახდეს უფრო მოქნილი.

2000 წ. გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით – „ახალი ეპოქა, ახალი ადამიანი“, რომელშიც საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა.

ამერიკის შეერთებული შტატების საბავშვო ბაღებში, კოლეჯებში, საშუალო სკოლებში უდიდესი ყურადღება ექცევა ასეთ ბავშვებთან ურთიერთობებს. ტარდება ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობენ პედაგოგები, ფსიქოლოგები, ექიმები.

ამერიკაში შემუშავებულია სემედიცინო პროგრამა, რომლის მიხედვით მიდის აქტიური მუშაობა ბავშვებში ზემოთნახსენები სინდრომის აღმოსაფხვრელად.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „ინდიგო ბავშვების“ დნმ შეცვლილია და ორგანიზმის ტალღოვანი გამოსხივება ამ

ბავშვებში ნორმას ზოგჯერ 10-ჯერ აღემატება, ანუ „ინდიგო ბავშვების“ განსხვავებულობა ფიზიკურ დონეზე იგრძნობა.

მათთვის აუტანელია რიგში დგომა, ლოდინი, იბნევიან კონსერვატიულ სისტემებთან ურთიერთობისას, სადაც შემოქმედებით აზროვნებას ადგილი არა აქვს.

თუ მათ გვერდით არ არის მსგავსი მენტალიტეტის მქონე, ისინი საკუთარ თავში იკეტებიან და თავს გაუცხოებულად გრძნობენ.

არ ღებულობენ საყვედურებს დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებით.

ბავშვი ინდიგო მგრძნობიარე და სუსტია. მისგან შეიძლება დადგეს როგორც გენიალური შემოქმედი, ისე გარეწარი.

(ინდიგო ბავშვები. Http://Ka.Wikipedia.org/wiki. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 8.03.2023).

ინდიგოს პრეტენზიები

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ყურადღებას იქცევს ჩარჩოების, ჯებირების გარღვევა, ახალი თაობის ფსიქიკისა და თვალსაწიერის ჩვენება.

ნაწარმოების უპირველესი პრობლემაა ადამიანის ჰუმანური აღზრდა, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა, ინდიგოსთან საერთო ენის გამონახვა.

კრებულის პირველ მოთხრობაში „ყირამალა“ კლასში გაკვეთილის ჩასატარებლად შესულ მასწავლებელს მოწიწებით და პატივისცემით კი არა, აურზაურით ხვდებიან, უნდობლობას უცხადებენ მის ცოდნას, რაც საკუთარი უმწეობის გრძნობას უმძაფრებს, სასოწარკვეთილებაში აგდებს თავის საქმეზე უზომად შეყვარებულს და ისღა დარჩენია სიმწრით წამოიძახოს: „ღმერთო ჩემო“, ეს კი გაოცებული მოზარდების გაკვირვებას და სიჩუმეს იწვევს.

მასწავლებელი კლასელთა ყურადღების მიქცევას ბელ კაუფმანის ხსენებით ცდილობს, მაგრამ კლასში არავის არა აქვს წარმოდგენა თანამედროვე ამერიკელი მწერლისა და მასწავლებლის ნაწარმოებზე, გარდა ერთისა, რომელმაც წამოიძახა: „ვიცი! მან დაწერა „წერილი ჩემს განსვენებულ მასწავლებელს“... კაუფმანი სპეციალურად გაიხსენეთ... თქვენ ჩვენი ყურადღების მიპყრობა გსურდათ“...

ამ განაცხადმა მასწავლებელს აფიქრებინა: „ან ინდიგოა, ან უბრალოდ ნიჭიერი“...

ყმაწვილი დაფასთან დადგა და ყვებოდა კაუფმანის „წერილის“ შინაარსს და მთელი კლასის ყურადღებას იქცევდა, რის გამოც მასწავლებელმა მადლობა გადაუხადა.

ამ წერილში მოსწავლეთა დაინტერესების მიზეზი იყო ის ჰუმანიზმი, სიყვარული, გაგება, პატივისცემა, ტაქტიანი შეგონება, მოზარდებში საკუთარი ძალებისადმი რწმენის გაღვიძება, რასაც ბელ კაუფმანის მასწავლებელი იჩენდა აღსაზრდელებისადმი, განურჩევლად მათი ნიჭიერება-ღირსებისა.

მასწავლებელი პატივს სცემდა მოსწავლეთა შემოქმედებით დამოკიდებულებას პრობლემებისადმი, ცდილობდა არა მათი ნაკლის, არამედ ღირსებების წინ წამოწევას, არავის არ ამცირებდა, პირიქით, სტიმულს აძლევდა წინსვლისთვის, ამასთან, დისტანციასაც იცავდა.

გაკვეთილების გამცდენს კი არ ჰკიცხავდა, „ძალიან გვაკლდიო“, ეტყოდა.

დავალების უცოდინარს როდი ასამართლებდა, „სამწუხაროა, ჩვენ შენი აზრის მოსმენა გვინდოდაო“, ეტყოდა და ამ ტაქტიანი განაცხადით პიროვნებად აგრძნობინებდა თავს.

აღმზრდელი ტოლებივით ეპყრობოდა პატარებს, მათ მიჩქმალულ ღირსებებს წარმოაჩენდა.

მოსწავლეთათვის სტიმულის მიცემა, ყურადღება მორცხვთა მიჩქმალული შესაძლებლობების გამოვლენისადმი, ნდობა, საკუთარი ძალებისადმი რწმენას უღვიძებდა თითოეულს,

პიროვნებად აგრძნობინებდა თავს, ნიშნებით როდი აფასებდა, თუნდაც შეცდომილს კი არ კიცხავდა, მოვლენათა მიზეზებში გარკვევას ცდილობდა.

წერილში ასევე ნახსენებია საშინელ ქარბუქში როგორ ათხოვა მასწავლებელმა თავისი ასპროცენტიანი ქაშმირის შარფი მოსწავლეს.

გასაგებია, სიმართლის, სიკეთის, გაგების მაძიებელი ინდიგოს ინტერესი ბელ კაუფმანის წერილისადმი.

როცა მასწავლებელი ჯგუფის წევრებს ესეს, რაიმე თხზულების, თავისუფალი თემის თუ წერილის შეთხზვას დაავალებს, უპირველესად, ინდიგო აღშფოთდება, „ჩვენ არასდროს არ ვწერთ დავალებებსო“.

არც შემდეგ გაკვეთილზე გამოუჩენიათ მოსწავლეებს დიდი ინტერესი, არც დავალება შეუსრულებიათ, მაგრამ ამას მასწავლებლისგან გაკიცხვა და მათი ძალებისადმი უნდობლობა არ გამოუწვევია, რწმენა გამოხატა, რომ მომავალში ამ საქმეს თავს გაართმევდნენ.

შემდეგ კლასში არ გამოცხადებულა „ინდიგო“ ავადმყოფობის გამო. მასწავლებელს მისთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა, შინ სიარული დაევალა გამოჯანმრთელებამდე და მისი პედაგოგის სამსახურში გამოცხადებამდე.

მოსწავლე გულწრფელად აღიარებს, რომ არც ესეს, არც თავისუფალი თხზულების დაწერა უცდია და დავალება არ შეუსრულებია.

მასწავლებელი ნიმუშების მოტანას და საქმეში გათვითცნობიერებას ჰპირდება. მოსწავლეს არ აინტერესებს პროზაიკოსებისა და პოეტების ნაწერები, არც თავისი თანატოლების. ის მასწავლებლისგან ითხოვს ამის შესრულებას, რაც საერთოდ არაა მიღებული.

„ინდიგოს“ პრეტენზია ასეთია: „ჩვენ მოსწავლეებს, ზოგჯერ გვავალებენ იმას, რისი შესრულებაც თვითონ მასწავლებლებს არ შეუძლიათ. თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ ესეები,

თხზულებები, ფიქრები, მოგონებები, მოთხრობები?“, ნიშ-ნისმოგებით აცხადებს მეშვიდეკლასელი მოსწავლე.

შეცბუნებულმა, დაბნეულმა მასწავლებელმა თავის მართ-ლება დაიწყო, ასეთი დავალებისთვის თავის არიდების მიზე-ზად დაასახელა ის, რომ პროგრამა ამას არ ითვალისწინებ-და, მაგრამ ინდიგოს ეჭვიან მზერაში მოძღვრის შესაძლებ-ლობისადმი უნდობლობა რომ დაინახა, დათანხმდა როლე-ბის შეცვლას, იძულებული გახდა აჰყოლოდა ამ მოთხოვნას და აოცებდა მოსწავლის კატეგორიულობა, სიმკაცრე, ვერ გაეგო ამ ცნობისმოყვარეობის მიზეზი.

ნაწარმოების ავტორი გვამცნობს: „ყველა ესე, მოგონება, ჩანახატი, რომელსაც წიგნში წაიკითხავთ, ინდიგოს დავა-ლებით შესრულდა“.

ეს „საკმაოდ მკაცრი „მასწავლებელი“ განსჯიდა ხოლმე ნამდვილი მასწავლებლის ნამუშევარს, ზოგჯერ „ნაშრომის დაცვაც უწევდა, მაგრამ შემდეგი დღის დავალების შესასრუ-ლებლად ემზადებოდა, ამასთან ერთად, აიძულებდა „ცოდ-ნოდა უფრო მეტი, ვიდრე შესასწავლი მასალა ითვალის-წინებდა“ (გვ. 8).

გარკვეული დროის შემდეგ მათი როლები შეიცვლებოდა, ის წარმოადგენდა თავის ნაშრომებს.

მასწავლებელი გულმოდგინედ ასრულებდა მოსწავლის დავალებებს, უკითხავდა თავის ნაწერებს და ცდილობდა მისი გამომეტყველების მიხედვით გამოეცნო, როგორ შთაბეჭდი-ლებას ახდენდა ნამუშევარი. ზოგჯერ შემდგომი დავალების სათაურსაც მოსწავლე კარნახობდა, მერე სათაურიც თვით შეურჩია და წიგნს „ლიტერატურული მოზაიკა“ უწოდა.

მერე ინდიგომ გადაწყვიტა ოქროს ძაფზე აეკინძა და ოთახის შემოსასვლელში დაეკიდა ეს ნაშრომი, რათა ყველას წაეკითხა.

ოქროს ძაფის შემომტან ყმაწვილს ვაჟა-ფშაველას დედის სიზმარი მოაგონდა, რომელსაც შეიცავს შემოქმედის დაუმთავრებელი ავტოგრაფია „ჩემი წუთისოფელი“.

თურმე ვაჟა-ფშაველას დედას ივრის ხეობაში, სოფელ სხლოვანში ბიძაშვილ ქალთან ერთად ეძინა დერეფანში და შუაღამისას ხმაური რომ შემოესმა, წამოჯდა, დაინახა ცხადმოჩვენება, ცა იყო განათებული, ორი ოქროსფერი ჯაჭვი ჩამოშვებულიყო, ერთმანეთზე გადაბმული, ერთი ჭიაურის, მეორე სხლოვანის გორადან. მასზე ცეცხლის ბალღები ადიოდნენ, ჩამოდიოდნენ და გალობდნენო“.

ინდიგო ამბობს: „სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ ყველა იგავს აქვს დამოუკიდებელი არსებობის საშუალება, მაგრამ ერთ სიუჟეტზე ხომ არის ასხმული“(გვ.10).

პარალელურად, მასწავლებელი აფრედერიკ მეს ასახელებს, გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟს ნაწარმოებიდან „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, რომელშიც აფრედერიკ მე მხატვრული ტექსტის პერსონაჟებს კრავს, აკავშირებს ერთმანეთთან“ (გვ. 10).

მოძღვარი განმარტავს: „წარმოიდგინე, რომ ოქროს ძაფი ცხოვრებაა, რომლითაც ადამიანები უკავშირდებიან ერთმანეთს, რაკი ისინი: მოთხრობები, ნოველები, რომანები და ლექსები არიან... მთლიანობაში ჰგვანან ლიტერატურას... ლიტერატურა კი ფართო ცნებაა, რომელიც, ასევე თავისი მრავალფეროვნებით, ფსიქოლოგიას, ესთეტიკას, ფილოსოფიას, ბიბლიას, ქიმიას, მათემატიკას, ბიოლოგიას, ფიზიკას... ემგვანება. ის უსასრულოდ დიდია, ამიტომ შეუძლებელია ერთმა ოქროს ძაფმა დაიტიოს ასეთი დიდი ტვირთი“ (გვ.11).

რაკი მასწავლებლის თანხმობა მიიღო, ინდიგომ სახლის შემოსასვლელში ოქროს ძაფი ჩამოკიდა და თავიდან ჯერ მასწავლებლის მიერ შესრულებული რამდენიმე დავალება მოათავსა, შემდეგ კი ყველა.

ნაწარმოების ავტორი ცდილობს გაგვიცნობიეროს, რომ ინდიგო ბავშვების თვალსაწიერი ფართოა, მათ ჩვეულებრივი არაფერი აკმაყოფილებთ და აღმზრდელების თუ საზოგადოებისგან იმდენ რამეს ითხოვენ, რაც ადრეული ეპოქის მოზარდებისგან წარმოუდგენელი იყო და რაც მხოლოდ „ბედს იქით“ გაღწეულთა, ჩვეულებრივ ადამიანურ შესაძლებლობებზე ამაღლებულთა მახასიათებელია.

ინდიგოსთან პირველი შეხვედრის მერე გადის სამი წელი და მასწავლებელი ისევ მოევლინება ყოფილ მეშვიდეკლასელებს, რომლებიც უკვე მეათე კლასში არიან. მათგან ერთ-ერთის დავალებით დაწერა პედაგოგმა თავისი „ლიტერატურული მოზაიკა“.

მერე ხდება გახსენება უამრავი მასალის, ფილმის, რომელიც ეძღვნებოდა განსაკუთრებული თვისებით გამორჩეულ ბავშვებს.

ზოგიერთები მათ ტიპებად ჰყოფენ, უწოდებენ ინტელექტუალებს, ტელეპატიის უნარით დაჯილდოებულებს, ჰუმანისტებს, შემოქმედს ან ყველა განზომილებაში მცხოვრებთ, მიუთითებენ მათ ნაკლოვანებებზეც.

არაორდინალური სიტუაცია და მოძღვრის ყოვლისშემძლეობა

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მთავარი პერსონაჟები უმთავრესად მოსწავლეები არიან, უპირველესი პრობლემა ურთიერთგაგება, პატივისცემა და სიყვარულია, სიყვარული სიკეთის, ადამიანის, ღმერთის, რადგან „ღმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 4,8)(1,320).

რწმენით, უზენაესის მცნებებით გაძლიერებული ადამიანი, ბუნებრივია, საზოგადოების, მოყვასის სიყვარულზე, მათ გაგებაზეა ხოლმე ორიენტირებული.

შემთხვევითი როდია, რომ „ლიტერატურულ მოზაიკაში“ დიდაქტიკურ თემაზე საუბარი წინარე საუკუნეებიდან იწყება, კერძოდ, დიდი ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს შეგირდებიდან გენიალური სარდლის, მაკედონიის მეფის ალექსანდრე მაკედონელისადმი მიწერილი წერილით: „არ ვიცი, რა ძალა მეწევა შენკენ, რაზედაც არ უნდა ვიფიქრო, ყველაფერი მეჩვენება დიადი და საოცარი... ვერას ვხედავ (შენს მოქმედებაში) დასავიწყებელს, დრო აქ ვერაფერს დაბურავს ბინდით, რამეთუ სწავლების მშვენიერ რჩევებს მაყურებლად ჰყავთ მარადისობა, ამიტომ ეცადე, შენი ძალაუფლება აქციო არა ქედმაღლობად, არამედ ქველ საქმეებად და სათნოებად, რომელზე აღმატებულიც ქვეყნად არაფერია.

„ადამიანს, ბუნებით მოკვდავს, გარდაუვალი სიკვდილის შემდეგ, თავისი საქმეების წყალობით, შეუძლია უკვდავთა ხსოვნა მოიპოვოს“...(2,157).

ლამარა გერგედავას წიგნში შემთხვევით არ ხდება აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობის წარმოჩენა ამერიკელი მწერლის ბელ კაუფმანის ნაწარმოებით – „წერილი ჩემს განსვენებულ მასწავლებელს“, რომელიც მოსწავლისადმი პედაგოგის დამოკიდებულების იდეალური ნიმუშია...

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი წერს: „მოძღვრისა და მოსწავლის ურთიერთობა, ქართულ ლიტერატურაში, პირველად გიორგი მერჩულემ ასახა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. გიორგი მერჩულისათვის მოძღვარი, უპირველესად, ღვთიური მადლის გარდამომფენიაო და არა უბრალოდ, მიწიერი ცოდნის მომნიჭებელი“ (2, 282).

აქვე განსაკუთრებული მოწიწებით იხსენება დიდი ქართველი მწერალი და პედაგოგი, საუკუნეებისთვის სანიმუშო იაკობ გოგებაშვილი, „თავისი ნიჭით, მასწავლებლობით სემინარიას რომ ასხივოსნებდა.

„სახალხო მასწავლებლის“ წოდება ჰქონდა ცნობილ მწერალს ეგნატე ნინოშვილს“...(2, 283).

„ახლაც კარგად ახსოვთ გენიოსი ვაჟა-ფშაველას მასწავლებლობის წლები“ (2,283).

ყოველ დროს ახალ-ახალი პრობლემები მოაქვს, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში უფრო და უფრო მეტი ინფორმაციების, არა მხოლოდ წინაპართა სიბრძნის გათავისების მოთხოვნა დგას, რადგან იცვლებიან ადამიანები, მოდიან „ინდიგოები“, რომელთაც არ აკმაყოფილებთ სტერეოტიპები, შეზღუდული რაციონალიზმი, მოძღვარი, მასწავლებელი უნდა იყოს შეიარაღებული მეცნიერების, ხელოვნების მრავალი დარგის წვდომის უნარით მომადლებული და, რაც ასევე მთავარია, რწმენით, სიყვარულით გასხივოსნებული სულით, ფართო თვალსაწიერით, მიხვედრილობით, სიტუაციების, შედეგების განჭვრეტის უნარით გამორჩეული.

სწორედ ასეთი მონაცემებით იქცევს ყურადღებას „ლიტერატურული მოზაიკის“ პედაგოგი, რომელსაც ვერ აფრთხობს, უკან ვერ ახევინებს ახალ საკლასო ოთახში შექმნილი სიტუაცია, პირველი უნდობლობა, უპატივცემლობა, რომელსაც თამამი მეშვიდეკლასელები ავლენენ.

მასწავლებლის სულგრძელობა, საკუთარი ძალების რწმენა, შერჩეული პროფესიის სიყვარული, უკიდეგანო განათლება, დიდი, შეუმცდარი ინტუიცია კარნახობს, როგორ შეცვალოს სიტუაცია უკეთესობისკენ, როგორ მიაღწიოს პატარა ასაკის, განსხვავებული მონაცემების მოზარდებთან სრულყოფილ გაგებას, პატივისცემას.

ეს თვისებები არა მარტო ინდიგოსთან ურთიერთობაშია საჭირო, არამედ სრულიად საპირისპირო შემთხვევაშიც, როცა მოძღვარს სთავაზობენ ურთიერთობას, პედაგოგობას უსინათლო გოგონასთან, რომლისგანაც ყველა მოწვეული გარბის, თვით მას კი სკოლის გახსენებაზეც ალერგია უჩნდება, რადგან ერთადერთი რამ, რასაც ამ უსინათლო, ულამაზესი გარეგნობის გოგონასადმი ავლენენ უფროსები და

თანაკლასელები, მხოლოდ და მხოლოდ სიბრალულია და არა გაგება, სიყვარული.

როცა პირველსავე შეხვედრაზე უსინათლო გოგონამ მასწავლებლისადმი პროტესტი გამოხატა საერთოდ ამ სახელითაც გაღიზიანებულმა, მოთხრობის პერსონაჟსაც ასეთმა გაუგებრობამ მოსწავლისგან უკუქცევისკენ უბიძგა.

მოსწავლესთან პირველი შეხვედრის შთაბეჭდილება ასეთი იყო: „უხერხულობამ პირველად შემიპყრო. ის არც სიხარულს, არც გაკვირვებას, არც წყენას გამოხატავს. ფერმკრთალია, როგორც მილეული მთვარე, რომელსაც დროდადრო ღრუბელი ფარავს. მდუმარეა, როგორც ცისკენ ასაფრენად გამზადებული ფრესკის სული“ (2,35).

როცა გოგონა წაბორძიკდება, ამით ხვდება მასწავლებელი, რომ ის უსინათლოა.

დამხვდურს არც საუბრის სურვილი ჰქონდა, არც მოსმენის. მასწავლებელმა მისი დაინტერესება ისიხასტების, ეგვიპტის მეუდაბნოე მამათა შორის გავრცელებული დუმილის შესახებ საუბრით სცადა. მეშვიდე საუკუნის ბოლოს ათონის მთაზე ბერთა და დაყუდებულთა შორის პეტრე ათონელის მეშვეობით აღორძინებული დუმილი მისი მიმდევრებისთვის ღმერთთან სიახლოვეს გულისხმობდა.

ამ საუბრის დროს პედაგოგის ყურადღებას იქცევს ოთახის კედელზე ჩამოკიდებული თამარ მეფის გამოსახულება, რომელიც ბეთანიის ეკლესიის ფრესკის ასლია. „დიდებული მმართველის“ გამოსახულების დუმილი სიტყვის ძალაზე უფრო ამაღლებულია, მის მზერაში წარსულის სიდიადე, განცვიფრება, შთაგონების დუმილი, „სულიერი ნათლის განცდა“ ამოიკითხება პედაგოგისთვის (2,36).

„დუმილის ხმაურზე“ რომ ფიქრობს, პედაგოგს ეჩვენება, რომ უსინათლო გოგონას დუმილი პროტესტის გამომხატველია და არც ცდება: „სამყაროს ვერ ვხედავ და უარყოფითი ემოციებისგან, ქვეყნის და ადამიანების დაუნახაობისგან დაღ-

ლილს, აგრესიულს, მასწავლებლები ვერ მიგებენ, ყველა წავიდა ჩემგან... იმდენად მცირე ხანს რჩებოდნენ ისინი, რომ მათი სახელების დამახსოვრებაც ვერ მოვასწარი“, ჩივის მოზარდი (2,36).

მასწავლებელი დუმილის მრავალგვარობაზე, მის ქვეტექსტებზე საუბრობს: „დუმილიც არ ნიშნავს არარაობას...

„ის შეიძლება დიდმა მწუხარებამ გამოიწვიოს, მაგრამ, ამასთანავე, შთაგონების მომტანი, სიცოცხლის რიტმის მაჩვენებელი იყოს... შეიძლება დუმილში ფიქრმა ახალი გზები მოგაძებნინოს... მან შეიძლება აზრის სილამაზე, ჭეშმარიტების აუცილებლობა, მუსიკისა და პოეზიის ჰარმონიულობა, ნათლის სიდიადე გაგრძნობინოს. დუმილი მშვენიერებად გარდაისახა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეხვედრისას. უთქმელობა აქაც სიტყვაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რადგან სიყვარულის ამაღლებულ განცდას ენა ისე ვერ გადმოსცემდა, ალბათ, როგორც შინაგანად „ახმაურებული დუმილი“ (2,37).

მოზარდს გაუჭირდა დუმილის სიკეთე ბოლომდე ეღიარებინა, თანაც არ სურდა მასწავლებელი ჰყოლოდა, რადგან მიაჩნდა, რომ აქამდე ვინც ენახა, ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ: „თქვენ უკვე გადაწყვიტეთ, რომ ჩემი მასწავლებელი გახდეთ? არ მსურს... არ მინდა მასწავლებელი მყავდეს... თქვენი პროფესიის ადამიანები ყველანი ერთმანეთს ჰგავხართ... გგონიათ, რომ ჭეშმარიტება იღვრება თქვენი ბაგეებიდან და საგანი, რომელსაც ბავშვებს ასწავლით, ერთადერთი და განუმეორებელია... „ამ საგნის გარეშე, დაიმახსოვრე, ფონს ვერ გახვალ“ ... განა ასე არ ეუბნებით აღსაზრდელებს?“

მასწავლებელმა, რომელსაც ლიტერატურა „მთელ სამყაროდ“ ესახებოდა, სცადა უსინათლო გოგონასთან საუბარი, დაიწყო მტკიცება, რომ ის „ჩვეულებრივი გოგონა“ იყო, რაც ისე იქნა გაგებული, როგორც „ბრმის თვალის ახელის მცდელობა შთაგონების ძალით“ (2,38).

მასწავლებელი კი „გონების თვალს ახელის“ აუცილებლობას მიიჩნევდა უპირველესად და დეილ კარნეგს იმოწმებდა, რომ „გარდუვალს ადამიანი უნდა შეეგუოს“, რომ სევდის დავიწყების საშუალება იქნებოდა მუსიკა, კითხვა, მასწავლებლებთან ურთიერთობა, ხელსაქმე, რომლითაც შეძლებდა სევდის გადავიწყებას, რომ ის არ იყო საცოდავი, ზედმეტი.

მოსწავლეზე სკოლაში მიუთითებდნენ, როგორც საწყალზე, მაგრამ გარეგნული სილამაზით გამორჩეულზე, მას კი არ შეეძლო აღექვა, რას ნიშნავდა „მწვანეთვალება“, „სრულყოფილი ნაკვთები“.

მასწავლებელი არწმუნებდა, რომ გოგონას გარეგნობით მოხიბლულები მის სულიერ მხარესაც მიაყურადებდნენ, რაც მარტოობის, სატკივრის გაქარწყლების საშუალება გახდებოდა.

მოსწავლე ამ ურთიერთობის დასაწყისში რაღაც დაინტერესებას, რაღაც ახლის დასაწყისს ხედავს. მასწავლებლად გამოცხადებულ პიროვნებასთან შეხვედრები მისთვის უმნიშვნელო როდია, მაგრამ დანარჩენი მასწავლებლების გულგრილობით, სტერეოტიპებით გულგატეხილს, არ სურს პედაგოგი ჰყავდეს, თუმცა მოხარულია, ამჟამად გამოცხადებულ ადამიანს ჰქონდეს სტუმრის და არა მოძღვრის სტატუსი.

ასე დამთავრდა ეს უჩვეულო შეხვედრა, მასწავლებელი უაღრესად ააფორიაქა შექმნილმა სიტუაციამ და მიხვდა, რომ ტრადიციული, ტრაფარეტული აზროვნება ვერ განმუხტავდა შექმნილ ჩიხურ სიტუაციას.

განათლებული, ფართო თვალსაწიერის პედაგოგი იწყებს გამოსავლის ძიებას და, უპირველესად, ცნობილი, აღიარებული ფსიქოლოგების – უზნაძის, ფროიდის, ერიქსონის, როჯერსის ნააზრევებზე დაყრდნობით ცდილობს უსანთლო გოგონას გამოყვანას დეპრესიიდან.

ფიქრის შემდეგ ამერიკელი ფსიქოლოგისა და ფსიქოანალიტიკოსის ერიკ ერიქსონის თეორიაზე გაამახვილებს

ყურადღებას, რომელიც პიროვნების ცხოვრების რვა ციკლს გამოყოფს, თამარს მეხუთე საფეხურის მოზარდს მიაკუთვნებს თავისი ასაკის მიხედვით და ამ ფსიქოლოგზე დაყრდნობით ასკვნის, რომ საზოგადოებაში თვითდამკვიდრების, პიროვნული „მეს“ ანუ იდენტობის პოვნაში გადამწყვეტი არიან მშობლები და პედაგოგები, რომლებიც უნდა ეხმარებოდნენ მოზარდს თვითშეფასებაში, ქცევების დასწავლასა და განხორციელებაში“ (2,40).

პედაგოგი იდუმალებით, გაურკვევლობით არის შეპყრობილი, გაკვეთილის მეორე დღეს, შეძლებს თუ არა მთელი ლიტერატურული სამყაროს აღქმა, მისი სილამაზე შეაგრძნობინოს გოგონას, დასჭირდება თუ არა სახელმძღვანელო და არც დასჭირდა.

ამჯერად ამერიკელი პოეტის ჯეფერსის „შემოდგომის საღამოზე“ გაამახვილა ყურადღება, რომელიც ასე მთავრდებოდა: „არა ხამს ზრუნვა, როგორ უნდა იცხოვრონ კაცთა... ქვეყანა მაინც მშვენიერია“... (2,41).

მერე პედაგოგმა ანა კალანდაძის „ღრუბლებზე“ დაიწყო საუბარი და ლექსიდან გამომდინარე, გადაწყვიტა ეგვიპტის, ხეთის, მიდიას, ურარტუს ქვეყნების ისტორიაზე ესაუბრა, მაგრამ გოგონას პასუხი ამ ინფორმაციების შემოთავაზებზე ასეთი იყო: „თქვენ შემოდგომაზე საუბრობთ, ღრუბლებზე, მე არ ვიცი როგორია თითოეული, ხმების ქვეყანაში ვცხოვრობ, გარესამყაროსთან, გამოუცნობთან ცდილობთ თქვენ დამაკავშიროთ საუბრებით“ (2,42).

პედაგოგმა შემდეგ ჰომეროსის „ილიადა“ აიღო და მისი წინასიტყვაობის ნაწყვეტზე სცადა მოსწავლის ყურადღების გადატანა: „ქვეყნად არ შობილა ხელოვანი, მასზე უფრო დიდი ძეგლი აეგო, ქვეყნად არ შობილა მასწავლებელი, რომელსაც მასზე მეტი თაობა აღეზარდა. ქვეყნად არ შობილა ადამიანი, რომელსაც ათასობით წლები ეცხოვრა და მასავით ჭაბუკი დარჩენილიყო“...

გოგონა დუმილით, უინტერესოდ უსმენდა და პედაგოგმა კითხვა შეწყვიტა.

„უფალს იდუმალ ვევედრები, მომეცი ძალა, რომ ვიყო მომთმენი, ღვთისმშობელო, მაპოვნინე სიტყვა, რომლითაც გოგონას ყურადღებას მივიქცევ – მეთქი“, აცხადებს მთხრობელი.

შემდეგ მასწავლებელმა ყურადღება კედელზე მეთექვსმეტე საუკუნის ჭედურ, ალავერდის ხატზე გადაიტანა, რომელზედაც ღვთისმშობელს კაცობრიობის მხსნელი უპყრია.

მერე ისევ ჰომეროსს მიუბრუნდა და კითხვა გააგრძელა: „ოცდარვა საუკუნის წინათ ცხოვრობდა ეს საოცარი ადამიანი, 2800 წლის წინათ“.

მასწავლებელი მის სიბრმავეზე ამახვილებს ყურადღებას: „ძველად ამბობდნენ, მას ჰომეროსი ერქვაო, იმასაც ამბობდნენ, მოხუცი და ბრმა იყოო“...

მაგრამ მოსწავლემ კითხვა შეაწყვეტინა: „ჰომეროსი, ალბათ, დიდი ხნის შემდეგ დაბრმავდა, სამყარო ნანახი რომ არ ჰქონოდა, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ვერ დაწერდა. თქვენ ბედნიერ ადამიანებზე მესაუბრებით, მე კი დავკარგე სიმშვიდე, ალბათ, სამუდამოდ“.

პედაგოგი ფიქრობს: „ღმერთო, მე მალე გავიზიარებ თამარისაგან გაქცეული მასწავლებლების ბედს“ (2,43).

რამდენიმე წუთის უხერხული სიჩუმის შემდეგ მასწავლებელი გამოეთხოვება აღსაზრდელს, გზაში შემხვედრი კოლეგა შეამჩნევს მის სევდიან გამომეტყველებას და როცა გაიგებს, რომ მისი შეხვედრები უსინათლო გოგოსთან შედეგის მომტანი არ არის და ამიერიდან აღარ ივლის მასთან, ის ირონიულად და „ნიშნისმოგებით“ ეუბნება: „წლების მანძილზე შეეჩვიე ისეთ ბავშვებთან მუშაობას, რომლებიც თვალებში შემოგციცინებდნენ. იქიდან კი, სადაც წინააღმდეგობას წააწყდი, გამორბიხარ, ეს ... პედაგოგიური მარცხია“...

ამას მოსდევს მასწავლებლის ასეთი ფიქრები: „წინააღმდეგობებმა ხომ არ შემაშინა? სად გაქრა ძლიერი სული? მარტო დარჩენილს არაერთხელ მიმიღია გადაწყვეტილებები და გამიმარჯვნია. ყველაზე ცუდი იმის შეგრძნება ყოფილა, რომ უარგყოფს ვიღაც,არა ხარ საინტერესო პიროვნება და ისეთად დარჩები, თუკი გამოსავალს ვერ გამონახავ“ (2,44).

მასწავლებელი ეძებს პრობლემური სიტუაციიდან თავის დაღწევის გზებს და უდიდესი ჩინელი ფილოსოფოსის ლაო-ძის „დაო დე ძინს“ მიმართავს. კონფუცი შესჩივის ლაო-ძის: პოეზიის, ისტორიის, ადათ-წესების და ცვალებადობის წიგნები გამოვეცი. ასევე მუსიკაზე ტრაქტატი დავწერე, ძველ მეფეთა ზნეს ვსწავლობდი და ბრძენთა უზენაესი ქმედებანი გავასხივოსნე, მიუხედავად ამისა, მაინც ღირსად არავინ მთვლის, რომ მიმსახუროს, ეტყობა ხალხის დარწმუნება ძნელიაო.

ლაო-ძის კი უპასუხნია: „რასაც აკეთებ,მოძველებულია, ახალს არაფერს ქმნი, გარდასულის დაბრუნება ძნელია, გარდაუვალობას ვერ გაექცევი, დროის მდინარების შეჩერება კი შეუძლებელიაო“ (2,44-45).

ცხადია, წინაპარ უცხოელ ბრძენთა ნააზრევსაც კი იშველიებს პედაგოგი და ურთულესი სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს.

მერე კარნეგის წიგნს მიმართავს: „როგორ დავმშვიდდეთ და დავიწყოთ ნამდვილი ცხოვრება“, რომელიც ავტორს მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ამერიკელებისთვის დაუწერია.

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი ადამიანური სიძლიერის, სიმტკიცის, გამძლეობის მაგალითებს“ეძებს ამ წიგნში. იმოწმებს ციტატას ტოროს წიგნიდან „უოლდენი“: „არაფერი არ შეედრება ადამიანის უდრეკ უნარს – მისდიოს ამაღლებულ მიზანს... თუ დაბეჯითებით ისწრაფვით ოცნების ასახდენად და ცდილობთ იცხოვროთ ისეთი ცხოვრებით, რომელიც გეოცნებებათ, ისეთ წარმატებას მიაღწევთ, როგორიც წარმოუდგენელია ჩვეულებრივი ქცევისას“.

ეს სტრიქონები ქართველ ავტორს ისევ და ისევ „მიჩუ-მათებული, კეთილი მიზნებისკენ“ განაწყობს.

მისი ფიქრის საგანი ისევ და ისევ ის პატარა მეგობარია, რომელიც გაბუტული, მთელ ქვეყნიერებაზე შემომწყრალი, მშფოთვარე ზის თავისთვის, სრული სიმარტოვისკენ მიილ-ტვის, თითქმის მარტოობაში მყოფი“ (2,46).

ფიქრობს რა დეილ კარნეგის საუბრებზე „როგორ დავ-მშვიდდეთ“... პედაგოგი გადაწყვეტს დაბრუნდეს თამართან, ალავერდის ღვთისმშობლის ხატს მიუახლოვდება და ლოცუ-ლობს, ის დარწმუნებულია, რომ ლიტერატურისადმი ყურად-ღების დროც დადგება.

ნაწარმოებში მრავალგზის ვხვდებით ბუნების სურათებს, ახლებურად აღქმულ შემოდგომის პეიზაჟს: „შემოდგომა ისევ ერთობა ფოთოლცვენით და თითქოს არენიდან ისევ სიბე-ლიუსის სიმფონიისა და მოცარტის სერენადების თანხლებით გადის.

ხეები ანრი რუსოსა და ფიროსმანის მოწყენილი ხეების მსგავსნი, სივრცეში ირეკლებიან“...(2,46).

მასწავლებელი სძლევს გულგატეხილობას, ისევ ბრუნდება უსინათლო გოგონასთან და ამით გახარებული აღსაზრდელის დედა ეუბნება: „რამდენიმე დღეა არაფერი ვიცით თქვენზე, თამარი შეუძლოდაა, არც საკვებს ეტანება, არც მუსიკას უსმენს წინანდელივით, მთელი დღე დუმს. იქნებ თქვენთან საუბარმა გაამხიარულოს. თქვენ არ ჰგავხართ სხვებს, მეგონა ჩვენგან ისე წახვედით, როგორც სხვები მიდიოდნენ ადრე!“

თამართან მარტო დარჩენილი მასწავლებელი საუბრობს დეილ კარნეგზე, ლოცვებზე, წმინდანებზე, იმის იმედით, რომ მარიამ ღვთიმშობლისადმი ლოცვები ამაოდ არ ჩაივლის, რომ „ცხოვრება ლამაზია, პრობლემური სიტუაციიდან გამო-სავალი არსებობს და სამყარო მოულოდნელობებითაა სავსე“...

თამარი განეწყობა დეილ კარნეგის საუბრების გასაცნო-

ბად, ლოცვების წასაკითხად, მაგრამ პროგრამული მასალებისადმი ინტერესს არ ავლენს. თუმცა მასწავლებელი არ ამუნათებს, რადგან დარწმუნებულია, რომ ამის დროც დადგება, ის აჯერებს გოგონას, რომ მიუხედავად სიბრმავისა, სამყაროს მაინც შეიგრძნობს და ცხოვრების სილამაზით დატკბება, რომ იმედი არ უნდა დაკარგოს, რომ არ იფიქროს ამაოებაზე და უნდა დაძლიოს მარტოსულობა, გაუცხოება.

შემდეგ გოგონა ეკითხება ღვთისმშობლის ხატზე და ავლენს ლოცვის სურვილს.

მერე მიდის საუბარი ამაოებაზე, ეკლესიასტეზე:„ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო. თაობა მიდის და თაობა მოდის, ეს ქვეყანა უცვლელია უკუნისამდე. აღმოხდება მზე და ჩადის იგი და უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან აღმობრწყინდება... და თვალი ხედვით არ გაძღება, ყური სმენით ვერ აღივსება“.

გოგონა, მასწავლებლის მზრუნველობით გაძლიერებულია და ამბობს: „მეჩვენება, რომ უსინათლო ვარ, მაგრამ მაინც, თითქოს სადღაც შორს, ნათელ, პატარა წერტილს ვხედავ“.

პედაგოგი არწმუნებს მოსწავლეს, რომ ის თვალხილული გახდება, რომ ღვთისმშობელი აუხდენს ოცნებებს, რომ სასწაულები ხდება, რაზედაც გოგონა პასუხობს: „ხშირად ვხედავ ნათელს, თანდათან მიახლოვდება იგი“ (2,50).

მასწავლებელი დეილ კარნეგის წიგნიდან ამ სიტუაციისთვის მიზანშეწონილად მიჩნეულ ადგილებს უკითხავს გოგონას, რომლის მიხედვითაც, სასოწარკვეთილების დაძლევის საშუალება საქმის კეთებაა: „აკეთეთ საქმე. შფოთვით შეპყრობილი ადამიანი მთელი თავით უნდა გადაეშვას საქმეში, სხვანაირად სასოწარკვეთილება მოუღებს ბოლოს“.

მეორე დღეს ყურადღების მიქცევა ხდება წვრილმანების უკუგდებაზე, რომ ყოველდღიურ უკეთურობებზე ამაღლება უნდა დაისახოს ადამიანმა მიზნად: „თავს ნებას ნუ მისცემთ და გუნებას ნუ გაიფუჭებთ წვრილმანების გამო, რომლებსაც

ზიზღით უნდა შეხედოთ და დავიწყების მორევს მიაბაროთ. გახსოვდეთ, რომ წუთისოფელი ისედაც მოკლეა და არ ღირს მისი წვრილმანებზე ხარჯვა“.

გოგონა ბევრ სიბრძნეს ეზიარა კარნეგის წიგნიდან: „ანგარიში გაუწიეთ გარდუვალს“.

„როცა ცდუნება გძლევთ და უიმედო საქმეში სიჯიუტეს იჩენთ, შეჩერდით და შეეცადეთ ამ სამ კითხვას უპასუხოთ: „სინამდვილეში ჩემს ცხოვრებაში რა მნიშვნელობა აქვს იმას, რაც ასე მაშფოთებს?“

„შფოთვის რა დონეზე უნდა დავაყენოთ „ზღვარი“, რომ მერე დავიწყებას მივცეთ იგი?

„წარსული წარსულს ჩააბარეთ, ნუ ხერხავთ ნახერხს!“ აქვე გამორჩეულია მტერთან დამოკიდებულების კონცეპტი: „თუ მტრის სიყვარული არ შეგვიძლია, საკუთარი თავი მაინც გვიყვარდეს, გვიყვარდეს იმდენად, რომ მტერს არ დავეჩაგვრინოთ, ჯანმრთელობა და გარეგნობა არ შევწიროთ, როგორც შექსპირმა თქვა – „მეტისმეტად ნუ გაახურებთ ქურას მტრებისთვის, თორემ შიგ თვითონ დაიწვებით“... (2,51-52).

აი როგორ მიმართა მოძღვარმა წარსულის სიბრძნეს, რომ იგი თანამედროვეობის სამსახურში ჩაეყენებინა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო.

გოგონა ამ ამონარიდებმა შეცვალა, მას სურვილი გაუჩნდა, ზიარებოდა ახალ-ახალ მოსაზრებებს.

„...გახსოვდეთ, რომ ქრისტემ ერთ დღეში განკურნა ათი კეთროვანი და მათგან მხოლოდ ერთმა მიაგო მადლობა. ჩვენ რატომ უნდა მოველოდეთ მეტ მადლიერებას, ვიდრე ქრისტეს ხვდა წილად?“

„გახსოვდეთ, რომ ბედნიერების მოპოვების ერთადერთი ხერხია, არ დავუცადოთ მადლიერებას, სიკეთე ვქმნათ საკუთარი სიამოვნებისთვის.

„გახსოვდეთ, რომ მადლიერება ხასიათის ისეთი თვისებაა, რომელსაც აღზრდა სჭირდება. ასე რომ, თუ გვინდა

მადლიერების გრძნობის მქონე შვილები აღვზარდოთ, თვითონ უნდა მივცეთ მაგალითი“ (2,52).

პედაგოგი ჩასწვდა წინაპართა ჭეშმარიტი სიტყვის ძალას და არაორდინარულ სიტუაციას მოარგო ის, რაც დადებითი შედეგის ძიების საწინდარი გახდა.

მასწავლებელი ამბობს: „თამარი ყველა ჩემი მოსწავლისგან განსხვავდება, მაგრამ მაინც ყველანი ერთნაირად, მოციმციმე, შორეულ წერტილებს ჰგვანან, ისინი ჩემს სულს, დროდადრო, სიკეთითა და მადლიერებით უახლოვდებიან, დიდდებიან ციმციმები, რომ შემდეგ შუქად გადმოიღვარონ“ (2,52).

აქვე საუბარია შურზე, რომელსაც ასე განმარტავს ლაიბნიცი: „შური გახლავთ უკმაყოფილება სულისა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენთვის სასურველ სიკეთეს ფლობს სხვა კაცი, ვინც ამის ღირსად არ მიგვაჩნია“.

სულხან-საბას მიხედვით, „შური არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“.

ნოვალისი საუბრობს სულის გაწმენდაზე, ხუნ ძიჩენი სარკის სინათლის შენარჩუნებაზე, გულის სიწმინდეზე.

მასწავლებლის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, თამარი სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა, რწმენით აივსო.

ეს კარნეგის გაცნობის შედეგიც იყო და მოძღვრის განცხადებისაც, თვალხილული გახდებიო, რომ უთხრა. ამის შემდეგ ის გამუდმებით ეევედრებოდა უფალს თვალის ახელას.

ფუჭი ოცნების უაზრობის ნიმუშად დასახელებულია სულხან-საბა ორბელიანის „გლახაკი და ქილა ერბო“.

აქვე საუბარია ბედისწერაზე. ზოგიერთთა აზრით, ბედისწერა წარმართავს ყოველივეს, თუმცა ბედისწერისა ყველას არ სწამს.

რუსთაველის აზრით, ფათერაკი „ბედისწერაა: „ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი“...

განგება ღვთის ნებაა, მოვლენათა ღვთაებრივი წინასწარ-განზრახულობა: „არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწყივ მბრუნავი“...

„გლახაკი და ქილა ერბოს“ ხსენება არ იყო შემთხვევითი. ამ იგავის გაცნობა მიზნად ისახავდა ფუჭი ოცნებების უკუგდებას, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ განგება უკვე სხვა მიმართულებას აძლევდა გოგონას იმედებს...

ეს გაორებას გამოიწვევდა, უნიადაგო ოცნებებს არ უნდა მისცემოდა გოგონა, მაგრამ უიმედობის, გულგატეხილობის-განაც თავი უნდა დაეღწია.

წიგნის მიხედვით, მასწავლებელი იმოწმებს მოსაზრებას ერთი რელიგიური ჟურნალიდან: „ქრისტემ თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და ცხოვრება მიანიჭა საფლავებს შინა მყოფთ არა იმიტომ, რომ ბედი დაწერა ადამიანებისთვის და ისინი უნებისყოფო, უპასუხისმგებლო არსებებად აქცია, არამედ იმიტომ, რომ „ღმერთი სიყვარული არს“.

„ნუ გჯერათ რომ თქვენი ყოველი ნაბიჯი წინასწარაა განსაზღვრული ზეცისგან, ნუ გადააბრალებთ თქვენს ცოდვებსა და შეცდომებს ნურც ბედს, ნურც უფალს, არამედ ითხოვეთ, რომ უფალმა ოდესმე თავისი ყურადღების ღირსი გაგხადოთ. ითხოვეთ ზომიერად, თქვენ მას მიიღებთ. „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და პოვოთ, ირეკდით და განგეღოთ“.

ნაწარმოების მიხედვით, მასწავლებელს მოეთხოვება კულტურის, მეცნიერების, რელიგიის, ესთეტიკისა და ფილოსოფია-ფსიქოლოგიის უკანასკნელი მიღწევების გამოყენება და მათი მიტანა აღსაზრდელებთან.

აქვე მოტანილია ნაწყვეტი თეოფანე დაყუდებულის წიგნიდან „რა არის სულიერი ცხოვრება და როგორ განვეწყოთ მისთვის?“ ავტორი ლოცვას ელექტროტელეგრაფს ადარებს. ჭეშმარიტი, გულითადი ლოცვა სხივივით მიფრინავს წმინდანებისკენ და ხდება მათი შესმენა. გულიდან მომავალი ლოცვა ზეცის ტელეგრაფის აპარატის მსგავსია, ხოლო მხოლოდ

თავიდან და ენიდან მომავალი ლოცვები არ იძლევა ზეცისკენ აღმავალ სხივს და არავის ესმის იქ. ეს არცაა ლოცვა, მხოლოდ ერთგვარი მექანიკური პროცესია“ (2,56-57).

მასწავლებლის საუბრების წყალობით, მოსწავლეს იმედი ჩაესახება, უხარია არსებობა, ამასთან სულხან-საბას „გლახაკი და ქილა ერბოს“ პერსონაჟი უნიადაგო, რეალობას მოწყვეტილ ადამიანად მიაჩნია.

მასწავლებელი საუბრობს ამერიკელი ფსიქოლოგის, აბრაჰამ მასლოუს მიერ შედგენილ ადამიანის მოთხოვნილებების პირამიდაზე, რომლის მიხედვით, მიზნის მიღწევის გზაზე ფიზიოლოგიური მოთხოვნებიცაა: საკვები, წყალი, სითბო და ა.შ. მოთხოვნილება უსაფრთხოების დაცვისა, სიყვარულისა, საკუთარი თავის პატივისცემისა. მხოლოდ სურვილები, ოცნებები არ კმარა. მოქმედებაა საჭირო... ბრძოლა საზოგადოებაში ჩვენი გარკვეული უფლებების მოსაპოვებლად. უნდა გავაცნობიეროთ, მივისწრაფით თუ არა იმისკენ, რაც არსებითია ჩვენთვის“.

შემდეგ მოტანილია გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ პერსონაჟის მაგალითი, რომელიც, ტყეში შუაღამისას ცის გახსნას, ნატვრის ხის გამოჩენას და მისი ნაყოფის მიღებაზე ამყარებდა თავისი უპოვარი, მშიერი ოჯახის მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლის იმედს და ამ ოცნებით გატაცებულს, ერთხელაც ყინვამ ბოლო მოუღო მის სიცოცხლეს და გაფიჩხული ჩამოასვენეს სახლში. უნიადაგო ოცნებას აყოლილი ელიოზი, ნაცვლად იმისა, რომ გონივრული გამოსავალი ეძია და ეშრომა, ნატვრის ხის ძიებაში უქმად კარგავდა დროს.

უსინათლო გოგონა გაორებულია, ხან იმედი აედევნება, ხან უკუაგდებს უსარგებლოდ მიჩნეულ აზრებს და ასკვნის, ასაკით დიდი, გონებით კი პატარა ვარო.

მას მასწავლებელი ესაუბრება რევაზ ინანიშვილის მოთხრობაზე „მირანდუხტ“, რომელშიც ფიგურირებს ასაკით პატარა, მაგრამ გონებით დიდი გოგონა, რომელიც ამხელს

სოფლის მაღაზიის გამყიდველის – გერონტის ანგარებას, რადგან სწრაფი და ზუსტი ანგარიში შეუძლია, ამხელს და აფხიზლებს უფროს ადამიანს, გერონტის პატიოსნების ქომაგად აქცევს და მერე ისინი მეგობრები ხდებიან.

ამ მოთხრობის გაცნობამ თამარი აღაფრთოვანა, მოეწონა ბოროტების, სიცრუის, სიყალბის გადაქცევა სათნოებად, უკვე ოცნებობდა მანკიერებით დაღდასმული ადამიანების გაკეთილშობილებაზე.

მერე მოსწავლეს აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა ადამიანის მეტამორფოზა. ამის მაგალითად მიჩნეულია ვაჟაფშაველას ალუდა ქეთელაურის გარდაქმნა.

გოგონას ცნობისმოყვარეობით წახალისებული პედაგოგი ითვალისწინებს ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს და ჰუმანისტური ფსიქოლოგიის სხვა წარმომადგენლების აზრებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ადამიანი მუდმივ განვითარებასა და პიროვნულ ზრდას განიცდის.

მასწავლებელი მოსწავლეს ესაუბრება სოლიდარობის, ტოლერანტობის, განათლების საჭიროებაზე, ჯანმრთელობის, მშვიდობის მნიშვნელობაზე, ტაძარში სიარულის, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებით დაკმაყოფილებაზე, წიგნიერებაზე, რაც ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს.

გოგონას ლუი ბრაილის შრიფტის გარეშე არ შეეძლო კითხვა, ამიტომ ისევ დეილ კარნეგი შეახსენა: „ანგარიში გაუწიეთ გარდუვალს“.

მოსწავლე თანდათან იმდიდრებდა გონებას, ცდილობდა ბევრი ინფორმაციის მიღებას, მასწავლებელი არ იცავდა რეგლამენტს, ესაუბრებოდა ახალ-ახალ თემებზე და უჩვეულო ინტერესს ავლენდა გოგონა, ფიქრობდა დაგეგმილი პროგრამითაც მუშაობაზე.

მან ირწმუნა, რომ თუკი „მოციმციმე შუქს ხედავდა, ის ახლა, თანდათან გადაიზარდა უფრო დიდ ნათელში, გონების

ნათელიდან თვალხილულობისკენ მიემართებოდა, ნაბიჯ-ნაბიჯ“.

მასწავლებელმა გადაწყვიტა ჩაეწერა ეს საუბრები, რათა თვალხილულს, ერთ მშვენიერ დღეს, თვითონ წაეკითხა ის.

მოძღვრის მიზანი იყო, ეწერა თავისი „მარადიული მოსწავლისთვის“.

პედაგოგს სქოლასტიკური გამომეტყველება გამოარჩევს და მიაჩნია, რომ „სქოლასტიკოსებიდან ჰუმანისტურისკენ გადებულ ხიდზე დგას ქვეყანა. მისი სევდიანი გამომეტყველების მიზეზი იყო თამარზე დარდი, რომელმაც თავისი ნება-სურვილის მიხედვით მოსთხოვა ესაუბრა ღმერთზე, ვარსკვლავზე, დედამიწაზე, ბიოლოგიასა და ისტორიაზე და თავისი ამ მკაცრი მოთხოვნილებით მიუთითა, რომ არ შეიძლება მხოლოდ ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებიდან გამოხედვა, არც ორ-სამ სასწავლო საგანთან მათი ინტეგრირება იყო გამოსავალი.

აქვე მოიხსენება ფრანსუა რაბლე, როგორც ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის იდეალზე მეოცნებე.

თამარმა მოინდომა ინსტინქტურად, პედაგოგის რადიკალური შეცვალა, მისი ჰარმონიული განვითარება.

ამიტომ ითხოვდა საუბარს ქიმიაზე, ბიოლოგიაზე, ასტრონომიაზე, ფიზიკაზე, ეთიკაზე, ფილოსოფიაზე, ტოლერანტობაზე, სტერეოტიპებზე, რელიგიაზე და მასწავლებელს სჯერა, რომ მალე ის დაემგვანება უნივერსალური ენციკლოპედიის მკითხველს.

და დამოწმებულია ჰომეროსის სიბრძნე: „გამბედავი და თამამი კაცი აღწევს ყოველთვის სანუკვარ მიზანს“.

მოძღვრის იდეალია „თეთრი მოხუცი“ მოთხრობაში „დიდებულნი და მდაბიონი“.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. ლამარა გერგედავა, ლიტერატურული მოზაიკა, „უნივერსალი“ თბ. 2023

იდეალიზმის მაძიებელნი

„იდეალიზმის მაძიებელნი“ მოგვითხრობს, თუ როგორ ბრუნდება, სამი წლის შემდეგ, იმავე სკოლაში სამუშაოდ მასწავლებელი. აქ, 179-ე გვერდზე, თითქოს წყდება ავტორისეული თხრობა „იისფერებზე“, მაგრამ „ყირამალას“ დასასრული გვიჩვენებს, რომ მასწავლებელი ადამიანებსა და წიგნებშიც უსასრულოდ უნდა ეძებდეს ნათლის სხივებს და იგულისხმება, რომ ამბავი გაგრძელდება, მხატვრულ ლიტერატურასა თუ რეალურ ყოფაში...

მასწავლებელს სკოლის ჭიშკართან დონ კიხოტი დახვდება, გამოეცნაურება და როცა გაიგებს, რომ „სიახლეების, სასიკეთო ცვლილებებისა და სამართლიანობის მიმდევარს“ წააწყდა, „იდეალისტს“ უწოდებს მას და საინტერესოდ ეჩვენება მასთან ერთად მოგზაურობა კლასიდან კლასში, გაკვეთილებზე.

„ბავშვებს თვალებში მზე ჩაბუდებით, აი ის მზე, სამყარო რომ შექმნა“.

პედაგოგს გამოეცნაურებიან ყოფილი მოსწავლეები: ვისაც ესმოდა ქვეყნიერების ხმა, ვისაც გალაკტიონის პოეზიის კითხვაში შემოათენდა და მეორე დღეს გაკვეთილზე დააგვიანდა, ვისაც მგლოვიარე ქრისტეს ლანდი და აფხაზეთში აწრიალებული ცოდვილი დემონი მოეჩვენა.

„მიმაჩნია, რომ ყოველ მასწავლებელს უნდა შეეძლოს თავის აღსაზრდელს უწოდოს „პატარა მეგობარი“ და, საჭი-

როების შემთხვევაში, ჩაატაროს გაკვეთილი ერთი მოსწავ-ლისთვისაც, თქვა მეოთხემ, გონება რომ გაუნათდა, ის გოგონა მე ვარ“...

„ჩემს წარმოსახვას შეუძლია წარმოიდგინოს კაცობრიობის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე“, წარმოთქვა მეხუ-თემ.

მასწავლებელი ფიქრობს: „როგორ ჩასახლებულხართ ჩემს ფიქრებსა და სტრიქონებში, ჩემო მარადიულო მოსწავ-ლეებო და... ჩემს მოძღვრებად ქცეულნო, ზეციურო და მიწიერო იისფერებო, გაოცებით გიმზერთ“.

მოსწავლეები სვამენ კითხვას: „შეიძლება წამში შეიცვა-ლოს ადამიანის ცხოვრება?“

პასუხი ასეთია: „ზოგიერთს ცხოვრებას მართლაც წამი ცვლის.

მითოლოგიურად, ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, წყალი დინებას წყვეტს და იძინებს, ირინდება. თუკი ადამიანი მოასწრებს, მისი წვეთებით ხელს დაისველებს და, ამავ-დროულად, ნატვრასაც გაივლებს გულში, ოცნებები აუხდება. ასეთ დროს სამყარო ბედნიერი დამთხვევის მოწმე ხდება. ერთსა და იმავე წამში, მეტყველი ადამიანი უტყვ ბუნებას ერწყმის: „ჩვენ ბუნებაში ვართ-იგი ჩვენშიაო“, თქვა დიდე-ბულმა ვაჟა-ფშაველამ, ბრაზილიელმა მწერალმა კი: „როცა გულით გწადია რაღაც, მთელი სამყარო გეხმარებაო სურ-ვილის ასრულებაში...

„ადამიანი, მითოლოგიაში, ბედნიერი წამის მოლოდინშია მარადიულად... თუმცა... რეალურად, წელიწადში ერთხელ, მდინარე იორდანე, ნათლისღების დღესასწაულზე, უკუიქცევა და მიმართულებას იცვლის, მხოლოდ მცირე ხნით... ეს სას-წაულია, რომლისაც, ყველას, რასაკვირველია, არ სჯერა... ვინ იცის, რამდენს შეცვლია ცხოვრება იორდანეში ოდესღაც ნათელღებულის ძალით“...

შემდეგ ამის მაგალითად მოტანილია გალაკტიონის ლექსი არაგვი“, რომელშიც „თანმიმყოლი ჩრდილებისა და „აუხსნელი ქარაგმით“, მწვანე ველზე, ოცნებით მოკლული პოეტი „ღიმილისთვის“, მქუხარე მდინარეში ჩადის. შორიდან მოჩანს ხევსურეთი, ფშავი და თუშეთი. ის მიეახლება არაგვს, ოცნებობს, ჩნდება იმედიც და, ყოველივე ამის შემდეგ, „გარინდება მდინარე“.

„მდინარეში ჯადოსნური ოცნებით ჩასული გალაკტიონის, სიტყვის მეუფის ფეხქვეშ, ეს მქუხარე, ძლიერი მოგზაური, არაგვი ირინდება“: „ერთხელ შვიდ წელიწადში შენი ცა გაიხსნება, რასაც მაშინ ისურვებ, ყველაფერი იქნება. გარინდდება მდინარე (ეს არაგვი ზმანება), ყველაფერი უცნაურ მოსვლას დაემგვანება“.

შემდეგ საუბარია აფხაზეთის ომზე, რომელმაც სულიდან „ნათლის სხივი“ გამოაძევა, შთანთქა სიმშვიდე და „...სულიერი სიცარიელე“ მოიტანა. სამყარო უფრო კონტრასტული გახდა. მერე ჩამოგვიქროლა უცნაურმა, ყველაფრის შემცვლელმა წამმა და სიმშვიდედაკარგულთ იმედი დაგვიტოვა... ესეც ერთ წამში მოხდა და იმ ერთმა წამმა ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრება შეცვალა.

„ადამიანს ბედნიერი წამიც ცვლის და უბედურიც“.

შემდეგი შეკითხვა ასეთია: „შეუცნობელი, ამოუხსნელი ფენომენისთვის თუ მოგიქცევიათ ყურადღება?“

პასუხი: „ვფიქრობ, ზოგიერთი ადამიანის სიზმარი, ხილვა, ამოუხსნელი საიდუმლოა. პაულო კოელიოს ერთი პერსონაჟი, „ალქიმიკოსში“ მეორეს ეუბნება: „სიზმრები ის ენაა, რომლითაც უფალი გვესაუბრება ხოლმე“.

შემდეგ ხდება იმ სიზმრის გახსენება, რომელიც აფხაზეთიდან ქართველების გამოდევნას მოასწავებდა.

ნათელ იმედად რჩებოდა ცაზე გამოჩენილი დიდი, თეთრი ჯვრის გამოსახულება.

ასევე ოპტიმიზმს აღვიძებდა უღრუბლო, ნათელ ღამეში მთვარეზე გამოსახული ღვთისმშობლის ხატი, ყრმა იესოსთან ერთად რომ გადმოჰყურებდა ქვეყნიერებას.

წიგნში სიზმრის მაგალითად მოხმობილია გალაკტიონის ლექსი „მე მოვალ“, რომელშიც ნათქვამია: „ამაოდ მომესმის დედოფალთ გროვიდან ძახილი უცნობი, მსუბუქი, ცისმარი: მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან, მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ სიზმარი“.

გალაკტიონის პოეზიაში, წმინდა წერილის კვალობაზე, დედოფალი მარიამია, ყვავილები – უზენაესი, სიზმარი – პოეტური ფანტაზიის, გამონაგონის სიმბოლო, რაც მთავარი იდეალი იყო პოეტისთვის.

გაკვეთილზე საუბარია ბარათაშვილზე, ამაოების, ფუჭი ცხოვრების ჭეშმარიტებით, სიკეთით, რწმენით დამარცხებაზე.

ოთახში შუბერტის „ავე მარიას“ პანგებს გალაკტიონის „ავე მარიას“ რიტმული, საოცრად მუსიკალური სტრიქონები ერწყმის და მოსწავლე კითხულობს ქართველი გენიოსის ლექსს: „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი, ნუგეშ-მწყურვალეთ შენს-კენ მოილტვის, ლოცვა-ვედრება და საკმეველი“...

მოსწავლეები, რომლებიც „გაზაფხულზე მოლივლივე ზღვის სანაპიროსთან ჟრიამულით მოვლენილ იებს“ ჰგვანან, გადაწყვეტენ, იმოგზაურონ,.

კვირის ერთ-ერთი დღე ვირტუალურ მოგზაურობას მიეძღვნა.

ნათლად წარმოიდგინეს, შორეული თეთრი ნავი როგორ მოაპობს ტალღებს. ზოგჯერ არგოს აიეტისგან მიაქვს კოლხური ოქროს საწმისის უცხო სურნელი, ზოგჯერ კი ზღვიდან უახლოვდებათ რენესანსის საბურველში გახვეული რუსთაველის – „პიროვნების, აზრისა და გრძნობის თავისუფლების“ მქადაგებლის სული.

„იისფერებმა“ კარგად იციან, რომ ბიბლიურად ზღვა ბოროტების სიმბოლოა და თანამედროვე გაგებით ცხოვრებას უდარებენ... რომ გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) რწმენას, აღორძინებასა და განახლებას გვამცნობს ლიტერატურაში და იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი“ ქართული ენის საგალობელს, ქართველი ერის მარადიულობის რწმენას წარმოაჩენს.

წიგნის პერსონაჟებს ისევ დონ კიხოტის აჩრდილი აემგზავრათ, ირგვლივ შუქ-ჩრდილებია.

მოსწავლეები, რაღაცით გამორჩეულები, ზღვაში შეჭრილ უცხო მდინარის ტალღებს ჰგვანდნენ, მზის სხივებზე ათასფრად აფერადებულებს.

და წიგნის ავტორს ახსენდება ის ინდიგო, რომელმაც „ლიტერატურული მოზაიკა“ დააწერინა.

ხსოვნაში აირეკლა უამრავი მასალა და ფილმი, რომელიც განსაკუთრებული თვისებებით გამორჩეულ ბავშვებს მიეძღვნა – ინტელექტუალებს, ტელეპატიის უნარით დაჯილდოებულებს, ჰუმანისტებს, შემოქმედებს, ყველა განზომილებაში მცხოვრებთ, ცხოვრებასა და სამყაროს ცვლილებებზე მოფიქრალთ.

ასევე, არსებობს მტკიცება, რომ შეხედულებები ინდიგო ბავშვებზე მხოლოდ მითია.

მზეღმერთი უამრავ ნათელ სხივს გზავნის დედამიწაზე, მთავარია, ამ ნათელთან ზიარება.

დონკიხოტი და სანჩო პანსა ისევ გამოჩნდებიან სკოლის ჭიშკართან და ნათელი სხივის შემგროვებლებს ეძებენ.

თუ გოდერძი ჩოხელის ერთი პერსონაჟი ადამიანთა სევდას აგროვებდა, პედაგოგი ნათლის სხივებს ეძებს, სიბნელის გასაფანტავად.

ის ნათლის სხივებს ადამიანებში პოულობს. კითხვაზე: „ნათლის სხივს მხოლოდ ადამიანებში პოულობთ?“ „წიგნებშიც“ – პასუხობს ის.

„ნათლის სხივი ხომ ჩვენს ფიქრებშია დავანებული, ხან ადამიანის სახით დაგვემგზავრება ხოლმე ცხოვრების გზებზე, სამშობლოს ზეციდან, გაზაფხულის სიმწვანიდან, წიგნის სტრიქონებიდან, მუსიკის ბგერებიდან, მხატვრობის ფერებიდან კრთის და ასხივებს. ის ზოგჯერ გულწრფელად წარმოთქმულ სიტყვებშია: „რომ შექმნა, რომ მოიმოქმედო რაიმე დიადი, საჭიროა, რომ მთელი ძალა სულისა ერთი წერტილისკენ მიმართო. რომ შექმნა რამე დიადი, ერთი რამე დიადი, უნდა გახდე მთელის შენის არსებით ნაწილი მეორე, არსებული დიადისა“.

ბგერწერის ოსტატმა, გენიალური სიტყვა-ბგერების შემქმნელმა გალაკტიონმა ჩვენც „ნაწილს მეორე, არსებული დიადისა“ გვაზიარა.

პედაგოგი ყვება სამშობლოზე, იაკობ გოგებაშვილის სკოლასა და ბავშვებზე, ვაჟა-ფშაველას კარგ ყმაზე, ილია ჭავჭავაძის მამულსა, ენასა და სარწმუნოებაზე.

შემდეგ საუბარია სიუჟეტების მოგზაურობაზე. არგენტინელი მწერლის, ბორხესის თქმით, მხატვრულ ლიტერატურაში სულ ოთხი ამბავი ტრიალებს, პირველი: ბრძოლა, მოიერიშე აქილევსია, მეორე -ოდისევსის დაბრუნება, მესამე-ძიება, იასონისა და ოქროს საწმისის თავგადასავალი, მეოთხე -ღმერთის თავგანწირვა.

ადამიანებიც მოარულ სიუჟეტებს ჰგვანან.

პედაგოგი მოსწავლეებს უნერგავს სიმართლეს, თანაგრძნობას, უანგარობას, ტოლერანტობას, სიყვარულს, რწმენას, უფლის წინამძღვრობით სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლის იდეას.

„მაძიებელი სული ჭეშმარიტების კარიბჭემდე მოგზაურობს“.

მასწავლებლის კითხვა: რა არის თქვენი მოგზაურობის მიზანი?

პასუხი: – რათა შევუმსუბუქოთ ტანჯვა ადამიანებს!

– არ დავჩაგროთ!

– დავეხმაროთ!

– სამყარო უკეთესობისკენ შევცვალოთ!“

„როგორ ჩასახლებულხართ ჩემს ფიქრებსა და სტრიქონებში, ჩემო მარადიულო მოსწავლეებო და... ჩემს მოძღვრებად ქცეულნო, ზეციურო და მიწიერო იისფერებო...

„ჩვენ ყველანი ერთად, მოგზაურები ვართ, თითქოს ლიტერატურული სამყაროს საწყის ბილიკზე ვდგავართ, მერე ოდისევსივით ვბრუნდებით სამშობლოში, სულხან-საბა ორბელიანის გზებს ვაკვირდებით და საფრანგეთიდან დაბრუნებულ ხელმოცარულ ქართველ ელჩს თანავუგრძნობთ. ჯუმბერ ლეჟავას ჯერ კიდევ ბოლომდე დაუწერელ ისტორიებს ველოდებით, დონ კიხოტის კვალდაკვალ დავდივართ ესპანეთში, გრაალის ძებნაში ქანცგაწყვეტილნი.

ავთანდილის გზებზეც აღმოვჩნდით... ჩვენთვის ერთგვარად მისაღებია რეალური და ლიტერატურული, ვირტუალური მოგზაურობები“, აცხადებს ინდიგოების პედაგოგი.

ადამიანი ნათელს უნდა ეზიაროს, ნათლის, სხივის, შუქის, სასწაულმოქმედ ძალას უნდა მიენდოს.

ნათელი, სხივი, შუქი საღვთო სახელებია.

სხივები სიბნელეს ამარცხებს, უსამართლობა საბოლოოდ ვერ გაიმარჯვებს.

გალაკტიონი უზენაესთან, „წმინდა ნათელთან“ იყო წილნაყარი და ამით ამარცხებდა ბოროტებას.

ტერენტი გრანელი სინათლისა და მზისკენ ისწრაფვოდა დასაბამიდან: „მე ქვეყნის გაჩენიდან მოვდიოდი სინათლისკენ, რომ მეხილა მზე“. ის იყო „მზე ღმერთისკენ“ მიმავალი „მარადიული მოგზაური“.

სინათლეს, სიკეთეს, უანგარობას, სიყვარულს ასხივებენ „ლიტერატურული მოზაიკის“ მოზარდები.

რუდოლფ შტაინერი წერს: „ადამიანის აურა სხვადასხვა სულიერი განვითარების შესაბამისია.

„რელიგიურად განწყობილი ადამიანის აურა განსხვავდება ყოველდღიურ, ტრივიალურ განცდებში ჩაფლული ადამიანის აურისგან.

„ინდიგოს იისფერი აურა აქვს.

„ქველი ადამიანის აურა არის მოვარდისფრო – მეწამული ან ღია იისფერი.

„აურა სხვადასხვა სულიერი განვითარების საფეხურების შესაბამისია“(რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, გვ. 138-139).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ასე ჰაერივით სჭირდებათ მოზარდებს მოძღვარი, საღვთო სიბრძნით გამორჩეული, ხოლო პედაგოგი იისფერების პრეტენზიებით გამუდმებით სულიერ ზრდას, სრულყოფას განიცდის.

მოძღვარი-შეგირდის იდეალი

„ლიტერატურული მოზაიკა“ ცხოვრების, ჩვენი დროის მრავალ პრობლემას ეხება, მაგრამ უპირველესი მაინც აღზრდის, ოსტატისა და შეგირდის, აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობაა, რაც, უპირველესად, ურთიერთპატივისცემაზე, საქმის ცოდნაზე, სიყვარულზე, გაგებაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

კლასში შესული მასწავლებელი აღსაზრდელთა თვალებში ჩაბუდებულ მზეს ჭვრეტს.

თუმცა გარეთ შემოდგომაა, ქარი და ფოთოლცვენა, მოძღვრისთვის საკლასო ოთახში გაზაფხულია. „კარებს მიღმა წარმავალი, მდაბალი რეალობაა, ოთახში იდეალური“.

ლიტერატურა „ნათლის სვეტია, „ათინათი“, რომელიც სულს ასხივოსნებს.

მასწავლებლის თვალში აღსაზრდელები „ზამბახებისა და ფურისულების წყებად“ ისახება, „ვარდების გარემოცვაში“ ჰგონია თავი.

„ბოტიჩელს ვარდთა სწვავდა დღე იგი“, ხმიანობს პედაგოგის სულში გალაკტიონის ფრაზა.

მასწავლებლის სურვილია, „გაკვეთილი ჰგავდეს სრულყოფილ სონეტს ან დიდებული პოემის პროლოგს, ან სიტყვაკაზმულ ლირიკულ პროზას“.

აქ უნდა ეზიარონ „შთამბეჭდავი, ფიქრიანი გამომეტყველების“ პატარები ქართველ თუ უცხოელ კლასიკოსთა „სტრიქონ მარგალიტებს“.

იდეალი წარსულის სრულყოფილი გაცნობიერება, აწმყოს პრობლემების გათავისება, მომავლის ამოცანების გადაწყვეტისთვის მზაობა უნდა იყოს: „ვსუნთქავთ წარსულით, ვცხოვრობთ აწმყოში, ის კი მომავლისთვის სიტუაციურ ამოცანებს გვთავაზობს“, ნათქვამია წიგნში.

აღმზრდელს არ გამოეპარება პატარების „შთამბეჭდავი, ფიქრიანი გამომეტყველება“ და ყოველთვის ცდილობს, გაუგოს მათ.

საკლასო ოთახამდე პედაგოგს უნდა მიაცილებდეს „რწმენა, იმედი, თავდავიწყება“.

მრავალგზისი მცდელობის შემდეგ, მასწავლებელმა უსინათლო გოგონას სულის თვალი აუხილა, რათა მან უზენაესი ნათელი დაინახოს (ჩემი პატარა მეგობარი).

წიგნში ქართული პოეზიის გიგანტის, იტალიური რენესანსის წინმსწრები შოთა რუსთაველის აფორიზმი ხმიანობს: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა“.

მოსწავლეებს სჭირდებათ პითაგორელებიც, რომანტიზმიც, რეალიზმიც, რენესანსიც...

ზოგი გალაკტიონის პოეზიით არის გატაცებული, ღამეებს ათენებს მისი შედევრების კითხვაში, „მისი ყოველი ფრაზა შეუძლია აღიქვას, როგორც ფერწერა, როგორც მუსიკა, როგორც ამოუცნობი ოკეანისეული სიღრმე“, აკი პოეტი თავის არსებაში დავანებულ გენიას ზღვას ადარებდა, „ფიქრთა ოკეანე“ ბობოქრობდა მის სულში. მოსწავლე გალაკტიონით

არის გატაცებული, მასზე ფიქრებით ათენებს, აღამებს და კოსმიური გიგანტის სტრიქონებში გადასახლებულს, გაკვეთილზე აგვიანდება, ის კი არ უნდა გაიკიცხოს, არამედ შესაბამისი რჩევები უნდა მიეცეს.

მოსწავლეები გრძნობენ მასწავლებლის სიყვარულს, პატივისცემას, გაგებას და ზოგიერთი წერილით უდასტურებს თავის თაყვანისცემას.

ზოგი „მილეულ მთვარეს ჰგავს, ზოგი ქრიზანთემას“.

მასწავლებელს არ უხარია, რომ იებს, ყვავილებს, მიხაკებს ჩუქნიან, ტკივილს აყენებს მათი დღემოკლეობა.

აღმზრდელი ბილიკზე მზეს ჭვრეტს და კლოდ მონეს მზე აგონდება, მას პოეზიის დედოფალმა- ანამ ასწავლა მზის თაყვანისცემა, „კლასში რომ ანათებს იმ მზისა – ბავშვებმა“ (გვ. 240).

მოსწავლეები გრძნობენ პედაგოგის სულიერ სილამაზეს, მის სიკეთეს, გულისხმიერებას, ეთაყვანებიან მის გონიერებას, აოცებთ ფართო თვალსაწიერი და ბევრი ამის მიხედვით აკეთებს მომავლის არჩევანს, მასწავლებლობა გამხდარა მათი იდეალი.

„დიალოგში“ მოსწავლეს გადაუწყვეტია თავის იდეალად დასახული მასწავლებლის გზა აირჩიოს და ამის შესახებ იმართება საუბარი უფროსსა და უმცროსს შორის.

მასწავლებელი ცდილობს ბოლომდე დარწმუნდეს, სწორ გზას ადგას თუ არა მისი შეგირდი და ამ საქმეს „მძიმე ტვირთს“ უწოდებს.

მოსწავლე კი თავის იდეალად იმიტომ სახავს მასწავლებელს, რომ ის ყველას მშობლიურ გრძნობას უძღვნის, შვილებად მიიჩნევს: „გზებს უსხივოსნებთ ყველა აღსაზრდელს, თითქოს ყოველი თქვენი შვილია, ასე მიყვარდეს, მეც შემიძლია... მასწავლებლობის არ მეშინია“...

მასწავლებელი არ გამორიცხავს თაობათა შორის გაუგებრობის გამოვლინებას. უმადურობას, მაგრამ ამ წინააღმდე-

გობის დაძლევისთვის მზად არის ახალგაზრდა: „ყველა ბრძენკაცის სიბრძნეს ვისესხებ, ხშირად მოგბაძავთ, სხივების მსგავსო, ღმერთს მადლს შევწირავ, ვთხოვ, დამეხმაროს, ჩემს მასწავლებელს რომ დამამსგავსოს“.

მასწავლებელს მიაჩნია, რომ ყველაფერი ვერ მოასწრო, ხელისშემშლელი მიზეზებიც ყოფილა სწრაფწარმავალ ცხოვრებაში.

ამ საუბარმა მოსწავლეს არჩევანზე ხელი ვერ ააღებინა, ის კვლავ ამაღლებული მიზნისკენ მიმსწრაფი დარჩა: „ყველა ვერ აღწევს ოცნებას დიადს, დრო მიზნებს, თურმე, თოვლივით ადნობს, ვეცდები, ჩავწვდე თქვენს ლამაზ ფიქრებს, ვერსკვლავივით რომ აჰკვრია ტატნობს“.

საბოლოოდ, მიზანდასახულ ახალგაზრდას ვერ აშინებს უფროსის გაფრთხილება და გადაწყვეტილებას არ ცვლის. მასწავლებლის იდეალად ქცეულ პიროვნებას რომ დაემსგავსოს და გზის დალოცვას იმსახურებს (გვ. 288-289).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ვლინდება ინტერესი სამყაროს ერთ-ერთი ცივილიზებული ხალხის – შუმერთა სკოლების შესახებ, სემიუელ ნოა კრამერის წიგნისადმი, როგორ სწავლობდნენ და ასწავლიდნენ ხსენებული ქვეყნის სკოლებში. იტალიელი მწერლის ედმონდო დე ამიჩისის „გული“ (მოსწავლის ჩანაწერები), მე-18 საუკუნის ინლისელი საზოგადო მოღვაწის – გრაფი ჩესტერფილდის „წერილები ვაჟიშვილს“, ალფონს დოდეს „კაცუნა“, სუხომლინსკის წიგნი „გულს ვუძღვნი ბავშვებს“.

მშვენიერების შეგრძნება, საზოგადოებრივი დოვლათის დაცვა, უანგარობა, პატრიოტიზმი, მეგობრობა, ერთგულება, ბრძოლა მუქთახორობის, ლოთობის, მომხვეჭელობის, მლიქვნელობის, პროტექტორობის წინააღმდეგ, რწმენის, ტაძრის გზით სიარული... აი, ჰარმონიული საზოგადოების იდეალი...

აღმზრდელის მიზანი უნდა იყოს მოსწავლის „გონების თვალის ახელა“, „ნათლის სიდიადის“ შეგრძნების გაღვიძება.

„ჩვენ ადამიანების ბედით შეწუხებული უთვალავი ილია, გოგებაშვილი, კანტი, დოსტოევსკი და ტოლსტოი გვჭირდება“ (გვ. 275).

ამავე ჭრილში მოიაზრება წიგნის ავტორის მადლიერება სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორებისადმი, განსაკუთრებული, ერუდიციით გამორჩეული ლექტორებისადმი. ესენი იყვნენ პროფესორები: ვახტანგ ვახანია, ოთარ ჭურღულია, ტიტე მოსია. მათთან ურთიერთობა სტიმული გახდა ლიტერატურის გზას ბოლომდე გაჰყოლოდა, თავისი სათქმელი ეთქვა მეცნიერებაში და დაეწერა დისერტაცია „დონკიხოტის რემინისცენციები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, რისთვისაც ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა .

შეხვედრა ქართული პოეზიის დედოფალთან

როგორც ანა კალანდაძის მრავალ თაყვანისმცემელს, „ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორსაც ქართული პოეზიის დედოფალი „მიწიერებას აცდენილი, ამაღლებული, თეთრქულა ღრუბლებზე დედოფლური სამოსით მოსიარულედ“ ესახებოდა. „უფლის წინაშე ლოცვისდარი სიტყვებით მოსაუბრე, ზოგჯერ ფოთლებსაც მიჰყვებოდა ქარდაქარ“.

პირისპირ შეხვედრამ დაარწმუნა, რომ „სიშორისა და მიუწვდომლობის სამოსელი მიწიერით შეცვლოდა.

„შეჩერებულ კადრს დაემგვანა მისი გახსენება“...

ანა ფურცლავდა წიგნს, რომლის გარეკანზეც, წვიმის წვეთებით, ზიგზაგისებურად მოხატულ ხაზებს შორის ეწერა: ანა კალანდაძე. რჩეული.

წიგნის ავტორი იხსენებს ფათერაკიან, აკრძალულ, საშიშ გზას აფხაზეთისკენ. ხიდი ფიცრებამოცვენილი იყო, აბობოქრებული ენგურის ტალღები ასკდებოდნენ კალაპოტს და ჯოჯოხეთური სიშავიდან ამოღწევას ლამობდნენ. ქუჩის ასფალტი უმოწყალოდ გაერღვიათ სარეველა მცენარეებს,

თავხედურად ამაღლებულიყვნენ და კადნიერად აცილებდნენ შეშფოთებულ მგზავრებს.

განადგურებას სასწაულებრივად გადარჩენილი მიტოვებული სახლები გაუცხოებულნი, შელახული და ფერშეცვლილნი იყვნენ.

ოთახში, იატაკზე ვიღაცას უწესრიგოდ დაეყარა წიგნები. მათგან ერთ-ერთი ფანჯრიდან შემოჭრილ ქარს გადაეშალა ლოცვისდარ სტრიქონებთან:

„დიდება შენდა, მეუფეო,
შენდა დიდება:
უცხო ნათელი მოევლება
ამ შებინდებას,
იშლება ირგვლივ ზამთრის სუსხი
ჭრელ-ჭრელ მინდვრებად
და უცხო ნათელს
სული პეპლებრ
გაეკიდება“.

ირგვლივ ყველაფერი მოქუფრული, ჩუმი და სევდიანი ჩანდა.

ანა კალანდაძის სიტყვები კი საკუთარი ფუძიდან გამოდევნილ ადამიანთან ერთად აგრძელებდა გზას.

ერთ დროს მშობლიური, მაგრამ ახლა გაუცხოებული და დადუმებული იყო გარემო.

საზღვარზე ჩანთა შეუმოწმეს, წიგნის სახელწოდება ჰკითხეს, რაზედაც პასუხი არ გაუცია, მერე უინტერესოდ დაუბრუნეს. ამას იგონებდა წიგნის ავტორი, როცა ანა კალანდაძესთან შეხვედრის გამოუთქმელ გრძნობას ეზიარა.

მერე უამბო, როგორ ჩამოაღწია მისმა კრებულმა ნაომარი მიწიდან თბილისამდე, როგორ მივიდა სასკოლო ღონისძიებაზე, სადაც ანა იყო მიწვეული.

ერთ-ერთ თანამშრომელს, მარინას, გაუმხილა, რომ ჩანთაში ანას კრებული ჰქონდა.

ის ურჩევდა პოეტთან მიახლოებას ავტოგრაფისთვის, მაგრამ უარს ამბობდა, რადგან წიგნი შელახული იყო.

ამხანაგის დაჟინებული თხოვნით, მაინც აღმოჩნდნენ დიდი პოეტის წინაშე.

„თქვენი წიგნი, აფხაზეთიდან ჩამოტანილი“, უთხრა მასწავლებლის ამხანაგმა ანას. „პოეზიის დედოფალი“ გარშემოხვეულთ გაეცალა და „ლიტერატურული მოზაიკის“ავტორის წინ „დიდი ხნის უნახავი ნათესავივით“ დადგა.

გაკვირვებას იწვევდა, „ამაყი ქალღმერთის“ ასეთი მოულოდნელი გარდაქმნა.

„პოეზიის საუფლოდან ყოფითი ყოველდღიურობისკენ გადმონაცვლებული ეკითხებოდა: „როგორ ცხოვრობთ... ხომ არაფერი გიჭირთ... ომმა ახლობელი ხომ არ წაგართვათ?“

მერე ანასთან საუბრის მრავალი მსურველი გამოჩნდა და წიგნის ავტორი სკოლის კიბეებს ჩაუყვა. ანა გიხმობსო, უთხრეს და გამოაბრუნეს.

პოეტი მოკრძალებით ეპატიჟებოდა შინ კეთილი მასპინძელივით, როგორც შორეულსა და ახალგაცნობილ ახლობელს.

„ვცდილობდი ვწვეოდი პოეზიით გასხივოსნებულ სამკვიდრებელში, მაგრამ ჩემ ირგვლივ ყველაფერი მეტამორფოზას განიცდიდა. ვიძირებოდი ყოველდღიურობაში, რომელიც ენგურის განრისხებულ, ბობოქარ ტალღებს ჰგავდა და რომელსაც უკვდავებასთან არაფერი ესაქმებოდა. ამიტომ შეხვედრას ანასთან შეერქვა პირველი და უკანასკნელი“, წერს „ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი.

შემდეგ აგრძელებს: „პოეზიის დედოფლის ჩემეულ კრებულს ორი გამორჩეული ხელი შეეხო. ერთი სასტიკი, უსაზარლესი, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულის, ომისა, რომელიც არყევს და თავდაყირა აყენებს ყოველივეს.

„მეორე-ანას მარადიული წარწერა, თვით უკვდავება, ფერშეცვლილი კრებულის გარეკანსა და თავფურცელზე,

წვიმის წვეთებით, ზიგზაგისებურად გამოსახულ ხაზებზე“: „აფხაზეთის ომიდან გადარჩენილი ჩემი წიგნი. პატივისცემით ანა კალანდაძე 23.04.97წ.“

„დრომ მხოლოდ მელნის ფერი გააფერმკრთალა, განა ნათლის სხივი.

„შური და ეგოიზმი, ბოროტების ეს ორი დემონი, არასოდეს არ მორჩებიან თავიანთ თამაშს და პარტიებში ბრძოლასაც დასასრული არ ექნება“, წერდა გოეთე...

„ჩვენ ვერ გავბედეთ ზარის ჩამოკვრა: აიშლებოდა ციხე-ქალაქი, შეიქმნებოდა მიეთ-მოეთი, ღელვა შურისა და ლაპარაკი... ჩვენ ვერ გავბედეთ ზარის ჩამოკვრა“, წერს ანა.

ლამარა გერგედავა იმოწმებს რამდენიმე ამონარიდს მეცნიერის წიგნიდან „ანა კალანდაძის პოეზია-ბიბლიურ-ქრისტიანული მოტივები“:

„ანა კალანდაძის მიზანია შურიანთათვის ნიღბის ჩამოხსნა... შური... თრგუნავს პიროვნების ძალისხმევას, ართმევს გაბედულებას, წარმოაჩინოს საკუთარი ღირსებები“.

„შიში მრავალნაირია.

პავლე მოციქული საუბრობს ღვთის შიშზე, როგორც ზნეობრიობის წყაროზე.

უზენაესთან მიახლოება ანა კალანდაძეს განსაკუთრებული შიშით ავსებს: „ნუ მიახლოვდები შენ, ცისკრის ვარსკვლავო, ნუ მიახლოვდები: ხომ ხედავ, შიშისგან მიწაზე გართხმულან კვლავ ჩემი ტოტები... ო, ნუღა შემოქცევ კვლავ ბედნიერების ყოველი წამით. რას ამბობ, ეს არის... სხვა იდუმალებით აღვსების ჟამი! ნუ მიახლოვდები, შენ, იდუმალებავ, ნუ მიახლოვდები“.

თავი III
ფილოსოფიური იდეალები

წუთისოფელი და მარადისობა

კაცობრიობის ისტორია, მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია, საერთოდ ადამიანური შემეცნება მუდმივად განარჩევს წუთიერსა და მარადიულს, ეფემერულსა და ზოგადსაკაცობრიო მოვლენებს, მომავლისთვის, პროგრესისთვის გათვალისწინებულსა და წარმავალს.

მასა, ბრბო, გაუთვითცნობიერებელი, ცხოვრების საიდუმლოებებში გაურკვეველი სულიერები მხოლოდ ინსტინქტებს აყოლილნი, ყოველდღიურობისთვის ცხოვრობენ, მათ მომავლისკენ, მარადიულისკენ დახშული აქვთ გზა, ხოლო მაღალი იდეალების, სულიერების, პროგრესის მსახურნი მთელი ძალისხმევით ესწრაფვიან სიკეთის, ჭეშმარიტების მსახურებას და მაგალითს აძლევენ მომდევნო თაობებს. მათი მოღვაწეობის ნაყოფი თაობების გზამკვლევია ჭეშმარიტებისკენ.

წმინდა წერილში გამიჯნულია „წუთისოფლის სიბრძნე“ და „ღვთის სიბრძნე“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2, 67) (1, 358)

წმინდა მამა მოგვიწოდებს: „...ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმედის მუზარადით“ (პავლე მოციქული, წერილი თესალონიკელთა მიმართ 5,8) (1, 442).

მხოლოდ ქრისტე, რწმენაა „გადარჩენის წინამძღვარი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 3,10) (2, 470).

„შევიძულე ამაოების დამცველები და მივენდე უფალს“, გვამცნობს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 30/31,7) (1, 416).

ბიბლიური წინასწარმეტყველი სიკეთეს, სხვათა დახმარების უნარს მიიჩნევს მარადისობაში გაღწევის, უკეთურების დამარცხების საშუალებად: „თუ სულს არ დაიშურებ მშიერ-

თათვის და ტანჯულ კაცს გულს მოუფონებ, წყვდიადში ამოგიბრწყინდება ნათელი და შენი ბნელი შუადღესავით იქნება“.

„უფლის მიერ იქნები მუდამ ნატარები და გვალვებში სულს დაგიამებს, ძვლებს გაგიმაგრებს და იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, რომლის წყლები არასოდეს დაშრება“.

„აგიშენდება ძველი ნაოხარნი, აღიდგენ ძველისძველ საძირკვლებს და დაგერქმევა დანგრეულის ამშენებელი, გზათა განმაახლებელი მკვიდრი ხალხისთვის“ (ესაია წინასწარმეტყველი, 58, 10, 11, 12) (2, 117).

„დამაშვრალის გამხნევება“ იყო მისთვის მთავარი (2, 50, 4).

„ჩამოვიბერტყოთ ამაო სოფლის ხიბლი“, გვირჩევს წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანოვი) (3, 394).

„ამაოებათა მსახურნი ვერ ეღირსებიან ღვთის წყალობას“, შეგვაგონებს წმინდა წერილი (იოანე წინასწარმეტყველი, 2, 9) (4, 686).

მოვლენათა სწრაფწარმავლობა აძრწუნებდა მარკუს ავრელიუსს: „სწრაფწარმავალია ყველაფერი და ფოთოლცვენას ჰგავს წარმავლობა“ (10, 34) (5, 251).

„შენ უნდა განბანო შენი ფეხები ყოველი ამაოებისგან, სამშვინველი უნდა გახდეს წმინდა, ვით მოელვარე ალმასი.

მთავარია „საკუთარი ჭეშმარიტი მეს“ ძიება“: „იბრუნე პირი ამა ქვეყნის ყოველი ხიბლისგან“.

„ებრძოლე პირადს, გარდამავალს, განადგურებისთვის განწირულს. საჭიროა სულიერი თვალთახედვის გახსნა.

„განაძევეთ ყოველი მტერი თქვენი: პატივმოყვარეობა, ბრაზი, სიძულვილი“

„...ალაგმე შენში მდაბალი ღვთაებრივით, მარადიულით“.

„ამაღლდი ილუზიაზე, ეძიე მარადიული“, ასეთია ელენე ბლავატსკაიას შეგონება (6, 71, 72, 83, 97).

„ცვალებად, დასაღუპავად განწირულ მიწასთან ერთად“, ღვთისმეტყველები მოიაზრებენ „მშვიდთა მიწას, უკვდავთა მიწას, რომელშიც წმინდანები დამკვიდრდებიან“.

„მიწაც განქარდება და შეიცვლება.ხოლო ნეტარია ის, ვინც მშვიდთა მიწას დაიმკვიდრებს, რადგან ის მიწა, რომელმაც წმინდანები უნდა დაიმკვიდროს, უკვდავია“ გვმოძღვრავს იოანე დამასკელი (7, 357).

ამასთან, წმინდა წერილში გარჩეულია მწვანილის მომყვანი, სასარგებლო, ღვთისგან ნაკურთხი მიწა და ეკლებისა და კუროსთავის აღმომცენებელი, ლამის დაწყევლილი მიწა, რომლის ბოლოა დაწვა“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 6, 7, 8).

„გაწრთვენი გონება მცნებათა სწავლებით, რამეთუ მით წარიხოცება მზაკვრული ფიქრები. ტაძრად ხვიდოდე“.

„სტიროდე ცოდვილზე, ოდეს ყოველში ხელი ემართების, რამეთუ მახვილი მართლმსაჯულებისა აღმართულია მასზე“, გვირჩევს წმინდა ნილოს სინელი (3, 102).

ნეტარი თეოფილაქტე მართალთათვის მოვლენილ განსაცდელს წინსვლის გზად მიიჩნევს: „მართალთათვის განსაცდელი სიკეთედ იქცევა, გამოცდილებას სძენს და წინსვლაში ეხმარება“ (3, 485).

წმინდა წერილისა და ცნობილ ღვთისმეტყველთა შეხედულებებს ეხმიანება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეებისთვის ჯვარცმული საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია: „... ვიწროა გზა ხსნისა და ... ფართოა გზა წარწყმედისა და გადაგვარებისა, სახარების ფორმულის მიხედვით რომ ვთქვათ... ისტორიაში მუდამ მცირენი იყვნენ უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტებისათვის თავდადებულნი, მაგრამ მათი სულიერი ძალა და შემართება მარად სძლევდა მრავალრიცხოვნების წყვდიადს... განგების კეთილი ნება ისტორიის საჭეს სწორედ ამ მცირერიცხოვანთა გზებს უქვემ-

დებარებდა და არა ქაოსის უზომობასა და უსახობას“ (8, 31, 32, 33).

„ყოველი ადამიანი მოწოდებულია იმისკენ, რომ აირჩიოს პირველი გზა, გზა ღმერთკაცობისა, მაღალი სულიერი იდეალის სამსახურისა, გზა საღვთო ქალაქის მოქალაქეობისა, სადაც უნდა გამეფდეს სიყვარული, ჭეშმარიტება და სამართლიანობა.

„... ტოტალიტარიზმის სცილასა და აღვირახსნილი დემოკრატიზმის ქარიბდას შორის მშვიდობით გავლა კაცობრიობის მთავარ მიზნად უნდა იქცეს დღეს“ (8, 60).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მუდმივად ისეთი მაგალითებია შერჩეული ცხოვრებიდან, გამოჩენილ ფილოსოფოსთა, შემოქმედთა ნააზრევიდან, რომლებიც მიწიერ, წარმავალ წუთისოფელთან შედარებით უპირატესობას წმინდა ზნეობას, ამაღლებულ იდეალებს, მარადისობის მსახურებას ანიჭებს.

წიგნში მარტოსულობა, ამაოებაზე ფიქრი ამაღლებული მიზნით, წმინდა წერილის სიბრძნესთან ზიარებით მარცხდება (ჩემი პატარა მეგობარი) (9, 50).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მრავალგზის არის ნაჩვენები წამიერისა და მარადიულის, მცდარისა და ჭეშმარიტების დაპირისპირება: აშკარაა, „როგორი მონდომებით უტევს გარედან წუთისოფლის ტალღა საკლასო ოთახში მოარულ ოცნებებს... და ყველაფერი შემოქმედთა ოინები გგონია“ (გაკვეთილის შემდეგ) (9, 241).

„ცხოვრება მშვენიერებაცაა და სცილასა და ქარიბდას შორის მოარული ხიფათიანი ხომალდიც... შეეცადე, ორივე შემთხვევაში შეძლო მისი მეგზურობა“, შეგვაგონებს ნაწარმოების ავტორი.

ჭეშმარიტი, მოწოდებით პედაგოგი ხედავს, რომ „კარებს მიღმა წარმავალი, მდაბალი რეალობაა, კლასში იდეალური“ და ცდილობს, ამაღლებულს, მარადიულს აზიაროს შეგირ-

დები. ამის საუკეთესო საშუალებაა ლიტერატურა, საერთოდ ხელოვნება, რელიგია, წმინდა წერილი.

„წარმავალიდან მარადიულის აგება შეიძლება“, გვარწმუნებს რუდოლფ შტაინერი (10, 24).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მარტოსულობის, ამაოების, წარმავლობის დამარცხების გზად ამაღლებული მიზანი, განათლებაა ქცეული (ჩემი პატარა მეგობარი) (9, 38).

განსახილველ წიგნში წმინდა გიორგი ეკითხება ეკლესიაში შესულს: „შენ აქ რა გინდოდა“, თქვა თეთრ რაშზე ამხედრებულმა.

„რატომ გიკვირს ჩემი აქ მოსვლა?

„ათასში ერთხელ თუ შემოიხედავდი და...

„იქნებ მეც სიმართლეს ვეძებ.

„სასაცილოა, ზოგიერთებს სიმართლე მხოლოდ მაშინ გაგახსენდებათ, როცა თვითონ გაგიჭირდებათ“.

„გამომცდელად შევხედე წმინდა გიორგის“.

„ადამიანთა ის კატეგორია წარმომიდგა თვალწინ, რომელთაც მხოლოდ გაჭირვების ჟამს ახსოვთ ღმერთი, მეგობარი თუ ნათესავი. მერე... მერე რატომღაც ეკლესია ცხოვრებას შევადარე“ (9, 267).

მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ჭეშმარიტი მორწმუნენიც: „სადღაც ვიღაც საკურთხეველს ჩუმად ეფერება“ (9,282).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ყოველთვის განსხვავებულია წარმავალი და მარადიული, სიკეთე და ბოროტება, თეთრი და შავი, „ცისიერი ხუთქიმიანი ვარსკვლავი და მიწიერი ვარსკვლავი“ (დიდებულნი და მდაბიონი) (9, 136).

მოჩვენებითი ბედნიერების ილუზიას ყოველთვის თრგუნავს ჭეშმარიტება, მიწიერს, წარმავალს აცამტვერებს მარადიულობა.

მხოლოდ უზენაესთან წილნაყარს ხელეწიფება სწორი არჩევნის გაკეთება, წმინდა მორალის გზით სიარული.

უპოვარი, მაგრამ ბრძენი და წმინდა სულის ადამიანი ესათნოება ღმერთს და არა სხვისი გაყვლეფით გამდიდრებული არაკაცი, თუნდაც მეფის ტიტულით მოვლენილი.

ადამიანები „წუთისოფლის შეთხზული ჩანახატები, მოთხრობები, ნოველები და მინიატურები არიან“, ხშირად ურთიერთგაუცხოებულნი, მარტოსულნი, ხოლო ვინც მათ წაიკითხავს და მხატვრულ სიტყვაში მიუჩენს ადგილს, ეს სხვებს დაეხმარება ცხოვრების საიდუმლოების შეცნობაში, მარადისობისკენ გადასასვლელი გზების გაკვლევაში: „გამოცდილი, კეთილი მოხუცი ხიდს წარმოადგენს ჯერ კიდევ გამოუცდელი ახალგაზრდებისთვის, წარსულიდან მომავლისკენ, ღვთისთვის ისინი სასურველი კრავები არიან“

საზოგადოების მიზანი ზნეობრივად ამაღლებული ადამიანების მომრავლება, სრულქმნა, თვითსრულყოფა უნდა იყოს.

წარმავალში მარადიულის, საზღვრულში საზღვარდაუდებელის ძიება, არა ამქვეყნიური წარმატებები, არამედ ჰარმონიის, კეთილშობილების, სათნო, წმინდა ადამიანებით დასახლებული ქვეყნის ძიება უნდა იყოს საზოგადოების ამოცანა, მხოლოდ რწმენის, სიკეთის, მაღალი იდეალების მსახურება გაიყვანს ადამიანს მარადისობაში, ასეთია უფლისგან ხელდასხმულთა აზრი.

„მიხმობს მარადიულობა ყოველივე ამაღლებულისა და მშვენიერისა“, აცხადებს წიგნის ავტორი (9, 282).

283-ე გვერდზე დამოწმებულია არისტოტელეს წერილი ალექსანდრე მაკედონელისადმი: „ადამიანს, ბუნებით მოკვდავს, გარდაუვალი სიკვდილის შემდეგ, თავისი საქმეების წყალობით, შეუძლია უკვდავთა ხსოვნა მოიპოვოს“.

„ფოთლების სიკვდილ-სიცოცხლესა და წარმავლობასთან შედარება პოეტებს უყვართ. მეცნიერები კი გვმოძღვრავენ, დროის გაგებას სიკვდილთან მისი დაკავშირება გვიადვილებსო“, ნათქვამია „ლიტერატურულ მოზაიკაში“.

„ყოველი გაკვეთილი ხშირად გახსენების ლამაზ დღეს-ასწაულს ჰგავს, ის განსაკუთრებულ შესაძლებლობას იძლევა მოზარდები სიბრძნეს, ჭეშმარიტებას აზიარო, წარმავალს გა-ნარიდო, წინსვლა ასწავლო და „ლიტერატურული მოზაიკა“ ამ ურთულეს ამოცანას წარმატებით ართმევს თავს.

258-ე გვერდიდან გვეხმიანება სერვანტესის სიბრძნე: „დედამიწის ზურგზე ბლომადაა ცოდვილი ხალხი და წყვდი-ადში მოხეტიალეთა გასაცისკროვნებად საჭიროა თვალის-მომჭრელი სინათლე“ (9.258).

„დედამიწას განწმენდა სჭირდება“, ასკვნის უფლისწული იკაროსი მოთხრობაში „დიდებულნი და მდაბიონი“. მას ბედ-ნიერებად არ მიაჩნია მეფობა, ხედავს მრავალ უსამართლო-ბას, წარმავლობის მსახურებას, ამაღლებული იდეალების მატარებელნი აღარ არიან ირგვლივ, ყველა სიმდიდრის, ფუ-ლის, ძალაუფლების მონაა, ყველას ზედა საფეხურზე ყოფნა და სხვისი დაჩაგვრა ახარებს. მორალური შეგონებით, სა-კუთარი მაგალითის ჩვენებით უფრო გააღიზიანა საკუთარი ოჯახიც, ირგვლივ მყოფნიც და, საბოლოოდ, ვერაფერს რომ ვერ მიაღწია, სასახლიდან წავიდა, ბოშა ქალთან ჰპოვა თავშესაფარი და იქ დაიღუპა.

„სასახლეში ბოროტი ანგელოზები დაბუდებულიყვნენ. კარგა ხანი იყო, უკვე არც ფუძის ანგელოზს უნთებდნენ სან-თელს და არ ეხვეწებოდნენ, არ ლოცულობდნენ და არ ევედ-რებოდნენ, მშვიდობა დაემყარებინა მეფის ოჯახში, რადგან კეთილ ანგელოზს დიდი ხანი იყო, რაც დაეტოვებინა აქაურო-ბა... იქნებ მოძღვარს იყო ადევნებული კეთილი ანგელოზი, ან ფორტუნას“ (9, 144).

უფლისწული ზეცაში ხედავს თავის სპეტაკი მოძღვრის ხა-ტებას და ჩაესმის: „ორივე საშიშიაო, დიდებაც და დაცემაც. დიდება ტვირთია... კაცნი შიშით იხვეჭენ დიდებას და შიშითვე კარგავენო მას... სწორედაც რომ მოსალოდნელ დიდებას

გამოექცა კაცი, დიდებას ხელით შექმნილს და არა ადამიანთა გულებით“.

ეჭვი და უნდობლობა ღრღნიდა მეფის შვილის გულს და ფიქრობდა: „ვის ძალუძს აღმოფხვრას ყველა მანკიერება და თუ ამოიძირკვა, მოიშალა დედაბუდიანად, მერე არსებობას ინტერესი ხომ არ დაეკარგება?“ (9, 133-134).

ჩინური სიბრძნე ხმიანობს „ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორის სულში: „ყოვლადბრძენი უარყოფს განდიდებას, ყოვლადბრძენი უარყოფს ფუფუნებას. ყოვლად ბრძენი უარყოფს ბრწყინვალებას“.

მოთხრობა „დიდებულნი და მდაბიონი“ სამყაროსავით მარადიულ პრობლემებს უტრიალებს და გვაგონდება ანალოგიური საკითხებით დაინტერესებული წინამორბედები ქართულ ლიტერატურაში: შიო არაგვისპირელის „შემუსვრილი სამი მცნება“, ადამიანის არსისა და ცხოვრების მიზნის ძიებისათვის მიძღვნილი ნოველა.

კონსტანტინე გამსახურდიას „მშვენიერების“ მიხედვით, ადამიანი უკვდავიც რომ გახდეს, მას ისევ თავისიანები, მშობლიური სამყარო მოუხმობს, ფიზიკური უკვდავება არ არის ბედნიერება.

შტაინერის იდეალი იყო „ზემხედველი სული, ქვესკნელებში ხედვის უშფოთველობა“.

„თეოსოფიის“ ავტორი მიიჩნევდა, რომ „სამშვინველზე დაფუძნებულ, ახელილ სულიერ მზერას ძალუძს სამყაროს გამოცოცხლება“.

„ალაგმე შენში მდაბალი ღვთაებრივით, მარადიულით“, ასეთი იყო ელენე ბლავატსკაიას მოწოდება (მდუმარების ხმა) (6, 97).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ შესაძლებლად მიიჩნევა ამაღლება წუთისოფელზე, დაბრკოლებების გადალახვა, ყოველდღიურობაში მარადიულის მოძიება და მსახურება: „წუთისოფელი ზოგს ისე ექცევა, ზოგს – ასე, იქნებ წუთისოფელ-

საც ტყუილად ვდებთ ბრალს ჩვენს საცოდაობასა ან ბედნიერებაში?“ – ისმება კითხვა.

„მიხმობს მარადიულობა ყოველივე ამაღლებულისა და მშვენიერისა“, აცხადებს წიგნის ლირიკული პერსონაჟი, რომელსაც გაუთავისებია სხვადასხვა გზას შორის სხვაობა, რწმენის გზას დადგომია, უპირველესი მნიშვნელობის ღირებულება-სიკეთე, ხალხის სამსახური ყველაფერზე წინ დაუყენებია.

მრავალ ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა შორის „ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორის იდეალია ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, რადგან გენიოსი შემოქმედის „საღმრთო ჰიმნების“ შექმნის საწინდარი იყო რწმენა, მაღალი ზნეობა, ცხოვრებისეულ გამოცდა – განსაცდელთა გაძლება: „საასპარეზოდ მოგვცა სოფელმა წუთისოფელი ადამიანთა, გამოცდა არის ჩვენთვის სიცოცხლე, ასე უცვნია კაცთა ჭკვიანთა“. და ამ განსაცდელ – გამოცდათა უშეცდომოდ ჩამბარებელს არასდროს სტოვებს ზეციური მადლი (საასპარეზოდ მოგვცა სოფელმა) (12, 173-175).

„ბახტრიონის“ ავტორს შეცნობილი ჰქონდა, რომ „წუთისოფელი ფუჭია, ტიალი“ და არასოდეს ღალატობდა მარადისობისკენ მიმავალ ძნელ გზას, რაც უკვდავების საწინდარია (ცაზე იარე მთვარეო, ღმერთს რაცა ვთხოვე) (12, 15, 64).

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
3. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ., 1992
4. ბიბლია, თბ., 2013
5. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1972

6. ელენე ბლავატსკაია, მდუმარების ხმა, თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა თ. თავაძემ, თბ., 2011
7. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ., 2000
8. ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, „ხმა ერისა“, თბ., 1995
9. ლამარა გერგედავა, ლიტერატურული მოზაიკა, თბ., 2023
10. რუდოლფ შტაინერი, ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები, თარგმანი მიხეილ ნიშნიანიძის, „პითაგორა“, თბ., 1994
11. სერვანტესი, დონ კიხოტი, წიგნი II, თბ., 1959
12. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 3, „პალიტრა L“, თბ., 2011

ბედისწერის კონცეპტი

„ლიტერატურული მოზაიკა“ ენიგმებით, სიმბოლურ-მეტა-ფორული სახეებით, ფილოსოფიური პრობლემების დასმით იქცევს ყურადღებას, რაც მთელი მსოფლიოს ბრძენთა, სიტყვის ოსტატთა უპირველესი საფიქრალია.

მოთხრობაში „ჩემი პატარა მეგობარი ანუ გაკვეთილები ერთი მოსწავლისთვის“ ბედისწერის საკითხი წამოიჭრება, როცა საუბარია სულხან-საბა ორბელიანის იგავზე „გლახაკი და ქილა ერბო“.

უნდა ვიწამოთ თუ არა ბედისწერა? ამ შემთხვევაში უპირველესად რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონების დამოწმება ხდება: „რუსთაველს სჯერა, სწამს „ფათერაკის“, ბედისწერის არსებობა: „ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი“, „განგებასა ვერვინ შეცვლის, არსაქმნელი არ იქმნების“.

„ფათერაკი ბედისწერაა, განგება კი ღვთის ნება, მოვლენათა ღვთაებრივი წინასწარგანზრახულობა: „არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა, მიწყივ მბრუნავი“.

ცის ხსენებაზე ერთი მკვლევარი წერს: „ის მოსახდენ ამბებს განსაზღვრავს, ღმერთი და მისი განგება, პირიქით, კეთილია და სამართლიანი, რუსთაველი აქ, ისე, როგორც ყველგან, „ვეფხისტყაოსანში“ ერთს მეორისგან ასხვავებსო.

რუსთაველს ასეთი სტრიქონებიც აქვს: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“.

მასწავლებელი იმოწმებს ერთ რელიგიურ ჟურნალს: „ნუ გჯერათ, რომ თქვენი ყოველი ნაბიჯი წინასწარ არის განსაზღვრული ზეცისგან, ნუ გადააბრალებთ თქვენს ცოდვებსა და შეცდომებს ნურც ბედს, ნურც უფალს, არამედ ითხოვეთ, რომ უფალმა ოდესმე თავისი ყურადღების ღირსი გაგხადოთ. ითხოვეთ ზომიერად; თქვენ მას მიიღებთ: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოთ“ (1,56).

საჭიროა გულითადი ლოცვა, გულწრფელი მცდელობა, რაც გამოსავლის მოძებნის საწინდარია, როგორც ეს მოახერხა პედაგოგმა უსინათლო გოგონასთან შეხვედრებისას (ჩემი პატარა მეგობარი).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი ბედისწერას გარდასხეულების თეორიას უკავშირებს.

„ბედი შედგება ორი ფაქტიური წარმონაქმნისგან, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაში მთლიანად შეეზრდებიან ერთმანეთს.

ერთი გამომდინარეობს სამშვინველის შიგნიდან გარეთ მიმართული მისწრაფებიდან, მეორე მიუდგება ადამიანს გარესამყაროდან. გარეგანი ბედისწერა არის ის გარემოებები, რომელშიც ვიბადებით“ (2, 180).

„გარეგან „ბედისწერას განაპირობებს წინა ცხოვრებაში გაკეთებული საქმეები“ (იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან) (3,66).

„იმით, რაც გუშინ ჩავიდინე, მე შევქმენი ჩემი დღევანდელი ბედი. ჩემი წარსული მკვიდრობს ჩემს აწმყოში და გამომყვება მომავალში“ (3,67).

„განსხეულებისას სულს... წარსული განსხეულებიდან მოჰყვება თავისი ბედისწერა და ეს განსაზღვრავს მის ცხოვრებას... სხეული ექვემდებარება მემკვიდრეობითობის კანონს, სამშვინველი ექვემდებარება თავის მიერ შექმნილ ბედისწერას. ამ ბედისწერას ჩვენ ვუწოდებთ კარმას“ (სულის გარდასხეულება და ბედი).

„იობის წიგნში ტკივილი და ტანჯა შემეცნებისა და სულის ამაღლების საშუალებაა. აქ ტანჯვა გვევლინება, როგორც გამოცდილება, როგორც ამაღლების, უზენაესი განვითარების პირობები“ (შტაინერი)(5,116).

ანთროპოსოფია ოპტიმიზმს გვინერგავს, გვაჯერებს უკეთესი მომავლის შექმნის შესაძლებლობაში.

„ჩვენ შეგვიძლია გარდასული ბედისწერა გამოვასწოროთ და ასევე შესაძლოა ადრინდელ გართულებებს დავამატოთ ახალი, რომელიც მომავალზე იქონიებს გავლენას.

„ცხოვრებას ქმნის არა მარტო წარსულის წინასწარგანსაზღვრულობა, არამედ ახალი წამოწყებები, რომელთაც მომავალში ჯერ კიდევ მოუწევთ ბედისწერის აგება.

„თვით ადამიანის მიერ მომზადებული ბედისწერის ღვთაებრივი ასრულება-აი, სამყაროული სამართლიანობის ჭეშმარიტი ხატი“(ოტო ფრენკლინ ლუნდბორგი)(6,30).

ეს არის „პასუხი კითხვაზე, ვინ გვიგზავნის ჩვენ, ადამიანებს ბედისწერას. ასე გაგებულ ბედისწერას აღმოსავლურ სიტყვას „კარმას“უწოდებენ“(6,31).

ე.ი. განსხვავებულია განგება და ბედისწერა. განგება ადამიანს მიჰმადლებს ნიჭს, გენიოსებს ხელეწიფებათ შეცვალონ

ბედისწერა. გალაკტიონი – „ყოვლისმოქმედი მეფე“, აცხადებდა: „...ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი მძვინვარე ბედი, ქვეყნად ყოველი არსის სული მემორჩილება“(შემოქმედება) (7,38-39).

სხვაგან კი ნიშნისმოგებით მიმართავს ბედს: „მე მიმღები ვარ, შენ კი სტუმარი“.

„ბედს იქით“ ისწრაფოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბედის საზღვრის შორს გაწევის მაგალითია გალაკტიონის სწორუპოვარი შემოქმედება.

ვაჟა-ფშაველასთვის უპირველესი საფიქრალი იყო ერის ბედისწერა, მისი მომავალი: „მინდოდა მკვდარსა გამეგო ქართველთა ბედისწერანი“.

ფშაველ გენიოსს საფლავშიც არ ასვენებდა მშობელი ერის სასიცოცხლო პრობლემები (ანდერძი) (8,64).

„ქართველი დედა, ივერის ბედი: ერთი დარდი მაქვს, ერთი ნაღველი, საგანი ნაღვლის, ქართველი დედა, იმასთან ერთად ივერის ბედი, დღეს უპატრონო, მას უნდა შველა“ (ალბომში) (8,145).

შტაინერის მიხედვით, განგება და ბედისწერა განსხვავებულია.

განგება ადამიანს მიჰმადლებს ნიჭს, სიკეთეს, ხოლო ბედისწერას თვით ადამიანი ქმნის (თეოსოფია).

ყველა მორწმუნე ადამიანს, საკუთარი ძალისხმევის წყალობით, სიტუაციის, ბედისწერის (თუნდაც სხვისი) შეცვლა, სასოწარკვეთილების, უიმედობის, უმიზნობის უკეთესობისკენ წარმართვა რომ შეუძლია, ამის მაგალითია ლამარა გერგედავას მოთხრობა „ჩემი პატარა მეგობარი“, რომელშიც მოძებნილია პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის გზა (1,50 გვ.).

პედაგოგიურ ასპარეზზე მიღწეული წარმატებებით გაძლიერებული მწერალი იმედს წინაპართა პოზიტიურ მოსაზრებებ-

ზეც ამყარებს: „ჩვენ ადამიანების ბედით შეწუხებული უთვალავი ილია, კანტი, დოსტოევსკი და ტოლსტოი გვჭირდება“, ნათქვამია „ლიტერატურული მოზაიკის“ 275-ე გვერდზე.

მაგრამ სიტუაციის გაგებას, წარსულიდან აწმყოსკენ სვლას, მოვლენების უკეთესობისკენ შეცვლას მაღალი ზნეობა, სულის თვალი სჭირდება.

„მე ვხედავდი არა მარტო ფაქტებს, არამედ „ბედის“ (კარმის) მიერ განსაზღვრულ მოვლენებს, სულიერ არსებათა სინამდვილეს“, წერს შტაინერი (ჩემი ცხოვრების გზა (2, 363).

შტაინერი ხედავდა ნიცშეს სულს და მისი ავადმყოფობის მიზეზად მიიჩნევდა განდგომას რწმენისგან.

გალაკტიონი ხედავდა ბედს, სულს: „მე დავინახე მცურავი სული“ (გრიგალი) (9,188).

„მე თითქოს ვუმზერ და თითქოს ვხედავ შენს სულს ტანჯვისგან გასპეტაკებულს“, მიმართავდა ტერენტი გრანელი აკაკი ანდრიაშვილს (აკაკი ანდრიაშვილს) (10,155).

მარკუს ავრელიუსი თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობით მიმართავს ტერმინებს „განგება“ და „ბედისწერა“ (11,297).

„ღმერთებისეული, ღმერთების მიმართ ყოფად მიქცეული ბედისწერითაა სავსე“, წერს „ფიქრების“ ავტორი (11,78).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ფიგურირებს მორწმუნე, ღმერთის, სიკეთისკენ მიქცეული მასწავლებელი, მისი წინამძღვარია სიყვარული უზენაესის, ადამიანის, ის მოსწავლეებს, საგნის ცოდნასთან ერთად, რწმენის, ლოცვის, გაგების გზას უჩვენებს, სულის თვალს აუხელს და სიცოცხლის აზრს აპოვნინებს.

დამოწმებანი

1. ლამარა გერგედავა, ლიტერატურული მოზაიკა, „უნივერსალი“ თბ. 2023
2. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ. 1994
3. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, თარგმანი ლ. ბაბლუანის, ა. კვარაცხელიასი, ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2014
4. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია. შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების სფეროში. თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1976წ. რედაქტირებულია 1995წ.
5. რუდოლფ შტაინერი, შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები. როზენკროიცერობა და თანამედროვე ხელდასხმის პრინციპი. ტანჯვის წარმოშობა. ბოროტების წარმოშობა. როგორ გავიგოთ ავადმყოფობა და სიკვდილი, მთარგმნელი ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2014
6. ოტო ფრენკლინ ლუნდბორგი, რა არის ანთროპოსოფია, „არილი“, თბ. 1995
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „განათლება“, თბ. 1989
8. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 5 ტომად, ტ.3, „პალიტრა L“, 2011
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1977
10. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
11. მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1972

ბედნიერების ძიება

ბედნიერების პრობლემა მრავალასპექტიანია, რადგან ადამიანები არ არიან ერფეროვანი, ერთსახოვანი. ისინი განსხვავდებიან ნიჭით, ზნეობით, მიზნებით.

ბრბო, მასა იღწვის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისთვის, სიმაძღრისთვის, პრაგმატული ინტერესების დაკმაყოფილებისთვის, მისთვის მთავარია მატერიალური მოთხოვნები.

მრავალსახოვანია ინტელიგენცია, ამ კატეგორიაში მოიაზრებიან ზნესრულნი, მორწმუნეები, უანგარონი, შემოქმედებისთვის შეწირულნი და ბოროტების მსახურნიც, ცხოველური ინსტინქტებით დაღდასმულნიც.

საზოგადოების ყველა ფენას თავისი მიზანი აქვს და ბედნიერების კრიტერიუმებიც განსხვავებულია.

„ღმერთებისეული, ღმერთების მიმართ ყოფად მიქცეული ბედისწერითაა სავსე“, გვამცნობს „ფიქრების“ ავტორი (1,78).

„ბედნიერია ის, ვინც კეთილი ხვედრი განუმზადა საკუთარ თავს. კეთილი ხვედრი კი კეთილმიდრეკილებაა სულისა, კეთილი სწრაფვა, კეთილი საქმე“, ასე უკავშირებდა ბედნიერებას სიკეთეს მარკუს ავრელიუსი (1,45).

რუდოლფ შტაინერის მიზანი იყო თავისი „ცხოვრების გადარჩენა შინაგანი გრიგალებისგან“ (ჩემი ცხოვრების გზა) (2,335).

ფრიდრიხ ნიცშეს „ნეტარება“ იყო „შემეცნების მაღალ ანძაზე ჯდომა“ (3,149).

ვაჟა-ფშაველას ბედნიერება იყო სამშობლოს თავისუფლება, სხვისთვის ტანჯვა, სიყვარულის, სიმართლის მსახურება (არავის არ გემდურით (4,215-217).

„აზრი სწორი და შრომა მედგარი, ბედნიერების მოსაპოვებლად ერთი სახსარი მხოლოდ ეს არი“, გვამცნობს პოზი-

ტიური აზრის, ეროვნული იდეალების ერთგული მსახური (წვეთი და ლოდი) (4,244-246).

გალაკტიონის აზრით, მიწიერ ინტერესებს, ოქროს დახარ-ბებულთა ხვედრი გაარაფრებაა, მხოლოდ უანგარო, წმინდა სულის ადამიანებს ხელეწიფებათ მარადიული ჭეშმარიტების მიგნება, ისინი არა წუთისოფლის, არამედ მარადისობის მსახურებას ეწირებიან.

„არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არი, ჟღერს სამშობლოს ხსოვნად ძვირფასი ოქროს ქნარი“, აცხადებდა ქართველი პოეტების მეფე.

„ბედნიერებით გამოწვეულ უბედურებაზე“ რომ საუბრობ-და „შემოდგომის დღეში“ (5,48-49) მიწიერ, პრაგმატულ ბედნიერებას გულისხმობდა, რადგან მიწიერი ინტერესების მსახურება ყოველთვის ეწინააღმდეგება მარადიულ იდეა-ლებს, რომელიც მსხვერპლს, „გულის სისხლს“ მოითხოვს საფასურად.

რწმენა, („სიცოცხლის ვარდი“) ეიმედებოდა, ბედნიერე-ბად ესახებოდა გალაკტიონს: „ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება“ (გრძნობათა ფერფლი) (5, 54).

ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის ბედნიერებას ევედ-რებოდა პოეტი უფალს: „მზე ივერია, ღვთისმშობლის ხვედ-რი, ბედნიერებას მისას ღმერთს ვვედრი, უფალო, მოეც გონი და ძალა, რომ აიცილოს შხამის ფალა“ (5,88).

პოეტის ბედნიერება იყო საქართველოს გადარჩენა ის-ტორიის ქარტეხილებში.

ანა კალანდაძე რწმენაში, უზენაესის გამოცხადებაში, სი-ტყვის მარგალიტის პოვნაში ხედავდა ბედნიერებას: „გამომე-ცხადა რჩეული ჩემი“, გვამცნობდა და ეს „რჩეული“ ნიჭის მომმადლებული უზენაესი იყო, რათა შემოქმედის მადლით გაეცისკროვნებინა მოწოდებით პოეტის სული (არა მრქვა გულმა) (6,22).

ქართული პოეზიის დედოფალი უზენაესის გამოცხადებას მიიჩნევდა ბედნიერებად.

ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი კატეგორიულად ემიჯნებოდნენ წარმავალ იდეალებს და მხატვრული სიტყვის მსახურებას შესწირეს მთელი სიცოცხლე.

„ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან“, ჭეშმარიტებას ღაღადებდა დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია.

მწერლის კალამს „გოლგოთურ ჯვარს“ უწოდებდა მიხეილ ჯავახიშვილი, რომელმაც ჯვარცმის საფასურად დარგო თავისი შემოქმედების „დიდი მუხა“ ქართულ მიწაზე.

„ლიტერატურულ მოზაიკას“ წითელ ზოლად გასდევს მორწმუნეობის, სულიერ-ზნეობრივი სიწმინდის აუცილებლობის აზრი და ამ ჭრილშიც, როგორც ყოველთვის, წინაპართა სიბრძნეს შეგვაგონებს.

ნაწარმოებში დამოწმებულია ჰაინეს აზრი ლესინგის შესახებ: „ისეთი კაცი, როგორიც ლესინგია, ბედნიერი რომ ვერასოდეს იქნებოდა, ამას იოლად გამიგებთ, თუნდაც სიმართლე ასე არ ყვარებოდა და მისთვის ყველგან ასე ჯიუტად არ ებრძოლა, მაინც უბედური იქნებოდა, რადგან ის გენია გახლდათ. „ყველაფერს გაპატიებენ,-შესძახა ერთმა პოეტმა ოხვრით, – გაპატიებენ შენს სიმდიდრეს, გაპატიებენ გვარიშვილობას, გაპატიებენ გარეგნულ სახიერებას, ნიჭსაც კი, მაგრამ უწყალოდ გეკვეთებიან, თუ გენია ხარ... სამწუხაროდ, თვით შენშივე გიმზადებს შენი გენია მტერს, უბედურებას. ამიტომაც არის დიდ ადამიანთა ცხოვრება მოწამეთა ამბავი“(7, 259).

„მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია, მარად და მარად ტყდება ჩინარი. როგორც ჩინარი, ისე პოეტი, მისთვის სიმაღლე არის წამება, არა ღიმილით და ალოეთი, დაჰფარავს

მტერთა ცილისწამება. ის დიადია, დიდია მაინც“... წერს გალაკტიონი ლექსში „ისევ ეფემერა“ (5, 121).

მაგრამ წამება არ აშინებდა პოეტს და მთელი ძალისხმევით ერკინებოდა ბედისწერას, რადგან მისი ბედნიერება ოქრო არ იყო: „არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არი, ჟღერს სამშობლოის ხსოვნად ძირფასი ოქროს ქნარი“, აცხადებდა „სფინქსის“ საიდუმლოებათა შეცნობის მისიით მოვლინებული.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მარტოკაცს ბედნიერებად მიაჩნია ოჯახი, სიმშვიდე, მშვენიერების განცდა, მაგრამ ნათესავის მიერ დატოვებულ საგანძურს კარგავს, მერე ეკლესიას მიაშურებს, მღვდლად ეკურთხება, ხელის ჭუჭყის სანაცვლოდ ღმერთს იპოვის და მაშინ იგრძნობს ჭეშმარიტ ბედნიერებას (მარტოკაცის სამყარო) (7,80).

უფლისწულს, რომელიც ფუფუნებაში გაიზარდა და მეფედ კურთხევა მოელის, ეს არ მიაჩნია ბედნიერებად, მას ენატრება თავისუფლება, ხალხის გაცნობა, თანასწორობის დამყარება, ადამიანთა დაფასება დამსახურების მიხედვით, ტოვებს სასახლეს, გზაში ბოშათა ბანაკს გადაეყრება და იქ იღუპება.

შედარებით ბედნიერია უფლისწულის მასწავლებელი, რომელსაც არაფერი აბადია ცოდნის და წიგნების გარდა, მაგრამ უზენაესის მრწამსით ცხოვრობს და მეფის შვილსაც იმის შეგონებით ზრდის, რომ „სიკეთის განხორციელება არის ადამიანის არსებობის ერთ-ერთი იდეალი“ (დიდებულნი და მდაბიონი)(7,126).

„თმადათოვლილი, ჭკვიანი და ნიჭიერი მოძღვარი“. დაუწერელ კანონებს აცნობდა უფლისწულს და ჰუმანური მრწამსით აღზარდა შეგირდი, მაგრამ სამართლიანობის დამკვიდრებისთვის ამაოდ დაშვრა ახალგაზრდა კაცი. მას „ბედი დასცინოდა, ბედი იყო თუ ბედისწერა, ეს ნამდვილად არ იცოდა“ (7,151).

ჰუმანური მეფის კართან მთხოვნელების არმიამ მოიყარა თავი და, ამის გამო, პირველ რიგში, მამა დაუპირისპირდა, საკუთარი ძალისხმევით მოპოვებული ქონების გაფლანგვა არ აპატია.

„უზენაესი ბედნიერება მეფეთა ხვედრია“, იმოწმებს მომავალი დედოფალი ბერძენი ჰიმნოგრაფის სიტყვებს და სულაც არ ადარდებს უსიყვარულოდ გათხოვება, საქმროს გულგრილობა საცოლის მიმართ. არც უფლისწულის გაუჩინარების გამო უგრძვნია თავი უბედურად, რადგან მისთვის უზენაესი ბედნიერება ხალხის სათავეში ყოფნა იყო.

„სასახლეში ბოროტი ანგელოზები დაბუდებულიყვნენ... უკვე არც ფუძის ანგელოზს უნთებდნენ სანთელს, არ ეხვეწებოდნენ, არ ლოცულობდნენ და, არ ავედრებდნენ, მშვიდობა დაემყარებინა მეფის ოჯახში, რადგან კეთილ ანგელოზს დიდი ხანი იყო, რაც დაეტოვებინა აქაურობა ბოროტთა სიმრავლის გამო“.

მოთხრობა „წვიმის“ პერსონაჟი სხვისი ფულითა და ბეჭდის მითვისებით მატერიალურად მდიდრდება, მაგრამ ვერ აღწევს ბედნიერებას. შვილი ავად უხდება, სიმშვიდეს კარგავს, მუდმივად აწამებს დანაშაულის განცდა.

ნაწარმოებში დამოწმებულია იაპონური ჰაიკუ: „ანკარა წყარო. უზალთუნები ბრწყინავენ ფსკერზე...

მგზავრს მოწყურებულს შიგ ჩაბნევია“...

ამას მოსდევს წიგნის ავტორის კომენტარი: „ვიღაცამ დაკარგა, სხვამ იპოვა, მაგრამ მისთვისაც ფსკერზეა იგი, თუნდაც ამოიღოს იქიდან, შეეხოს“(7,88).

მასწავლებლის ბედნიერებაა შეგირდის აღზრდა სიყვარულით, რწმენით, მაღალი ზნეობით, ფართო თვალსაწიერით, უმაღლეს სიბრძნესთან ზიარება, სამართლიანი გზის მეგზურობა, დახმარება სწორი არჩევნის გაკეთებაში (დიალოგი) (7,288-289).

ურთულესი გზიდან გამოსავლის ძიებაა ნაჩვენები მოთხრობაში „ჩემი პატარა მეგობარი“. ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ, უიმედო, უსინათლო გოგონას სიყვარულით, რწმენით, ლოცვით ჩაუნერგა მოძღვარმა ცოდნის ინტერესი, არ შეეპუა სიძნელეებს, დიდი ძალისხმევით აუხილა სულის თვალი, ეროვნული და საკაცობრიო ცოდნის ნათელს აზიარა, ცხოვრების აზრი აპოვნინა. ავტორის თქმით: „მალე, გოგონა, ალბათ, დაემგვანება უნივერსალური ენციკლოპედიის მკითხველს“ (7, 33-70).

დამოწმებანი

1. მარკუს ავკრელიუსი, „ფიქრები“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1972
2. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ. 1994
3. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ. 1993
4. ვაჟა-ფშაველა ხუთ ტომად, ტ. 3, პალიტრა L“, თბ. 2011
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „განათლება“, 1989
6. ანა კალანდაძე, ლექსები, „მერანი“, თბ. 1982
7. ლამარა გერგედავა, „ლიტერატურული მოზაიკა“, „უნივერსალი“, თბ. 2023

მინდიას რეინკარნაცია

ცნობილია, რომ მოვლენები, იდეები, თემები მეორდება, ახლებურად თუ შეცვლილი სახით.

ქართული ლიტერატურისთვის უცხო როდია მარადიული მოტივების მხატვრული ხორცშესხმა.

მინდია, მისი ყოვლისმხილველობა, საგნების, მოვლენების არსში წვდომის უნარი, ქართული ხალხური პოეზიიდან მომდინარეობს, რომელსაც ახლებურად შეასხეს ხორცი ვაჟა-ფშაველამ პოემაში „გველისმჭამელი“, გრიგოლ რობაქიძემ დრამაში „ლამარა“, კონსტანტინე გამსახურდიამ ნოველაში „ხოგაის მინდია“.

მიუხედავად პრობლემის სხვადასხვაგვარი მოაზრებისა და გადაწყვეტისა, სამივე შემოქმედისთვის საერთო ის არის, რომ ისინი უღრმავდებიან სმენით, ხილვით, ინტუიციით, სიკეთით გამორჩეული ადამიანების ბუნებას, ცხოვრების საიდუმლოებებს.

არსებობენ თუ არა ასეთი ადამიანები, ეჭვს არ იწვევს, მით უმეტეს 21-ე საუკუნეში, როცა ცნობილია მწერალი წინასწარმეტყველები, განსაკუთრებული ინტუიციით, სულის თვალით, მომავლის ხილვის ნიჭით მომადლებულები როგორც მსოფლიო, ისე ქართულ მწერლობაში, დასავლური თუ აღმოსავლური მასშტაბით.

ცნობილია დიდი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის გარდასხეულების თეორია, რომელიც ერთი და იმავე სულის სამყაროში მრავალგზის მოვლინებას გულისხმობს, ამის შედეგად ყოველ ადამიანს თან მოჰყვება წინარე ცხოვრების გამოცდილება, სიბრძნე და ვინც მრავალჯერ ბრუნდება ამქვეყნად, მოგონების თეორიის თანახმად, განსაკუთრებული სულიერი საგანძური გამოარჩევს. ამით აიხსნება გენიოსების ფართო თვალსაწიერი.

გალაკტიონი, რომელმაც ახალი მერიდიანი გაავლო მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე, იზიარებდა გარდასხეულების თეორიას: „მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ, ოცნება ნუ გშორდება, ყოველივე იგი ისევ ისე განმეორდება“.

იგივე აზრია ტერენტი გრანელის პოეზიაში: „განმეორებას ისევ ელიან და ეს ლექსია განმეორება“.

მინდია, როგორც ზოგადსაკაცობრიო სახის რეინკარნაცია, 21-ე საუკუნეშიც გვევლინება. ამის მაგალითია ლამარა გერგედავას მოთხრობა „ქვეყნიერების ხმა“(1,110-114).

ნაწარმოები იწყება ასე: „ის ალბათ, ხადიშათის მსგავსი პატარა გოგონა იყო...ალბათ, ცნობილი მწერლის რომელიღაც სტრიქონს ამოეფარა. მერე, როდესაც ქვეყნიერება შეიცნო, მის გრძნობებს თეთრი, ღვთიური, უხილავი ფრთა შეეხო... ყველაფერი შეიცვალა. მას თითქოს ახალ, შემეცნების სამყაროში უხმეს“ (1,110).

თავიდან გოგონა შეუმჩნეველი, მარტოსული იყო, ამასთან, სიტყვაძვირი, მხოლოდ, როცა წამოცდა, ქვეყნიერების ხმა მესმისო, ჯერ უნდობლად შეხედეს, მერე კი დაცინვის ობიექტად აქციეს: „შენ ალბათ მინდიას ენათესავები, იქნებ ნაწარმოებიდან გადმოსული პერსონაჟი ხარო“.

არავინ იჯერებდა მის დაჟინებულ მტკიცებას, რომ სიმართლეს ამბობდა, რომ მისთვის „ბუნებაში ყველა საგანი თავისებურად მღეროდა, ყველა საგნის მუსიკა მესმის, როცა შევხედავო“, ამაოდ ირწმუნებოდა გოგონა.

ეს არ იყო სიცრუე, ქვეყნიერების ხმა მართლაც ესმოდა. „ჰქონდა თავისი სამყარო, ხელშეუვალი, სხვათათვის მიუწვდომელი და იდუმალი, საინტერესო, სამხიარულოცა და სამწუხაროც“(1,110).

„ქვა, ბალახი, ხიდან ჩამოვარდნილი გამხმარი ტოტი და ფოთოლიც ხმას გამოსცემდა... „... ხმა იყო საოცარი, ნაზი, ძველრბილში რომ დაგივლიდა და ცახცახს დაგაწყებინებდა, აგატირებდა ან ღიმილს მოგგვრიდა, ჩაგაფიქრებდა“.

ეს იყო „ღვთიური ხმა, მუსიკის ბგერები“.

„გავიდოდა ქუჩაზე და ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ, ნაბიჯების ხმას შეუერთდებოდა დო, რე, მი... დო, რე, მი... ცას ახედავდა და შორეული, მიუწვდომელი, დიადი და იდუმალის გამომხატველი ბგერები გაისმოდა, თითქოს ვარსკვლავებსა და მთვარეს გაებათ ურთიერთშორის საუბარი, იდუმალ თავშეყრას ჰგავ-

და... მერე მთვარის სონატას უსმენდა... მზის ამოსვლას დაესწრო... გამოარღვიეს ცის კარები ვერცხლისფერმა ისრებმა, დაირხა ნაზი ბგერები. უთანამგზავრეს დღის მოგზაურს ღვთიურმა ხმებმა... ბოლოს სწორედ ისეთი ბგერები მოისმა, ყველაზე დიადსა და მიუწვდომელს, ყოვლისშემძლესა და უძლიერესს რომ შეეფერებოდა. გადმოიღვარა ქვეყანაზე მზის მუსიკა, მტრედის ფრთასავით მსუბუქად გადაეფარა ყოველივეს“...(1,112).

„მერე ველ-მინდვრებიდან თეთრონი მოჰქროდა, უკვე ტყე-ჭალისა და ნაკადულების, ფრინველების მუსიკა მიაცილებდა თეთრონს“...

ესმოდა ზღვის მუსიკა, თოლიებისა და პალმების ხმა.

შფოთავდნენ ტალღები, თოლიები, თავს იწონებდნენ პალმები.

გოგონას ესმოდა ტალღების მწუხარება, პალმების სიამაყე, თოლიების სადარდებელი. ესმოდა კენჭებისა და ქვის მუსიკა...

გამვლელ-გამომვლელისთვის ყოველივე ეს უცხო იყო, არავის გაეგებოდა ბუნებრივი მუსიკის.

გოგონას არ ტოვებდა საოცრება.

ყველაზე შთამბეჭდავი იყო თვალების მუსიკა.

მის არსებაში ყოველივე რომ ვერ დაეტია, ცალკე მოათავსა დარდის, სიხარულის, მწუხარების, გაოცების, ცნობისმოყვარეობის, სიძულვილის და ა.შ. ადამიანთა თვალები მუსიკით გადასცემდნენ გოგონას სულს ყოველივეს.

„შფოთავდა მისი არსება, როგორ უნდა დაეტია ყველა სიხარული, როგორ მოეყარა მუხლი მზის სიდიადისთვის, როგორ ეცა თაყვანი მთვარისთვის, როგორ დაეამებინა დარდი თოლიებისთვის, როგორ გაეკიცხა პალმები ზედმეტი სიამაყისთვის“ (1,113).

ესმოდა თავისივე ნაბიჯების მუსიკა.

როცა ნაცნობებმაც, რამდენიმე წუთით, თვითონაც გაიგონეს იგივე ხმები, საზღვარი არ ჰქონდა მათ განცვიფრებას, უკვე შეამჩნიეს პატარა გოგონა. მის კვალს მიჰყვებოდნენ, ბაძავდნენ სიარულში. ამჯერად კი არ დასცინეს, დაუჯერეს.

საზოგადოება ორად გაიყო. ზოგიერთების მოწიწებას ბრბოს გაუგებრობა და გაღიზიანება შეენაცვლა, რომლებიც გოგონას ბრალს სდებდნენ გრძნეულებაში, ეშმაკთან წილნაყარობას აბრალებდნენ, რისთვის გაიგოს ჩვენი ავ-კარგი, რისთვის იყოს გაჭირვებულთა მფარველი, ჭკუის მასწავლებელი, ქვეყნიერების ხმა რისთვის ესმოდესო. თანამგრძნობ ერთეულებს გაღიზიანებული ცალთვალა, ბრმა და ყრუ უკეთურნი სჭარბობდნენ.

ავი ენების გესლმა, უნდობლობამ, გზაზე ეკალ-ბარდების მომრავლებამ ცრემლები ადინეს გოგონას, ბრბომ ვერ იგუა თავისგან განსხვავებული, ვერც მისი სიკეთე შეიწყნარა.

ცხოვრებამ დაკარგა ინტერესი, ერთფეროვნებამ მოიცვა გარემო. გოგონას არც ნაბიჯების, არც მზის და თვალების მუსიკა ესმოდა, მის თვალებს დაეკარგა „გრძნეული ხედვის ხიბლი და ქვეყნიერების ხმამ ერთ დღეს ბოლო აკორდი დაუკრა მისთვის“ (1,114).

ამჯერადაც სულით და გონებით უპოვარნი ასეთი გაგებრობით, აგრესიით დაუპირისპირდნენ მათგან განსხვავებულს, როგორც ეს ხდება ხოლმე.

იგივე მოხდა ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელში“. მინდიას სიბრძნეს პრაგმატული საზოგადოება ჯერ უნდობლობით, შემდეგ კი აგრესიით შეხვდა, თვით საკუთარი ოჯახის ჩათვლით. კომპრომისების შედეგად მინდიამ ზებუნებრივი ცოდნა დაკარგა და როცა განსაცდელიდან ვერ გამოიყვანა საკუთარი ხალხი, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ამაში გამოვლინდა ჩვეულებრივთა და რჩეულთა ურთიერთობის ანატომია, ამაღლებულს ვერ უგებენ და უპირის-

პირდებიან მიწიერნი, ჩიხში აქცევენ მათგან განსხვავებულთ, სიკეთით და უხილავის ხილვის უნარით მომადლებულთ.

ვერც კონსტანტინე გამსახურდიას მინდიამ შეცვალა საბოლოოდ ომი მშვიდობით, ბოროტება სათნოებით, ისიც შეეწირა ორი მოსისხლედ ქცეული ტომის შერიგება-დამეგობრების იდეას („ხოგაის მინდია“).

სამწუხაროდ, სიკეთის გამარჯვება მსხვერპლს მოითხოვს.

არც გრიგოლ რობაქიძის მინდიას ადგას კარგი დღე. მასთან დაპირისპირებულმა ნახევარძმამ – თორღვამ, რომელიც მხოლოდ ხმლის ქნევაშია გაბედული და დაუნდობლობის დიდოსტატია, მინდიას ხელიდან ააცალა შეყვარებული ლამარა და ამ ასულის მოტაცების დროს სიცოცხლე მოუსპო მის ძმას – მურთაზს, რაც ქისტ-ხევსურთა შორის დაპირისპირების, თორღვაზე შურისძიების საბაბი გახდა. ამ კონფლიქტურ სიტუაციაში მინდიამ შემრიგებლის როლი იკისრა, იგი ლამარას მამას – იჩოს ეწვია, როგორც თორღვა, რათა მას ეგო პასუხი ნახევარძმის დანაშაულისთვის და ამით დაეცხრო თემთა შორის შუღლი. როცა ლამარას მამამ იცნო მასთან გამოცხადებული მინდია, აღტაცება ვერ დამალა მისი მშვიდობისმოყვარეობის, სულგრძელობის, უდანაშაულო დამნაშავის როლში მოვლინების გამო და ის შვილად მიიღო.

ასე დაცხრა ორი ტომის მტრობა მინდიას უჩვეულო ქმედებით.

მაგრამ ამ შერიგებამ მსხვერპლი მოითხოვა, უკიდურესად დაძაბულ სიტუაციას ვერ გაუძლო ლამარამ, რომელიც მინდიას კი არა, ხმლის ქნევით ცნობილი თორღვას მეუღლე აღმოჩნდა (ნახევარძმები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს და თავიდან ლამარას ეგონა, რომ მისთვის სასურველი მინდიას მეუღლე იყო).

ლამარას აღაშფოთებდა ორ ტომს შორის მოსალოდნელი სისხლისღვრა და უბედურების მოლოდინში სიკვდილი ეწვია.

ლამარა გერგედავას ხადიშათიც (ალბათ კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდიას“ პერსონაჟის სახელზე ყურადღების გამახვილებაც არ უნდა იყოს შემთხვევითი), გაუგებრობას შეეწირა, რადგან, სამწუხაროდ, მუდამ გაუცხოების, გულგრილობის კედელია აღმართული ბრბოსა და გონებაგახსნილთა შორის.

გენიოსებს მუდმივად ესმით სხვათათვის გაუგონარი ხმები, ისინი საინფორმაციო ველში ჩვეულებრივთათვის უხილავს, აწმყოსა და მომავლისთვის გასათვალისწინებელ მოვლენებს ამჩნევენ, რასაც ანთროპოსოფიაში „აკაშას ქრონიკაში“ კითხვა ეწოდება. ზეადამიანური ძალისხმევა სჭირდება გონიერ საზოგადოებამდე სათქმელის მიტანას.

„ჩემი ძალა და სიმღერაა უფალი“ აცხადებდა დავით წინასწარმეტყველი (ფს. 117,14)(2,651).

უფლის „სიყვარულის სიმღერა“ ისმის ესაია წინასწარმეტყველთან (5,1)(3,536).

ზეციურ მუსიკაზე, სულის ხმებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იოგები, ნათელმსმენები.

რჩეულებს ესმით შორეული ხმა არნახულ ეპოქაზე, ესმით სულის ხმა.

ელენე რერიხი ირწმუნება, რომ ასტრალურ სამყაროში სულს ესმის 14 ხმა, მიწაზე-9.

უცნობი ხმა აფართოებს შემეცნებას. ელენე რერიხმა თვით გაიგონა უზენაესის ხმა შამბალაზე და ჩაწერა ის.

ელენე ბლავატსკაია აფიქსირებს ნათელმსმენთა მიერ „მდუმარების ხმის“ მოსმენას.

უსინათლო ვანგას ესმოდა ციური ზარის ხმა, ესაუბრებოდა წარმოგზავნილებს, ხედავდა სულს, ასტრალურ სხეულებს, უცხოპლანეტელებს.

სფეროების, შორეული სამყაროს მუსიკის გაგონება მიწაზეც შეიძლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური. ის შედგება არა მელოდიისგან, არამედ რიტმისგან.

ადამიანს შეუძლია მოისმინოს სხვებისთვის მოუსმენელი ხმა რადიოს გარეშე.

გულსაც აქვს ხმა, სიმღერა.

მღერის სინათლე, უსასრულობა, ხმიანობს განუზომელი სივრცე.

სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის, გარემოს მუსიკის, უმაღლესი სულის ხმის გაგონება შესაძლებელია მხოლოდ სულიერი ცნობიერების განვითარებით.

ცნობილია დანტეს ასტრალური მოგზაურობა ჯოჯოხეთსა, სალხინებელსა და სამოთხეში. პოეტმა სულის თვალით იხილა უხორცოთა სავანე, უზენაესი არსებები, ნათელსმენის უნარით მოისმინა ზეციური ხმები, სინათლის ხმა, „წმინდა ნათელის მეტყველი ხმა“ უსიტყვოდ.

დანტეს სმენას მისწვდა მარიამის მახარობელი ანგელოზის ხმა, ზეციური გალობა ღვთიური, „გადაცდენილი შემეცნების ჩვენის სამანებს“ (4,189).

საღვთო მუსიკა გოეთეს მიერ სახელდებულია, როგორც „სფეროთა ცეკვა, ჰარმონია, ციური ჰანგი“ (5,323).

ზვიად გამსახურდია საუბრობს ტარიელის შესახვედრად მეორედ წასული ავთანდილის მიდრეკილებაზე ასტროსოფიისკენ (მნათობთა ჰიმნი, საღვთო მუსიკა), ნათელხილვაზე, რომლითაც იგი ჭვრეტს სულიერ მზეს. ეს კი პლატონური ფილოსოფიიდან იღებს სათავეს“ (6,287).

დავით გურამიშვილს „ხმა ესმა ძილსა შინაო“ (დავითიანი).

ილია ჭავჭავაძემ გაიგონა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“ ხმა უსიტყვოდ (აჩრდილი).

ილია ჭავჭავაძისთვის პოეტი იყო „ზესკნელისა და ქვესკნელის უცნაურ ხმათა მსმენელი“ (პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ).

ნიკოლოზ ბარათაშვილს ესმოდა „ციურ დასთა გალობის ზარი“ (ვპოვე ტაძარი).

აკაკი წერეთლისთვის პოეტი „რჩეულია ცისა და ქვეყნის“, რომელსაც ესმის „თვით ცისა და ქვეყნის გულისძგერა, ისმენს „უცნაურ ციურ ხმას“ (ოცნება თარზე), „მახარობელი ნიავი“ ევლინება „სიყვარულის, სულიკოს, ვარდის, ბულბულის“ – ღმერთის მაძიებელს (სულიკო) (7,54-56).

„ციდან ხმა მესმის ანგელოზების“, აცხადებდა ვაჟა-ფშაველა (პასუხად H-ს), პოეტს ესმოდა „ხმა სამარიდამ“.

„მთის მწვერვალზე“ მდგარი გენიოსი გვამცნობს: „გულზედ მესვენა მზე, მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა“ (მთას ვიყავ. სიმღერა) (8, 289-290).

ტერენტი გრანელს ესმოდა „ციური ბგერები, ფიქრის შრიალი, ციდან ძახილი, ფიქრის კივილი, ცრემლის შრიალი, დუმილის რეკვა, იდუმალ ძალთა შრიალი, ხეების კვნესა, სიჩუმის ხმა.

საფრანგეთში, პარიზში, ტერენტის ლექსები ფრანგულად თარგმნა და „მემენტო მორის“ ავტორის შემოქმედებაზე დისერტაცია დაიცვა დავით თოთიბაძემ. ის წერს: „ტერენტი გრანელი ისმენს ზეციურ მუსიკას, კოსმიურ ხმებს, მიღმა სამყაროს ძახილს“ (დავით თითიბაძე, ტერენტი გრანელი ხელნაწერი).

„პლანეტების მუსიკას, კოსმიურ ხმებს, მთავარანგელოზის ფრთათა რხევას“ ისმენს ტერენტი გრანელის ლექსებიდან მსოფლიოში ცნობილი მხატვარი და მწერალი რეზო ადამია (9,62).

საკუთარი უკვდავების რწმენას ასე გამოხატავდა პოეტი: „ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“.

რუდოლფ შტაინერის მიხედვით, სულიერი სამყარო დევახანის სამყაროა, ჟღერადი სამყარო, პითაგორა ამ ჟღერას აღნიშნავდა, როგორც „სფეროების მუსიკას“.

„მშვინვიერი სამყარო, სულეთი ისეთივე რეალურია, როგორც გრძნობადი სამყარო.

„ადამიანი ჯერ ნათელხილვის საფეხურს გადის და მხოლოდ შემდეგ ადის სულიერი სმენის საფეხურამდე“, წერს შტაინერი (10, 121).

წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი გვამცნობს: „ზნესრულთ უხილავთ ნათელი ხორციელი თვალებით, კეთილსურნელება შეუყნოსავთ, ხმები სმენიათ საკუთარი ყურით“ (11, 357).

შტაინერის მიხედვით, არსებობს ფიზიკური სამყარო, ასტრალური სამყარო, დევახანური ანუ სულიერი სამყარო.

„თეოსოფიაში“ საუბარია სულიერ ხედვაზე, სულიერ ყურზე, სულიერ სმენაზე, მშვინვიერ მოგზაურობაზე, რომელსაც იგი სულიერი სამყაროს რეალურ ჭვრეტამდე მიჰყავს“ (12, 5).

ქველი ადამიანის აურა არის მოვარდისფრო-მეწამული ან ღია იისფერი.

სულიერებით გამორჩეული ადამიანის აურა განსხვავდება ყოველდღიურ, ტრივიალურ განცდებში ჩაკეტილი ადამიანის აურისგან“ (12, 139).

საგნებს შეუძლიათ მოძრაობა აზრით, ფსიქიკური ენერგიით (შდრ. გალაკტიონი: „სანთელო, გარხევს ღამის ფიქრები“).

დედამიწა და სხვა პლანეტები შემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით არის ჩადებული სრული ინფორმაცია სამყაროსა და ცოცხალ არსებაზე. ადამიანი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველში შესვლა და ჩვეულებრივი თვალისა და სმენისთვის უხილავ – მოუსმენელთან ზიარება.

ყველა ფიზიკურ გრძნობას აქვს შესატყვისი ასტრალურში. ასტრალური ორგანო მოქმედებს, როგორც ტელესკოპის ლინზა და ადიდებს გამოსახულებას. შეიძლება ინფორმაციის მიღება სხვადასხვა კუთხიდან, სხვა პლანეტიდან.

წარსულს, მომავალს ერთნაირად ჭვრეტდნენ დანტე, გოეთე, შტაინერი, ნეტარი ავგუსტინე, ედგარ პო, გალაკტიონი. მათთვის ორგანული იყო სულიერი სმენა, სულიერი ყური, სულიერი ხედვა.

„თეოსოფიის“ მიხედვით, საინფორმაციო ველს „აკაშა ქრონიკა“ ეწოდება, სადაც ყველაფერი წარმოჩენილია სურათხატებით.

ამჟამინდელი ადამიანი შედგება ფიზიკური სხეულის, ეთერული ანუ სასიცოცხლით სხეულის, ასტრალური სხეულის და „მე-სგან“. აკაშა ქრონიკა ეთერული წრის საზღვართან მოიაზრება, ის შეიცავს ყველაფერს, რაც ადამიანს მოუმოქმედებია და რაც ჩაწერილია მარადიული ისტორიის წიგნში, რომელსაც „აკაშა-ქრონიკა“ ეწოდება. ეს არის ერთგვარი სულიერი არქივი, მისი კითხვა მხოლოდ ხელდასხმულთ, მორწმუნეთ ხელეწიფებათ.

გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულის“ ერთ თავს ეწოდება „აკაშა ქრონიკა“.

გალაკტიონი ზედმიწევნით შედიოდა საინფორმაციო ველში, „აკაშა ქრონიკას“ უცდომლად კითხულობდა.

„მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“ (ვაგნერი), წერს პოეტი.

გასაოცარი განაცხადია: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“...

ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ნოდარ დუმბაძის საგულისხმო აზრი: „გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“.

პოეტს ესმოდა სიჩუმის ხმა: „ვისმენ მიდამოს თავგადასავალს, სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს“ (ქარიშხლის შემდეგ).

„მთაწმინდის მთვარის“ ავტორის შემოქმედებაში ფიქრი სუნთქავს, ფიქრი იღვიძებს, ფიქრები უხმოდ კამათობენ, ფიქ-

რი არხევს ოცნების აკვანს, ფიქრი არხევს კისერს, ფიქრი არხევს სანთელს, ფიქრს ხელეწიფება დროთა ჩვენთა შემობრუნება, ფიქრი სინამდვილეზე ძლიერია, ველურ ფიქრს ბასრი ბრჭყალები აქვს, გულს საშინელებით ავსებს... ფიქრი ფრთამომსხვრეულია, უგულო, მანკიერია, ფიქრი მტვერია, ფიქრი ნისლია, ფიქრი ჯვარედინია, ფიქრს ჩადრი ახურავს, იდუმალი ფიქრი ჯაჭვაწყეტილია, ფიქრი გლობუსზე ახალ მერიდიანს ავლებს, ფიქრთა ოკეანე დაფნით მშვენდება, ფიქრი ზღვასავით ხმაურობს სულში... ფიქრი ნათელს ჰფენს, ფიქრი ტაძრად შენდება, საუბარია ფიქრის ვალსზე, ფიქრთ შემფარავ კარავზე“.

„სიყვარულის აზრებს აქვს ნაზი, გაშლილი ყვავილის იერი, თუ ადამიანი აგზავნის ბოროტ აზრს, მაშინ ის წარმოქმნის ბასრ მჩხვლეტავ ფორმას ჭრილობის მოსაყენებლად“, წერდა რუდოლფ შტაინერი (იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან).

სწორედ ამ მოსაზრებას ადასტურებს გალაკტიონის განაცხადი: ფიქრი ლურსმანივით ბასრია, ველური ფიქრის ბასრი ბრჭყალები გულს საშინელებით ავსებს, ფიქრი უგულო და მანკიერია.

გალაკტიონმა შეიგრძნო ზეციური ჰარმონია, მოისმინა „ხმა ახლობელ-შორეული, მსოფლიო ბაგეთ გოდება, ციური გალობა, საღვთო მუსიკა, „საღვთო ბილიკებით“ მავალმა მოისმინა „სიხარულის ხმა“ (სიშორით შენით).

სიხარული საღვთო სახელია. ქრისტე არის „სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა, 2,10)(2,113).

ქართველი პოეტების მეფის შემოქმედებაში ფიქსირდება „გაზაფხულის გამა, ზეცის ჰანგთ კამარა, ცის ჯურღმულის რეკვა“.

მისი ლექსებიდან გვესმის „კოსმიური, ერთადერთი მძლავრი მუსიკა, განწმენდის ხმა, გალობა ახალი, ფიქრთა სამოსის შრიალი, ხმათ აიაზმის ნელი პკურება“.

გალაკტიონი იყო „ზექვეყნიური სიყვარულის“ განმცდელი: „და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს გამოუთქმელი და მწარე ალი, სადა სიტყვა, რომ ამოაშროს გულში ნაგრძნობი და ნაფიქრალი?“

ქართულ ეროვნულ გენიას ესმოდა „ზექვეყნიური უკვდავი ხმები, მომავლის ხმა, ხმა ახლობელ-შორეული, სუნთქვა არაქაური, სიხარულის უვერტიურა, სამოთხის ჰანგები, სულის ხმა, სერაფიმთა ხმა, ციური გალობა, ციური სიმფონია, მომავლის ხმა, არაქაური სუნთქვა, საღვთო მუსიკა, სფეროთა მუსიკა, კოსმიური ხმა, ბროლის რიტმი, ცერერას ტირილი, სიყვარულის ხმა, სინათლის ხმა, ბაიის ბგერა, თვალების ნოქტიურნი, ფიქრების ვალსი“...

მის შემოქმედებაში „ყველა ხე ლექსებს შრიალებს“.

გრიგოლ ნოსელის მიხედვით, „ყველა ხე“ უფლის სახელია.

გალაკტიონს ჰქონდა „ათასის მხედველობა, ათასის მზე, სმენა ასი ათასის“, ესმოდა „საგანთიადო ხმები, ყრუ ძახილი უკვდავებისა, გაზაფხულის გამა, ტალღების გამა“, მისი ხმა იყო „სიმართლის და სინათლის მთესი“.

პოეტის სმენამდე აღწევდა „იდუმალ-მარადიულზე“ მოსაუბრე ვარსკვლავთა ხმა, ანგელოზთა ციური ნანა, ციური გალობა, ცის ძახილი, მეცხრე სიმფონია, მუსიკა შორი“ (ხელოვნება)(13,506).

ანა კალანდაძეს ესმოდა „იდუმალი ხმა“, რომელიც „ცადაფრენად“ უხმობდა (იფნების ძირში) (14,263).

პოეტის მიზანი იყო „სულთ დასამკვიდრები სადგურის“ პოვნა, „სამეუფოთა ცისათა სახლის“ მსახურება.ქართული პოეზიის დედოფალს ესმოდა „ფრთათა შრიალი ლურჯ სერაფიმის“, იდუმალის ხმა, შემოგარენის ჩურჩული, მზე და ნაძვის ხმა, ზედაზნის ტყეებზე სმენას წვდებოდა „შორეთის ხმა“, „მუსიკა ცისა და მიწის“. „იის ბილიკზე იის ხმა“ შეიგრძნო (სამშვილდე, იის ბილიკი).

გონიერებისკენ მოუწოდებდა ანგელოზი, ქერუბიმი, გრძნობდა „ცის ლურჯი სულის სიახლოვეს“, ქერუბიმის ფრთების შრიალს (11,194).

სმენას წვდებოდა უფლის უკვდავების მახარობელი ანგელოზის ხმა, „საბაოთის მძლე ნაბიჯების ხმა“ (მზეწვერზე მაღლით)(15,147).

ესმოდა იდუმალი ძახილი, წმინდა სულის მოწოდება.

პოეტს უხილავს ღმერთის ცეცხლისმიერი მოსასხამი, მისი სახე, თვალთა ბრწყინვა, გაუგონია ამაღლებისკენ მომწოდებელი ხმა: „მრქვა, ჰა, საყდარი ჩემი მაღალი, დამკვიდრებული ზე ნათლის სვეტი, აღვედ, იყავი ზეთ თანაზიარ! მივუგე, ვინც შენ გიხილოს, ნეტარ!“

ტაძარშიც სმენას წვდებოდა დამაიმედებელი, სანეტარო, ხმა: „და მრქვა სასომან: „აჰა, მე მოველ!“ (მტანჯველ ფიქრთაგან დამძიმებული).

პოეტს მარადიულის სული ამხნევებს, „ნათლის სახლში“ შესვლას ჰპირდება (ვინ დაიჩემოს ხატი იგი წარუვალობის).

სიონში ესმის „დიდი დავითის სინანულის შორნი ხმანი შუქთამფინარნი“.

ნინოობისას ბოდბეში ნინოს კაბის შრიალი ესმოდა (ბოდბედან ნინოწმინდამდე).

„იფნების ძირში“ იდუმალი ხმა მადლით ავსებდა.

პოეტის სმენას წვდებოდა იერემიას გოდება (და განიბნია ესე სამეფოც), სიფხიზლის აუცილებლობას შეახსენებდა იერიქონის საყვირი („ჯვარს აცვით ეგე“).

მაგრამ ათეიზმის ზეობისას ტაძარში ბინდია, ნაცვლად სერაფიმისა, მაცდური იმეორებს საუფლო სიტყვებს (აჰა, მაცდური აქაც შემომყვა).

ეშმაკეული წმინდანის ნიღაბს იკეთებს: „ოსანა, მესმა ხმა ეშმაკისა“.

„მესხეთ-ჯავახეთის ნასახლარებთან „გულის გასახარს რეკავს სატანა“.

სმენას ეწვეთება „გრძნეული ხმა დედამიწისა“, „მიღმა-ქვეყნიურ სინათლეს, ზეცის ფარულს სხივს“, ელვას ხედავს, ცისკრის ვარსკვლავის მოახლოებას შეიგრძნობს.

ჯრუჭულას ღვთაების მთაზე ჯრუჭის ოთხთავი გადაუშლია ტაძრის მნათეს, იქ ანგელოზები ისადგურებენ, იქვე ანათებს „სხივშარავანდი მათი უსწორო, ნათელი სული წინაპართ ჩვენთა“.

პოეტს უხმობს შეუცნობელი, „ცათუმაღლეს ტაძარში“ უხილავს „ხატი უბიწო, უსხეულოსი განსხეულება“...

მისი სალოცავია „წყარო უბიწო“.

„გარდამოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმაღლდები ზეცის კარამდე“, გვამცნობს „მაცოცხლებელი დიდი სულის“მადლის მიმღები პოეტი.

ანა კალანდაძე არასოდეს წყვეტს კავშირს უზენაეს სულთან, „ნათლის სახლში“ მკვიდრდება, „წმინდა ნათელი“ ეხვევა (ჩამოჰკრეს მწუხრის).

ლექსში „თვალ-მარგალიტის ელვარე სხივთა“ უზენაესის გამოცხადების შთამბეჭდავი მომენტია: „უხილავისა გაიღო კარი, მუნით დადებულს ვხედავდი სახეს, ვგრძნობდი სულ ახლოს მე ფრთათა შრიალს, თვით სიხარული იდგა ჩემს გვერდით“ (14,209).

სიხარული საღვთო სახელია. ქრისტე ღმერთი არის „სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა, 2,10)(2,113).

„ორი ქვეყნის საზღვარზე“ მდგარ პოეზიის დედოფალს ესმოდა „ცის და მიწის მუსიკა“, მზის და ნაძვის ხმა (12,25), ჯვარცმული მესიის კვნესა (ჩამოუქროლებს სასაფლაოს) (14,67).

ნეტარმა ავგუსტინემ გაიგონა თვით „თავადის“ (ღმერთის) ხმა (6,150).

ქართული პოეზიის დედოფლის შემოქმედებაში ყურად-ღებას იქცევს ლოცვა-ვედრების მოტივი.

„ლოცვა არის აღსვლა გონებით ღმრთისად“ (იოანე პეტრიწი) (17,182).

„შემეცნებას, ხელოვნებას და რელიგიას ერთი და იგივე წყარო ასაზრდოებს. ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ ისეთ ფშვინვიერ წყობას, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ჩვენი საფშვინველი შეძრულა რელიგიურით და გამსჭვალულია მხატვრულით“ (18,99).

„მხოლოდ ინტელექტუალური აზრები მკვდარია, არიმანულის პროდუქტია, გზა-კვალს ურევს, ზემიწიერ ძალებს წყვეტს ადამიანს, მთავარია სულიერებისკენ მიმავალი გზის პოვნა“ (18,42).

„სულთან წილნაყარი უნდა გახდე, რათა შეძლო მის გამოცხადებათა გადმოტანა გრძნობად სამყაროში“, წერდა შტაინერი.

„ყოველ ფერს, ყოველ სინათლეს შეესაბამება ჰარმონია, მელოდია და ხმა“, აცხადებდა ანთროპოსოფიის ფუძემდებელი და ყურადღებას ამახვილებდა „სულიერ გემოზე“, „სულეთის მატერიკის მასაზე“, „სულიერ მუსიკაზე“ (თეოსოფია) (12,107,108).

ვასილ ბარნოვის მოთხრობაში „მსახური ეკლესიისა“ მღვდლად კურთხევის შემდეგ მამა იაკობს ესმოდა „ხმა იდუმალი, ძახილი რამ საიდუმლო, რომელიც მოუწოდებდა ქველმოქმედებისკენ... გრძნობდა ანგელოზის ფრთათა შრიალს, ხმა გამამხნევებელი მოესმოდა... მისი სხეული თანდათან ჰაეროვანი ხდებოდა, უერთდებოდა ბრწყინვალე ანგელოზთა გუნდს, ესმოდა მათი ხმა“ (18,345-363).

უაღრესად მორწმუნე პოეტის და რაინდული სულით გამორჩეული ეროვნული გმირის-მერაბ კოსტავას ლექსში „ღირს მამა-დავითს“ ნათქვამია: „მთაწმინდის ზეცა თავადაა ლოცვა ანკარა, ლოცვა წართქმული წმინდა ბაგით მამა დავითის“.

შემდეგ წმინდა მამა შედარებულია გულთამხილავ ფრანჩესკო ასიზელთან, ვაჟა-ფშაველას მინდიასთან: „ასიზელისკენ ძმობის ხიდი ღვთით გაგიდვია და მთა ულუმბოს ბინადართაც გადაამეტე, შენ თავად იყავ ფშაველ ვაჟას ბრძენი მინდია, იდუმალწვდომით მინდიაზე იყავ უმეტეს... ანაზდეული ჩამოგესმა რეკვა ციდანა, იესოს კვალზე როს ედემში ალვად იზარდე... საუკუნეთა გოლიათურ გადაძახილში ხმას მოგაწვდენთ შენი შიო და ზედაზნელი“...

ლექსში ხაზი ეხება მესიანისტურ იდეას, რომ საქართველო უფლის დედის წილხვდომილია და ცამეტი ასურელი მამის ღვაწლის მოწონების ნიშნად თბილისის ცაზე მარიამ ღვთისმშობლის ღიმი აღიბეჭდება: „მოხვედით დასით ცამეტთა მწირთა ასურთა, როს შორეული მყინვარწვერის ელავდა ქიმი, უკვდავებასთან დადებული აღთქმა აღსრულდა და თბილისს ცაზე აღებეჭდა ღვთისმშობლის ღიმი“ (20,104-104).

კოსმოსისკენ ისწრაფვის, ცათა ცას ხედავს, ლაჟვარდისფერი ხილვები იტაცებს, ზეციდან ესმის განუმეორებელი „ცის პოლიფონია“ ჩვენს თანამედროვე ნიჭიერ პოეტს რობერტ მესხის (თქვი, რომ ეს შენა ხარ) (21,51).

მერაბ კოსტავას წერილში „ილია ჭავჭავაძე“ „აჩრდილის“ ავტორზე ნათქვამია: „ენაში ერთდებიან მისთვის მიწიერი და ზეციური ხმები. მისი მსოფლგაგება გასაოცარ მთლიანობაში წარმოგვიდგენს ღმერთს, ენასა და მამულს“.

აქვე საუბარია ილია ჭავჭავაძის წმინდანად გამოცხადებაზე, მისი ხსენების დღედ გამოცხადდა 20 ივლისი ძველი სტილით, 2 აგვისტო ახალი სტილით.

პატრიარქის მიერ წაკითხული სინოდის განჩინების მიხედვით, უნდა დაწერილიყო წმინდანისათვის საჭირო ლოცვები, უნდა შექმნილიყო წმინდა ილიას ხატი.

წმინდა ილია მართლისადმი აღვლენილი პირველი წირვა ჩატარდა 1987 წლის 2 აგვისტოს, სვეტიცხოველში, ხოლო საღამოს გაიმართა პარაკლისი მთაწმინდაზე, ილია მართლის

საფლავთან. პარაკლისის დროს ცაზე გამოჩნდა ორი უზარმაზარი ცისარტყელა, კაცობრიობის მიერ ღვთაებრივ ნიშნად მიჩნეული მას შემდეგ, რაც პირველად გამოუბრწყინდა იგი წარღვნის დასასრულს ბიბლიურ მოსეს. თითქოს გამართლდა ლოცვა-ვედრება „აჩრდილის“ ბრძენი მოხუცისა: „ჰოი, სახიერო, ცისარტყელა განავლე ცასა, რათა წარღვნისა მოლოდინი ნარხოცო ხალხსა“(22,175-176).

ნიკო სამადაშვილს ესმოდა ღმერთის გაფრენის ხმა, ზეცის ზარი, მთების ხველა, ღამის მაჯისცემა, ქვესკნელთ გალობა, ხმაგაკმენდილი გზის ყვირილი“(23,194,237).

ესეების, წერილების, თარგმანების, ოცდაათი ბიოგრაფიული რომანის ავტორი როსტომ ჩხეიძე პოეზიაშიც გამოირჩა „მზის საფეხურებით“ და „ვარსკვლავთა ბილიკებით“ (ლექსები პროზად. „ჩვენი მწერლობა“, თბ. 2016).

განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს და საერთაშორისო მასშტაბით საგულისხმოა პოეტური კრებულის „გალობანი გალობისანი“ (24,23-29).

წიგნის ავტორი წუხს, რომ სისხლში განბანილი აგვისტოს ტრაგედიებმა შეუძლებელი გახადა „წარუვალი მუსიკის“, „სამყაროს ორატორიის“ მოსმენა, მაგრამ ის მაინც მთელი არსებით აყურადებს მხოლოდ რჩეულთათვის გასაგონ ჰანგებს.

სამაროვანთან იდუმალი ხმები ესმოდათ ნიკოლოზ ბარათაშვილს, ლადო ასათიანს, ტერენტი გრანელს, ფრიდრიხ ნიცშეს, გალაკტიონს.

როსტომ ჩხეიძეს მოუსმენია „გალობანი გალობისანი“, ზეცისა და მიწის შემკვრელი, რაც სულიწმინდის მადლით გამორჩეულთა ხვედრია.

„ძვალი მღერის, ძვალი გალობს, ძვალი იღვრება მელოდიებად“, გვიბეჯითებს როსტომ ჩხეიძე (24,17).

აღნიშნულია, რომ სფეროების, შორეული სამყაროს მუსიკის გაგონება მიწაზეც შეიძლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური.

სფეროების მუსიკა შედგება არა მელოდიის, არამედ რიტმისგან.

კოსმოსში ცხოვრობს ის გონიერი ძალა, რომელსაც ეწოდება კოსმიური რიტმი. მარადისობის ხმას მივყავართ სიკეთისა და სინათლისკენ.

მღერის სინათლე და ხმიანობს განუსაზღვრელი სივრცე.

„სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის, გარემოს მუსიკის გაგონება შესაძლებლია, მაგრამ უმაღლესი სულის ხმის გაგონებისთვის აუცილებელია სულიერი ცნობიერების განვითარება“, წერს ელენე რერიხი (25, 16 ,53, 63, 91, 14, 164, 191, 245, 411).

როსტომ ჩხეიძის პოეზიაში „რას შრიალებს ტოტი ვერხვისა“ ვარიანისა და შინდისის საზღვარზე ამოზიდული ვერხვის წინაშე მლოცველთ შევესწრებით. ვერხვი ეკლესიასთან არის გაიგივებული.

ჩვენს ცხოვრებაში დიდი გამყინვარების პერიოდი რომ დადგა, ხალხი ხეებს შეესია, კელაპტრები ბუხრებისა და ღუმელებისთვის გაიმეტეს. გეგენას ესმოდა საბრალო ხეების კვნესა-ვედრება, სოფელს არა, ისინი ხმელ ხეებს კი არა, ცოცხალ ვერხვს იმეტებდნენ. ბოლოს ერთადერთი ვერხვის გადასარჩენად გეგენამ ხეზე ღვთისმშობლის ხატი მიაკრა და ამით უკან დაახევინა უკეთურთ. ჯერ პირჯვარი გადაიწერეს, მერე ლოცვაც დაიწყეს, მერე სხვა ხატებიც შემატეს ვერხვს და ხე ეკლესიას დაემსგავსა, მლოცველები მოზღვავდნენ ქარსა თუ წვიმაში, შემოდგომით კი კელაპტარს დაემსგავსა.

გეგენას ამქვეყნიდან წასვლის შემდეგაც არავის უფიქრია ამ ხე-ეკლესიის ხელყოფა, პირიქით.

ამ ადამიანის ხსოვნას ეს ვერხვის ხე ინახავდა, გიჟად რომ ჩათვალეს ადრე, ვერ აცნობიერებდნენ, რომ მხოლოდ მას

ესმოდა ხეების კვნესა, ხეების ჩივილი, ხეების ვედრება და ღვთისმშობლის სასწაულებრივი ძალით უკან დაახევინა ნაჯახმომარჯვებულ ადამიანებს, უფრო მეტი, სალოცავ ხატად უქცია.

ვარიანისა და შინდისის საზღვარზე ვერხვის იდუმალი შრიალი საგალობლად ქცეულიყო“ (მზის საფეხურები) (24, 37-41).

ვერხვი სიცოცხლის ხეა, როგორც ალვა, პალმა, კიპარისი.

როსტომ ჩხეიძის ლექსი ერთგვარი შეხმიანებაა გალაკტიონის „ვერხვებთან“.

„ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი“ „ქარის დაბერვის“- შთაგონების მოვლინების ჟამს გალაკტიონის სულში უკვდავ სტრიქონებს ააშრიალებდა „უშორეს ზღაპრად“ და „ძველი ღვინის სმით უგონოდ, მძაფრად“ თვრებოდა პოეტი, ანუ რწმენას ეზიარებოდა, რადგან „ძველი, დაწმენდილი ღვინო“ უფლის სახელია ესაიას წინასწარმეტყველებაში (25,6) (ბიბლია, 2013,გვ. 546).

ქართველი პოეტების მეფე ათეისტურ ეპოქაშიც უფლის და „პრინცესას“ – მარიამის ერთგული მსახური იყო.

ვაჟა ეგრისელს ესმოდა „სიხარულის ხის“ შრიალი, მართასა და მარიამის ვედრების ხმა, ციდან ვარსკვლავების „ლილე“, ქალდეველთა ზარის ხმა, ატლანტიდელთა ხმა, მთვრალი მთების ხორხოცი, ცბიერი ალენ დალესის ხმა, გიორგი მთაწმინდელის ხმა, შავეთიდან მოესმა დევებისა და ალქაჯების ხმა, მას „ხმის ძლევამოსილი იმპერიიდან“ ესმის ორფეოსის ხმა, ზარი არეოპაგელის, ანგელოზის გალობა, მარადისობის არია, მნათობების ღვთიური ჰიმნი, დედამიწის ბრუნვა, უზენაესის ხმა, თავადის ხმა, ხმები ცათა საყვირის, ასევე „უხმო ხმა“ იქცევს ყურადღებას „კოლხურ ფსალმუნებში“.

პოეტისთვის სირინოზების, სცილასა და ქარიბდას დამარ-ცხების ძალა იყო რწმენის ერთგულება, ოლიმპოს მთიდან ესმოდა ზარების რეკა, ლაზარეს სუნთქვა: „საიდანღაც ლა-ზარეს ჩუმი სუნთქვა იგრძენ და ჭვრეტ იგავ-მითებში ადრე ტაბუდადებულ საიდუმლო სიბრძნეს“, ნათქვამია ლექსში „ხილვა: ლაზარეს აღდგენა“.

„ვარსკვლავების სიშორე გათოვს, ვითა გათოვდა... მაინც ცისკენ იურვი, – საიადანაც მნათობთა ისმენ უვერტიურას“ აცხადებს ერთგან.

ლექსში „უფალმა მით შთააგონა“ პოეტს ესმის „ზესთა – ზესის ხმები უსათნოესი“ (26,30).

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ამერიკაში მცხოვრები ქართველი პოეტის თეა კანდელაკის პოეზია: „აშრიალდება წვიმის ფსალმუნი, მე გამაოგნა, რა სასწაულ მელოდიას უკრავდა წვიმა, წვიმის რექვიემი, ხმა დედამიწის გულისცემის“ (27,94,112,240,241,325).

საყოველთაოდ აღიარებული პროზაიკოსი და პოეტი ოთარ ჭილაძე წერდა: „...მეც განმიცდია, რასაც განიცდის ყველა მოკვდავი, როცა შემოდის სულში მინდია – ყველაფ-რის მცოდნე და საცოდავი“ (ბავშვობა ერთი ბოლოა თოკის) (28,58-90).

ლექსში „შემოდგომა ანანურთან“ ნათქვამია: „და ჩემი სული, როგორც ანტენა, იჭერს გარდასულ ხმასა და სუნ-თქვას“ (28,60-61).

ჩვენი თანამედროვე ნიჭიერი პოეტი 13 პოეტური კრე-ბულის ავტორი გულნაზ ხარაიშვილი აცხადებს: „იალბუზიდან ხმები მესმის რაღაც ახალის, ხმავ, ზეციურო, ისევ ჩემთან ამოზვიადდი, სიო მაწვდის ლამაზ ბგერებს, მესმოდა ძარ-ღვების ფეთქვა, ყურში ჩამესმის დედამიწის ღერძის ტრია-ლი“. პოეტი სმენას წვდება „უნაზესი ენძელების ჩურჩული“, „სფეროების მუსიკა“(29,149).

მამა გაბრიელის საფლავის ზეთით, წმინდა სულით გაბრ-ძნობილი პოეტი გვამცნობს: „ლოყას ცრემლით ჯვარი და-მეხატა“.

გულნაზ ხარაიშვილის ძმას, 29 წლის ასაკში ჩვენი სამზე-ოს დამტოვებელ ბეჟან ხარაიშვილს გამოარჩევდა უცდომელი ნათელხილვა და ნათელსმენა. მას ესმოდა ჩვენს სოფელზე დადარაჯებული „მგლების ყმუილი“, ელანდებოდა „დევის ხა-ხა“ და „დაკარგული კენტი ბილიკი“, მიტოვებული საყდრები, ევლინებოდნენ ჰადესის აჩრდილები. პოეტმა იწინასწარმე-ტყველა 2015 წლის 3 ივლისის წყალდიდობა, სახლების იავარქმნა, ადამიანთა მსხვერპლი, წინაწარ იხილა აფხა-ზეთის, სამაჩაბლოს, ახალგორის 160 სოფლის დაკარგვა 2008 წელს, საკუთარი სიკვდილის თვე და რიცხვი (27,269).

ამ ოჯახის მესამე წევრის – გვანცა ხარაიშვილის მახა-სიათებელია უხილავის ხილვა, მიწიერი და საღვთო სიბრძნის გარჩევა, საღმრთო სიყვარულთან ზიარება, მისი „ფიქრი მომავლის ძახილია ტვინში“, სიკეთის ჰიმნი, მისი გზამკვლე-ვია არა დემონები, არამედ ანგელოზები, „ვარდისფერი წვი-მა“ (30).

წვიმა საღვთო სახელია ფსალმუნში: „იგი ჩამოვა, რო-გორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71-72, 3,597).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ლიტერატურული სამყარო ცის, უზენაესის მადლია, მხატვრობასთან, მუსიკასთან, სიბრ-ძნესთან წილნაყარი, „ნათლის სვეტია“, რომელიც „გარდა-სულ სულთა საგალობლებს“ გაზიარებს, წარმავალი, მდა-ბალი რეალობიდან იდეალურს შეგაგრძნობინებს“ (კლასში) (1,13)

მასწავლებლის სურვილია, გაკვეთილი „ჰგავდეს სრულ-ყოფილ სონეტს, ან დიდებული პოემის პროლოგს, ან სიტყვა-კაზმულ ლირიკულ პროზას“... („ღრუბლები“) (1,15).

მოძღვარს, შეგირდს თავისი სამყარო უნდა ჰქონდეს, შორეული ექოს შეხმიანება, მარადიულის ძახილის გაგონება უნდა შეეძლოს (რომანტიზმი და რეალობა)(1,21-23).

გალაკტიონის შემოქმედებაზე შეყვარუბულ მოსწავლეს „მისი ყოველი ფრაზა შეუძლია აღიქვას, როგორც ფერწერა, როგორც მუსიკა და როგორც ამოუცნობი, ოკეანისეული სიღრმე“ (აგვიანდება) (1,26).

და, მართლაც, გალაკტიონის არსებაში გენიის ზღვა, „ფიქრთა ოკეანე“ ხმაურობდა (რას ნიშნავს ზღვა ახმაურდა? გურიის მთები).

ჩანახატში „აფხაზეთში“ „მწუხარე ღმერთმა ზეციური სამყოფელიდან ანგელოზის ვედრებას მიაყურადა ფხიზელი სმენა“ (1,30).

„ლიტერატურული მოზაიკის“ მთელი რიგი ადგილები ყურადღებას იქცევს რიტმულობით, სამყაროს, გარემოს მუსიკალური აღქმით.

„გვიანი შემოდგომა ფოთოლცვენით ერთობა, მერე, თითქოს, არენიდან, სიბელიუსის მეხუთე სიმფონიისა და მოცარტის სერენადების თანხლებით, მშვიდად, ნელა გადის და ხელს უკანასკნელად გვიქნევს“ (ჩემი პატარა მეგობარი ანუ გაკვეთილები ერთი მოსწავლისათვის) (1,33).

„მარტოკაცის სამყაროში“ ნაბიჯების ხმა მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორების, მხატვრების ასოციაციას იწვევს: „მოდიოდნენ...თითქოს ყოველი ნაბიჯის ხმა ჯერ ბეთჰოვენის, მერე მოცარტის, მერე კი ვივალდის ბგერების გარემოცვაში რიტმულად მოისმოდა... ახლა უკვე ყველაზე უკეთ ესმოდა კლოდ მონეს სურათის – „მზის ამოსვლის“ შინაარსი“(1,71).

„ლიტერატურული მოზაიკის“ მოთხრობაში „ფრესკა ნანგრევებზე“ ფრესკა ადამიანებს შორის მოგზაურობს და ურწმუნოებს ამუნათებს: „...თქვენმა ცოდვებმა მე შთამბერაო სული და იძულებული გამხადაო მევლო მიწაზე“...

„...სადღაც ქარიშხალი ზარებს ეხლებოდა და მისი ხმა რაღაც ახლის მაცნეს ჰგავდა... ფეხადგმული ფრესკა სადღაც სამოგზაუროდ წასულიყო“ (1,109).

სხვაგან ყურადღებას იქცევს „მონარქის ზვიადი გამოხედვა და ნაბიჯების ხმა დიადი, ვითარცა ღვთაებრივ ჰარმონიულობამდე ამაღლებული კლასიკური მუსიკა“.

მერე: „სევდა მონარქის თვალში, შეწყვეტილი მუსიკა ნაბიჯებისა...

„მთვლემარე სამყაროს ამოსუნთქვა ხანგრძლივი პაუზის მსგავსი...

„დუმილში ხმაურობს პოეზია დიდი პოეტისა: „...მწუხარედ ჰქროდა ციურ სოფლად ჩვენი საღამო“ (1, 246).

წიგნის 279-ე გვერდზე მუსიკის ძლევამოსილებაზე საუბარი რომენ როლანის, პითაგორას, ლაიბნიცის მოსაზრებებით მყარდება: „ხელოვნება უშრეტიაო ისე, როგორც ცხოვრება, უთქვამს რომენ როლანს და არაფერი გვაგრძნობინებსო ამას უკეთ, ვიდრე მუსიკა, ოკეანე მუსიკისა, რომლითაც აღსავსეაო საუკუნეები. თურმე პითაგორა „მსოფლიო ჰარმონიაში“ მუსიკას განმარტავდა, როგორც ბგერათა რიცხობრივ შეთანაბრებას, ლაიბნიცი კი მას სულის საიდუმლო ვარჯიშს უწოდებდა (1,280).

სხვაგან „ავსული ქარი“ უძლურია, ჩაახშოს სულის მისწრაფება მარადიულობის, ამაღლებულისა და მშვენიერებისკენ: „ავსული ქარი სმენას მიხშობს... ქვითინებს იგი, ზოგჯერ იღლება თავაწყვეტილი, ქროლვით სიქაგაცლილი და წინააღმდეგობა ვერ გაუწევია იმისთვის, რაც მეძახის .. მიხმობს მარადიულობა ყოველივე ამაღლებულისა და მშვენიერებისა“... (1,282).

„დედამიწის იქით... უშველებელი, ამოუცნობი სივრცე ახამხამებდა თვალებს და უცნობ ბგერებსაც გამოსცემდა“, ნათქვამია მოთხრობაში „დიდებულნი და მდაბიონი“ (1,119).

სიტყვის მუსიკალობაზე საუბარი განსაკუთრებით გალაკტიონის შემოქმედებას უკავშირდება და სრულიად ბუნებრივია გახსენება აკაკი გაწერელიას „ლერწამი და გობელენის“ სტრიქონებისა: „გალაკტიონ ტაბიძის დასაფლავება სიტყვის მუსიკის გამოტირება იყო“ (1,263).

რუდოლფ შტაინერი წერდა: „ყოველ ფერს, ყოველ სინათლეს შეესაბამება, ჰარმონია, მელოდია და ხმა“, თან ყურადღებას ამახვილებდა „სულიერ გემოზე“, „სულეთის მატერიკის მასაზე, სულიერ მუსიკაზე“ (თეოსოფია) (12,107, 108).

დამოწმებანი

1. ლამარა გერგედავა, „ლიტერატურული მოზაიკა“, „უნივერსალი“, თბ. 2023
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები“, სტოკჰოლმი, 1992
3. ბიბლია, თბ. 2013
4. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ. 2012
5. გოეთე, რჩეული ლირიკა, თარგმანი ვახტანგ ბეწუკელის, თბ. 1972
6. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991
7. აკაკი წერეთლის ხუთტომეული, ტ. 2, „პალიტრა L“,თბ. 2012
8. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტ. 2, „პალიტრა L“,თბ. 2011
9. რეზო ადამია, „სისხლიდან ცრემლი“, „ინტელექტი“, თბ. 2008
10. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელი ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2014

11. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II თბ. 1990
12. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1978წ. რედაქტირებულია 1995 წ.
13. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“,თბ. 2014
14. ანა კალანდაძე, ლექსები, „მერანი“, თბ. 1981
15. ანა კალანდაძე, ერთტომეული, „საბჭოთა საქართველო, თბ. 1987
16. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ. 1995
17. იოანე პეტრიწი, „სათნოებათა კიბე“, თბ. 1968
18. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თარგმანი გიორგი ნიშნიანიძის, თბ. 1994
19. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. 18, თბ. 1993
20. მერაბ კოსტავა, პოეზია, თბ. 1990
21. რობერტ მესხი, წაშლილი ბაიათი, თბ. 2004
22. მერაბ კოსტავა, შეწყვეტილი ფიქრები, „მერანი“, თბ. 1991
23. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, თბ. 2004
24. როსტომ ჩხეიძე, „მზის საფეხურები“, „ჩვენი მწერლობა“, თბ. 2016
25. თეა კანდელაკი, ანანკე, პოეზია, ესეისტიკა, ჩანახატები, აფორიზმები, „უნივერსალი“, თბ. 2019
26. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ 30 ტომად, ტ. 10, თბ. 2001
27. თეა კანდელაკი, ცისფერ ცრემლთა ძოწისფერი ნაფეხურები, „უნივერსალი“, თბ. 2016
28. ოთარ ჭილაძე, ასი ლექსი, „ინტელექტი“, თბ. 2009
29. გულნაზ ხარაიშვილი, მზის მკლავებში, თბ. 2008
30. ლუარა სორდია, „სამების სამრეკლოდან“, „უნივერსალი“, თბ. 2016

თავი IV
საზოგადოების სოციალური და ზნეობრივი სატკივრები

ანგარებით დამარცხებულნი

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ დიდი ადგილი უჭირავს სიკეთე-ბოროტების, რწმენა-ურწმუნოების, ანგარება-პატიოსნების პრობლემებს.

წიგნის პერსონაჟები, ხშირ შემთხვევაში, სულიერებისგან, სიკეთისგან შორს მყოფი, ანგარების მამონით შეპყრობილი ადამიანები არიან.

პავლე მოციქული გვმოძღვრავს: „ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთონ არა ის, რაც გსურთ,.

...ხორცის საქმეები აშკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულება.

კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა.

სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი... ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.

ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე და თავშეკავება – ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული.

ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმასთან ერთად.

თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ.

ნუ ვიქნებით პატივმოყვარენი, ერთმანეთის გამაღიზიანებელნი და ერთმანეთის მოშურნენი“ (პავლე მოციქული, გალატელთა, 5,16-26)(1,411).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ „მარტოკაცის სამყაროს“ წინ უძღვის სახარების ის ადგილი, სადაც ქრისტე ეუბნება პეტრეს: „ამაღამ, სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ მე“ (მარკოზი 14,3 ლუკა-22-34, იოანე 13,38).

„მარტოკაცის სამყარო“ ქარიშხალზე საუბრით იწყება და აქვე ჩნდება გალაკტიონის რემინისცენცია: „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა, მე მქონდა ბინა, თავშესაფარი, მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა“...

როცა სულს ღაფავს შედარებით დამცხრალი ქარიშხალი, გზაზე კაცი გამოჩნდება, რომელსაც ხელში საიდანღაც ქარის მიერ მოტანილი ია უჭირავს და „სათუთად დასცქეროდა, თითქოს დედოფლის, ჟოზეფინას, ხელშენავლები ყოფილიყო“.

„ქარიშხლის გარდაცვალების“ შემდეგ შარაგზა ყვავილებით იყო მოფენილი.

გიო გზაში ლუკას შეხვდება, რომელსაც ქარიშხლის მიერ საიდანღაც მოტანილი იის სურნელი შეესრუტა, ირგვლივ ეფემერების სურნელი ტრიალებდა, სწორედ იმ პერსონაჟს დამსგავსებოდა, გოდერძი ჩოხელის ერთ რომანში რომ ყვავილად იქცა“ (გვ. 71).

რომან „მგლის“ პერსონაჟის – თანდილას ყვავილშემოსილობა ღმერთშემოსილობას ნიშნავს, რადგან ყვავილი საღმრთო სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2,14)(2,488).

გალაკტიონს სიხარული და გაზაფხული მოსავს: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“ (ეს გრიგალია სიახლის“ (3,178).

სიხარულიც საღვთო სახელია, ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ხალხისა“ (ლუკა, 2,10)(1,113).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხულიც უფლის სიმბოლოა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 67/65,12) (1,588).

„ლიტერატურული მოზაიკის“ სამ მოთხრობაში: „მარტოკაცის სამყარო“, „წვიმა“ და „თავშესაფარი“, გამოკვეთილია ერთი და იმავე პერსონაჟის, გიოს, პიროვნული გზა. ის, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, სამჯერ უარყოფს სიმართლეს.

„მარტოკაცის სამყაროში“, გიო, ქარიშხლიან ამინდში, შეხვდება ლუკას და დროებით შეიფარებს.

მიიპატიჟებს მეზობლებსაც.

ირკვევა, რომ „უთვისტომო და არარას მქონე ლუკა“ ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაზე ფიქრობს. მისთვის შორეულ ნათესავს ფული უანდერძებია და ოცნებობს სახლის შეძენაზე, ოჯახის შექმნაზე, აფასებს გიოს ყურადღებას, სითბოს და ჰპირდება, რომ საჭიროების შემთხვევაში, დახმარების ხელს გაუწვდის.

ლუკა და მეზობლები რომ წავლენ, გიო სუფრის ალაგების დროს სკამებს შორის საფულეს იპოვის დიდძალი ფულით და ძვირფასი ბეჭდით. გიო თვითონაც უპოვარი იყო, მისი ცოლშვილი უმეტესად სიდედრ-სიმამრთან აფარებდა თავს. ამ ფულს შეეძლო მისი მდგომარეობა ძირფესვიანად შეეცვალა. ხატებს მიაპყრო მზერა, აქეთ-იქით დაბორიალობდა, რა უნდა ექნა, თუ ლუკა დაბრუნდებოდა და თავის ფულს მოიკითხავდა. სცადა „ვეფხისტყაოსანში“ ეპოვნა პასუხი: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს: ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“. მაგრამ ფსევდო დიონისე არეოპაგელის – ქართველი პეტრე იბერის ბოროტების უარსობის თეორია ვერ გაითავისა გიომ, მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, როგორ შეცვლიდა თავის ცხოვრებას უკეთესობისკენ ეს შემთხვევით ნაპოვნი ფული, მას ხომ არ მოუპარავს ეს საფულე და თუ ამ ნაპოვნს დაისაკუთრებს, მისი ოჯახი მატერიალურად აღზევდება.

ამ ოცნებით გართულს, სიდედრ-სიმამრის მეზობელი ესტუმრა და აუწყა, რომ მისი ქალიშვილი ნინო ავად იყო, რომ გიოს მუდმივად უნიათოს უწოდებდნენ და აკრიტიკებ-დნენ ცოლის მშობლები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლუკაც მობრუნდა გიოს-თან და დაკარგული საფულე მოიკითხა. გიომ კატეგორიუ-ლად უარყო ფულის და ბეჭდის პოვნა.

ნაპოვნი ფულით გიომ თავის ქალიშვილსაც უმკურნალა, ძვირფასი სახლი, ავეჯი, სამოსელი შეიძინა, ხარობდა ოჯახი, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე გამოდგა, ისევ ავად გაუხდა შვილი. არმად ნაშოვნი სიმდიდრე გაუფასურდა.

აფორიაქებულ გიოს ურჩევენ ღმერთს მიმართოს, ილო-ცოს, წმინდანები, ქერუბიმები, სერაფიმები უშველიან.

მაგრამ გიოს არ ჰქონდა უზენაესის რწმენა. ის ინსტინ-ქტურად აღმოჩნდა ეკლესიაში, შავანაფრიანი ღვთისმსახურის წინ დაიჩოქა და აღიარა, რომ ცოდვილი იყო, რომ გაჭირ-ვებულ, ეულ მარტოკაცს დაუმალა მასთან დარჩენილი ფული და ძვირფასი ბეჭედი, ამით გამდიდრდა, თანაც არასდროს დაინტერესებულა იმ საწყალი კაცის ბედით.

ეკლესიაში ფრესკაც, მოძღვარიც გამწყრალი თვალით უყურებდა გიოს.

მერე ბეჭედი მიუტანა ღვთისმსახურს, ტაძარს ვწირავო.

მოძღვარმა ამხილა, რომ ის ბეჭედი მისი არ იყო და საო-ცარი საიდუმლო ამცნო: „მე ვარ ის... ვინც ფული და ბეჭედი დაკარგა, სამაგიეროდ, ღმერთი ვიპოვე, შეიცვალა იმისიც, მოხუცი იობის ცხოვრება, თავიდან ხელი მან გამიმართა – ღვთისმსახურმა გაოცებული, იქვე მდგარი მოხუცისკენ მიუთითა, მას სანთლები ეჭირა და ხან ხატებს, ხან გიოს შეჰყურებდა“.

ნაწარმოების დედააზრი ისაა, რომ სხვისი საკუთრების მიმთვისებელი ვერ გაიხარებს, თუნდაც მატერიალური სიმ-დიდრე მოიპოვოს, მორალურად დაიტანჯება, ისეთი განსაც-

დელი მოევლინება, რომელიც ნივთების ბრჭყვიალს გააუ-ფასურებს.

„წვიმაში“ გიო მოხვდება სტუმრად უცნობი ლაზარეს სახლში. თურმე, იქ მისვლამდე ძვირფასი ბეჭდის თვალი დაკარგა. მასპინძელი დახმარებას ჰპირდება, მეორე დღის-თვის, მეზობლებთან ერთად, მაგრამ იმავე ღამეს მარტო მიდის თავსხმაში და ეძებს. მანქანით გამოივლის სწორედ ის ლუკა, რომელიც სტუმრად ჰყავდა გიოს, ქარიშხლიან ღამეს და რომელსაც მის სახლში დარჩა სწორედ ეს ბეჭედი და ფული. თავიდან, რასაკვირველია, ერთმანეთს ვერ ცნობენ, მძღოლი ლუკა უყვება თანამგზავრს, როგორ დაკარგა ერთ ოჯახში სტუმრობისას ძვირფასი ბეჭედი და ფული, რომელ-ზედაც მთელ იმედებს ამყარებდა, მერე სატვირთო მანქანის მძღოლი გახდა და ამით ირჩენდა თავს. გიო ხვდება ვინცაა. ლუკამ ჰკითხა დაკარგული იპოვეო?

გიომ უარყო ბეჭდის თვლის პოვნა, თავისი ნამდვილი სა-ხელიც არ გაუმჟღავნა, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპირ-ძლის“ ერთ-ერთი პერსონაჟის მსგავსად, ნუნუად რომ წა-რუდგა ჯოყოლას.

აქვე, მოთხრონის ავტორი, ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს იხსენებს: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვი-მადო“...

წვიმა საღვთო სახელია ფსალმუნში: „იგი ჩამოვა, რო-გორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71)/72,6)(1,597).

მოთხრობაში სერვანტესის სტრიქონების გახსენებაა: „ყო-ველი კაცი მისი საქმეების მიხედვით უნდა განვსაჯოთ“ (4,88).

„მარტოკაცის სამყაროში“ ლუკას ია უჭირავს, იას ხოტბას ასხამდნენ ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ანა კალანდაძე. პოე-ტების მეფის შემოქმედებაში მთელი ციკლია იებისა, რომე-

ლიც მოაზრებულია ესთეტიკურ, სოციალურ, ფილოსოფიურ, რელიგიურ კონტექსტებში.

...ლუკას რომ ქარიშხლისაგან მოტანილი და ჭკნობას გადარჩენილი ია უჭირავს, ესეც შემთხვევითი როდია, ეს მის სულიერ სიფაქიზეზე, მშვენიერებისა და სიწმინდის სიყვარულზე მიგვანიშნებს.

ია მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა სასულიერო სიმბოლიკაში, ვახტანგ მეექვსე უფლის დედას „უბიწოებით შემკულ იას“უწოდებდა.

ლუკას გამორჩეულობაზე მეტყველებს ისიც, რომ მისთვის „თითქოს ყოველი ნაბიჯის ხმა ჯერ ბეთჰოვენის, მერე მოცარტის, მერე კი ვივალდის ბგერების გარემოცვაში რიტმულად მოისმოდა...

„ახლა ყველაზე უკეთ ესმოდა კლოდ მონეს სურათის „მზის ამოსვლის“ შინაარსი (4,55).

გიო გრძნობს ლუკას სათნოებას, „ღვთის ხელშენავლები სიწმინდის, რაღაც ზებუნებრივი შარავანდედის“ შთაბეჭდილება ექმნება.

მოთხრობაში „წვიმა“ დამოწმებულია იაპონელი პოეტის, ტაიროს, ცნობილი ჰაიკუ:„ანკარა წყარო. უზალთუნები ბრწყინავენ ფსკერზე... მგზავრს მოწყურებულს შიგ ჩააბნევია“... (ნაწარმოების სხვა ქართული თარგმანი, ნოდარ დუმბაძისა და თამაზ ჩხენკელის მიერ შესრულებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმანახ „პირველ სხივშია“ დაბეჭდილი: იაპონური პოეზია, პირველი სხივი, 1958, გვ,515 https://www.tsu.ge/data/file_db/library/ მთარგმნელები მიუთითებენ, რომ „აქ დაბეჭდილი ლექსები მთელ მსოფლიოში ცნობილი ასი პოეტის ასი ლექსის ბრწყინვალე ანთოლოგიიდან არის ამოკრეფილი (XII- XIII სს).

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორის თქმით: „ამბობენ, ამ სამსტრიქონიან, იაპონური კლასიკური პოეზიის ნიმუშში უმარტივეს თემაზეაო საუბარი... ნუთუ? სხვისა რა გითხრათ,

მაგრამ მე ძალიან მოკლედ ასე ვიტყოდი: ვიღაცამ დაკარგა, სხვამ იპოვა, მაგრამ მისთვისაც ფსკერზეა იგი, თუნდაც ამოიღოს იქიდან, შეეხოს“(4,88).

მოთხრობაში „თავშესაფარი“ ისევ გიოს ვხედავთ, ის ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრებთან ერთად ეწვევა თავშესაფარს, დაგეგმილია ლექციის ჩატარება. აქ ცხოვრობს იობი, ადამიანი, რომელმაც, ერთდროს, ფული და ბეჭედი უანდერძა ლუკას.

გიოს მოულოდნელად ეკითხება იობი: „თუ გიპოვიათ საცოდავი, კეთილი ადამიანის მიერ დაკარგული ნივთი, რომლის დაბრუნებაც გიცდიათო“...

„გიო შეკრთა, არა, არ მიპოვიაო – წაილუღლუღა. უკვე მესამედ უარყოფდა რაღაცას“(4,103).

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. ბიბლია, თბ. 2013
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „განათლება“, 1989
4. ლამარა გერგედავა, „ლიტერატურული მოზაიკა“ თბ. „უნივერსალი“, თბ. 2023

„დიდებულნი და მდაბიონი“

ამ ფილოსოფიურ მოთხრობაში მრავალი პრობლემაა წამოჭრილი: სიკვდილ-სიცოცხლის, უსამართლობის, ბედისწერის, სამყაროს უსასრულობის, მოძღვარ-შეგირდის ურთიერთობის, ბედნიერების, წოდებრივი უთანასწორობის, სამართლიანობის დამყარების, სამეფო ტახტის, დიდება-სიმდიდრის უარყოფის, პოზიტიური იდეების განუხორციელებლობის.

ნაწარმოების ავტორის თქმით: „დედამიწას განწმენდა სჭირდება“ (გვ. 119).

თვალთმაქცობა ცხოვრების წესად ქცეულა: „დედამიწის იქით კი უშველებელი, ამოუცნობი სივრცე ახამხამებდა თვალებს და უცნობ ბგერებსაც გამოსცემდა“ (გვ. 119).

ქალაქის ქუჩებში ეულად დააბიჯებს უფლისწული, რომელიც ხვალ მეფედ უნდა აკურთხონ, მას კი თავისუფლება, საზოგადოების გაცნობა აინტერესებს და ფუფუნებას გამოეპარა. ის გზაში თავის აღმზრდელს ხვდება.

არსებობენ თუ არა კეთილი მეფეები? – ფიქრობს უფლისწული და ახსენდება ისევ თავის ნაცნობთა გარემოს შებრძოლებული, თავნება, უსამართლო საჭისმპყრობელნი.

აღმზრდელს უკანასკნელი გაკვეთილი უნდა ჩაეტარებინა უფლისწულისთვის, ვიდრე მას მეფედ აკურთხებდნენ, მაგრამ ის თავის ოთახში არ დახვდა.

მეფის ძე არ ფიქრობდა, რომ გამეფებით „ბედნიერების მწვერვალზე“ იქნებოდა, ის ბავშვობის დაბრუნებას ნატრობდა, მზად იყო, მამისთვის დაეთმო ტახტი.

აღმზრდელის შერჩევის შემდეგ უფლისწულ იკაროსის არსებაში „დასახლდა ახალი სამყარო... თითქოს გაიხსნა ცის კარი და იქიდან გამოანათეს რჩევებმა, დარიგებებმა, ცოდნამ, ქცევებმა... რაღაც უხილავ ძალთა ერთობლიობა აძლევდა ბიძგს ტახტის მემკვიდრეს სხვა გზებისკენ“ (გვ. 125).

მასწავლებელი „სიკეთის განხორციელებას“ თვლიდა ადამიანის ცხოვრების იდეალად, მაგრამ მიაჩნდა, რომ მეფეს გაუჭირდებოდა ყოფილიყო მუდამ კეთილი. რომ უმდიდრეს მეფესა და უპოვარ ბრბოს შორის ურთიერთგაგება ვერ მიიღწეოდა, მეფეს განუსაზღვრელი უფლებების გამო პასუხს ვერვინ აგებინებდა, თუნდაც სოციალური და მორალური ნორმები დაერღვია.

უფლისწულს სამეფო ტახტი აღარ ეჩვენებოდა მიმზიდველი... მოძღვრის თქმით: „სიტყუაი იგი იყო ღმერთი“... სწორედ ამ ღმერთს უნდა დანთებოდა სანთელი...

მასწავლებელი არიგებდა ტახტის მემკვიდრეს, რომ ძალაუფლება ბოროტად არ გამოეყენებინა, მოვალეობისთვის ანგარიში გაეწია.

ტახტის მემკვიდრეს თავისუფლება ენატრებოდა, აღმზრდელი დაუწერელ კანონებს აწვდიდა, თავისუფალი ვერ იქნები, რადგან დამოკიდებულებათა უზარმაზარ სისტემაში ხარ მოქცეული და პრობლემებს პრობლემები შეენაცვლებაო.

აღმზრდელმა ბევრი ბარიერი გადალახა, რომ აღეზარდა მაღალზნეობრივი პიროვნება. ის მეფის შვილს ურჩევდა სასახლეში დაბრუნებას, ის კი ცხოვრების გაცნობით, ხალხთა პრობლემების გაგებით იყო დაინტერესებული.

მოძღვარი შეახსენებდა, რომ ცხოვრების შუქ-ჩრდილებში ჩახედვისთვის აუცილებელი იყო უკიდურესი სიღატაკიდან, ფიზიკური შრომიდან დაწყება, ცხოვრების ყველა საფეხურის გავლა. ტახტის გარშემო კი ობობას ქსელივით იყო დახლართული სამეფო და სახელმწიფოებრივი ინტრიგები, ეგოისტ და კეთილ ადამიანთა შეჯახებები, აშკარა და ფარული კონფლიქტები, სხვა სახელმწიფოებთან და სხვა ტომის ხალხთან ურთიერთობები.

ამ ხეტიალში უფლისწული ქალაქგარეთ აღმოჩნდება, მერე ფორტუნა გამოეცხადება ცალ ხელში საჭით და მეორეში სიუხვის რქით. ის გაოცებულია, ყველაფერი უშრომლად გქონდა და რა გრჯიდა, უთუოდ ფილოსოფიური ქვის მძებნელს ჰგავხარ, იპოვი კიო?

მერე უფლისწული ორი გამვლელის ხმას გაიგონებს, რომ უფლისწული ხვალ მეფედ უნდა ეკურთხებინათ, ის კი სასახლიდან გაიპარაო.

ბოშათა უხუცესი აცხადებს, ამქვეყნად ყველა მეფე და მომავალი მეფეც ერთმანეთს ჰგავს, უსამართლო და ყრუნი

არიან, მათი ცხოვრება არტახებით შეკრულივითაა და სხვების შებოჭვასაც ლამობენ. უფლისწულმა უნდა იბატონოს, ბატონი კი ათასში ერთი გამოერევა კეთილიო.

ფორტუნაც არ იყო კეთილგანწყობილი ზედა ფენის მიმართ: „უფლისწულიც, მეფეც და ბერიც ცხოვრებას უნდა იცნობდნენ, რამდენი უსამართლობა ხდება ამქვეყნად, მაგრამ ცხოვრებისეულ დეტალებში ვერ გარკვეულან და ვერ ხედავენ, ან ბრმანი არიან, ან იბრმავებენ თვალთახედვას... აი, ჩვენ, ყველას თვალწინ შეგვიძლია მოვატყუოთ ვიღაც, ნემსი მოვიპაროთ და გამოგვიჭირონ, აქლემთა ქურდები კი ქვეყანაზე პარპაშებენო“ (გვ. 132).

გაირკვა, რომ ბოშებსაც თავიანთი სადარდელი ჰქონდათ.

„მერე ცა საოცარი ხილვებით აივსო... ცაზე მოძღვარი გამოჩნდა, თეთრი, ვითარცა თოვლი, ვითარცა სიწმინდე ხელუხლებელი და ჩაესმა: ორივე საშიშიაო, დიდებაც და დაცემაც. დიდება ტვირთია, კაცნი შიშით იხვეჭენ დიდებას და შიშითვე კარგავენო მას.

უფლისწული ხომ მოსალოდნელ დიდებას გამოექცა, დიდებას ხელით შექმნილს და არა ადამიანთა გულებით.

ვერ გარკვეულიყო დაცემა ერქვა მის ახლანდელ მდგომერეობას, თუ გამოქცევა არსებულისგან.

თუნდაც რომ ამოხსნა სიკეთისა და ბოროტების საიდუმლო, სულიერად მხოლოდ კარგი საქმისთვის განეწყო, მაინც ეჭვის თვალით შემოგხედავენ, იტყვიან, მეფის სისხლი მაინც უდუღს ძარღვშიო... ვის ძალუძს აღმოფხვრას ყველა მანკიერება და თუ ამოიძირკვა, მოიშალა დედაბუდიანად, მერე არსებობას ინტერესი ხომ არ დაეკარგება? ასეთია უფლისწულის ფიქრები.

მოთხრობის ამ ეპიზოდში ძველი აღმოსავლური სიბრძნეა დამოწმებული:

„ვინც მძლავრობით ეუფლება სამყაროს...აქედან ვჭვრეტ-ვერ მიაღწევს საწადელს.

სამყაროს საიდუმლო ჭურჭელს ჰგავს:
შეხება მისი არ ეგების.
ვინცა შეეხება:
ხელყოფს მის თანხმობას.
ვინცა დაეუფლება:
დაკარგავს მას.
ჭეშმარიტად.
ყოველი არსი ცვალებადია:
ზოგი წინ მიდის, ზოგი უკან.
ზოგი თბილია, ზოგი ცივი.
ზოგი ძლიერია, ზოგი სუსტი.
ზოგი ყვავილობს, ზოგი ჭკნება.
ზოგი სრბის, ზოგი დგას.
ამიტომაცაა:
ყოვლად-ბრძენი უარყოფს განდიდებას.
ყოვლად-ბრძენი უარყოფს ფუფუნებას.
ყოვლად-ბრძენი უარყოფს ბრწყინვალებას“.

ბრწყინვალება, განდიდება და ფუფუნება უარყო, მაგრამ ხომ სარგებლობდა აქამდე ამქვეყნიური სიკეთით?

უფლისწული ფიქრობს: ნუთუ მართალია, რომ მშიერი მონები აშენებდნენ უძველეს რომს? მუშაობისას რომ პირში მუჭით ფქვილი არ ჩაეყარათ, ყელზე ხის ბორბლებს უკეთებ-დნენ, თურმე, საცოდავი მონები, აკი იხოცებოდნენ კიდევაც“ (გვ. 135).

უფლისწული კი თავისუფალი იყო, მაგრამ სასახლეში დაბრუნება არ უნდოდა და ფიქრობდა: „ყველა სასახლე უნ-და დაინგრეს, რომელიც დამპყრობელია. უნდა დაიშალოს... რაღაცით უნდა შეიცვალოს... „კართაგენი უნდა დაინგრეს“... მოინანიონ და გადარჩნენ, ვით კორინთოს სვეტები გადაურ-ჩნენ რომაელებს დანგრევისგან. თვითონ თუ გადაურჩება?“ (გვ. 135).

მერე ცარიელი ჯიბის ამარა გამოსულს ფორტუნა უმასპინ-ძლდება და მისანივით ამცნობს, „ცისიერი ხუთქიმიანი ვარს-კვლავი და მიწიერი ვარსკვლავი მოგელისო“...

ჯერ ბოშათა უხუცესი დაუპირისპირდება იკაროსს ფორ-ტუნასთან სიახლოვისთვის, ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვს და არავის ვემორჩილებითო, ცნობილი გახდა, რომ უფლისწული ბოშა ქალთან სეირნობსო და გაოცება ვერ დაფარეს. ვერავინ გაიგო, რას ნიშნავდა იკაროსისთვის თავისუფლება, რადგან არცერთი მეფე არ ჩაუსვამთ საკანში, შეუზღუდველი უფლე-ბებით სარგებლობდნენ მეფეები.

მეფედ კურთხევისას იკაროსს გვერდით მოძღვარი ჰყავ-და. მერე მასთან მოსალოცად ბოშა ქალი მოვიდა და მუხ-ლებზე დაეშვა. იკაროსმა ის ფეხზე წამოაყენა. შფოთავდნენ ამის მნახველნი, როგორთუ არ აკადრა მის წინ მუხლებზე დაჩოქებაო. ეს ყველამ უცნაურობად ჩაუთვალა, ალბათ, კარგად ვერ არისო.

ახალმა მეფემ ახლებური მმართველობა დაიწყო, ყვე-ლანი დაითხოვა, მწიგნობარნი შემოიკრიბა.

შემდეგ დაქორწინება მოსთხოვეს უსიყვარულოდ. ქალს მიაჩნდა, რომ „უზენაესი ბედნიერება მეფეთა ხვედრია, მაგ-რამ ნუ ისწრაფვი მეტი ბედნიერებისკენ, დაე, მწვერვალზე იმყოფებოდეო“ (გვ. 141).

დედოფლისთვის მთავარი იყო არა ურთიერთგაგება, სი-ყვარული, არამედ მმართველობის სათავეში მოქცევა, ხალხს კი ბრბოდ მიიჩნევდა, რომელსაც „მკაცრი ხელმძღვანელი სჭირდება“.

მეფე აცხადებდა: „ჩემი მიზანია ხალხის თვალით შევხედო ცხოვრებას, ღირსეულ ადამიანებს თანადგომა სჭირდებათ, უღირსთ ცხოვრება თავისივე კანონებით ასწავლის გზას“:

ეს აზრი „ყმაწვილურ ოცნებად“ მიიჩნია ქალმა. მას და-ქორწინების შემდეგ თანხმობა და ურთიერთგაგებაც არ მიაჩნდა საჭიროდ.

„მოსაუბრეთა შორის სიცივე ჩამოწვა, თითქოს უზარ-მაზარმა ყინულის ლოდმა გასცურა, ზღვას რომ ფარავდა, აი, ზღვაც გამოჩნდა, ფსკერზე, ვინ იცის, იგი რა საიდუმლოებებს ინახავდა“.

მეფესთან საუბრით საოცრად განაწყენებულ ქალს დედოფლობა მაინც არ ეთმობოდა. მიუხედავად საქმროს ირონიისა, გულგრილობისა, მისთვის დედოფლობა იყო მიმზიდველი და გახდა კიდეც დედოფალი.

უფლისწულს გარკვევით უთხრა მოძღვარმა, „არა ხარო თავისუფალი საკუთარი სურვილების გამოხატვისას, რადგან... დამოკიდებულებათა უზარმაზარი სისტემა არსებობსო შენ ირგვლივ“...

საცოლეც თვითონ არ შეურჩევია, უბრალოდ, შეურჩიეს.

სასახლეში ფუძის ანგელოზს სანთელს არ უნთებდნენ, არ ევედრებოდნენ.

მეფე გარიყულივით იყო. სასახლეში მრავლად იყვნენ ფარისეველნი, მლიქვნელნი.

ახალი მეფე ლმობიერი იყო, კეთილი და მისი კარი სავსე იყო მათხოვართა, დაავადებულთა, დაჩაგრულთა, გაჭირვებულთა და დალხინებულთა რიგებით.

იკაროსის მამა აღშფოთებული იყო, რომ მისი წლობით ნაგროვებ ქონებას შვილი ასე უანგარიშოდ ფლანგავდა და მამა-შვილს შორის მუდმივი კონფლიქტი იყო.

მამის საყვედურებს არ ეპუებოდა იკაროსი, პირიქით, ცოდვილს უწოდებდა მას.

საბოლოოდ, ისევ წავიდა იკაროსი სახლიდან, ოღონდ არა უფულოდ.

დედოფალი მაინცდამაინც არ შეუშფოთებია მეფის გაპარვას, რადგან საკუთარი მდგომარეობით კმაყოფილი იყო, ქვეყანას თვითონ მართავდა.

იკაროსმა ისევ ბოშას მიაკითხა. უხუცესი აღაშფოთა მისმა გამოჩენამ, ბოშა ქალის პატიოსნების შემბღალავი მეფე განგმირა...

ასე დასრულდა იკაროსის ოცნება თავისუფლებაზე, სახელმწიფოს კანონების, ურთიერთობის შეცვლაზე, ჰარმონიული საზოგადოების ძიებაზე.

პრობლემას მრავალი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, მოაზროვნე შეხებია და ცხადია, კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება თანასწორობის, ურთიერთგაგების, სიკეთის დომინირების მაგალითები.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „მშვენიერება“ პერსონაჟი უკვდავთა ქვეყანას ეძებს, თითქოს მიაგნებს მას, მაგრამ მარტოობაში უკვდავება რა ბედნიერებაა და ისევ თავის ძველ. იავარქმნილ საცხოვრისს უბრუნდება, იქ მისი ენაც არ ესმით და თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

შიო არაგვისპირელის პერსონაჟმა ნოველაში „შემუსვრილი სამი მცნება“ სიცოცხლის აზრი ვერ იპოვა.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ დასმული პრობლემის არსს მიესადაგება რუდოლფ შტაინერის განაცხადი: „განვითარების მსვლელობაში ბოროტება აუცილებელია. გოეთე მეფისტოფელის აზრით ამბობს ჭეშმარიტებას: „მე ვარ ნაწილი იმ ძალისა, რაც განუხრელად სიკეთეს თესავს, მსურს რა ყოველთვის ბოროტება“ (რუდოლფ შტაინერი, შუა საუკუნეების მისტერიათა ცენტრები. როზენკროიცერობა და თანამედროვე ხელდასხმის პრინციპი. ტანჯვის წარმოშობა, ბოროტების წარმოშობა: როგორ გავიგოთ ავადმყოფობა და სიკვდილი“... (მთარგმნელი ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ., 2014, გვ. 125).

ოცნება ჰარმონიულ საზოგადოებაზე

ცხოვრება რომ გაბმული ზეიმი, ნატვრის ასრულება და უზრუნველობა არ არის, ამაზე მრავალ მოაზროვნეს გაუკეთებია აქცენტი.

ზოგჯერ ობლობა, სიღარიბე, შემხვედრთა გულგრილობა ადამიანს თვითმკვლელობისკენაც უბიძგებს.

ადამიანის თანამდევია სიბერე, დამსახურების წარსულში ჩარჩენა, მარტოობა.

საბედნიეროდ, ამისთვის არსებობს უპოვართა თავშესაფარი, მაგრამ მიღმურ სამყაროში გასამგზავრებლად გამზადებულები, სხვადასხვა წრის, განსხვავებული ინტელექტისა და დამსახურების ადამიანები, იშვიათად ან საერთოდ ვერ ახერხებენ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას, მეგობრობაზე, ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

მათთვის ყველაფერი კარგი წარსულშია დარჩენილი, წარსულით ცხოვრება და სიხარული კი წარმოუდგენელია.

ადამიანი მოკვდავი არსებაა. იგი დროებით ევლინება ცოდვებით დამძიმებულ სამყაროს, ხოლო წარსულის დამსახურების მიხედვით იშვიათად ფასდება ადამიანი.

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი ცდილობს ჩაიხედოს არა მხოლოდ გენიოსების, ღირსეული ადამიანების სულში, გაითავისოს მათი სიბრძნე, არამედ მიჩქმალული სიკეთის მაძიებელიცაა, მისთვის ყოველი ადამიანი, გოდერძი ჩოხელისა არ იყოს, ცოცხალი, მოარული მოთხრობა, ნოველა, ლექსია და ცდილობს უცდომლად ჩაიხედოს მათ სულში, სიტყვის ძეგლი აუგოს დამსახურებისამებრ, დააძლევინოს ადამიანებს გაუცხოება, აპოვნინოს საერთო და საზოგადოების სრულფასოვან წევრად შერაცხოს.

ყველა ადამიანის ხვედრია სიბერე, სიკვდილი და სანამ ცოცხალია, მიზანი ის უნდა იყოს, დავეხმაროთ უპოვართ, მიუსაფართ, ობოლთ შეძლებისამებრ.

მხატვრული სიტყვა, რწმენის, სიკეთის, პროგრესული აზრის წარმოჩენა-მსახურებაა, რასაც უპირველესი ადგილი უკავია „ლიტერატურულ მოზაიკაში“.

მოთხრობა „თავშესაფრის“ პერსონაჟები, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული, ბედს შერიგებული რიგითი ადამიანები არიან, ყველაფერზე ხელჩაქნეულნი. სხვადასხვა წრის, განსხვავებული პროფესიის, უსიხარულო წარსულის მქონე ადამიანთა თავყრილობა არაფერს განსაკუთრებულს არ ელის, ამოწურულია მათი ყოველგვარი შესაძლებლობები, ერთმანეთისგან გაუცხოებულნი, შერიგებულნი ამ უფერულ არსებობას, მხოლოდ სიკვდილის მოლოდინით ცხოვრობენ. ერთმანეთს ექიშპებიან სასადილოში სკამის გამოც კი. უსიხარულოდ მიირთმევენ საუზმე-სადილს თუ ვახშამს, მხოლოდ ზოგიერთები ჩასქერიან გაზეთს, ისიც ცალი თვალით და ამ ერთფეროვნებას შეგუებულნი, არც ინტერესდებიან ერთმანეთით.

ერთ დღეს კი ბევრი რამ შეიცვალა ამ ჯოჯოხეთს მიმგვანებულ საცხოვრისში.

შვილებისა და ახლობლებისგან უარყოფილი მოხუცების თავშესაფარს ერთ დღეს ახალი ბინადარი მოევლინა. აქ არავინ იცოდა, რომ მისი წარსული სავალალო სრულიად არ იყო. ფული და ძვირფასი სამკაული ახლობელს, ლუკას მიაბარა, რათა სიბერეში უზრუნველყოფილად ეცხოვრათ, მაგრამ მან ერთ დღეს ამცნო, რომ ყველაფერი დაიკარგა.

უსახლკაროდ და უმისამართოდ დარჩენილი იობი თავშესაფარს მიადგა. ლუკა სადღაც გადაიკარგა.

იობი პატარა, სულისშემხუთველ ოთახში დააბინავეს. დამხვედრთ მისი მოსვლა არ ესიამოვნათ, რადგან კიდევ უფრო უნდა შევიწროებულიყვნენ. იობი იძულებული იყო

შეგუებოდა ამ უსიხარულო არსებობას. მისი ბრძნული აზრები იქ მყოფთა მოწონებას იმსახურებდა, მაგრამ ყოველ საუბარს ერთი აკვიატებული ფრაზით ასრულებდა, რაც მსმენელთა გაოცებას იწვევდა: აქედან მალე წავალ, ჰარმონიულ საზოგადოებას ვეძებ, მისი შესაფერისი სათანადო ფორმულაც კი გამოვიგონე და თავის დროზე მთელ ქვეყანას უნდა გავაცნოო.

მსმენელები სიამოვნებით უსმენდნენ, სანამ ჰარმონიულ საზოგადოებაზე დაიწყებდა საუბარს.

„ხან იობს ჰგავდა, ხან ახალი დროის დონ კიხოტს, ხან მიუსაფარ მოხუცს.

იმთავითვე, იობს მიამგვანეს და ამ სახელით მიმართავდნენ.

იობის მთელი ავლადიდება ორი ნახატი და ერთი წიგნი იყო. ერთზე სიქსტის მადონა იყო გამოსახული, მეორეზე – ლაოკოონი, წიგნი კი ქიმიის სახელმძღვანელო იყო“.

იობის ოცნება მარადიული იყო, მაგრამ განუხორციელებელი.

ის ბევრჯერ შესწრებია ადგილისთვის, სკამზე ჩხუბს თავშესაფარში. მათ მორიგებას ცდილა, მაგრამ მისი სურვილიც მიუღებელი იყო.

ამ „ნამდვილი საგიჟეთით“ გაღიზიანებულ იობის ურჩევდნენ, არ ჩარეულიყო სხვის საქმეში, ეს მას არ ეხებოდა. მასთან გასაუბრებასაც ერიდებოდნენ, „თავი დაგვანებოს, ჩვენ ჩვენი გასაჭირიც გვყოფნის. აქ ყველას თავისი დარდი აქვსო.“

იობს ერთხელ თანამეინახის გაცნობის მიზნით გაწვდილი ხელი ჰაერში შერჩა და, ბუნებრივია, უკმაყოფილება გამოხატა ამ გულგრილობისა და უსამართლობის გამო, მაგრამ მოპირისპირემ გაზეთი გადაშალა და მის სატკივარს არც შეეხმიანა.

„ღვთის კანონებს ეწინააღმდეგება ადამიანთა ქცევა, აქ ყოველთვის ასე გაუცხოებულნი სხედან?“ იკითხა იობმა, რისი

პასუხიც კიდევ უფრო გამაოგნებელი იყო: „აქ არავის აინტერესებს თქვენი გულჩვილობა, თუ ღმერთი გწამთ, მოისვენეთ. მეტისმეტად მგრძნობიარე ხართ, ვერ ხედავთ, ყველა თავის ნაჭუჭში ზის... თქვენ კი... თქვენ არამარტო ამ სახლისთვის ხართ ახალი, არამედ მგონი, ამ საუკუნისთვისაც...“

იობი გაოცდა, გაშეშდა და როცა ყავისფერპიჯაკიანმა მოუბოდიშა გაცხარების გამო, იობმა ისევ თავისი სურვილი გაამჟღავნა: „მოდით, შევცვალოთ სიტუაცია, დავმეგობრდეთ, აქ საშინელებაა ასე ცხოვრება“, მაგრამ ამ განაცხადით კიდევ უფრო გააცხარა მასთან მოსაუბრე: „სცადეთ, დაამეგობრეთ ადამიანები ერთმანეთთან, სულ მალე თქვენ თვითონ აიღებთ ხელს თქვენსავე განზრახვაზე.“

საუზმის შემდეგ იობმა ისევ გაიმეორა თავისი სურვილი: „მეგობრებო, მე ამ სახლის ახალი ბინადარი ვარ, ძალიან მსურს თქვენთან ვიმეგობრო... იმედია, მიმიღებთ“...

„მიღებული არა ხარ? – დაცინვით გამოსძახა ყვითელმაისურიანმა, რასაც სიცილი მოჰყვა“.

როცა მეგობრობის შეთავაზების სურვილი გამოხატა, ვერც ამით დააინტერესა თანამეინახენი, უფრო მეტი, კითხვაც კი დაუსვეს, ხომ ვერ გვეტყვი, რა არის მეგობრობაო.

იობმა უკან არ დაიხია: „მეგობრობა თანაგრძნობა და ურთიერთგაგებაა, კაცთმოყვარეობის უმაღლესი ფორმა, ჩვენი ქცევები წრფელი განცდებით უნდა იყოს გაპირობებული, მოკრძალება გვმართებს ერთმანეთის მიმართ“.

ამჯერად იობს „ახალი ფილოსოფოსი“ შეარქვეს, ეგ სიტყვები, ალბათ, რომელიღაც სასკოლო სახელმძღვანელოში წაიკითხაო.

სასადილოში ისევ მხოლოდ დაცინვა შეაგებეს „ჰარმონიული საზოგადოების“ მაძიებელს. ამაში ყველა ერთსულოვანი იყო. იობის გაქილიკებამ გათითოკაცებულნი, დაცალკევებულნი თითქოს ერთბაშად შეარიგა.

იობი გაოცებული იყო, როცა ნახა, როგორ ჩაწიხლეს დიადი მიზნები, თურმე შეიძლება გენიალურ აზრებზე ააღებინონ ხელი ბრძენკაცს, საკუთარი თავის რწმენა დააკარგვინონ.

იობმა სწრაფად დატოვა იქაურობა, მხოლოდ ამაოებაზე ფიქრი აეკვიატა, ირწმუნა, რომ არათუ ჰარმონიულ საზოგადოებას, ერთ პატარა ჯგუფსაც ვერ იპოვიდა ურთიერთშეთანხმებულს, ჰუმანურს.

მაგრამ ანუგეშებდა ხუნ ძიჩენის აზრი, სუფთა ყოველთვის ჭუჭყიდან გამოდის, ნათელი ყოველთვის წყვდიადში იშვისო.

რაც იხილა, ყველაფერი დინების საწინააღმდეგო იყო, მაგრამ ისევ ხუნ ძიჩენის აზრები მოიშველია, ცხოვრება ჩვენი სურვილების საწინააღმდეგოდ მიემართება, ჩვენ ირგვლივ განფენილი სამყარო სამკურნალო ნემსებსა და შინაურ წამლებს ემსგავსება. შეუმჩნევლად გვკურნავს წინააღმდეგობები, გვჭრის მოპირული ცულივით და გვკლავსო.

გულნატკენი იობი ისევ დაბრუნდა სასადილოში, რამაც დამხვდურთა გაოცება გამოიწვია.

შემდეგ თავშესაფრის ბინადრებს გამოუცხადეს, რომ ლექცია ჩატარდებოდა საზოგადოებრივი ცვლილებებისთვის სტრატეგიის შემუშავებაზე.

ასეთ საკითხებზე ჩვენი სახლის ახალი ბინადარი მუშაობსო, თქვეს დამხვდურებმა და გაიცინეს.

ყავისფერპიჯაკიანმა განაცხადა: „არ მაინტერესებს... დაგტოვებთ, თქვენ ცდილობთ სამყაროსავით მარადიული, უცვლელი პრობლემების შეცვლას... ჩვენთან, სხვა მარადისობაში სამოგზაუროდ მომზადებულ ადამიანებთან, ალბათ, ეგ მეტისმეტიაო“...

„ჩვენ მოხუცები ვართ, თქვენი ამოცანების გადაწყვეტას მხოლოდ ახალგაზრდები მოესწრებიანო“, წამოიძახეს სხვებმა.

ვიღაც წუხდა, „მთელი ცხოვრება უსამართლობას ვებრძოდი, შედეგად კი პესიმიზმი მივიღე, ახლა კი სიცოცხლის დარჩენილ დროში, რომელიც შეიძლება ერთი დღითაც განისაზღვრებოდეს, რას მივაღწევო“ და იქაურობა დატოვა.

სტუმრები დამხვდურებს ფსიქიკური და ემოციური პრობლემების მოგვარებას, ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის ბრძოლას, განვითარების პროგრამებს, გარემოსთან შეჩვევის უნარის გამომუშავებას ჰპირდებოდნენ.

მაგრამ ყველა გასასვლელისკენ მიემართებოდა. მათი შეჩერება იობმა სცადა: „ყველაფერი, რაც უნდა მოვისმინოთ, საინტერესო და საჭიროა, გამოცდილი, კეთილი მოხუცები ჯერ კიდევ გამოუცდელი ახალგაზრდებისთვის ხიდს წარმოადგენენ წარსულიდან მომავლისკენ, ღვთისთვის კი ისინი სასურველი კრავები არიან... რამდენიმე წუთით დაიკავეთ ადგილებიო“.

ზოგიერთი მობრუნდა.

იობს ლაოკოონისა და სიქსტის მადონას გამოსახულებები ეჭირა ქიმიის სასკოლო სახელმძღვანელოსთან ერთად. მან ლექციის ჩატარების მსურველებს მიმართა: იცით, რატომ გარბოდნენ ეს ადამიანები? ყველამ იგრძნო, რომ თქვენი საუბრები ზოგად თემებზე იქნებოდა, თქვენ არ ცდილობდით ინდივიდთა ცხოვრებას გაცნობოდით... თქვენ ისაუბრებდით, ჩვენ მოგისმენდით... მერე თქვენს გზაზე წაბრძანდებოდით და არასდროს არაფერი გეცოდინებოდათ ჩვენს ფიქრებზე, სატკივრებზე, სურვილებზე. შეხედეთ ლაოკოონს, ხომ გაგონებთ ეს ქვეწარმავლები ცხოვრებისეულ პრობლემებს, უთანასწორობებს, ჩაგვრას, ძალადობას, სიცივეს... ამ თავშესაფარში თქვენ, ბინადრები რამ მოგიყვანათ, განა პრობლემებმა არა? სიქსტის მადონა რომ ღრუბლებიდან ეშვება და კაცობრიობის მხსნელი მოჰყავს, განა მას ისე არ აღიქვამთ, როგორც ხელოვნების ნიმუშს, აღიარეთ, რომ გრძნობთ უფლის სიახლოვეს...

„მსგავსი აღნაგობის ატომთა ელექტრონული შრეები მეორდებიანო“ ამ ქიმიის სახელმძღვანელოში ამოვიკითხე. საზოგადოებაშიც განა ასე არ მეორდება პერიოდულად ყველაფერი? წარსულის შეცვლა განა ვინმეს შეუძლია, მაგრამ ნუთუ, მომავალიც მას უნდა ჰგავდეს?“

იობი საუბარს აგრძელებდა: „ადამიანებო, სტუმრებო და მასპინძლებო, ყოველი ადამიანის ცხოვრება პატარა მოთხრობას ჰგავს... თქვენ, ყველანი, წუთისოფლის შეთხზული ჩანახატები, მოთხრობები, ნოველები და მინიატურები ხართ, არ გინდათ ვინმემ წაიკითხოს ისინი?“

არავის სურდა სტუმრების მოსმენა, ახლა იობს ირონიით კი არა, პატივისცემით უყურებდნენ.

– „ცხოვრებას ხშირად ზღვას ადარებენ, აგრძელებდა იობი, მე კი მგონია, რომ ის გენიოსი შემოქმედია, თხზავს ადამიანთა პატარ-პატარა ისტორიებს, ის ხან პანდორას ყუთით გვევლინება, ხან ფორტუნას ბორბლით, მის მიერ შეთხზულ თუნდაც გენიალურ ისტორიებსაც კი, ყველა არ კითხულობს... წარსულს ბარდება ზოგიერთი წაუკითხავი ადამიანი: – მოთხრობა, ადამიანი – პოეზია, ადამიანი – რომანი, ადამიანი – ჩანახატი, ზოგიერთი კი ეპოქების სამაგიდო წიგნად ქცეულა“.

ყურადღებით უსმენდნენ იობს, აკვიატებული ფრაზა ისევ წამოცდა მოსაუბრეს, ღრმად ვარ დარწმუნებული ჰარმონიული ქვეყნის, ანუ ადამიანთა უნივერსალური, ზნეობრივად ამაღლებული ურთიერთობების სადღაც არსებობაში, იქნებ ის ჩვენს ყოველდღიურობაში იყოსო საპოვნი... ხუნ ძიჩენიც კი, რომლის აფორზმები მხოლოდ სიმპათიას იწვევენ მკითველებში, ასეთ ქვეყანას გონებასთან დიალოგით ეძებდაო.

... ხუნ ძიჩენის აფორიზმები ადამიანთა ურთიერთობების ღრმად ზნეობრივ ხელოვნებას გვასწავლიან და სამყაროსთან ჩვენი უეჭველი სისხლხორცეული კავშირის გრძნობას გვინერგავენ. ხუნ ძიჩენის შემოქმედება ოპტიმიზმითაა გამსჭვალუ-

ლი, ის ადამიანის სრულქმნის, თვითსრულყოფის უნარს ემყარება, ურთიერთობის ხელოვნება კი გამოიხატება... სათნოებისა და გონების შეზღუდულობის ჩვენებაშიო... მის გამონათქვამთა გმირი ბრძენკაცს განასახიერებს, როგორც სარკის, ტრადიციულ ჩინურ იდეალს, რომლის წყალობითაც, ყველა შეიცნობს თავის თავს და ხდება ისეთი, როგორიც არის...

ხუნ ძიჩენის მიხედვით, საზღვრულში საზღვარდაუდებლის, ღრმა აზრის შესახებ საუბრობდა იობი. „ნუ გწყურია ამქვეყნიური წარმატება, შეუცდომლობა უკვე წარმატებაა. ნუ ეძებ წყალობას ადამიანთაგან, თუ მათგან სიძულვილს არ დაიმსახურებ, ეს უკვე წყალობაა... მისთვის უმაღლეს ფასეულობას ადამიანი წარმოადგენს... მისი აფორიზმები დღესაც და მომავალშიც საშუალებას მოგვცემს, ვიპოვოთ ქვეყანა, რომელსაც ჰარმონია ჰქვია და რომელიც დასახლებულია კეთილშობილი, სათნო, წმინდა, მართალი ადამიანებით“.

იობის შემდეგ ყველას გაუჩნდა საუბრის სურვილი. ისინი ხომ ადამიანი – პოეზია, ადამიანი – მოთხრობა, ადამიანი – რომანი... იყვნენ, ერთმანეთისგან განსხვავებულნი... გამოდიოდნენ და საუბრობდნენ რიგრიგობით... სადღაც წარსულში მიჩქმალული სიკეთის, ამ ბუნების მიერ მომადლებული საგანძურის დაბრუნებას ცდილობდნენ.

სტუმრებიც მათ უსმენდნენ, უკვე ლექციის ჩატარების სურვილი არც ჰქონდათ.

მერე გიოს იობმა ჰკითხა: „თუ გიპოვიათ საცოდავი, კეთილი ადამიანის მიერ დაკარგული ნივთი, რომლის დაბრუნებაც გიცდიათო“...

გიომ განაცხადა, არა, არ მიპოვიაო. ის მესამედ უარყოფდა რაღაცას.

იობისთვის ეს შეკითხვა მარადიული გამხდარიყო და, ვინ იცის, მერამდენე ადამიანს მიმართავდა ამგვარად...“ (გვ. 103).

ლამარა გერგედავას მოთხრობა მიმართულია ადამიანთა შორის გაუცხოების, გულგრილობის წინააღმდეგ, შთამაგონებელია ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, გაგების.

სიბერე, სიკვდილი ყოველი ადამიანის ხვედრია, მაგრამ მთავარია, საზოგადოებრივი ურთიერთობები სიყვარულზე, სათნოებაზე, ურთიერთპატივისცემაზე და გაგებაზე იყოს დამყარებული.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მრავალგზის მახვილდება ყურადღება გოდერძი ჩოხელის მოთხრობებზე, რომანებზე, გამონათქვამებზე, რომლებშიც უბრალო, სათნოებით გამორჩეული ადამიანებია გაუკვდავებული, მათში აღმოჩენილია ფილოსოფიური, ზოგადსაკაცობრიო სატკივრები. არა თანამდებობას, მაღალ სკამს დახარბებული ადამიანები არიან ზნეობის, კაცურკაცობის ეტალონები, არამედ პროვინციელები. სხვისთვის უხილავს ჭვრეტდნენ და სრულიად ახალი თვალთახედვით აშუქებდნენ მოვლენებს მთის გენიოსები – ვაჟა-ფშაველა და გოდერძი ჩოხელი.

„პოზიტიური აზრები საფლავში კი არ უნდა ჩაიტანოს ადამიანმა, ჭეშმარიტი მწერლის ვალია მათი გამომზეურება, რაც საზოგადოების გაჯანსაღების პირობა არისო“.

საბედნიეროდ, არიან ჩვენ ირგვლივ ადამიანები, რომლებიც ანგარების მოტივით კი არ ავლენენ სხვათა მიმართ ყურადღებას, თანამდებობის გამო კი არ ეპირფერებიან, არამედ მათში მიჩქმალულ ნიჭს, სიკეთეს ეძებენ და მიღმურ სამყაროში გადასვლას უადვილებენ.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტი, საზოგადო მოღვაწე, 13 პოეტური კრებულის ავტორი გულნაზ ხარაიშვილი არამარტო სიტყვით, საქმით ამტკიცებს თავის ჰუმანიზმს. ეს მამა გაბრიელის მადლით გაბრძნობილი პოეტი და მოღვაწე მრავალგზის არის ნამყოფი ქალაქ რუსთავის მოხუცთა თავშესაფარში და ცდილობს მადლი იქაც დათესოს. იქ ასი ადამიანია თავმოყრილი (დირექტორი მალხაზ კვი-

ნიკაძე). ქალბატონი გულნაზი მეუფე თადეოზის თანხლებით ხშირად სტუმრობდა ამ დაწესებულებას. მასთან ერთად იყვნენ პოეტები ლიანა ოსიაშვილი, ლამზირა შეყილაძე. იქ აღმოაჩინეს პროფესორი, პოეტი ეთერ გვარამაძე, რომელიც აკადემიის წევრად აირჩიეს, სათანადო დოკუმენტიც გადასცეს და ჟურნალ „ათინათში“, რომლის რედაქტორია პოეტი გულნაზ ხარაიშვილი, ლექსები დაუბეჭდეს.

ცნობილმა პოეტებმა სერგი ლომაძემ და კახა ბაციკაძემ იქ პოეტური საღამო ჩაატარეს, ეს ურთიერთობა არა ერთგზისი, არამედ მრავალჯერადია. ჟურნალ „ათინათში“ დაიბეჭდა მამა ნეოფიტის (ბერის) ლექსი, მიძღვნილი გულნაზ ხარაიშვილისადმი.

„ათინათში“ თანამშრომლობს ექიმი, მწერალი ნანა ცინცაძე.

გულნაზ ხარაიშვილი ასევე მიაგებს პატივს მარადისობაში დამკვიდრებულ მეუფე თადეოზს მისი დაბადების დღეს – 14 ოქტომბერს.

ამ პოეტის კავშირი სულეთის სამყაროსთან, მიღმური სამყაროს საიდუმლოებების ძიება კიდეც ერთი, ძალზე საინტერესო პრობლემაა.

აკადემიის წევრია ნიჭიერი პროზაიკოსი ირმა კეკელიძე, აფხაზეთის მინისტრის ყოფილი მოადგილე.

„ათინათი“ ირმა კეკელიძის მეშვეობით უკავშირდება გარეჯის მონასტერს.

თავი V
ქართული ეროვნული ფენომენი

„ლიტერატურული მოზაიკა“ მრავალ პრობლემას უღრმავდება, რომელთაგან უპირველესია ქართველი ერის ისტორიის, კულტურის უმთავრესი მომენტების, მისი ზნეობრივ-ინტელექტუალური სახის წარმოჩენა, გმირული ისტორიის პატივისცემა, აწმყოს იდეალების ერთგული მსახურებით მომავალში გაღწევა, ახალი თაობის აღზრდა ფართო თვალსაწიერით, ზოგადსაკაცობრიო იდეების მსახურად.ლაზარედ სახელდებული ერის დიდი მისიის ჩვენება, მისი კაცთმოყვარეობის, ტოლერანტობის, ტრადიციების ერთგულებაზე ხაზგასმა.

ამ საპატიო მიზნის მიღწევის უპირველესი საშუალებაა ჩვენი სამშობლოს ისტორიის, ხელოვნების, მრავალსაუკუნოვანი ქართული კლასიკური ლიტერატურის შედევრებთან ზიარება.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ წარმოჩენილია ერისთვის მარადაქტუალური პრობლემები, მანკიერებები, მაგრამ წიგნის ავტორის მიერ შერჩეული მაგალითები წარსულიდან თუ თანამედროვეობიდან, ყოველგვარ ნიჰილიზმს აქარწყლებს.

ჩვენი მცირერიცხოვანი, მუდმივად მტრების თვალთახედვის არეში მოქცეული მამულის წინაშე მრავალგზის იდგა ყოფნა-არყოფნის დილემა, მაგრამ ერის გმირული, მებრძოლი სული ყოველთვის აქარწყლებდა პესიმიზმს. საქართველოს რენესანსული სიტყვის კულტურა, დაწყებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, მთელი საუკუნით უსწრებს იტალიური რენესანსის წარმომადგენელს – დანტეს. ეს შეხედულება გახმოვანებულია დიდი ქართველი მეცნიერის- შალვა ნუცუბიძის ნააზრევში და დიდწილად უკვე გაზიარებულია.

ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკის“ პერსონაჟი მასწავლებელი წარმატებით ართმევს თავს უპირველეს ამოცანას – მოზარდები აზიაროს ქართული კლასიკური პოეზიისა და პროზის, შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას,

გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ანა კალანდაძის, რევაზ ინანიშვილის, გოდერძი ჩოხელის თუ სხვათა მხატვრული შედევრების სიდიადეს და აღსაზრდელების სული გააცისკროვნოს ლიტერატურის – ზეციური „ნათლის სვეტის“ შარავანდედით, რასაც აღწევს კიდეც. ამ მიზნით ხშირად უცხოელთა მოსაზრებებსაც ეყრდნობა.

მოთხრობაში „წვიმა“ აქცენტი გადატანილია ქართველთა სტუმართმოყვარეობაზე: „სტუმართმოყვარენი ვართ ქართველები. საკმარისია თვალი გადაავლო გამოჩენილ ადამიანთა, მოგზაურთა და სხვათა აზრებს ქართველებსა და საქართველოზე“ (1,81).

ნაწარმოებში დამოწმებულია ერთ-ერთი ცნობილი მწერლის ადოლფ ენდლერის გამონათქვამი: „თუ საქართველო საკადრისად ვერ დაგიხატე, მაშინ ირლანდია, იტალია, ჰოლანდია, შვეიცარია გაიხსენე, არც კნუტ ჰამსუნი დაივიწყო, რომელმაც მას „თავგადასავალთა ქვეყანა“ უწოდა და თვითონაც ვერ გაარკვიაო, მართლა ნახა თუ დაესიზმრა იგი“.

ცნობილი ესპანელი მეცნიერი და აკადემიკოსი, გილერმო დიას პლაია, თურმე ნამდვილ შემოქმედებით ასპარეზს უწოდებდა ქართულ სუფრას, ხოლო საქართველოს კი მრავალფეროვან ქვეყანას.

იტალიელი ქართველოლოგის, ლუიჯი მაგაროტოსთვის, თურმე ძნელი ყოფილა გადაებიჯებინა დარიალის ხეობისთვის და მერე აქაურობა მიეტოვებინა.

„მივდივარ და მიმყვებაო ქართველთა სითბო და სტუმართმოყვარეობის ნიჭი“, წერდა ფლორიდის უნივერსიტეტის დეკანი რობერტ ბარილსკი“ (1,82).

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქართველი „ცისფერყანწელი“ პოეტების მეგობარი რუსი მწერლები, პოეტები, რომლებიც საქართველოს მეორე იტალიად მოიხსენებდნენ, ხოლო ქართულ სუფრას „თავისებურ, პლატონისებურ აკა-

დემიას“ უწოდებდნენ და ვერ ფარავდნენ გიორგი ლეონიძის თამადობით გამოწვეულ აღტაცებას.

ლამარა გერგედავას მოთხრობაში „წვიმა“ პერსონაჟი ლაზარე სტუმარს ქართული არყის წარმოებაზე ესაუბრება და წმინდა წერილსაც ახსენებს: „საქართველოში არყის წარმოებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს... თურმე „ოთხთავსა“ და „დაბადების“ ქართულ თარგმანში მოიხსენება დამათრობელი სასმელი „იყი“, რაც სულხან-საბას განმარტებით, არაყს ნიშნავს თანამედროვე ქართულ ენაზე. ეს სასმელი მენდელეევის მიერ შექმნილი ტექნოლოგიით ყოფილა მიღებული. მისი რეცეპტი კი, რუსეთის იმპერიას დაუპატენტებია 1894 წელს.

„მერე, მეოცე საუკუნის მიწურულს, თანამედროვე ტექნოლოგიით, რუსეთის იმპერიის დაპატენტებული რეცეპტით, შექმნილა ნატურალურ ნედლეულზე დამზადებული პროდუქცია ინგრედიენტი, კავკასიის წყაროს წყლები და საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარე ენდემიკაც ემატება თურმე“ (1,84).

ხელოვნების უდიდეს თეორეტიკოსს, მეცნიერული არქეოლოგიის შემქმნელს, გერმანელ იოჰან ოახიმ ვინკელმანს უთქვამს: „არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არ ითვლება, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე“.

„მშვენიერი ბუნება, მშვენიერი ცა ქმნის ადამიანთა შორის უმშვენიერესს და ტანსარო ქმნილებებს, ამასთან, თანხმობას ამ ქმნილებათა შორის. მშვენიერ ადამიანთა, ქართველთა ქვეყანა გვიმტკიცებს ამას“ (1,273-274).

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორისთვის ერის მარადიულობის მაცნეა იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელშიც ქართული ენა ქრისტეს მიერ გაცოცხლებული თავისი საყვარელი მოწაფის – ლაზარეს ენად წარმოჩნდება და მეორედ მოსვლისას ამ ენაზე განიკითხება ცოდვილი კაცობრიობა.

ქართული ეროვნული ფენომენის მცველები იყვნენ როგორც თეორიული, ისე მხატვრულ ჭრილში ჩვენი სახელოვანი სიტყვის ოსტატები: აკაკი, გალაკტიონი, ანა კალანდაძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი, გოდერძი ჩოხელი.

ჩვენი სიტყვის ოსტატებს ამხნევებდათ მესიანისტური იდეა, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრია და მას გადაარჩენს დედა-ძის მადლი.

ვაჟა-ფშაველას თითქოს მიღმური სამყაროდან ესმოდა ღვთისმშობლის სიტყვები თავისი მფარველობის ქვეშ მყოფი საქართველოსადმი: „ვინაც ჩემს წილხვედრს უმტერა, ვინაც მას ცრემლი ადინა, ობოლსა, უპატრონოსა, მაგრამ მართალსა ცამდინა, მე გავცემ იმას პასუხსა-უფლის წინაშე მდგომარე... ვინც დამიჩაგრა წილხვედრი, – კმარა, რაც ვიყავ თმენითა! – დავჩაგრავ, აღარ დავინდობ, მსმენელთ ისმინეთ სმენითა!“ (ხმა სულეთიდან) (2,214-215).

ვაჟა-ფშაველას ლექსში „სტვირი“ ნათქვამია: „...დავაკარ ქარასხაზედა წმინდა სანთელი წყვილიო-ღვთისა და ღვთისმშობლისადა, ვისიც ჩვენა ვართ წილიო“ (2,181-182).

ქართული ეროვნული ფენომენის გაცნობიერებისას განსაკუთრებული მოწიწებით მოიხსენიება ქართული ცეკვა, რომელზედაც ჩანახატია წიგნში განთავსებული, შთაბეჭდილება ეფუძნება სუხიშვილების ერთ-ერთი კონცერტიდან მიღებულ შთაბეჭდილებას.

წიგნის ავტორი მოიხმობს გრიგოლ რობაქიძის წერილს „ქართული გენია როკვით განფენილი“, რომელიც სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლის შვეიცარიაში ჩატარებული კონცერტის შთაბეჭდილებით არის დაწერილი 1962 წელს.

ჩანახატს „ქართული ცეკვა“ წინ უძღვის გოეთეს განაცხადი: „ყველაფერი სილამაზის განცდას ემორჩილება“ (1,18).

„ქართული ცეკვა...

მომხიბვლელობით გალათეას ვამსგავსე იგი...

სცენის სივრციდან სინარნარე, კდემამოსილება და ვაჟკაცური გამბედაობა გიახლოვდება ანგელოზებრივი სრულყოფილების, მარადიული მშვენიერების ტრიუმფით და მას საოცარი, ფანტასტიკური ხილვის ხიბლი გადაჰკრავს.

... ის მითების, ისტორიის, გმირობის შთაბეჭდილებებს გვჩუქნის.

ქართული ცეკვა ხელოვნების ზენიტია, მხატვრობისა და მუსიკის სინთეზი.

„ზეციური ნათლის უამრავი, ბრწყინვალე სხივი გადმოხრილა დარბაზისკენ და ...

„...ყველაფერი ღვთაებასთან ახლოს...

მოჯადოებული დარბაზი საოცარ ხილვებში სახლობს და მოგზაურობს. სცენაზე, თითქოს სალოცავის კედლებიდან უამრავი გაცოცხლებული ფრესკა ჩამოსულა ...ყოველი მოძრაობა სწრაფვაა, გზაა სილამაზიდან მშვენიერებისკენ, ამაღლებისკენ, იდეალების განხორციელებისკენ...

იქნებ სცენაზე გალაკტიონის პოეზია გაცოცხლდა და მხატვრობის საზღვრებთან მიახლოებულ, აცეკვებულ სკულპტურებს მიუახლოვდა.

ქართული ცეკვის გრაცია, რიტმი და ტემპერამენტი ამკობს სამყაროს, სივრცეს აკვრია ლაღად ისე, როგორც ულამაზესი ჩუქურთმები ხუროთმოძღვრების უკვდავ ძეგლებს, რომელთაც ქართული სული, ქართული გენის სიდიადე აქამდე, მოუტანიათ. შთაგონებული ქართული სული, რითაც გუდიაშვილი სერაფიტას ხატავდა, რუსთაველი სრულყოფილებას ქმნიდა, ჯორჯონე მომხიბლავი ქალის იდეალს, რენესანსის ტიტანი რაფაელი-სიქსტის მადონას, ღრუბლებიდან დაშვებულ განუმეორებელ მომხიბლაობას, კაცობრიობის მხსნელ იესოსთან ერთად“ (1,20).

ქორეოგრაფი, მოცეკვავე და პედაგოგი გელოდი ჭანიშვილი საგანგაშო ინფორმაციას ავრცელებს ქართულ ცეკვებთან დაკავშირებით. „ჩვენი ქვეყნიდან უსაშველოდ და უმოწყა-

ლოდ გაედინება ხალხური ქორეოგრაფია, ჩვენს ცეკვებს ასრულებენ ჩრდილო კავკასიაში, თურქეთში, სომხეთში. ისინი უკვე ცეკვავენ ჩვენს ხორუმს, ქართულს, მთიულურს. ამიტომ მთავრობამ... ქართულ ხალხურ ცეკვებზე ფილმი უნდა გადაიღოს და იუნესკოში წარადგინოს.

...ამერიკაში მოქმედი ერთი სომხური ანსამბლი კლასიკური ქართული მუსიკის თანხლებით ქართულ ცეკვას ასრულებდა, რომელსაც „სომხური საქორწილო“ ერქვა. მაგრამ ეს მხილებულ იქნა ერევანში წერილის ავტორის ძალისხმევით და მათ აეკრძალათ ქართული ცეკვის შესრულება.

...ჩრდილოეთ კავკასიელებს ქართველი ქორეოგრაფები ასწავლიდნენ ცეკვებს, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი თაობა წამოვიდა და მიდგომა შეიცვალა, მათ ეს ცეკვები თავისად გაასაღეს.

„ქართველმა ქორეოგრაფებმა, კულტურის სამინისტრომ ხმა უნდა აღიმაღლოს ამ პლაგიატის წინააღმდეგ“, აცხადებს ქორეოგრაფი რეზო ჭანიშვილი (4,68).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ნათქვამია:

„იდუმალი ფერმწერი, ცის ტატნობზე, ჩემი სამშობლოს ლამაზ მომავალს დახატავს.

„ეს არ იქნება მირაჟი...

„აღარც სიზმარი... არამედ ახდენილი ოცნება, თეთრ უკვდავებასთან წილნაყარი“.

ეკლესიაში მწერალს ურჩხულის მძლეველი წმინდა გიორგი ევლინება იმედის მაცნედ (1, 267). მას ანუგეშებს დიდი ილიას სიტყვები: „ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით... რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით“...

„ეგ იყო წარსულში, რათა ბედნიერი აწმყო გვქონოდა: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისაო“,- თქვა ლაიბნიცმა.

„...სწრაფვა უკეთესობისკენ ისტორიის შემოქმედი ხალხის მიზანია, ხალხისა, რომელიც საზოგადოებრივ – პოლიტიკურ გარდაქმნათა გადამწყვეტ ძალას წარმოადგენს“ (1,248).

გიორგი მთაწმინდელი ქართველობას მოიხსენებდა, როგორც „ახალ ღვთაებრივ ერს“.

ქართველი ერი (და არა მარტო ქართველი) „ვეფხისტყაოსანს“ საკუთარ ბიბლიას უწოდებდა.

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა (დავითი, სოლომონი, ესაია, იერემია, ეზრა, ეზეკიელი, მალაქია, იოველი, ნაუმ, ზაქარია) ნააზრევში ვხვდებით ებრაული მესიანიზმის იდეას, რომ ამ ხალხის წიაღში დაიბადებოდა ხალხთა მხსნელი, მესია.

ერის რჩეულობის იდეა მრავალ ქვეყანაში გამოვლინდა (ბიზანტია, რუსეთი, პოლონეთი, სომხეთი, საქართველო), მაგრამ მესიანიზმი დიდი ქვეყნებისათვის მსოფლიო ბატონობის, იმპერიული ზრახვების იმპულსი ხდება, პატარა ერებისთვის – თვითდამკვიდრების, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება – განმტკიცების საფუძველი.

მცირერიცხოვანი, მტრებით გარშემორტყმული ქართველი ხალხის ხვედრი იყო ძნელბედობა. ამიტომ მას განსაკუთრებით სჭირდებოდა მესიანისტური იდეა, რადგან „ეს იდეა ერის თვითგანმტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს, ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას“.

ქართული მესიანიზმის იდეა გატარებულია იოანე ზოსიმეს ცნობილ ძეგლში „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელშიც ქართული ენა გამოცხადებულია ქრისტეს ენად. მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ამ ენით დაელაპარაკებაო კაცობრიობას (5,49).

გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“ ღმერთის სასწაულით ქართულად ალაპარაკდება სნეული ექვთიმე. მძიმე დეპრესიაში მყოფს ღვთის-

მშობელი ეჩვენება, ანუგეშებს, ქართულად ლაპარაკს ურჩევს და ისიც ამეტყველდება მშობლიურ ენაზე.

სასწაულია როგორც ექვთიმეს, ისე მარიამ ღვთისმშობლის ქართულად ალაპარაკება (6,16).

მესიანიზმის იდეა გასდევს „ქართლის ცხოვრებას“, რომლის მიხედვით ქრისტეს კვართი საქართველოში, კერძოდ, მცხეთაშია დაფლული. ამ სიწმინდის დაკრძალვის ადგილას აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარი.

ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი საქართველოდან იერუსალიმს გაემგზავრნენ. ისინი დაესწრნენ ქრისტეს ჯვარცმას და წილად ხვდათ მისი კვართი, რაც საქართველოში, მცხეთაში ჩამოიტანეს (7,98-99).

მესიანისტურ იდეას ემსახურება საქართველოს გამოცხადება მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად.

ბაგრატიონთა სამეფო დინასტია მოიხსენიებოდა, როგორც იესიან-დავითიან -სოლომონიანი.

ქართველი ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის 78-ე თაობად მიიჩნეოდნენ.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ქართული წირვა-ლოცვა იქაც სრულდება, სადაც ქართველები არ ცხოვრობენ.

არსებობს მოსაზრება ქართველებისა და ბიბლიური ქალდეველების ნათესაობის შესახებ (ლიტერატურაში – გრ. რობაქიძე, ანა კალანდაძე, ვაჟა ეგრისელი), ისტორიულ მეცნიერებაში ვახტანგ გოლიაძე, მიხაკო წერეთელი, ზურაბ ქაფიანიძე, თეიმურაზ მიბჩუანი.

შუმეროლოგიაში ამ აღმოჩენების შთამაგონებლად ითვლებიან ილია ჭავჭავაძე, მიხაკო წერეთელი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, რამაზ პატარიძე.

დავით აღმაშენებელი მოიაზრება გრაალის თასის მცველად.

მერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის აზრს, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინ-დები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავლე-თიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე მღვდელ-მთავარ იოანესთან, ეს პიროვნება კი დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც უმაღლეს დონეზე ახორციელებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა და მსახურების მისტერიას.

„სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენი-ჭებინათ დავითისთვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი სახე-ლი იოანესთან ერთად და მისი ხელდასხმის სადიდებელ რიტუალს ქართველობასთან ერთად, შესაძლოა ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ.

„გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს.

„ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი გვამცნობს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგა-ნო – ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადა-მიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირეუბლი.

დავით აღმაშენებელს ჰქონდა სპირიტუალური უნარი სივრცული ნათელხილვისა, იგი იგებდა სხვათა ფიქრებსა და ზრახვებს.

ეს ცოდნიათ მის ისტორიკოსს და იოანე შავთელს. ეს ეზოთერული სიბრძნე იყო.

„დავით აღმაშენებელი რომ მართლაც ხელდასხმული იყო, ამაზე ღაღადებენ გელათის ტაძარში კედელზე გამო-სახული მისი ფრესკა და თავს ზემოდან ჩამოშვებული ხელი“ (მერაბ კოსტავა)(8,45,46,48).

„გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაა-ლის მსახური არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი“ (ზვიად გამსახურდია) (9,38).

ორი ათასი წლის წინ სახელოვანი ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი არგონავტების შესახებ თქმულებას ნამდვილ ამბად მიიჩნევდა.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ცოდვილად მოიხსენიება არგონავტების ლაშქრობის მეთაური იაზონი კოლხეთიდან ოქროს საწმისის მომტაცებელი, რომელიც ისჯება ამის გამო (10,88,86).

ჰეროდოტე კოლხეთს „ოქროს ქვეყანას“ უწოდებდა.

არისტოტელე წერდა: „ოქროთი უხვი კოლხეთის მბრძანებელი აიეტი ღმერთების ყოვლისშემძლე ბედმა აქ გააპატიოსნა“(11,201).

ჰომეროსის „ოდისეაში“ ჯერ კიდევ XI საუკუნეში (ძვ. წ.) უკვე იყო მოხსენიებული არგონავტების მოგზაურობა (11,220).

ფესტოსის დისკოზე კოლხური ოქროდამწერლობით ამოტვიფრულია „ნენანას“ სავედრებელ-საგალობელი (11,227).

ღვთისმშობლის დავალებით მოევლინა საქართველოს ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ქრისტიანობის გასავრცელებლად.

ანდრია პირველწოდებულმა შეასრულა ღვთის ნება, წამოიღო წმინდა ნივთები, მათ შორის კვართი ღვთისმშობლისა და სარტყელი კოლხეთ-იბერიაში.

ღვთისმშობლის კვართს ბევრი სასწაული უკავშირდება.

2000 წელს ღვთისმშობლის კვართზე იესო ქრისტეს გამოსახულება გაჩნდა.

ზვიად გამსახურდიას აზრით, წმინდა გიორგი იყო კაბადოკიელი. კაბადოკიელები კი ქართველთა მონათესავეები არიან.

არსებობს წმ. ლავრენტი ბუროველის წინასწარმეტყველება: „დადგება მძიმე დროებაც და თუ იმ ჟამს რუსეთი იარსებებს, მას მოუწევს იბერიაში მუხლის ჩოქვით მიდიოდეს, რათა ითხოვოს პატიება ყველა იმ ცოდვებისათვის, რასაც რუსეთი ჩაიდენს მის წინააღმდეგ“ (11,352).

ასევე მანუგეშებელია წმინდა სერაფიმ საროველის განაცხადი: „მრავალი ერი გაქრება დედამიწის ზურგიდან, მაგრამ იბერია იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და კაცობრიობის ხსნა იბერიიდან მოვა“ (11,353).

გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანში“ საქართველოს ძნელბედობაზე მტირალ ღვთისმშობელს ამხნევებს ძე ღმერთი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მტარვალთათვის საკადრისის მიზღვას და მარიამისგან ნაკურთხი სამშობლოს აღორძინებას ჰპირდება (12,71).

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე აცხადებს: „მე ხშირად ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რა მისია აკისრია ქართველ ერს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ყოველ ადამიანს, ყოველ ერს განსაკუთრებული მისია აქვს დაკისრებული და ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხის მისიაა მსოფლიოს წინაშე დაამოწმოს ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ“ (13,17).

ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკა“ ქართველი ერის, მისი სულიერ-ზნეობრივი ფენომენის საგალობელია: „ჩემო კეთილო ფერიავ, ჩემო ჭირთამთმენო, ღვთის წილხვდომილო, ვაჟკაცური ბუნებითა და ზეციური ნიჭით დაჯილდოებულო, მრავალი გმირის აღმზრდელო სამშობლოვ, მინდა შენს ვერცხლისფერ თმებში გავყუჩდე, შენი მზით გავთბე, შენს დაძარღვულ მაჯისცემას მივუგდო ყური...

„მომხიბლავი ხარ... და ეგ ხიბლი ძლიერია.

„შენ ხარ მებრძოლი, ყოველ ეპოქას, ყოველ დროებას ხელში ხმლით და ფიალით ადევნებული ტანჯული გმირი...

„შენი ცრემლები, ჭაღარა წვერზე რომ უხმოდ დაგცემია, მზის ღიმილს გაუთბია, ქრისტესავით წამებულო... ამაყო, სულით ძლიერო, ილიას აზრით განათებულო, გალაკტიონის ოცნებაში ჩაძირულო... მეცნიერებად, ხელოვნებად ქცეულო მარგალიტო... შენ იმ სალოცავ ხატს ჰგავხარ, რომელსაც ფასს ვერ დასდებ, ხატს ათასჯერ გატაცებულს, გაქურდულსა და ნაწილ-ნაწილ დიდი გულმოდგინებით დაბრუნებულს...

„...ქართველთა ქვეყანა ხარ, ათას ჭირვარამგამოვლილი, საოცნებო მტერთათვის და სალოცავი მოყვრისთვის.

„ბევრი უცნობი, ჯერაც გამოუვლენელი გმირის დედა ხარ...

„კავკასიონის მთებივით უდრეკი, ამაყი, წელგამართული და ცივი ხარ მტერთან დამოკიდებულებაში“.

მწერალი ხაზს უსვამს დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, მეფე ფარნაოზის სიდიადეს: „გიხდება დავით აღმაშენებლის უკვდავი საქმეები, თამარის სიმამაცე და მეფე ფარნაოზის 33 ბრძენის სახით ამოქარგული თეთრი მანდილი“.

ტრაგიკული წარსულის მიუხედავად, მისი მარადიულობის რწმენა ვლინდება: „იმდენად წმინდა ხარ, შენზე მხოლოდ კრძალვით შეიძლება საუბარი... თუ გაგიბედავენ ხელყოფას და იავარქმნას, სულერთია, აღდგები, დაკარგავ მარგალიტებს, ფირუზებს, კაშკაშა ვარსკვლავებს, მაგრამ მაინც შეგრჩება ძალა უკვდავებისკენ სვლისა“... (1,277).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ სამშობლო სახელდებულია, როგორც „მეცნიერებად, ხელოვნებად ქცეული მარგალიტი, სალოცავი ხატი, სარკე უმსხვრევი და ხმალი უტეხი, წიგნი ათასჯერ წასაკითხი, უსასრულოდ დიდი და საინტერესო“ (1,276).

ანა კალანდაძის პოეზია განგვაცდევინებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი, დიდი კულტურის მქონე ერის მარადიულობის რწმენას: „არ გახმება იესოს ფესვი, „უძველესი მზის ქვეშე ხალხი ვით შეწყვეტს სუნთქვას და გულისძგერას“ (აღმაშენებელს – მეფეს და სარდალს“) (14,304-305).

გოდერძი ჩოხელი გუდამაყრის ხეობას ადარებდა დიდ წიგნს.

ვაჟა ეგრისელისთვის „მსოფლიო დიდი წიგნია და საქართველოა მისი თავფურცელი“ (15,347).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ წიგნი სამშობლოს სიმბოლოა, წილნაყარი რწმენასთან, სიკეთესთან.

ნაწარმოების ავტორს ჩვენი სამშობლოს მომავალი, მისი უკვდავება ცის ტატნობზე უხილავს: „იდუმალი ფერმწერი, ცის ტატნობზე ჩემი სამშობლოს ლამაზ მომავალს დახატავს...

„ეს არ იქნება მირაჟი...

„აღარც სიზმარი... არამედ ახდენილი ოცნება, თეთრ უკვდავებასთან წილნაყარი (Impression) (1,246).

დამოწმებანი

1. ლამარა გერგედავა, „ლიტერატურული მოზაიკა“, „უნივერსალი“, თბ. 2023
2. ვაჟა-ფშაველა 5 ტომად, ტ. 3, „პალიტრა L“, თბ. 2011
3. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2023წ. 16-22 იანვარი, №4 (1468).
4. მერაბ კოსტავა, შეწყვეტილი ფიქრები, „მერანი“, თბ. 1991
5. აკაკი ბაქრაძე, რწმენა, თბ. 1990
6. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ.2, თბ. 1981
7. ქართლის ცხოვრება, I, თბ. 1993
8. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1990
9. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
10. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ. 2012
11. ვლადიმერ ვახანია, კოლხეთ-საქართველოს ეპოსი, ქრისტეს ბოლო სიტყვები, თბ. 2011
12. გოდერძი ჩოხელი, სულეთის კიდობანი, თბ. 2011
13. საპატრიარქოს უწყებანი, 2004, №24
14. ანა კალანდაძე, ერთტომეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1987
15. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები 30 ტომად, ტ. I, „ივერიონი“, თბ. 2016

მუსიკის პრიმატი

„ლიტერატურული მოზაიკა“ ლირიკული პროზის ნიმუშია, მისი რიტმული სტრიქონები ხშირად ლექსს უახლოვდება.

ამ ნაწარმოებში განსაკუთრებულად გამოვლინდა მუსიკალობა, ქართული საგალობლებისა და ლოცვა-ვედრების სტილი, ინტერესი ეროვნული და უცხოელი კომპოზიტორებისადმი.

წიგნის 33-ე გვერდზე ნათქვამია: „გვიანი შემოდგომა ფოთოლცვენით ერთობა, მერე, თითქოს, არენიდან სიბელიუსის მეხუთე სიმფონიისა და მოცარტის სერენადების თანხლებით ნელა გადის და ხელს უკანასკნელად გვიქნევს“.

„ბუნება, ხეები ანრი რუსოსა და ფიროსმანის მოწყენილი ხეების მსგავსნი, სივრცეში ირეკლებიან“ (ჩემი პატარა მეგობარი) (1,46).

მწერალი ყოველ მოძრაობას, ნაბიჯების ხმასაც კლასიკურ მუსიკად აღიქვამს: „ნაბიჯები კლასიკური მუსიკის ბგერების ხმებად. შეწყვეტილი მუსიკა ნაბიჯებისა, შორეული, თეთრი ციალი. რეჟისორის ხელით ჩამოშვებული შავი ფარდა ცისიერ სცენაზე. ბობოქარი დუმილი... მერე... მთვლემარე სამყაროს ამოსუნთქვა ხანგრძლივი პაუზის მსგავსი“.

დუმილშიც სულში ხმაურობს ქართველი პოეტების მეფის სტრიქონები: „ახლა საღამოა და დუმილში ხმაურობს პოეზია დიდი პოეტისა: „მწუხარედ ქროდა ციურთა სოფლად ჩვენი საღამო“ (1,246).

ყოველი ფიქრი მუსიკას უკავშირდება: „კლასიკურ მუსიკაზე ვფიქრობ, უმშვენიერესისა და უნატიფესის ტყვეობაში ვარ... მე და მუსიკა ფიქრებით ვეხმიანებით ერთმანეთს.

სიტყვა, მხატვრობა, ქანდაკება მუსიკას უახლოვდება: მოცარტი, ბახი, სიტყვისა და ფუნჯის ძალა, რაფაელი, მიქელანჯელო“... (1, 271).

სიტყვის ხელოვნებაზე ფიქრი რომენ როლანს, ლაიბნიცს, პითაგორას „მსოფლიო ჰარმონიას“ უკავშირდება: „ხელოვნება უშრეტიაო ისე, როგორც ცხოვრება, უთქვამს რომენ რო-

ლანს და არაფერი გვაგრძნობინებსო ამას უკეთ, ვიდრე მუსიკა, ოკეანე მუსიკისა, რომლითაც აღსავსეაო საუკუნეები. თურმე პითაგორა „მსოფლიო ჰარმონიაში“ მუსიკას განმარტავდა, როგორც ბგერათა რიცხობრივ შეთანაბრებას, ლაიბნიცი კი მას სულის საიდუმლო ვარჯიშს უწოდებდა“ (1, 279-280).

ნაბიჯების ხმაშიც მუსიკა ხმიანობს: „შეწყვეტილი მუსიკა ნაბიჯებისა, შორეული თეთრი ციალი“...

ნაბიჯების ხმა ბეთჰოვენის, მოცარტის, ვივალდის მუსიკას ახმიანებს სულში, თანაც იმპრესიონისტი მხატვრის კლოდ მონეს სურათის „მზის ამოსვლის“ შინაარსს ამოატივტივებს: „მიდიოდნენ... თითქოს ყოველი ნაბიჯის ხმა ჯერ ბეთჰოვენის, მერე მოცარტის, მერე კი ვივალდის ბგერების გარემოცვაში რიტმულად მოისმოდა. ახლა უკვე ყველაზე უკეთ ესმოდა კლოდ მონეს სურათის „მზის ამოსვლის“ შინაარსი“ (მარტოკაცის სამყარო) (1,71).

გაკვეთილიც სონეტს უნდა მიემსგავსოს, პოემის პროლოგს და ლირიკულ პროზას: „ეს გაკვეთილი როგორ მინდა ჰგავდეს სრულყოფილ სონეტს, ან დიდებული პოემის პროლოგს, ან სიტყვაკაზმულ ლირიკულ პროზას“ (ღრუბლები) (1,15).

მუსიკაზე ფიქრი გალაკტიონის რემინისცენციას იწვევს, რადგან ის სიტყვის მუსიკის ჯადოქარი იყო და აქვე მოიხსენება აკაკი გაწერელიას განაცხადი წერილიდან „ლერწამი და გობელენი“: „გალაკტიონის დასაფლავება სიტყვის მუსიკის გამოტირება იყო“.

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორის სმენას წვდება მხოლოდ დედამიწაზე კი არა, იმის იქითაც არსებული უშველებელი, ამოუცნობი სივრცის ბგერები: „დედამიწის იქით უშველებელი, ამოუცნობი სივრცე ახამხამებდა თვალებს და უცნობ ბგერებსაც გამოსცემდა“.

მონარქის გამოხედვაშიც, მის ნაბიჯებშიც, ღვთაებრივი ჰარმონია შეიგრძნობა: „მონარქის ზვიადი გამოხედვა და ნაბიჯების ხმა დიდი, ვითარცა ღვთაებრივ ჰარმონიულობამდე ამაღლებული კლასიკური მუსიკა“... (1,244).

სიარული, ნაბიჯები, სამყაროს ამოსუნთქვაც რიტმულია:

„... შეწყვეტილი მუსიკა ნაბიჯებისა... მთვლემარე სამყაროს ამოსუნთქვა ხანგრძლივი პაუზის მსგავსი“...

გვაგონდება პოლ ვალერი: „ჩემი შთაგონება არ არის სიტყვიერი. ის სიტყვებით არ ყალიბდება, არამედ მუსიკალური ფორმებით.

„საგნები თავისთავად გველაპარაკებიან, ხანდახან მღერიან კიდეც“ (2,382).

გალაკტიონს ესმოდა „ზექვეყნიური უკვდავი ხმები, ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი“. პოეტმა შექმნა „გადარჩენის ჰიმნი“, უმღერა „გადარჩენის ბედნიერებას“. მას ეიმედებოდა უზენაესზე ლოცვებით გაღვიძებული სულის მარადიულობა (შემდეგაც, მაინც).

პოეტების მეფეს ესმოდა ქაოსიდან სამყაროს შექმნის ხმა; „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს... და სახე მელოდიების“(ვაგნერი) (4,11).

ესაია წინასწარმეტყველი წერს: „უფალმა გამიხსნა სასმენელი“ (50,45) (გვ. 116).

ანა კალანდაძის პოეზიაში „სიტყვის მუსიკალური აზრის წინ წამოწევაზე“ მიუთითებენ ავთანდილ ნიკოლეიშვილი, შუქია აფრიდონიძე, გურამ ბენაშვილი, ნოდარ ჩხეიძე.

ქართული პოეზიის დედოფალს „ცათა მაღალთა მადლი“ ასხივოსნებდა, ესმოდა „ლურჯ სერაფიმის ფრთათა შრიალი“ (აკრთობს ღამეებს) (5,46).

მუხრან მაჭავარიანი მიმართავდა ანას: „შენს პოეზიას ცა და მიწა მოაქვსო“.

ანას ესმოდა „მუსიკა ცისა და მიწის“, „ხმა ზეციური“.

„ალბათ პლანეტის იდუმალი მოძრაობაც კი მართლაცდა ფარული მუსიკის ჰანგებზეა გაანგარიშებულიო“, წერდა დიდი ლირიკოსი.

ანა კალანდაძის პოეზიაში ყურადღებას იქცევს „ხმა ზეციური, უხილავის, ანგელოზის, ქერუბიმის, დემონის, ეშმაკის, ბელზებელის, იუდას, კაენის, ურჩხულის, ავაზაკის, ქორვაჭრის, მგლის ხმა.

ესმის ხმა იდუმალი, შორეთის ხმა, იერემიას გოდება, ევლინება „ზენაარსის მაცნე“, ცის მაცოცხლებელი სული.

ეცხადება „ზეციური ნათელი, მაღალი გზა“ (ღმერთი).

ანა კალანდაძეს არასოდეს ენახა ლადო ასათიანი, არც მისი ხმა გაეგონა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მის მზერასაც გრძნობდა, მისი ხმაც ესმოდა და წერდა: „ყველგან მის მზერას ვაწყდები დღეს. პირველად ვისმენ მის ხმას მოზეიმე ნიავის ქროლვაში, იმ ხმას, რომელიც არსად, არასოდეს მსმენია!“

ნათელმსმენ პოეტს ასევე ესმოდა სიონში დიდი დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

„ალბათ პლანეტის იდუმალი მოძრაობაც კი მართლაც ფარული მუსიკის ხმაზეა გაანგარიშებულიო“, წერდა ქართული პოეზიის დედოფალი.

დიდმა ღვთისმეტყველმა ნეტარმა ავგუსტინემ მოისმინა თვით ღმერთის – „თავადის ხმა“ (6,176).

ელენე ბლავატსკაია საუბრობს „მდუმარების ხმის“ გაგონებაზე, რუდოლფ შტაინერი – „სულიერ სმენაზე, სულიერ ყურზე“.

„სულიერი ყურისთვის მუსიკალურია ის, რასაც ფიზიკურ სამყაროში გონება აღიქვამს, როგორც კანონს, როგორც იდეას და ამიტომ უწოდებენ პითაგორელები სულიერ სამყაროს ამგვარ აღქმას სფეროთა მუსიკას“, აცხადებს რუდოლფ შტაინერი (7,12).

სამყაროს მუსიკის, ზეციური ხმების მოსმენის საწინდარია რწმენა.

გოეთე წერდა: „ზედა ინსტანციის ცნობა ჩვენ მის დონემდე გვამაღლებს და ჩვენი აღიარებით ვიძლევით იმის საბუთს, რომ თვით ჩვენშიც არის ისეთივე სიმაღლე და ღირსნი ვართ იმისა, რომ მის ტოლად გვაღიარონ“ (8,117).

ანა კალანდაძეს ეამაყებოდა ქართული მუსიკის საერთაშორისო რეზონანსი და ამავე დროს ეტკივილებოდა ამ გენიალური ნიჭის მქონე ერის მცირერიცხოვნება. პოეტი იგონებდა ერთი ახალგაზრდა ამერიკელი ქართველოლოგის გულდაწყვეტით ნათქვამს: „როგორი დასანანია, რომ ასეთი ჰიმნებისა

და საგალობლების შემქმნელი ერი ასე ცოტანი ხართ, თითქმის ჩიკაგოს მოსახლეობის ნახევარიო“.

„მართლაცდა რა ეშველება დედამიწას, ქართულმა მუსიკამაც რომ მიატოვოს იგი?“ გულდაწყვეტით კითხულობდა ქართული პოეზიის დედოფალი.

აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე წერს: „გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მუსიკის მოსმენით მიღებულ სიამოვნებას იგივე ქიმიური საფუძველი აქვს, რაც სიყვარულის გრძნობას. თავის ტვინში გამოიყოფა დოფამინი (სიამოვნების ჰორმონი)... ხალხური მუსიკა თავის ისტორიულ ფესვებთან აბრუნებს ადამიანს. მას დაავადების განკურნებაც შეუძლია, მუსიკოთერაპია დაავადებებს კურნავს.

წერილის ავტორი იმოწმებს კონფუცს, რომელიც ამბობდა, რომ ხალხს, რომელსაც არ გააჩნია სუფთა და ნათელი მუსიკა, გადაშენებისთვისაა განწირული.

მუსიკას შეუძლია როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, ისე შეჩერება (ნუ დაივიწყებთ ფესვებს – უსმინეთ ფოლკლორს (9,16).

„მუსიკა არის ბგერებით შელოცვა, რომლის ჰარმონიაშია უზარმაზარი მაგიური ძალა“ (მუსიკა სიცოცხლის ხმაა) (10,15).

საუბრობს რა მუსიკოთერაპიაზე, რამაზ გახოკიძე ხაზს უსვამს ხალხური სიმღერის დადებით ზემოქმედებას, მოცარტის, ჩაიკოვსკის, სიბელიუსის, ლისტის, ბეთჰოვენის, შტრაუსის, ჰაიდნის, ჰენდელის მუსიკის პოზიტიურ ძალას. აქვე აღნიშნულია, რომ ბახის მუსიკა მცენარეთა ზრდის ხელშემწყობია.

საქართველოში მუსიკით მკურნალობის საკითხზე მუშაობენ ა. ზურაბიშვილი, ვ. მოსაძე, ქ. მინდაძე, კომპოზიტორი კ. ფოცხიშვილი, ი. ბობოხიძე, ს. ჟვანია.

„ძილისმომგვრელია ქართული „იავნანა“, დამაშვრალთა მკურნალი, სამკურნალოა სიმღერა „ბატონები“. სამკურნალო ეფექტი უნდა გააჩნდეს ქართულ კლასიკურ ნაწარმოებებს, მაგალითად ზ. ფალიაშვილის „დაისის“ უვერტიურას, ლაღიძის „საჭიდაოს“ (რ. გახოკიძე-მუსიკა „კაცობრიობის უდიდესი ძალა“) (11,16).

აღმოსავლურ ბაიათებს თავგამოდებით უპირისპირდებოდნენ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე.

„ქართული სიმღერა-გალობა საუკეთესო ვაქცინაა. ბრძოლის უებარი საშუალებაა ჩვენი, მუსიკალური კულტურის ორი დაავადების, ორი დაუძინებელი მტრის, მასში გავრცელებული აღმოსავლური ბაიათების და ფსევდო-ინტელიგენციის ფენაში მოდებული ჯაზური მუსიკის წინააღმდეგ“, წერდა მერაბ კოსტავა (12,68).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ საუბარია ქართლ ანბანზე, ქართულ ენაზე, რომელიც იოანე-ზოსიმემ ქრისტეს მიერ გაცოცხლებულ ლაზარეს შეადარა და რომელიც მესიანისტური იდეის შემცველი, ქართველი ერის მარადიულობაზე მიმანიშნებელია (1, 2, 8-225).

დამოწმებანი

1. ლამარა გერგედავა, „ლიტერატურული მოზაიკა“ „უნივერსალი“, თბ. 2023
2. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ. 1983
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 15 ტომად, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ტ. II, თბ. 2016
5. ანა კალანდაძე, ლექსები, „მერანი“, თბ. 1982
6. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ. 1995
7. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, თბ. 2014
8. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი გერმანულიდან აკაკი გელოვანის, ბათუმი, 1988
9. „საერთო გაზეთი“, ?2 (683), 25, I, თბ. 2023
10. „საერთო გაზეთი“, №7 (685), 8, II, თბ. 2023
11. „საერთო გაზეთი“ №5 (688), 15, III, თბ. 2023
12. მერაბ კოსტავა, შეწყვეტილი ფიქრები, „მერანი“, თბ. 1991

თავი VI
უზენაესი ძალებისგან გამორჩეულნი

უფლის სასწაულები

ცნობილია, რომ წმინდა სულის, მორწმუნე ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრების აზრი სიმართლის, სიკეთის მსახურებაში იპოვეს, ტაძრის გზას უერთგულეს, ხშირად ეცხადებათ ღმერთი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს, განაბრძნობს მათ და არა ამაოების, წარმავლობის, არამედ მარადიული იდეალების მიმდევრად აქცევს, უკვდავებას ანიჭებს.

„მივალ უფლის ხილვებთან და გამოცხადებებთან“, გვამცნობს სულიწმიდის მადლით გაბრძნობილი პავლე მოციქული (II კორინთელთა, 12,1)(1,399).

უფლის ძიება ყველა დროის ყველაზე აქტუალური პრობლემაა: „ეძებეთ უფალი, როცა შეიძლება მისი პოვნა, მოუხმეთ მას, როცა ახლოს არის იგი“, მოგვიწოდებს ესაია წინასწარმეტყველი(55,6)(2,115).

ქრისტეს მარადიული ნათელი მხოლოდ მორწმუნეთა სულებში ივანებს: „თუკი ყოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუღამებელს“ (3,240).

წმ. ნიკიტა სტიფატე წერს: „წმ. სვიმეონი სასწაულებრივ ღირს იქნა ღვთაებრივი გამოცხადებისა, ღვთაებრივი ნათლით განიმსჭვალა და აღინთო. სიბრძნის მწვერვალებს შესწვდა. ღრმა რწმენით გადმოვიდა კიდეც მასზედ სული სიბრძნისა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰგიებდა მასთან ხელთუქმნელი ნათელი“ (წმინდა სვიმეონ ღვთისმეტყველის საღმრთო სიყვარულის ჰიმნებისათვის)(4,408-410).

თვით წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი გვაუწყებს: „ზნესრულთ უხილავთ ნათელი ხორციელი თვალებით, კეთილსურნელება შეუყნოსავთ, ხმები სმენიათ საკუთარი ყურებით“ (სამგვარი ლოცვის შესახებ)(3,357).

სავლე (შემდგომ პავლე მოციქული) თავგამოდებით ებრძოდა, სიკვდილის მუქარით აშინებდა მორწმუნეებს, ის მღვდელმთავართან გამოცხადდა და სთხოვა ბარათები დამასკოს სინაგოგებისადმი, რომ ვისაც იპოვიდა ამ გზაზე დამდგარ მამაკაცებს თუ დედაკაცებს, შებორკილი მიეყვანა იერუსალიმში.

გზად მიმავალს, როცა დამასკოს უახლოვდებოდა, უეცრად მოეფინა ნათელი ზეციდან და მოესმა ხმა: „საულ, საულ, რად მდევნი მე?“

როცა გაიგო, რომ ეს იესო იყო, შეძრწუნდა სავლე, თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვერავის ხედავდა. ხელით შეიყვანეს დამასკოში.

სამი დღე ვერ ხედავდა, არც ჭამდა, არც სვამდა.

მერე მორწმუნე ანანიამ მეუფის თხოვნით იხილა მლოცველი სავლე, დაასხა მას ხელები, რათა თვალი აეხილა და სულიწმინდით ავსებულიყო. მართლაც, თვალები აეხილა სავლეს, მოინათლა და ქადაგება დაიწყო დამასკოში. ამის შემდეგ ის რწმენის თავგამოდებული დამცველი გახდა, მრავალი სიძნელე გამოიარა, უფლის სასწაულით გაძლიერდა (მოციქულთა საქმეები, თ.9,10)(1,246-252).

წმინდა მამა გვმოძღვრავს: „ღვთის გულისათვის დანაღვლიანება წარმოშობს სინანულს სახსნელად და არ გახდება სანანებელი, ხოლო წუთისოფლის ნაღველი სიკვდილს წარმოშობს“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 7,10).

ღმერთი, წმინდა სულები ეცხადებიან ადამიანებს, რათა ყოველდღიურ წვრილმანებზე ამაღლება ჩააგონონ, განწმინდონ სულიერ-ზნეობრივად და მარადიული იდეების, კაცობრიობის სამსახურში ჩააყენონ.

ცნობილია, რომ 1968 წლის აპრილ-მაისში კაიროს ზეითუნის უბანში, ტუმანბაის ქუჩაზე მდებარე მარიამის კოპტურ ორთოდოქსურ ეკლესიაში გამოცხადდა მარიამ ღვთისმშობელი, დედა ნათლისა.

ყოვლადწმინდა ქალწული თაყვანს სცემდა ტაძრის სახურავზე ჯვარს, დიდებული ნათლით ბრწყინვალებდა, თავისი უწმინდესი თავის დაკვრით ლოცავდა იქ მყოფთ.

ეს გამოცხადება ათჯერ განმეორდა.

ზოგიერთ ღამეს ტაძრის ტერიტორიასა და მისი გუმბათის თავს საკმევლის უზარმაზარი კეთილსურნელება ეფინებოდა. დასკვნის მიხედვით, ეს დედამიწაზე უცნობი ბუნების სულიერი გუნდრუკია, ანუ ერთ-ერთი სულიერი მოვლენაა, რომელიც თან სდევს ნათლის დედის ფერისცვალებას. ეს სურნელოვანი გუნდრუკი დაფიქსირებულა 1968 წლის 10 მაისს, 1968 წლის 26 მაისს.

საპატრიარქო დაინტერესდა ამ ფაქტით, შეაგროვა ცნობები, მერე თავადაც იხილა ეს გამოცხადება, რაც ჩამოაყალიბა კიდეც თავის მოხსენებაში, რომლებიც მის უწმინდესობას პატრიარქ VI-ს წარუდგინა.

1968 წლის 4 მაისს, შაბათს, საპატრიარქომ კაიროში, თავის რეზიდენციაში, უზბეკში მოიწვია პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ არაბული, აგრეთვე ეგვიპტისა და სხვა ქვეყნების დეპეშათა სააგენტოების, რადიოსა და ტელევიზიის 150 წარმომადგენელი, ასევე ტურიზმის სამინისტროს თანამშრომლები.

შეიქმნა ფაქტების შემსწავლელი საპატრიარქოს კომისია, რომელმაც დაადასტურა ფაქტის რეალობა.

ამ გამოცხადებებს თან სდევდა ორი დიდმნიშვნელოვანი გარემოება, პირველი: ღვთის, საიქიოს და წმინდანების რწმენის გამოცოცხლება, მრავალთა მონანიება და ცხოვრების შეცვლა, მრავალთა სასწაულებრივი განკურნება, რაც მეცნიერულად და მასობრივი დამოწმებით დასტურდება.

დანტეს ევლინებოდნენ წმინდა სულები, ანგელოზები, სერაფიმები, ესმოდა წმინდა „სინათლის ხმა“, „წმინდა ნათელის“ საუბარი (7,442-443).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნაოზ მეფეს გამოეცხადა ღმერთი მზის სახით, რაც მომავალ ბრძოლაში გამარჯვებას მოასწავებდა.

„აჩრდილში“ ილია ჭავჭავაძეს გამოეცხადა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“ აჩრდილის სახით.

აკაკი წერეთელს „საყვარელი“ – ღმერთი მოევლინა ვარსკვლავის, ბულბულის, ვარდის სახით.

ცხოვრების აზრი ქრისტიანისთვის ღმერთთან მიახლოებაა, რასაც რელიგიის ენაზე მადლი ეწოდება... მარადიული ფასეულობის თვალსაზრისით, სრულყოფილი მადლი – ეს არის მხოლოდ ღმერთი და ერთადერთი რეალური ბოროტება, ცოდვა, ღმერთისგან დაშორება“ (6,138).

მადლი არის კეთილი საქმის საზღაური, მადლი მორწმუნეზე გადმოდის „ქრისტე იესოს მიერ საქმისათვის კეთილთა“.

გადარჩენის საწინდარია „მადლი, რწმენა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 2,8,10).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სიკეთისა და ბოროტების ბრძოლას, რომელშიც ყოველთვის მარცხდება უკეთური და იმარჯვებს მართალი.

ფშაველი გენიოსი გმობს „უსულო, უგულო“ ქმნილებებს, რომლებიც პატივს არ სცემენ „მშვენიერებას, სიკეთეს“.

მოთხრობა „მოჩვენების“ პერსონაჟი ტირის სამშობლოს დანგრეული დარბაზის, უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული რაინდების გამო, რის გამოც ბოროტი ქაჯის დაცინვას იმსახურებს, „ამაოა შენი ლტოლვილება და მისწრაფება, ყველაფერს დასასრული აქვსო“, მაგრამ ამის პასუხი ასეთია: „...მისწრაფება, ფიქრი, გრძნობა, სიყვარული, მტრობა და ყველა ის, რაც ცხოვრებას შეადგენს, აძინებს მაგ ფიქრს ამაოებისას, ყველაფრის დასასრულისას, შენი ბუნება ამას ვერ გაიგებს, რადგან ის შხამი, საწამლავი არის“.

ამ ორი ძალის დაპირისპირებისას გამოჩნდა „თეთრწვერა, მშვენიერი, დინჯი, ტკბილი სახის მოხუცი ხელში ყავარჯ-

ნით, გამწყრალი სახით, რომელიც აღშფოთებას ვერ ფარავ-და ამ ბოროტი სულის მორწმუნესთან დაპირისპირების გამო.

ქაჯი გაქრა, ხოლო მოხუცმა ასე მიმართა ქვეყნის, რწმენის გულშემატკივარს: „...მორწმუნე ხარ და იყავი მარად მორწმუნე, ნუ შედრკები, ნუ გატყდები! მადლი და ღვაწლია თვით სიმტკიცე და რწმენა“.

მოხუცი დამხვდურს ახედებს დასავლეთისკენ, სადაც „საუცხოო მნათობი ანათებდა, ერთს ადგილას გაჩერებული – მზე იყო, მაგრამ ის მზე კი არა, დილით რომ ამოდის და მიეშურება საღამოზედ, რომ გორს მიეფაროს. ამ მზეს არ ეჩქარებოდა ჩასვლა, თვით იმას სწყუროდა ენათა ქვეყნისთვის“.

გალაკტიონი იყო მორწმუნე პოეტი, მის შემოქმედებაში ოთხმოცამდე საღვთო და საღვთისმეტყველო სახელი მოიძიება.

პოეტი ისწრაფვოდა „ნუგეშისკენ“ – ღმერთისკენ (მწუხარება შენზე) (9,93) ის ეძებდა იას (მარიამ ღვთისმშობელს), „ცისფერ სიტყვას“ – უფალს.

პოეტების მეფეს ევლინებოდნენ ქრისტე, ანგელოზი, სერაფიმები (ქრისტე, ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი, მგლოვიარე სერაფიმები, მშვიდობის წიგნი, უნაზესი ხელნაწერი, მწუხარება შენზე).

ლექსში „ქრისტე“ ნაწარმოების პერსონაჟი გააფთრებული ერკინება მტერს, სისხლს ღვრის, მაგრამ ამ დროს გამწყრალი უფლის მოვლინება შთააგონებს, რომ მტრის განადგურება მიუღებელია, იარაღს გადააგდებს, ასპარეზს ტოვებს, რის გამოც მოღალატეს ეძახიან მეგობრები (9.17).

პოეტის ჰუმანური კრედოს გამომხატველია სტრიქონები: „ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით“, „ბევრს არ ძალუძს, მტერს კი მუდამ იის წყალი უნდა უსხა“...

„ეფემერას“ ავტორს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი რწმენასთან, რასაც სასტიკად ებრძოდა ათეისტური სოციალიზმი.

ამიტომ პოეტი თავის რელიგიურ მრწამსს სიმბოლურ-მეტა-ფორული სახეებით, ქვეტექსტებით გამოხატავდა.

„მთვრალია ყოფით, მთვრალია ცეცხლით“, გვამცნობდა პოეტი და ეს ფრაზაც მის მორწმუნეობაზე აქცენტს აკეთებს, რადგან „ყოფნა“, „ცხოვრება“ უზენაესის სიმბოლოა წმინდა წერილის მიხედვით.

ასეთივე აზრია ცეცხლით თრობაშიც, რადგან პოეტი გამოარჩევს არა შემწველ, გამანადგურებელ ცეცხლს, არამედ განმანათლებელ, რწმენის ცეცხლს, ცეცხლის სვეტს, რომელიც წინ უძღოდა ებრაელი ხალხის წინამძღოლ მოსეს, როცა ეგვიპტის მონობიდან გამოჰყავდა თავისი ერი.

ამ ასპექტში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოეტის თრობა „ძველისძველი ღვინით“, „ცისფერი ღვინოებით“, რომ მისთვის „ღვინო“ არის „ფარი“, მხსნელი: ფრაზა – „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით“... გვაუწყებს არა ღვინისმოყვარული ლოთის გატაცებას თრობით, არამედ რწმენით, ისევე, როგორც „ძველისძელი ღვინოს“ მონატრება უზენაესის წყურვილს გვამცნობს.

წმინდა წერილში „ძველი, დაწმენდილი ღვინო“ უფლის სახელია, უზენაესის მოვლინება კი წარმოიდგინება, როგორც ნადიმი, როცა ადამიანები ეზიარებიან „ძველ, დაწმენდილ ღვინოს“: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძვლის ტვინიანი მსუყე კერძებით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25,6)(10,546).

ტერენტი გრანელის თვალთახედვა მუდმივად მიპყრობილი იყო უზენაესი ძალებისკენ და ამის გამო ათეისტურ ეპოქაში საშინელი გაუცხოება იწვნია. ჯვარცმული პოეტი ქრისტეს „სისხლიანი ბედის“ თანაზიარი იყო. გამუდმებული დევნით, რეპრესიებით გაწამებული პოეტი სიკვდილს ნატრობდა, რათა

„ქრისტეს თვალები“ ეხილა (ჩემო ზოზია, მე წავალ მალე) (11,19).

ლექსი „მიცვალებულის დღიურიდან“ საკუთარი სიკვდილის წინასწარი წარმოდგენაა. პოეტი სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებებს წვდებოდა უცდომლად, „მემენტო მორის“ ავტორი მიღმურ სამყაროსთანაც გაშინაურებული იყო. თავის ამქვეყნიდან გასვლას წინასწარ რომ ჭვრეტდა. კუბოსთან სერაფიმებს, ანგელოზებს, ღვთისმშობელს და ქრისტეს წარმოიდგენდა: „...კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა ... მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღოდა“ (11,21-22).

პოეტისთვის ქრისტიანული მრწამსი იყო მთავარი, უზენაესი ძალები იყო მისი წინამძღვარი: „... და ანგელოზი ჩემს სულში ცხოვრობს“...(სოფლიდან თბილისი) (1,110).

ანა კალანდაძეს უხმობს „შეუცნობელი“, „ცათუმაღლეს ტაძარში“ უხილავს „ხატი უბიწო, უსხეულოსი განსხეულება“, პოეტის სალოცავია „წყარო უბიწო“ (ღმერთი).

ცის, ქერუბიმის ელვა უნათებს სახეს: „... გადგს შორეული მომწვანო ელვა, ქერუბიონის, ცათა მყოფისა“ (გაბრწყინებული იყო ტაძარი) (12,39).

„გამომეცხადა რჩეული ჩემი ციურის ძალით, ცათავე ნებით, გულს დამდო თვისი შავი ბეჭედი ჩემზე უფლებით და ხელმწიფებით“, ნათქვამია უზენაესი ძალებისგან ხელდასხმული პოეტის ლექსში (გამომეცხადა რჩეული ჩემი) (12,38).

სხვაგან „აკრთობს ღამეებს ფრთათა შრიალი ლურჯ სერაფიმის“ (12,46).

ევლინება „მაცნე ზენაარისა“ („აჰა, კვლავ ჩემს წინ ხატი უბიწო“)(12,257).

ლექსში „აყვავდა ჩემი სიხარულის ლამაზი ტოტი“ „ქერუბიმის ფრთათა შრიალში“ უზენაესის აზრი ეუწყება (13,262).

უზენაესის გამოცხადების შთამბეჭდავი სურათია ლექსში „თვალ-მარგალიტის ელვარე სხივითა“: „...უხილავისა გაი-

ღო კარი, მუნით დიდებულს ვხედავდი სახეს, ვგრძნობდი სულ ახლოს მე ფრთათა შრიალს, თვით სიხარული იდგა ჩემს გვერდით“ (12,209).

სიხარული საღვთო სახელია. ქრისტე ღმერთი წმინდა წერილის მიხედვით, არის „სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა, 2,10) (1,113).

პოეტს აძლიერებს, განაბრძნობს ზეციური ნათელი: „გარდამოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმაღლდები ზეცის კარამდე“, გვამცნობს ზეციური ნათლით გასხივოსნებული. ესმოდა ჯვარცმული მესიის კვნესა, ცის და მიწის მუსიკა, მზის და ნაძვის ჩურჩული (12,25).

ასევე, ანა კალანდაძის პოეზიაში ყურადღებას იქცევს ლოცვა-ვედრების მოტივი.

„ლოცვა არის აღსვლა გონებით ღმრთისად“ (იოანე პეტრიწი) (14,182).

„შემეცნებას, ხელოვნებას და რელიგიას ერთი და იგივე წყარო ასაზრდოებს. ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ ისეთ სულიერ წყობას, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ჩვენი საფშვინველი შეძრულია რელიგიურით და გამსჭვალულია მხატვრულით.

„მხოლოდ ინტელექტუალური აზრები მკვდარია, არიმანულის პროდუქტია, გზა-კვალს ურევს, ზემიწიერ ძალებს სწყვეტს ადამიანს, მთავარია სულიერებისკენ მიმავალი გზის პოვნა“.

„სულთან წილნაყარი უნდა გახდე, რათა შეძლო მის გამოცხადებათა გადმოტანა გრძნობად სამყაროში“, წერდა შტაინერი (15,107,108).

გოდერძი ჩოხელის „მგელში“ უცოდველ ლუკას ღმერთი ეცხადება სიზმარში, როცა დედამიწა იწვის და კვამლში იხრჩობა ხალხი, მერე ელვა გაკრთება ცაში, კვამლი გაიფანტება, ღმერთი გამოჩნდება და თავისკენ უხმობს უცოდველთ. ლუკა ღმერთს ეხვეწება შველას. „წადი, იპოვე ყვავილი“, მხარზე

ხელს დაადებს ღმერთი ლუკას და ყვავილის – რწმენის პოვნას ავალებს (15,170-171).

რომანში ცეცხლი არის არა განმანათლებელი, არამედ შემწველი, რაც ღმერთმა ურწმუნოებს მოუვლინა, ყვავილი კი საღმრთო სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“, ნათქვამია სოლომონის „ქებათა ქებაში“ (2,2,11).

გოდერძი ჩოხელს ძილს უფრთხობდა „საქართველოს წარსული, უმოქმედო აწმყო, გაურკვეველი მომავალი“ (სულეთის კიდობანი, თბ. 2011. გვ. 28).

ისო ზირაქის სიბრძნეს რომ დავესესხოთ, მწერალს მომადლებული ჰქონდა „გარდასულისა და მომავლის მაუწყებელი და დაფარულთა კვალის გამომაცხადებელი სიბრძნე“ (სიბრძნე ზირაქისა, 41,19)(2,65).

მწერლის იდეალია ეროვნული სულიერი ფიზიონომიის, რწმენის შენარჩუნება, ქართული კულტურის წარმოჩენა ფართო არენაზე.

„სულეთის კიდობანში“ მთავარი აქცენტის მატარებელი ეპიზოდია წიგნის ავტორისთვის ღვთისმშობლისა და მაცხოვრის გამოცხადება.

ღვთის დედა ტირის საქართველოს გამო, მაცხოვარი კითხულობს, რატომ განერიდნენ ქართველები სამშობლოს და რატომ გაიფანტნენ სხვა ქვეყნებში.

ღვთისმშობელი პასუხობს: „სატანა მოევლინა, შვილო, მწყემსად და იმან გაანიავა შენი სამწყსო“. (15,73).

მაცხოვარი ანუგეშებს ღვთისმშობელს: „...საქართველო კიდევ ერთხელ გამოივლის წარღვნას და იმ წარღვნის მერე სწორედ საქართველო იქნება ის აყვავებული ზეთისხილის რტო, რომელსაც მტრედმა უნდა ახაროს ახალი ცა და ახალი დედამიწა ქვეყნის მეუფეს, რომლის საბრძანისში არც მზე არის და არც მთვარე და თვითონ მეუფეა მანათობელი, არ

არის შური და მტრობა, არამედ არის კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება.

„აი, ამისთვის გიხაროდეს, დედაჩემო, რომ იქ ღმერთის ნათელით გაბრწყინებულს იხილავ შენს სამწყსოს“...

„ილოცე, ილოცე, ჩემო საყვარელო დედა, საქართველოსთვის!... ილოცე, რომ სრულიად საქართველომ რაც შეიძლება მალე შეიმოსოს ჩემი კვართი“ (15,71).

ლექსში „ღირს მამა – დავითს“ მერაბ კოსტავა ასე მიმართავს ცამეტ ასურელ მამათა უპირველეს წარმომადგენელს, რომლის წმინდა სული და სარწმუნოებრივი ღვაწლი აღაფრთოვანებდათ უზენაეს ძალებს: „მოხვედით დასი ათცამეტთა მწირთა ასურთა, როს შორეული მყინვარწვერის ელავდა ქიმი. უკვდავებასთან დადებული აღთქმა აღსრულდა და თბილისს ცაზე აღებეჭდა ღვთისმშობლის ღიმი“ (ღირს მამა დავითს) (16,104-110).

ილია ჭავჭავაძის წმინდანად აღიარებისას თბილისის ცაზე ცისარტყელა გამოისახა მომავლის მაცნედ. მაკა ჯოხაძის ესეში „ღვთისმშობლის ღიმილი“ ორჯერ იელვა ჩვენი ზეციური დედის ღიმილმა, ჯერ მერაბ კოსტავას მთაწმინდაზე ამაღლებისას, მეორედ-როცა ნატანჯი ზვიად გამსახურდია ჩაიხუტა გულში წმინდა მიწამ.

სპორტში მსოფლიოს 13 გზის რეკორდსმენ და მსოფლიოს 238 ქვეყანაში 9 წლის და სამი თვის მანძილზე მოგზაურ, „გინესისა“ და „დივოს“ რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას კლინიკური სიკვდილის გადატანის მომენტში გამოეცხადა თეთრწვერულვაშა მოხუცი თეთრი სამოსით და აუწყა, რომ მას უნდა ეცოცხლა და უდიდესი წარმატებებით უნდა გამოეჩინა თავი სპორტში, ამასთან უნდა ემოგზაურა მსოფლიოს გარშემო. მას ემცნო, რომ ზეკაცურ ძალას შეიძენდა და ეს ძალა ხალხის სამსახურში უნდა გაეხარჯა.

ამ გამოცხადებამ ჯუმბერ ლეჟავას გოლიათური ენერგია მიჰმადლა, კოსმიური ენერგიებისკენ აპოვნინა გზა, ინტუი-

ციით გამოარჩია. მან წამლების, ექიმების გარეშე, ლოცვით, რწმენით, ვარჯიშით დაამარცხა ნაწლავის დამბლა, მისი მიზანი გახდა მამულის სახელის ამაღლება, რასაც მთელი ძალისხმევა შეალია, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინდივიდუალური პროგრამა შეიმუშავა, მსოფლიოში იმოგზაურა, ბერმუდის კუნძულები გაიარა უშიშრად, მსოფლიო აღიარება, საყოველთაო პატივისცემა მოიპოვა.

თუ ინდოეთში სულთან შაჰ-ჯაჰანმა თავის მშვენიერ, ადრე გარდაცვლილ მეუღლეს-მუმთაზ მაჰალს გამორჩეული ხუროთმოძღვრების ძეგლი აუგო. ჯუმბერ ლეჟავამ ყველა თავისი წარმატება უძვირფასეს მეუღლეს – ლიანა ალიბეგაშვილს უძღვნა.

უზენაესმა მსოფლიო რეკორდსმენს და მსოფლიო მოგზაურს მხატვრობის ნიჭიც მიჰმადლა (ქართული მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე) (17,10-48).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი გვაუწყებს: „შემეცნებას, ხელოვნებას და რელიგიას ერთი და იგივე წყარო ასაზრდოებს. ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ ისეთ ფშვინვიერ წყობას, რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ჩვენი საფშვინველი შეძრულია რელიგიურით და გამსჭვალულია მხატვრულით“ (18,99).

სულიერებისკენ მიმავალი გზის პოვნა შეუძლებელია რწმენის გარეშე: „მხოლოდ ინტელექტუალური აზრები მკვდარია. არიმანულის პროდუქტია, გზა-კვალს ურევს, ზემიწიერ ძალებს სწყვეტს ადამიანს.

„სულთან წილნაყარი უნდა გახდე, რათა შეძლო მის გამოცხადებათა გადმოტანა გრძნობად სამყაროში“, წერდა შტაინერი (18,42).

ილია ჭავჭავაძის იდეალი იყო „მეცნიერების გასარწმუნოება და რელიგიის გამეცნიერება“.

ცრემლი, სისხლი, ღვთისმეტყველთა მიხედვით, ზნეობრივი განწმენდის, ამაღლების, ინიციაციის ახალი საფეხურის მიღწევის გზაა.

„სიღრმე ყოველთივის დიდ სევდასთან არის წილნაყარი“ (გრიგოლ რობაქიძე).

გოდერძი ჩოხელის პერსონაჟი ხალხის დარდებს აგროვებს, ჩვენს თანამედროვე ნიჭიერი პოეტი გულნაზ ხარაიშვილი „დარდის ფუთებს, დარდის გუდას“ ფერთხავს და ისევ ნათელს ეზიარება (დარდის გუდა).

„მოვიწიე იმედის ტოტი, ყველა ტკივილი გავაყოლე დარდის თბომავალს“, აცხადებს პოეტი და „იმედის, რწმენის ფუთებით“ ამარცხებს უიმედობას.

პოეტის დარდების მასაზრდოებელია მამულის ბედი, უღმერთობა, უზენაესისგან დაცილება.

წმინდა მამა გვმოძღვრავს: „ღვთის გულისთვის დანაღვლიანება წარმოშობს სინანულს სახსნელად და არ გახდება სანანებელი, ხოლო წუთისოფლის ნაღველი სიკვდილს წარმოშობს“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 7,10).

წერილში – „მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი სასწაული“ – გულნაზ ხარაიშვილი თვით გვამცნობს ამ სულისშემძვრელი მოვლენის შესახებ, სამაგალითო დედა, გულმხურვალე მამულიშვილი, უანგარობით, კეთილშობილებით, რელიგიურობით გამორჩეული ქალბატონი 2003 წელს, 53 წლის ასაკში, ამაღლება დღეს მცხეთაში ჩავიდა მამა გაბრიელის საფლავის მოლოცვის მიზნით, წმინდანის საფლავის ზეთის ცხების შემდეგ სულში ზებუნებრივი ნათელი ჩაეღვარა, უხილავის ხელდასხმა, სულის გასხივოსნება, გონის უჩვეულო გამოღვიძება შეიგრძნო, ახალი თვალით, ახალი ფერებით იხილა სამყარო. მთელი ქვეყნის გულში ჩახუტება მოუნდა. სული თითქოს უზენაესი ძალით ამღერდა, ჯერაც უხილავ-მოუსმენელის განმცდელი ახალი სიტყვებით ამე-

ტყველდა და სასწაულით ფრთებშესხმული, მიხვდა, რომ ეს სულიწმინდის მადლის გადმოსვლა იყო.

სულიწმინდის, შთაგონების მოვლინებას შუა საუკუნეების ესთეტიკაში საღვთო ნიავის, ქარის ქროლვასთან აიგივებენ.

გალაკტიონის პოეზიაში „ქარის დაბერვა“ გვამცნობს შთაგონების გამოცხადებას, მისი ლურჯა ცხენები „ეფემერული და ფერადი ქარებით“ ქრიან (ეფემერა, ვერხვები).

ტერენტი გრანელთან შთაგონებით პროცესზე ყურადღება მახვილდება „უხილავი ქარის“, „სიჩუმის ქარის“, „იდუმალ მხარის გრიგალის“ სახეებით.

გულნაზ ხარაიშვილს სულიერი სიწმინდის, სიკეთის საზღაურად ევლინება დიდი წყალობა სულიწმინდის ნიავის სახით. „სულიწმინდის სიო მაწვდის ლამაზ ბგერებს“, ამბობს პოეტი და ელოდება „ზეცით დაქროლილ ნიავს“.

„სულიწმინდის ნიავს მივყვები“, გვამცნობს პოეტი და ისმენს „ზეციურ ხმებს“, „ძარღვის ფეთქვას“, „დედამიწის ღერძის ტრიალს“, მრავლისმეტყველი“ ხილვებით ივსება.

„სულიწმინდით უკვე ვიწამლე“, აცხადებს პოეტი.

მართლაც, ღმერთია ყველაზე დიდი მკურნალი: „მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი“ (გამოსვლათა, (15,26).

„მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ (სიბრძნე ზირაქისა, 38,2).

პოეტი წმინდა ნინოს „მადლის კარებთან“ დგას, „მადლის კოშკებს“ აშენებს, სულიწმინდის მადლით ახარებს „სულის ჭადარს“, მისი „გულის კარი სასწაულობს“ (შენ მერცხალი ხარ).

მადლით ბეწვის ხიდზე გასვლის ძალა ებოძა, ირწმუნა სასწაულები, რომ „ტოტს ჩამოხლეჩილს შეახორცებს ღვთის რწმენის ძალა“ (ილია II), მშობლიური მიწის მადლის შემგრძნობი, სიმართლისთვის ღაღადებს: „მადლიანი მიწის შვილნი ვიყოთ ღმერთთან მართლები“ (ქართველს).

იმედით, მადლით ივსება მისი „ფიქრის ტოლჩა“.

„ღვთის განგებამ დამიფინა ხალიჩა მადლის, „მადლის შუქში ვარ სიღრმით ჩაფლული, სული მადლის მმოსავი მზის სხივებად გამონაშუქია, სიყვარულით და მადლით მოსილია, ზეციდან უფლის მადლით ნაშუქია, შენი მადლი მაპკურე ღმერთო, რომ ვაპურო მშიერი“, აცხადებს პოეტი. „იმედის მადლი“, „იმედის ფიფქები“ ათოვს...

„ფიქრის ყვავილიც“ დედა ბუნების მადლია“: „შენს გზას მოვფინე ფიქრის ყვავილი, ეს მომამადლა დედა ბუნებამ...“

„მადლს“ ასე განმარტავენ წმინდა მამები“: მადლი არის მოხილვა ჩვენი უფლისა მიერ და მისი ერთობა ჩვენთან“ (თეოფანე დაყუდებული) (3,319).

მადლი აღიქმება, როგორც ღმერთთან მიახლოება.

ოცნებით ცაში ფრენა ღვთის მადლია.

გადარჩენის საწინდარია „მადლი, რწმენა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 2, 8).

წმინდა, დისციპლინიან სულს ლოცვით, დუმილით ეზრდება ფრთები.

სულიერ ზეცაში, „ცათა ცაში“ შეღწევა შესაძლებელია სულიერი განვითარებით, მენტალურ უნართა გაღვიძებით. სულით ზეცაში ქროდნენ რუსთაველი, დანტე, ბოდლერი, ბლოკი, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე, ნიკო სამადაშვილი, გოდერძი ჩოხელი.

უფლის მადლი ვლინდება ახალი, ზეციური ხმების გაგონებაში, უხილავის ხილვაში, უიმედობის, სიკვდილის დამარცხებაში.

„იალბუზიდან ხმები მესმის რაღაც ახალის ... დაღლილი ვიყავ, სულიწმინდით უკვე ვიწამლე, ზარის ხმა ისმის და ვიხილე ბაღი ედემის... ლოცვამ მიშველა, რადგან ცრემლი ბევრი დავღვარე“, წერს პოეტი გულნაზ ხარაიშვილი.

ცის სამოთხეში მოხვედრილი, სხვადასხვაგვარი სიყვარულის შემცნობი იტალიელი გენიოსი დანტე ბრძანებდა: „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს“.

„პირველი სიყვარული“ ღმერთის სახელია (იოანე მოციქულის გამოცხადება, 2,4).

გულნაზ ხარაიშვილის უპირველესი სიყვარული ღმერთია, მისი მიზანი – „სიყვარულის მსახურება“.

დავით წინასწარმეტყველის მიხედვით, „ახალი გალობის“ უნარი უფლისგან ებოძება წმინდა სულის ადამიანს (ფს. 39,3,4).

გულნაზ ხარაიშვილს, როგორც მორწმუნე პოეტს, სწამს, რომ „ურელიგიო კულტურა ფსევდო კულტურაა და რწმენის მადლით ქმნის „სულის გალობის“ შედევრებს (19,171-238).

ლამარა გერგედავას რწმენა უსხივოსნებს სულს, რელიგიური მრწამსით ზრდის ახალ თაობას, ევლინება შთამბეჭდავი სიზმარ-ხილვები. მან წლების წინ ნახა სიზმარი, რაც აფხაზეთის ტრაგედიას მოასწავებდა, რაც ახდა კიდეც.

„ლიტერატურული მოზაიკის“ მეორე ხილვაში ცას ოდნავ მორკალული,დიდი, თეთრი ჯვრის გამოსახულება გადაჰკროდა.

მესამედ, ცხადში, უღრუბლო, ნათელ ღამეში,მთვარეზე ღვთისმშობლის ხატი გამოისახა ყრმა იესოსთან ერთად, რომელიც გადმოჰყურებდა ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას.

უზენაესთა ეს გამოცხადება იმედისმომცემია, მასულდგმულებელი, სამშობლოს მომავლის გაბრწყინების მომასწავებელი (20, 161).

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
3. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, თბ. 1990
4. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ. 1991
5. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დიდი გამოცხადება, „ცოდნა“,თბ. 1991

6. ნესტორ ყუბანეიშვილი, პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებისათვის, ქუთაისი, 1915
7. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ. 2012
8. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. I, პალიტრა L“, თბ. 2011
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, პოეზია, თბ. 2014
10. ბიბლია, თბ. 2013
11. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
12. ანა კალანდაძე, ლექსები, „მერანი“, თბ. 1982
13. ანა კალანდაძე, ლექსები, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1987
14. იოანე პეტრიწი, „სათნოებათა კიბე“, თბ. 1868
15. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“ თბ. 1990
16. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
17. ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ანთოლოგია, ტ.VIII, თბ. 2009
18. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ, „ხომლი“, თბ. 1994
19. ლუარა სორდია, სამების სამრეკლოდან, „თბილისი“, თბ. 2018
20. ლამარა გერგედავა, ლიტერატურული მოზაიკა, „უნივერსალი“, თბ. 2023

თავი VII
„ლიტერატურული მოზაიკის“ ესეები
„ვითა სიზმარი ღამისა“.
როსტომ ჩხეიძის
„რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა“

როსტომ ჩხეიძის რომანი „ვითა სიზმარი ღამისა“ გვიხატავს „რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკას“

ლამარა გერგედავას ესეში, „ვითა სიზმარი ღამისა,“ ყურადღება გამახვილებულია ზემოხსენებული ნაწარმოების ერთ-ერთ თავზე. ავტორის თქმით: „განსაკუთრებული ყურადღება არც მწერალს (ბატონ როსტომს) აკლია და არც მის ნაწარმოებებს, მაგრამ არსებობს წიგნები, რომელთა აღქმაშიც ყველა მკითხველი ინდივიდუალურია. ზემოხსენებული რომანი სამყაროსადმი გაცემული საჩუქარია... ორიგინალურია რევაზ გაბაშვილის შეხედულება მსოფლიო ლიტერატურის ორი დიდი შედევრის, „დონ კიხოტისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ გააზრებაში. მიჰყვები ავტორის, როსტომ ჩხეიძის ექსპრესიულ თხრობას, „ემიგრაციის ასკეტზე“ დაწერილს და განძის მარადიულ მაძიებელს ემგვანები, პაულო კოელიოს პერსონაჟის მსგავსად („ალქიმიკოსი“) პოულობ ნაცნობ მარგალიტებს, მაგრამ უამრავი ძვირფასი, უცხო ქვა მიმალულა ფსკერზე და იძულებული ხდები, იპოვო და სხვებსაც, შეძლებისდაგვარად, შეახსენო: რარიგ საჭიროა ამგვარი წიგნები, მათ თამამი აზრების სამჭედლოში გადაჰყავხარ... შესასვლელი კარები ადვილად იღება. გამოსვლისას, იქვე, თითქოს ქურუმი გელოდება და გეუბნება: ის საჩუქარი, რაც გერგო წილად (აზროვნე-

ბის მარგალიტები), აქედანვე დროსა და სივრცეს უნდა უსახსოვროო... უნებლიედ გაშლილ, ცარიელ ხელისგულებს დახედავ, თამამი აზრები უკვე აჭრილან ცაში... სივრცეებს სერავენ... წიგნი „ვითა სიზმარი ღამისა“ მხატვრულად გაცნობს არამარტო ერთი პიროვნების ცხოვრების ქრონიკას, რომელიც მშობლიურ ფესვებს სულიერად არ მოსწყვეტია, არამედ იმ ადამიანთა, კოლექტივის, ცხოვრების შესახებ დეტალებსაც, თავიანთი სამშობლოს სახეებს რომ წარმოადგენენ“.

ესეში აქცენტი კეთდება როსტომ ჩხეიძის წიგნის ინფორმაციების სიმრავლეზე, დოკუმენტური მასალების სიღრმისეულ წვდომაზე. რეალისტი ავტორი გიხსნის, გასწავლის, გახსენებს. რომანი „ვითა სიზმარი ღამისა“ „პუბლიცისტურ-დოკუმენტურია, მხატვრული, ექსპრესიული თხრობის ქარგაში მოქცეული... გაგრძნობინებთ, რომ სამყარო სულთა კავშირია, სამივე დროში განსხეულებული, სივრცეში განფენილი. ის ჰეროიკულია „ვეფხისტყაოსანივით“ და დონკიხოტურია სერვანტესის პაროდირებული რომანივით. სულთა კავშირი უწყვეტი ჯაჭვია, წუთისოფელი – წარმოსახვითი პირამიდა.

როსტომ ჩხეიძის წიგნის მთავარი პერსონაჟია ემიგრანტი რევაზ გაბაშვილი. ავტორი მის რთულ ყოფას დონკიხოტურს უწოდებს. ეს „ემიგრაციის ასკეტი“, მარტოკაცი დაუკრძალავთ არა პარიზში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, არამედ ბანიოს მიწაზე, რაც ასკეტის სიკვდილშიც განსხვავებულობაზე ღაღადებს.

ამ ნაწარმოების შექმნას საფუძვლად დასდებია რევაზ გაბაშვილის მიერ პეტრე ხვედელიძისადმი გაგზავნილი წერილი-აღსარებები, რომელშიც ემიგრანტი თავის თავს „სიყვარულის რაინდს“ უწოდებდა.

ბიოგრაფიულ რომანში რევაზ გაბაშვილი განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩნდება, როგორც პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, წიგნების, მხატვრული, მეცნიერული, პოლიტიკური შრომების ავტორი, ჟურნალ „კლდის“, გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ათი ენის მცოდნე.

ესეს ავტორი როსტომ ჩხეიძის ღირსშესანიშნავი წიგნის ქვეტექსტებს აცნობიერებს: ქართული ეროვნული სულის, დროთა კავშირის წარმოჩენა, პატრიოტიზმი, კულტურათაშორისი დიალოგი რევაზ გაბაშვილის ცხოვრების მაგალითზე, რომელიც თავისი ქვეყნის ზოგადი სახეა, „მისი ყოველი ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა – დაფუძნებისკენ მიმართულიყო“.

ესეს მიხედვით, „ეს ბიოგრაფიული რომანი მნიშვნელოვანი მხატვრული ძეგლია, შექმნილი ქართული ეროვნული სულის დასაფასებლად, ღირსეული პიროვნების, დიდებული ადამიანის პატივსაცემად, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წარმოსაჩენად“. მასში ავტორმა, როსტომ ჩხეიძემ, გვიჩვენა, რომ რევაზ გაბაშვილი განგებამ, სხვა ემიგრანტებთან ერთად, ევროპაში გადახვეწა და ჩაითრია მშფოთვარე ცხოვრების ზვირთებში.

ლ. გერგედავას ესეში ვკითხულობთ მართებულ დასკვნას: „მართლაც, ყველა ემიგრანტის ყოფა დონკიხოტურია“.

უცხო ცის ქვეშ მცხოვრები ადამიანის მასულდგმულებელი იყო სამშობლოზე ოცნება. ამაზე მიგვანიშნებს მწერლის მიერ ოსტატურად შერჩეული სათაური.

წიგნში, ასოცირებულია გამოგონილი, არარეალური სახეები და რეალური, წუთისოფლის მოკვდავნი, რომლებიც გაცოცხლებულან კეთილშობილი ავტორის, ბატონი როსტომის ძალისხმევით და პერსონაჟებად ქცეულან.

ასეთი მონაცვლეობის ნიმუშად ისახება რომანი ესეში. ესეისტი ასკვნის, რომ როსტომ ჩხეიძის წიგნი ემიგრანტების ცხოვრების მხატვრულ ბიოგრაფიად ქცევის წარმატებული ნიმუშია.

განსაკუთრებული ინტერესის საგანია როსტომ ჩხეიძის რომანის, „ვითა სიზმარი ღამისა“, მე-15 თავი: „ხილვა: სერვანტესი „ვეფხისტყაოსნით“ ხელში და კიდევ უოლტერ სკოტი“.

წიგნში ნაჩვენებია რევაზ გაბაშვილის კავშირი მშობლიურ ფესვებთან, მისი დონკიხოტური სული. ემიგრანტს სერვანტესის ნაწარმოები რუსულ, ფრანგულ ენებზე, მერე კი ორიგინალშიც წაუკითხავს.

ლამარა გერგედავას თქმით: როსტომ ჩხეიძის რომანის კითხვისას, ორი ოქროს ხანა წარმოგვიდგება თვალწინ, საქართველო XII ს. და ესპანეთი XVI-XVII ს. I ნახ., ესეს ავტორის თქმით: „ქართული რენესანსის მწვერვალის“ (შალვა ნუცუბიძე), რუსთაველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის დაკავშირება ესპანეთის აღორძინების პერიოდთან, ორი კონტრასტული შედევრის (ჰეროიკა და პაროდია) დაწყვილებით მსგავსება – განსხვავებულობის დაძებნა, ორი გენიოსის გამთლიანება, ეს მშობლიური ლიტერატურის, ქართული სულიერების თვალუწვდენელ სიმაღლეზე აყვანაა“.

დონკიხოტურს ემსგავსებოდაო რევაზ გაბაშვილის ოცნება. ის ორ ნაწარმოებს შორის საერთოს ეძებდა, იქნებ რუსთაველმა დაწერაო ორივე შედევრი, ჯერ ჰეროიკას მიმართა, მერე კი ამოაყირავა სიუჟეტი, გააპამპულა და დაასამარაო სარაინდო რომანები.

იქნებ ორივე ნაწარმოებს ძველ შეამდინარულ ეპოსში „გილგამეშიანში“ (რომელიც ჰომეროსის პოემებს უსწრებს ათასი წლით) დაუდასტურდესო ღრმა კავშირი.

როსტომ ჩხეიძე გარეგნულ მსგავსებაზეც ამახვილებს ყურადღებას: სერვანტესის იდალგოს ხომ სარაინდო რომანების კითხვამ აურია გონება, რუსთაველის ტარიელიც „ხელია“, „ესე ამბავი სპარსულიო“, გვამცნობს რუსთაველი.

„ესე ამბავი არაბული“, გვიყვება სერვანტესი.

ორივეგან აღმოსავლეთის სულია და დამოწმებულია ორი ივერია (იბერია).

ესპანეთის იბერიისკენ გაემართა გიორგი მთაწმინდელის ნაწარმოების „ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი“ რეალური პერსონაჟი, ბერი იოანე თვისტომთა სანახავად.

საყურადღებოა აზრი კავკასიის იბერებთან მათი ნათესაობის შესახებ (აპიანე, ალექსანდერი, სტრაბონი).

ჰიპოტეზა იბერებისა და ქართველ ტომთა ნათესაობის შესახებ დღესაც გადაუჭრელია.

„გიორგი მთაწმინდელის თხზულების მთავარი თემა იმ კულტურულ სარწმუნოებრივი ხიდის მნიშვნელობის ჩვენებაა, რომელმაც საქართველო დასავლეთის უმთავრეს ცივილიზებულ სამყაროს დაუკავშირა.

როსტომ ჩხეიძის წიგნის მიხედვით, რევაზ გაბაშვილის ნარკვევით „დონკიხოტი“ და „ვეფხისტყაოსანი“ („ქართველი ერი“), 1944, 10-11). მიიჩნეოდა, რომ ეს ორი ნაწარმოები ერთი წყაროდან მომდინარეობს.

მიხაკო წერეთელი „ვეფხისტყაოსანსა“ და „გილგამეშიანს“ შორისაც ეძებდაო კავშირს, ის ხომ „გილგა-

მეშიანს“, ძველ აღთქმას, „ოდისეას“, „ღვთაებრივ კომედიასა“ და „ვეფხისტყაოსანს“ უდარებდაო.

ესეში ნათქვამია: „როსტომ ჩხეიძის წიგნი მხატვრულად გაცნობს არამარტო ერთი პიროვნების ცხოვრების ქრონიკას, რომელიც მშობლიურ ფესვებს სულიერად არ მოწყვეტია, არამედ იმ ადამიანთა, კოლექტივის ცხოვრების დეტალებსაც, რომლებიც არსებობის აზრს ვერ ხედავდნენ ეროვნული ფენომენის გარეშე, რომლებიც თავიანთი სამშობლოს სახელებს წარმოადგენენ“.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი ახლებურად აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს შიო არაგვისპირელმა („მიწაა“), მიხეილ ჯავახიშვილმა („მიწის ყივილი“) ნიკო ლორთქიფანიძემ („შელოცვა რადიოთი“).

ამასთან, ჩვენი წინაპრების ნააზრევს ახალ-ახალი ნიუანსებით, ზოგადსაკაცობრიო ჭრილში განავრცობს.

„როსტომ ჩხეიძის წიგნში ინფორმაციის სიმრავლე, დოკუმენტური მასალების სიღრმისეული წვდომა იქცევს ყურადღებას, ნათქვამია ლამარა გერგედავას ესეში. მისი თქმით, ავტორი წიგნისა – „ვითა სიზმარი ღამისა“ „რეალისტია, ნაწარმოები პუბლიცისტურ-დოკუმენტური, მხატვრული, ექსპრესიულ ქარგაში მოქცეული“.

„სულთა კავშირი უწყვეტი ჯაჭვია, წუთისოფელი-წარმოსახვით პირამიდა“, ასკვნის „ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი და განაგრძობს: „რომანში რევაზ გაბაშვილის ცხოვრების მიხედვით წარმოჩენილია პატრიოტები, ქართული ეროვნული სული, დროთა კავშირი, კულტურათაშორის დიალოგი. ეს პერსონაჟი, რევაზ გაბაშვილი, ბატონი როსტომის წიგნის მიხედვით, თავისი ქვეყნის ზოგადი სახეა, ქართული ეროვნული სულის, ღირ-

სეული ადამიანის აპოლოგია, რომელიც პირადულზე მაღლა ყოველთვის ეროვნულს, ზოგადსაკაცობრიოს აყენებდა“.

„ყველა ემიგრანტის ცხოვრება დონკიხოტურია, სამშობლოზე ოცნება, ხელოვანის მიერ მხატვრულ სახეებში, იდეებად, სხივებად, ფერებად არის გადმოცემული“.

მივიწყებულ ადამიანთა გაცოცხლება, კეთილშობილების ემანაცია ხიბლავს რომანში ესეს ავტორს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაწარმოების მე-15 თავის ხილვას. სერვანტესი „ვეფხისტყაოსნით“ ხელში და კიდევ უოლტერ სკოტი „...კონტრასტული შედევრის დაკავშირება, მრავალი განსხვავება – მსგავსების დაძებნა, ორი გენიის გამთლიანება, სულთა კავშირი, სამივე დროში განსახიერებული, სივრცეში განფენილის. ის ჰეროიკულია „ვეფხისტყაოსანივით“ და დონკიხოტურია სერვანტესის პაროდიული რომანივით.

ახლებურია ორ წიგნს შორის მსგავსების დაძებნა. იქნებ რუსთაველმა დაწერაო ორივე, ჯერ პაროდია, მერე სიუჟეტის ამოყირავებით სარაინდო რომანი გააპამპულაო.

„გილგამეშიანსა“ და ამ ორ წიგნს შორის კავშირების დაძებნის ვარიანტიც განიხილება.

რუსთაველთან და სერვანტესთან იძებნება ანალოგიები: ორი იბერია, თუ ივერია...

ორივე ნაწარმოებში განძის მაძიებელს ემსგავსება მკითხველი, ნათქვამია ესეში.

ჰეროიკას და პაროდიას რომ ჩაუღრმავდა გაბაშვილი, ეს ცხოვრებისადმი ფილოსოფიურ მიდგომად აღიქმება ესეში.

„უნივერსალური სიკეთის“ სამსახური მარადიულისაკენ მიმავალი გზაა.

ლამარა გერგედავა, ესეში, ზემოხსენებული რომანიდან მიღებული შთაბეჭდილებით, წარმოსახვით პირამიდას გვიხატავს. ის ტოლფერდა სამკუთხედს ჰგავს, ერთ გვერდზე „ვეფხისტყაოსანი“ და სერვანტესის „დონ კიხოტია“ (ჰეროიკა და პაროდია), მეორეზე – მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ (პირველი ქართული სარაინდო რომანი). პირამიდის ფსკერზე უოლტერ სკოტის „უევერლეი ანუ 60 წლის წინათ“ (სარაინდო, ჰეროიკული რომანის აღზევებასა და მორჩილების ქადაგებას რომ გვიჩვენებს)... მწვერვალზე ასურულ – ბაბილონური (აქადური) „გილგამეშიანი“, წარმოსახვის პირამიდა საფეხურიანია და მასზე მრავალნი მოგზაურობენ ცხოვრებისული კონტრასტებითა და პარალელებით...

„ცხოვრების ტალღამ საქართველოს მრავალი დარდი გარიყა უცხოეთში. ქართულმა სევდამ ზოგიერთი ისევ სამშობლოს ისტორიის მივიწყებულ ფურცლებს, გაფერმკრთალებულ, მტვერწაყრილ მოგონებებს სხვადასხვაგვარად დაუკავშირა...

„დარდების შემგროვებელნი“ (გოდერძი ჩოხელი), წინაპართა წინაშე ვალმოხდილნი იქცევიან ასე.

ესეს დასკვნა ასეთია: როსტომ ჩხეიძის წიგნის მთავარი სათქმელია: სამშობლო ერთადერთია, წუთისოფელი – ჰეროიკულ-პაროდიული... ორივე ცხოვრებაა, სიყვარული კი მარადიული, რადგან ღმერთია იგი.

„უნივერსალურ სიკეთეს ემსახურებოდნენ „სიყვარულის რაინდები“, რევაზ გაბაშვილი და კეთილშობილი იდალგოც.

რ. ჩხეიძის რომანმა „ვითა სიზმარი ღამისა“ კიდევ ერთი ქართველის საქმეები და სახელი დააბრუნა სამშობლოში, რადგან სამყარო სულთა კავშირია და ამას ყველაზე მეტად მხატვრული ლიტერატურა გვაგრძნობინებს.

„ჯელსომინა, მიშკინი და... დონკიხოტი“

ეძღვნება მიგელ დე სერვანტეს საავედრას „დონკიხოტის“ II ნაწილის გამოცემის 400 წლისთავს.

2016 წელს შესრულდა 400 წელი „დონკიხოტის“ II ნაწილის გამოცემიდან და მისი ავტორის, მიგელ დე სერვანტეს საავედრას გარდაცვალებიდან. „ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი ესეს, **„ჯელსომინა, მიშკინი და... დონკიხოტი“** ათარიღებს ამავე წლით.

ესეში ინტერესის საგნადაა ქცეული დიდი იტალიელი რეჟისორის ფედერიკო ფელინის ალეგორიული, რემინისცენციებით სავსე ფილმი „გზა“ (1954), დოსტოევსკის „იდიოტი“ და სერვანტესის „დონ კიხოტი“.

მსახიობ ჯულიეტა მაზინას ჯელსომინა დაჩაგრულ სიკეთესა და სიმართლეს გვაგონებს, ენტონი ქუინის ძამპანო-ბოროტებას, მათი სამოქმედო არეალი, ცირკი კი, ცხოვრებას ჰგავს... არაფერია საოცარი იმაში, რომ ხელოვნების ერთი დარგის გადაძახილს მეორე ითავისებს.

დამოწმებულია ცნობილი ბრაზილიელი მწერლის პაულო კოელიოს განაცხადი: „ყველაფერი, რაც სამყაროში არსებობს, მუდმივად ვითარდება და ერთიდან მეორეში გადაიღვრებაო“ („ალქიმიკოსი“).

კეთილშობილი თავადი მიშკინი, დოსტოევსკის „იდიოტის“ პერსონაჟი, რომელსაც იდიოტს, ბეჩავ რაინდს უწოდებენ, საკუთარ თავზე კი არა, ადამიანებზე წუხს. კრიტიკოსებისაგან ის მიჩნეულია ღვთის, განკაცებული უფლის სიმბოლოდ. რომანის მიხედვით კაცობრიობის, ადამიანის სრულყოფის მიღწევა ქრისტეს იდეალებთან მიახლოებით შეიძლება.

მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომანის რაინდიც ესპანელთა ქრისტეა, „დონ კიხოტი“ კაცობრიობის ბიბლია და უპირველესი წიგნი“. ესეს ავტორი იზიარებს მიგელ დე უნამოს თვალსაზრისს. ასევე, გასათვალისწინებლად მიაჩნია ზოგიერთი შეხედულება, შესაძლოა, თვით მწერალი, სერვანტესი, იყოს თავისი მთავარი გმირის მანტიაში გახვეულიო...

ესეში ხაზი ესმება „საოცარ დამთხვევებს, პარალელებს, რემინისცენციებს, ალეგორიებსა თუ ალუზიებს...

„ფელინის „გზის“ ბოლო კადრის გაელვებისა და დოსტოევსკის რომან „იდიოტის“ უკანასკნელი სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, აღტაცება და გაოცება ერთვის ურთიერთს, ჯელსომინა თავად მიშკინს, ის კი ლამანჩელ იდალგოს ბევრი რამით ჰგავს“, აცხადებს ესეს ავტორი.

დაძებნილია ამ სამი ქმნილების მარადიული, მსგავსი საკაცობრიო პრობლემები. სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების, სიყვარულის, თავისუფლებისა და სამართლიანობისა...

„ფელინის, დოსტოევსკისა და სერვანტესის სულის საგანძურები განსხეულდნენ მათსავე პერსონაჟებში და მარადიულად დააბიჯებენ დედამიწის ზურგზე, ჩვენც ანდამატივით გვიზიდავენ... ისინი ერთ კრიალოსანზე აუკინძავს უხილავ ხელს“...

თურმე სამყარო, აღორძინების პერიოდში, ლაბირინთად წარმოედგინათ, ზოგიერთი მწერალი მის სიმბოლოდ ბიბლიოთეკას წარმოგვიდგენს (ხორხე ბორხესის „ბაბილონის ბიბლიოთეკა“, უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“), აღნიშნავს ლამარა გერგედავა, ის კაცობრიობის გზებს, მისი არსებობის დასაბამიდან, მრავალშრიან ვარდს ამსგავსებს, ამასთან მიიჩნევს, რომ მოკვდავთა ყოველი პირველი ნაბიჯი ფესვებიდან იწყება, წუთისოფლის მოგზაურნი ღეროზე მიაბიჯებენ, ყვავილის შრეებს უახლოვდებიან და მასში იკარგებიან, სამყაროსეული ვარდის ფურცლებში, მერე უბრუნდებიან ფესვებს, მერე მათი ნაშიერნი აგრძელებენ სვლას ბილიკებზე, ისევ ვარდის ფურცლებისკენ, ხეტიალი დაუსრულებლად გრძელდება, ეს მარადიული წრებრუნვაა.

თაობათა ამგვარ მონაცვლეობაში, ეპოქების გადაძახილსა და სულთა კავშირში, ჯელსომინა, თავადი მიშკინი და დონ კიხოტიც მოგზაურობენ დაუსრულებლად „უცვლელ ქვეყანაში“, მათი ტვირთი მძიმეა, კაცობრიობის ტკივილითა და სიხარულით სავსე. ისინი კარგა ხანია გასცდნენ სამშობლოს ფარგლებს და თავიანთი შემქმნელი ავტორების სულიერი ანდერძით გვმოძღვრავენ. დედამიწა სიკეთით უნდა ბრუნავდეს! მათმა მემკვიდრეებმა შემდეგ თაობებს უნდა გადასცენ წინაპართა ნაანდერძევი.

ამ ბილიკებზე მოგზაურები არიან ჯელსომინა, თავადი მიშკინი, დონ კიხოტი, ოდისევსი (ჰომეროსი „ილიადა“), ავთანდილი (რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“), ლალა ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიო („უდაბნო“), სანტიაგო (პაულო კოელიო, „ალქიმიკოსი“).

ესეში კაცობრიობა წარმოდგენილია, როგორც სონეტების გვირგვინი, რომელშიც ეს „კეთილშობილი ელჩები“ ყოველდღე უახლოვდებიან ღმერთს და იქიდან დედამიწას“...

აქვე გაზიარებულია გარდასხეულების თეორია...

დონ კიხოტი განუმეორებელი, უნიკალური და რომანტიკოსია, მას აწუხებს მსოფლიო სევდა... ფელინის კადრები, „იდიოტის“ სტრიქონები და „დონ კიხოტის“ ფურცლები პარალელიზმია...

დონ კიხოტი ისევ აგრძელებს მოგზაურობას, რათა დაგვიმტკიცოს, რომ სამყარო ერთი მთლიანი წიგნია, ერთი პიროვნების მიერ დაწერილი და მისი ნათელი დედამიწას მართავს...

„ის ერთადერთია: „მარტოოდენ ჩემთვის დაიბადა დონ კიხოტი, ისე, როგორც მისთვის გავჩნდი და დავიბადე. მას წილად ხვდა ემოქმედა, მე-ამეწერა. ჩვენ ორნი ერთ განუყრელ სულს და სხეულს შევადგენთ“, დამოწმებულია ავტორის სიტყვები (სერვანტესის „დონ კიხოტი“, მეორე წიგნი).

თავი VIII
სახისმეტყველების საკითხები

ცის პარადიგმა

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვა ერთდროულად უღრმავდება მიწისა და ზეცის საიდუმლოებებს, ჯოჯოხეთის, სალხინებლის, სამოთხის რაობას, როგორც დანტე.

ცათა ცა ღმერთის, წმინდა სულების სავანეა.

ღმერთი – „ამაღლებული ძველთუძველეს ცათა ცაში“, ნათქვამია ფსალმუნში (68, 34) (1, 592).

„...ადამიანს ზეცამდე ამაღლება შეუძლია“, ირწმუნება ნეტარი ავგუსტინე (2, 79).

„ცათა შინა სწრაფვამ კვლავ სამშობლოს გზებზე უნდა დაგვაყენოს“, გვმოძღვრავს წმინდა ნილოს სინელი (3, 397).

„ბჰაგავად-გიტაში“ დიდ მოგზაურობაზე, სულიერ ზეცაში შესვლაზეა საუბარი.

სულიერ ზეცაში მოგზაურობით იქცევს ყურადღებას „შრიმადბჰაგავატამის II სიმღერა.

„მივაღწიეთ ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს“, ნათქვამია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ (4, 439).

„ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“, აცხადებდა ზეცის, უზენაესის რჩეული გალაკტიონი „ეფემერაში“ (5, 225).

ქართველი პოეტების მეფე ხედავდა „იქაურ ცას“, ცათა ცას“ – ღმერთების, წმინდა სულების სავანეს, როგორც დანტე.

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „ცის და მიწის შეზავება“ (შეხვედრა), ტერენტი გრანელი აცხადებდა: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“.

არა ხილულ, არამედ „ცათა ცაში“ ამაღლებისთვის საჭიროა მესამე თვალი.

ცათა ცას ხედავდნენ შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე, ნიკო სამადაშვილი, გოდერძი ჩოხელი.

„კოლხური ფსალმუნების“ 250 ტომის ავტორის – ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ფიგურირებს „ცა ჭეშმარიტების, ცა კოსმიური, სიბრძნის ცა, სიხარულის ცა, ციურ აზრთა ნადავლი“. პოეტს ციდან ესმის „მნათობთა უვერტიურა“ (6, 30).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ განსაკუთრებული ადგილი უკავია ცის, მზის, მთვარის, ვარსკვლავის სახისმეტყველებას.

ნაწარმოების გამორჩეულ, სიბრძნითა და სიყვარულით მომადლებულ ადამიანებს მუდმივი კომუნიკაცია აქვთ ცასთან.

„... ცა გადმომცქერის თავისი უსაზღვროდ დიდი, ფართოდ გახელილი თვალებით“, ნათქვამია „ლიტერატურულ მოზაიკაში“ (7, 278).

„ზეცამ ჩამოღვარა ლურჯ-ვერცხლისფერი და მოწითალო საღებავები...

„რეჟისორის ხელით ჩამოშვებული შავი ფარდა ცისეულ სცენაზე.

„ახლა საღამოა და დუმილში ხმაურობს პოეზია დიდი პოეტისა: „...მწუხარედ ქროდა ციურთა სოფლად ჩვენი საღამო“, ნათქვამია წიგნის 246-ე გვერდზე, რადგან წარმოუდგენელია ისაუბრო ცაზე, ცათა ცაზე პოეტების მეფის მაგალითის გათვალისწინების გარეშე, ვინაიდან ციდან მოვლენილი პოეტის სული ისევ ცაში უნდა დაემკვიდროს: „შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (5, 136).

„ლიტერატურული მოზაიკის“ ავტორი თითქოს „იდუმალი ფერმწერის“ მიერ შექმნილ მარადიულ სახეებს ხედავს ჩვენი სამშობლოს ლამაზ მომავალთან, მის ღირსეულ წარმომადგენლებთან ერთად: „იდუმალი ფერმწერი ცის ტატნობზე უხილავი ფანქრით ხატავს: სივრცეს... კედლებს... კედლებზე უჩვეულო მოზაიკაა...

ჯოკონდა.

ვან გოგის „მწუხარე მოხუცი“

გალაკტიონი ანგელოზის ფრთებით

აყვავებული აგავა.

ძველეგვიპტური ტაძრის სვეტები.

მთვარის ღმერთის ტაძარი...

ნელი ნაბიჯები...

რეჟისორის ხელთ ჩამოშვებული შავი ფარდა ცისეულ სცენაზე...

ბობოქარი დუმილი...

მერე მთვლემარე სამყაროს ამოსუნთქვა ხანგრძლივი პაუზის მსგავსი.

კვდება მზე დროებით...!“

ყველაფრის შემოქმედი – მზე ღმერთი ეიმედება ჩვენს თანამედროვე მწერალს და ცათა ცაში ჩვენი სამშობლოს ლამაზ მომავალს ხედავს: „მისი ბრძწყინვალე დიდებულება როცა ისევ აღზევდება სამეფო ტახტზე, ღრუბლების ჩრდილებს ამოეფარებიან დემონები...

და იდუმალი ფერმწერი, ცის ტატნობზე ჩემი სამშობლოს ლამაზ მომავალს დახატავს...

ეს არ იქნება მირაჟი...

აღარც სიზმარი...

არამედ ახდენილი ოცნება, თეთრ უკვდავებასთან წილნაყარი“.

„ლიტერატურული მოზაიკის“ რჩეული პერსონაჟები ცის კარის გახსნას ხედავენ და უზენაესთა რჩევას აყურადებენ: „თითქოს გაიხსნა ცის კარი და იქიდან გამოანათეს რჩევებმა, დარიგებებმა, ცოდნამ, ქცევებმა, გამოჩნდა ახალი გზები“...

წიგნში ვხვდებით ძველი საქართველოს გერბების გამოსახულებების მიმანიშნებელ მრავლისმეტყველ ხილვებს (საქართველოს გერბები https://burusi.wordpress.co) კონკრეტულად მოთხრობაში „დიდებულნი და მდაბიონი“: „ცა

საოცარი ხილვებით ივსებოდა. მიდი-მოდიოდნენ ღრუბლები, თეთრქულებიც და რუხებიც, ჩაიარეს ჯიხვისა და სამი ნახევარმთვარის, დათვისა და მთების გამოსახულებებმა, მერე ტახი გამოჩნდა, რაღაც თეთრონი ეჭირა ფეხებით, ფრინველი და ოთხი ვარსკვლავი მოჰყვებოდა, შველმაც არ დააყოვნა, თავზე მნათობი ედგა, მერე ირემი – ლამაზრქება, ჯვარს მოატარებდა რქებით, ჩამოატარეს თეთრ ქულებში მწოლარე ლომი, თათებში მასაც ტახის მსგავსად თეთრონი ეჭირა გულმოდგინედ. შემოაგელვა ფრთოსანმა ცხენმა გვირგვინითა და ნაცრისფერი, მომწვანო ფერის ცისარტყელებით. ცა უცნაური ხილვებით აივსო, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ზმანებები, იყო ბრძოლა. ვიღაც გოლიათმა ყველა ცისიერი ხილვა ერთად მოაქუჩა და ახლა თითქოს სხვა კუთხიდან მოსული სხივებით ივსებოდა ზეცა“.

მერე ცაზე უანგარო, წიგნიერი, მაღალზნეობრივი, იდეალური მოძღვარი დაიხატა, „თეთრი, ვითარცა თოვლი, ვითარცა სიწმინდე ხელუხლებელი და ჩაესმა: „ორივე საშიშიაო, დიდებაც და დაცემაც. დიდება ტვირთია... კაცნი შიშით იხვეჭენ დიდებას და შიშით კარგავენო მას“.

მიწიერთა დიდებას არად აგდებს უფლისწული, რომელიც სამართლიანობის, სიკეთის დამკვიდრებისათვის იბრძვის თავის სახელმწიფოში, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს, რადგან სამყაროში მრავალი უკეთურებაა დამკვიდრებული და „დედამიწას განწმენდა სჭირდება“: „სწორედაც დიდებას გამოექცა კაცი, დიდებას ადამიანის ხელით შექმნილს და არა ადამიანთა გულებით“, ასეთი შეგონება და დასკვნაა მოთხრობაში (7, 133).

ცაში იხილვება კეთილი და ბოროტი, მთელი სამყაროს მოვლენები, აფხაზეთის ტრაგედია: „ცაზე ღრუბლებით გამოქანდაკებულ თეთრ სასახლეს დამგვანებოდა იმედი, შიგ ფაქიზ სულებს ჩასძინებოდათ და ფერმკრთალი წარსული ესიზმრებოდათ“ (აფხაზეთში) (7, 32).

„თითქოს ცის კარიდან გამოანათეს რჩევებმა, დარიგებებმა, ცოდნამ, ქცევებმა“, მაგრამ ამის ხილვას და შემეცნებას სულის თვალი სჭირდება, ადამიანები ისევ უკეთურებას ემსახურებიან და არა სიკეთეს, რაზედაც წუხს მწერალი (დიდებულნი და მდაბიონი) (7,125).

მოთხრობაში განსხვავებულია „ცისიერი ხუთქიმიანი ვარსკვლავი“ და „მიწიერი დიდების ვარსკვლავი“ (7, 136).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ მრავალგზის კეთდება აქცენტი ცაზე, ცის კარის გახსნაზე, ცის თვალებზე, რადგან ცაში იწერება მიწის პროგრამა.

ცათა ცაზე, ცისიერებაზე საუბარი გალაკტიონის ფრაზას გვახსენებს პოემა „მშვიდობის წიგნიდან“: „შუბლს დაესახა ცისიერება, მისთვის ესაა ბედნიერება“ (გ. ტაბიძე, 12 ტომად, ტ. 11, „მშვიდობის წიგნი“, „საბჭოთა საქართველო“, 1973, გვ. 332

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, I, თბ., 1989
3. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ., 1991
4. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ., 2012
5. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, 2014
6. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ 30 ტომად, ტ. I, „ივერიონი“, თბ., 2016
7. ლამარა გერგედავა, „ლიტერატურული მოზაიკა“, თბ., 2023

მზის სადიდებელი „ლიტერატურულ მოზაიკაში“

მზეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ლიტერატურულ მოზაიკაში“. გამორჩეულია ქართული ბუნება, ქართული მზე, რომელიც ყველაფერს ასხივოსნებს. როგორც ზეციური და სიმბოლური მზის, ისე ქართული მზის სადიდებელია ზემოხსენებული კრებული, ამასთან რწმენის, სიკეთის, სინათლის, ბედნიერების.

წიგნში მზის ხსენება იმპრესიონიზმიდან, კლოდ მონეს ფერწერული შედევრის – „მზის ამოსვლის“ ხსენებიდან იწყება: „ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად, კლოდ მონეს სურათის – „მზის ამოსვლის“ წინ აღმოვჩნდი... ორიგინალი არც მინახავს, უბრალოდ, ბილიკზე ვიდექი, მზე ანათებდა და იგი მონეს მზეს ჰგავდა“.

„ახლაც იქ ვდგავარ, გზაზე...

თურმე, ყოველი გაკვეთილის შემდეგ, შთაბეჭდილებების ზღვაში, მზის ბილიკს მივუყვები“ (Jmpression) (გვ. 237).

კლოდ მონესთან მზე ამოდის, „ლიტერატურულ მოზაიკაში“ მისი დიდებული ჩასვლაა ნაჩვენები.

ნაწარმოებში კლოდ მონეს, ბავშვების, ანა კალანდაძისა და გალაკტიონის მზე ანათებს, ბილიკებზე, კლასში, ოკეანესთან: „ბილიკს მზე ანათებდა და მონეს მზეს ჰგავდა – მეთქი. მე პოეზიის დედოფალმა მასწავლა მზის თაყვანისცემა.

„კლასში რომ ანათებს იმ მზისა – ბავშვებმა. ქვეყნიერებაზე მანათობელისა ხელოვანებმა. ყველამ თავისებურად დაინახა და შემაყვარა.

„მზე ოკეანით ამოვა მძიმედ, გაბრწყინებიან შორეული ზღაპრული მთები“, წიგნის ავტორი გვაზიარებს სილამაზეს ანა კალანდაძის ლექსისა: „მე მზეს ვუმღერებ“.

შემდეგ ისევ სიმაღლისა და მზისკენ მიმსწრაფი ქართული პოეზიის დედოფლის შედევრთან შეგვახვედრებს „ლიტერატურული მოზაიკის“ სტრიქონები: „ქარო, მიუვალ კლდეზე

დადგი ჩემი მიწური, შენ მოგუგუნდი ხშირად იმ კლდესთან, ო, სალ კლდეებზე შემოდგი ფეხი“.

გალაკტიონ ტაბიძეს მთელი ციკლი აქვს მზეზე და, ბუნებრივია, პოეტების მეფის სტრიქონების დამოწმება: „მზის ჩასვლა იყო – ვით ანარეკლი ძველი დიდების, ღრუბელთა შორის დაიმსხვრა ძეგლი პირამიდების“...(შენი სიცოცხლე, გვ. 243).

მზის ჩასვლის შთამბეჭდავი სურათია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“: „რა მზისა სფერო შეუყენებს სხივის ჩქერალებს, ახლა იოლად წარმოიდგენს გონება შენი, როგორ ვიხილე მე ხელახლა მზე ისეთ წუთში, როდესაც იგი ჩასასვლელად ემზადებოდა“ (გვ. 243).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ გვხვდება მზის, „მზიანი ღამის“ რემინისცენციები ბიბლიიდან, სასულიერო პოეზიიდან, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ტერენტი გრანელის შემოქმედებიდან, რომელთაც მზე გაითავისეს უზენაესის სიმბოლოდ, როგორც წმინდა წერილში: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 12).

ბიბლიაში ასევე საღმრთო სახელია „მზე სიმართლისა“: „ამოგიბრწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 3, 20).

ლამარა გერგედავას კრებულში ორივე თაობას ეიმედება „მზე ღმერთი, რომელიც უამრავ სხივს გზავნის დედამიწაზე ადამიანთა სულების გასასხივოსნებლად“.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ნათქვამია: „მზესთან და მთვარესთან მისვლა ახალ თაობას უნდა შეეძლოს.

„ზოგიერთ მხატვართა ნამუშევრებში ან მზეზე ჩამომსხდარი პატარები მინახავს, ან ნახევარმთვარეზე მოქანავე“ (გვ. 265).

კრებულში დამოწმებულია ტერენტი გრანელი, რომელიც მზისკენ – უზენაესისკენ მიისწრაფვოდა მთელი ცხოვრება: „მე

ქვეყნის გაჩენიდან მოვდიოდი სინათლისკენ, რომ მეხილა მზე“.

აქვე ნახსენებია: „ეგვიპტის ფარაონ ეხნატონის ცის ხატება, პირამიდის სახით მზის ხატი რომ შექმნა“ (ღრუბლები).

თანაბრად მომხიბლველია როგორც მზის ამოსვლა, ისე მისი ჩასვლა: „ამოსულიყო ბრიალა მზე და იცინოდა. ქვეყანა ხარობდა“

შემდეგ „მზე ნელა ჩადის...

ახლა შემოდგომის ჩამავალ მზესაც თვალებგაბრწყინებული შესცი‌ცინებენ“, ნათქვამია კრებულში (გვ. 268).

აქვე ფიქსირდება დუგლას მელოკის სიტყვები: „... თუ არ ძალგიძს იყო მზე, იყავ ვარსკვლავი, ვაგებთ თუ ვიგებთ – აზრი არა აქვს, მთავარია, აღმოაცენო სუკეთესო მარცვალი, შენში რომ ბუდობს“ (გაკვეთილების შემდეგ) (გვ. 241).

მზის, რწმენის, მზიური ადამიანების სადიდებელია „ლიტერატურული მოზაიკა“: „მე, ბავშვები და სკოლა... მივაბიჯებთ ყველაფერთან ერთად... გასამებულნი, მზეს ვადიდებთ“... მზე სითბოს, სიყვარულის, რწმენის, აყვავებისა და სიკეთის სიმბოლოა... დრო – ღრუბელი მარადიული მოგზაურია... ის იცვლება და თაობებიც, ერთ დროს სადღაც რჩებიან, ადამიანებს მზის სადიდებელი მაინც არ ავიწყდებათ... (ღრუბლები) (გვ. 16).

„ლიტერატურულ მოზაიკას“ ასხივოსნებს ქართველი პოეტების მეფის, მზითშემოსილი დიდი გალაკტიონის მარადიული ხატება: „მე სხვა მზე მმოსავს, როგორც შეჰფერის საქართველოს სახალხო მგოსანს“ (დღეს შემისრულდა).

აქვე მრავალგზის იელვებს „მთაწმინდის მთვარის“ ავტორის ზეციური შარავანდედი: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება, ხიბლავდა გარეშემოსა მინდვრების გადასოსნება“.

სიხარულშემოსილობა ღმერთშემოსილობის ტოლფარდია, რადგან სიხარული საღვთო სახელია: „ქრისტე არის სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა, 2, 10).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული უზენაესის სიმბოლოა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულის და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65, 12).

გაზაფხულშემოსილობაც ღმერთშემოსილობაა.

გალაკტიონის „ეფემერაში“ „მზეთა ორგია და მთვარის მაგია“ იქცევს ყურადღებას, მაგრამ ეს ერთი ცალკე საკვლევი პრობლემაა.

ვარდ-ყვავილთა სურნელი

საკლასო ოთახში შესული მასწავლებელი თავის აღსაზრდელებს „ზამბახებისა და ფურისულების წყებას“ უწოდებს (ღრუბლები) (გვ. 15).

გაკვეთილი ემსგავსება სვლას „წარსულიდან აწმყოსა და მომავლისკენ“ (გვ. 15).

გარეთ შემოდგომაა, გაკვეთილზე – გაზაფხული.

მოსწავლეები „ვარდების წყებას“ ჰგვანან, რაც გალაკტიონის „ვარდების“ ასოციაციას იწვევს: „ბოტიჩელს ვარდთა სწვავდა დღე იგი“...

ერთ-ერთ ჩანახატში მოსწავლე გოგონა ვარდის ფურცლების მსგავსი ბაგეებით გამოირჩევა, გარდაცვალების შემდეგ ის „თეთრი მდუმარება, თეთრი ქრიზანთემა, გარდაცვლილი მდუმარებაა“, მის გარშემო კი „ვარდების წყებაა“(მეექვსე დავალება. ეკა) (გვ. 29).

მოთხრობაში „მარტოკაცის სამყარო“ ქარიშხლის შფოთიანობის მიწყნარების შემდეგ ქუჩაში მარტო მიმავალ კაცს საიდანღაც ქარის მიერ მოტანილი ია უჭირავს და ისე სათუთად დასცქერის, თითქოს დედოფლის, ჟოზეფინას, ხელშენავლებია. სევდიანი და ლამაზი ხარო, ესაუბრება ეფემერას.

„... ლუკას თითქოს ქარიშხლის მიერ საიდანღაც მოტანილი იის სურნელი შეესრუტა, ... თითქოს იმ პერსონაჟს დამგვანებოდა, გოდერძი ჩოხელის ერთ რომანში რომ ყვავილად იქცა“ (მარტოკაცის სამყარო) (გვ. 71).

ამ პერსონაჟთან შემხვედრი მეორე კაცი ფიქრობს: „ზოგიერთ ადამიანთან სიახლოვე შთაბეჭდილებას გიქმნის, რომ ღვთის ხელშენავლები სიწმინდე მოგიახლოვდა, რაღაც ზებუნებრივი შარავანდედი“ (გვ. 71).

ლუკას, რომელმაც ნათესავის ნაჩუქარი თანხა მთლიანად დაკარგა, მერე ეკლესიაში ვხედავთ, როგორც მოძღვარს, რწმენის, სიკეთის, უანგარობის მსახურად. როგორც თვითონ ამბობს, მან ფული და ბეჭედი დაკარგა, მაგრამ ღმერთი იპოვა, ამაში დაინახა თავისი მოწოდება და ბედნიერება, ხოლო ქურდს მრავალი განსაცდელი მოუვლინა განგებამ.

წიგნში მრავლად არიან ღვთის მოყვარეები და ურწმუნონი, ანგარებით ატანილნი, რომლებიც ყოველთვის მარცხდებიან, უზენაესისგან სამართლიანად განისჯებიან.

ადამიანებს აბედნიერებთ სამართლიანობა, „უჭკნობი ყვავილის“ – მარიამ ღვთისმშობლის რწმენა, მით უმეტეს, საქართველო უფლის დედის მფარველობაშია, მისი წილხვდომილია.

მოთხრობაში „დიდებულნი და მდაბიონი“ „კესანე და მიხაკი იწონებენ თავს“ (გვ. 116).

წიგნის ავტორის „გახსენების ლამაზ დღესასწაულში“ ბუნებრივად ჯდება „მარად ახალგაზრდა პოეტის“ მირზა გელოვანის განაცხადი: „თუ გიყვარდე ყვავილს ფეხს ნუ დააბიჯებ, ნუ გასრეს, თუ გიყვარდე, ნურავის შეხედავ თვალგაუმართავი ძაღლური ლაქუცით. კაცურ კაცს არ შეჰფერის მასავით მეორე კაცის კაცი იყოს და ფინიასავით მიელაქუცოს მას გამორჩენის მიზნით“ (მირზა) (გვ. 284).

ერთგან „აყვავებული აგავა“, „თავდახრილი ყვავილები“ იპყრობს ყურადღებას (გვ. 244).

მზე, მინდვრის ყვავილები, მიხაკი ამშვენებს ქვეყანას: „ამოსულიყო ბრიალა მზე და იცინოდა, ქვეყანა ხარობდა... მინდვრის ყვავილებს გამოეჩინათ პაწაწა გული, აქვეა „ქალბატონი მიხაკიც“... (გვ. 268).

„შემოდგომის ჩამავალი მზეს თვალებგაბრწყინებული შესციცინებენ დიდრონი და წითელი ყვავილები“ (გვ. 268).

პედაგოგის გვერდით ყოველთვის წიგნები, ყვავილები, ცისარტყელა ილანდება, მუსიკაა მისი თანამგზავრი (გვ. 268).

მაგიდაზე „ჭკნობაშეპარული ფრთათეთრი ყვავილებია“, მიხაკები ჩუმად, კრძალვით და უდრტვინველად კვდებიან ლარნაკში, ამაყები და მედიდურები.

ყვავილების ამოსვლა თუ სიხარულს იწვევდა, მათ ჭკნობას სევდა მოაქვს: „მეცოდება ია, რომელიც კრძალვით ღაფავს სულს ჩემს თითებში. მოწყვეტილი მიხაკიც, რომელიც ამ მშვენიერ ლარნაკში უნდა მოკვდეს“... (გვ. 272).

„ქარი ამოგლეჯით ემუქრება ყვავილებს“(გვ.273).

მწერალი დამწუხრებულია „უდანაშაულოთა დაღვრილი სისხლით, გარდაცვლილი ტიტებითა და მიხაკებით“ (გალაკ-ტიონის „გრიგალი“...) (გვ. 247).

ოთახში სათბურში გამოყვანილი ვარდების, მიხაკების, გვირილების ღიმილია, ამასთან, ცვალებადობა „ცივი, ამაყი ვარდებისა“... (გვ. 286).

მთელი სამყარო ცვალებადობას ემორჩილება, ყველა-ფერი მოკვდავია ადამიანის ჩათვლით, მხოლოდ სიბრძნე, ჭეშმარიტებაა მარადიული.

„გაზაფხულზე აელეწათ ლოყები ვარდებსა და ტიტებს... იას გვირგვინი უთრთის და კანკალებს. ნიავს ჩუმად მიაქვს ყვავილთა ფურცლები და თავისი სიშავით გულმკვდარ ას-ფალტზე ყრის... ისიც ვარდისფერი, წითელი და თეთრი წინ-წკლებით მოხატულ კაბას ემსგავსება. ყველაფერი ლამა-ზია“... (გვ. 287).

ეს მოვლენა ყველაფრის გამეორებას გვაგრძნობინებს ისევ, სულ სხვაგვარად, სხვა დროს (გვ. 287).

ნუგეშია გარდასხეულების იდეა, რომ სამყაროში სამუდამოდ არაფერი ქრება, ყველაფერი ისევ ბრუნდება სხვა დროს, სხვა სახით და მიზნით...

ყვავილი, ვარდი წმინდა წერილში რელიგიურ ჭრილში მოიაზრება „ყვავილები დააჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“, ნათქვამია სოლომონის „ქებათა ქებაში“ (2, 12) (ბიბლია, 2013, გვ. 488).

ყვავილთშემოსილობა ღმერთშემოსილობის ტოლფარდია და, ბუნებრივია, „ლიტერატურული მოზაიკის“ მორწმუნე ავტორის იდეალია გოდერძი ჩოხელის მორწმუნე, ყვავილშემოსილი თანდილა. ღმერთის ჩაგონებით ეძებდა ყვავილს – რწმენას რომან „მგელის“ პერსონაჟი ლუკა.

„ლიტერატურული მოზაიკის“ პერსონაჟებს აძლიერებთ სიყვარული, გაგება, სიხარული.

ქართველი პოეტების მეფე-გალაკტიონ ტაბიძე სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი ანუ მორწმუნე იყო: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“ (ეს გრიგალია სიახლის).

დავით წინასწარმეტყველი უზენაესს „დაუშრეტელი სიხარულის ღმერთს“ უწოდებს (ფს. 42/43,4).

ფსალმუნის ავტორი მიმართავს ღმერთს: „შენ ჩემი წუხილი ცეკვად მიქციე, ძაძა გამხადე და სიხარულით შემმოსე“ (ფს. 29, 30).

სიხარული საღვთო სახელია. ქრისტე არის „სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა, 2, 10).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, უზენაესის სიმბოლოა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65, 12).

თავი IX
გალაკტიონ ტაბიძის რემინისცენციები „ლიტერატურულ მოზაიკაში“

ლამარა გერგედავა ნაზიარებია როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ სიბრძნეს, მითოლოგიის, ბიბლიის, ფილოსოფიის, ესთეტიკის, პედაგოგიკის ასპექტებში.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ დაიძებნება ორმოცდაათზე მეტი მსოფლიოში ცნობილი ავტორის ნააზრევის მიზანმიმართულად გამოყენების მაგალითი.

წიგნში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთათვის გალაკტიონის შედევრების გაცნობას და შედეგიც სახეზეა.

გალაკტიონის პოეზიაზე ფიქრში ათენებს ღამეებს მოსწავლე, რომელსაც „მისი ყოველი ფრაზა შეუძლია აღიქვას, როგორც ფერწერა, როგორც მუსიკა და როგორც ამოუცნობი ოკეანისეული სიღრმე: ... ის მაინც თავს არ ანებებს, პოეზიაზე ფიქრები... მორბის მასთან ერთად, ისვენებს, ცოცხლობს და... მასთან ერთად აგვიანდება: „... მოდიოდი, როგორც მკვდარი, როგორც მკვდარი სანანი, ჰქროდა ქარი, თრთოდა იასამანი“ (აგვიანდება, გვ. 20).

ჩანახატი „ეკა“ იწყება სტრიქონებით: „... შენი ღიმილი ... ლეონარდო და ვინჩის ხელის მე არ მინახავს გაფრენა და გაუკვდავება, მაგრამ მე უფრო სევდიანი რამე ვიხილე: შენი სიკვდილი, შენი ადრე დასაფლავება“... „გალაკტიონის ეს ლამაზი სტრიქონები, ჩემს ფიქრებში, ვინმეს თუ დაუკავშირდებოდა, არ მეგონა“ განაგრძობს ავტორი, ნაადრევად გარდაცვლილი მოზარდის კუბოსთან მდგარი,

სხვაგან საუბარია ქართული ცეკვის სიდიადეზე და ისევ დიდი პოეტის ასოციაცია ჩნდება: „იქნებ სცენაზე გალაკტიონის პოეზია გაცოცხლდა და მხატვრობის საზღვრებს მოახლოებულ აცეკვებულ სკულპტურებს დაემსგავსა“ (გვ. 19).

კლასში ვარდების წყებაა.

„ბოტიჩელს ვარდთა სწვავდა დღე იგი“... აქაც ყველაფერი გალაკტიონის პოეზიას დაუკავშირდა“ (გვ. 28).

„ქვეყნიერების ხმაში“ საუბარია „თვალების მუსიკაზე, მზის მუსიკაზე, ღვთიურ ხმებზე, ზღვის მუსიკაზე, პალმების ხმაზე, კენჭების, ქვიშის, თოლიების, ნაბიჯების მუსიკაზე და შეუძლებელია არ გაგახსენდეს გალაკტიონი, რომელიც ზესკნელ-ქვესკნელის ხმებს აყურადებდა, სამყაროს შექმნას ხედავდა ქაოსიდან: „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს... და სახე მელოდიების“ (ვაგნერი).

ან ასეთი საოცარი განაცხადი, უკიდეგანო ხსოვნასთან დაკავშირებული: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (მთვარის ნაამბობიდან).

ასევე: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“...

„გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“, წერდა გენიოს პოეტზე ნოდარ დუმბაძე.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ იელვებს „გალაკტიონის ქარით დატირებული ფოთოლი“ (ძველი დღიურებიდან) (გვ. 238).

წიგნში ხშირად არის საუბარი პოეტის „ფანტაზიის მერანზე“. მოძღვარი ცდილობს „მიწიერ ცოდნაზე“ აამაღლოს მოზარდები და მათ ქართველი გენიოსის „სიბრძნის მადლს“ აზიარებს (გვ. 260-261).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ სამშობლოს „კეთილი ფერია“ ეწოდება, ქრისტესავით წამებული, „წიგნი ათასჯერ წასაკითხი, უსასრულოდ დიდი და საინტერესო“ (გვ. 275-276).

ნეტარი ავგუსტინესთვის ღმერთი არის წიგნი: „...თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“

(აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985, გვ. 27).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ უზენაესი „დიდი წიგნია, სანუკველი წიგნი, რომლის ფურცლებზე არ ხუნდება ფერი მელნისა“ (გვ. 135).

გალაკტიონის „მშვიდობის წიგნში“ ღმერთს ეწოდება „წმინდა წიგნი, სიმართლის წიგნი, ნუგეშისმცემელი წიგნი, საწუთროსგან მხსნელი წიგნი, მშვიდობის მცველი წიგნი, წიგნი ცის და დედამიწის“.

პოემაში „მშვიდობის წიგნი“ ჩრდილოელი ქაჯის მცდელობით იკარგება წიგნი – რწმენა, რასაც მოსდევს წარღვნა, წყალდიდობა, ადამიანთა დაღუპვა და გმირი ტარიელის ძალისხმევით ათი წლის ძიების შემდეგ მოიძიება ეს ზეცისგან ბოძებული განძი, რის შემდეგაც ამინდი გამზიანდება, „მზის სვეტი“ გამობრწყინდება და ადამიანთა სულები გასხივოსნდება.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ სამშობლოს, ადამიანის სრულყოფილება მხოლოდ წიგნთან ზიარებით მიიღწევა.

გალაკტიონი უცდომლად კითხულობდა „ცის და მიწის წიგნს“, მომავლის გზას უსხივოსნებდა თაობებს, ამიტომ განუზომელია მისი მნიშვნელობა, აუცილებელია მისი სიბრძნის გაცნობა მოსწავლე თუ სტუდენტი ახალგაზრდობისთვის. მოძღვრის მიზანია პოეტების მეფის მუსიკასთან წილნაყარი სიბრძნის გაცნობა, შეყვარება თაობებისათვის.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ დამოწმებულია გენიოსი პოეტის განაცხადი: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“.

ამ ფრაზას მოსდევს მთელი წყება სომბოლურ-მეტაფორული სახეებისა, პოეტის გატაცება „ძველი ღვინის სმით, უგონოდ მძაფრად“... „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“...

პოეტი საუბრობდა „ძვირფას ღვინოზე, ძველისძველ ღვინოზე, უკვდავ ღვინოზე“ (მოგონება).

„შენ, მეღვინე, ღვინო გვასვი, თვალს ნუ მიეძინება, ფიქრები გვაქვს ასჯერ ასი, როგორც ღრუბლის დინება (ეს მძინარე მთა და ველი).

გალაკტიონი ღვინოს მოიხსენებდა როგორც მხსნელს, „ფარს“.

პოეტის უკვდავებას რწმენით თრობა, საღვთო სიბრძნის, უზენაესის მსახურება განაპირობებდა და არა ლოთობა, პრიმიტიულთათვის სასურველი ღვინო.

გალაკტიონი თვრებოდა „ყოფნით“, ცხოვრებით.

წმინდა წერილში ცხოვრება არის საღვთო სიმბოლო: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14, 6).

„მთვრალია ცეცხლით“ – ასევე რწმენასთან ზიარებაა, რადგან ღმერთი არის განმანათლებელი ცეცხლი, რომელიც გზას უნათებს მართალ ადამიანებს, როგორც ებრაელთა წინამძღოლ მოსეს.

სახარებაში ქრისტე მოციქულებს პურს და ღვინოს სთავაზობს, რაც ასევე საღვთო სახელებია (მათე, 26, 27).

„მშვიდობის წიგნში“ ყოველგვარი სენის მომრჩენი არის „ძველი ღვინო“.

ღვინოს რელიგიურ სიმბოლოდ მოაზრების ტრადიცია მომდინარეობს წმინდა წერილიდან, რომელშიც ქრისტეს მოვლინება წარმოიდგინება, როგორც ნადიმი, როცა ადამიანები დაეწაფებიან „ძველ, დაწმენდილ ღვინოს“: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25, 16).

გალაკტიონისთვის „ღვინო“ – რწმენა, უზენაესი იყო მხსნელი, „ფარი“.

ანალოგიური შინაარსისაა განაცხადი: „ამ ვარდობისთვეს ვარდებით ვთვრები, კარგია თრობა“... ვარდით თრობაც რწმენით თრობას გულისხმობს, რადგან ვარდი, ყვავილი საღვთო სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი

გალობისა მოიწია და ხმა გვრიტი ისმის ჩვენს მხარეში“, ნათქვამია სოლომონის „ქებათა ქებაში“ (2, 12).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ დამოწმებულია პოეტის ანალოგიური მნიშვნელობის განაცხადი: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია, იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე, მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე, რომლის გარეშე უკვდავებაც არაფერია“ (გვ. 261).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ციდან მოვლენილ, მზისა და ვარსკვლავის სახით აელვარებულ გენიოსზეა საუბარი გალაკტიონის „შემოქმედების“ მიხედვით.

წიგნის ავტორი ცდილობს ჩაწვდეს „მისი შემოქმედებიდან გამომკრთალ პოეტის ღვთაებრივ სახეს“ და, მართლაც, არსებით პრობლემებზე კეთდება აქცენტები.

გალაკტიონის პოეზიით გატაცებული მოსწავლის თვალით დანახული გენიოსის აღქმა ასეთია: „...მისი ყოველი ფრაზა შეუძლია აღიქვას, როგორც ფერწერა, როგორც მუსიკა და როგორც ამოუცნობი ოკეანისეული სიღრმე“.

ბიბლიაში „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20).

ებრაელთა წინამძღოლმა მოსემ გადალახა ზღვა, მისი მდევარი ეგვიპტელები კი დაიღუპნენ.

ქრისტემ ფეხით გაიარა ქარიან ზღვაზე (მარკოზი, 6, 48, 49).

ძე ღმერთმა დააწყნარა ქარი და ზღვა (მარკოზი, 48, 9).

მოციქულმა პეტრემ ვერ გაიარა ზღვაზე და მას ძე ღმერთმა „მცირედმორწმუნე“ უწოდა (მათე, 15, 28, 29, 30, 31).

დანტე, როგორც „მამაცი მენავე“, სულის ხომალდით მიაპობდა ზღვას.

გალაკტიონი აცხადებდა: „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“, რაც ცოდვებზე ამაღლებას ნიშნავს.

ცხოვრება ზღვასთან არის შედარებული ლამარა გერგე-

დავას მოთხრობაში „თავშესაფარი“. მწერალი მოძღვრავს მეგობრებს: „ცხოვრება მშვენიერებაცაა და სცილასა და ქარიბდას შორის მოარული ხიფათიანი ხომალდიც, შეეცადე, ორივე შემთხვევაში შეძლო მისი მეზღვაურობა“ (გაკვეთილების შემდეგ, გვ. 241).

გალაკტიონის განსაკუთრებულობას, მის უშიშარ ბუნებას და სიწმინდეს გვაუწყებს განაცხადი: „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“.

ამასთან, ზღვა არის მისი წრეშეუწერელი გენიის სიმბოლო. ლექსში „რას ნიშნავს ზღვა ახმაურდა?“ – გაუწყებს: „ზღვა ახმაურდა, ეს ნიშნავს, რომ ახმაურდა გენია“.

პოეტის სულში ბობოქრობდა „ფიქრთა ოკეანე“: „მსურს, რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა ოკეანე“, აცხადებდა „გურიის მთებში“ და მისი სული მართლაც ოკეანესავით წრეშეუწერელი იყო, მსოფლიოს, მიწის, ზეცის, კოსმოსის დამტევი საკუთარ არსებაში, მთელი კაცობრიობის სიბრძნის გამთავისებელი დასაბამიდან.

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ იხსენიება „ფილოსოფიური ქვა“, გრაალი (დიდებულნი და მდაბიონი).

წმინდა გრაალი ის თასია, რომელიც საიდუმლო სერობაზე ქრისტეს ეპყრა ხელთ და შემდეგ იოსებ არიმათიელმა (ქრისტეს ფარულმა მოწაფემ) ქრისტეს ფერდში ასისთავ ლონგინუსის შუბით გახსნილი ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლით აავსო.

ლეგენდის მიხედვით, თასი ბრიტანეთში წაიღეს თვით იოსებ არიმათიელმა და ნიკოდემოსმა.

სიტყვას „გრაალი“ ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ის თასიც არის და წიგნიც (რენე გენონი).

ლეგენდის მიხედვით, მამა ღმერთს სამყაროს შექმნის დროს ხელში წმინდა გრაალის თასი ეპყრა.

დადამიწაზე ცნობილია გრაალის 180 მცველი.

გრაალი, ეზოთერული თვალსაზრისით, ტაბუდადებული სიბრძნის, საიდუმლოებისა და მისტერიების სიმბოლოა.

ალქიმიკოსებისთვის „გრაალი“ ზეციდან ჩამოგდებულ ქვასთან; ანუ „ფილოსოფიურ ქვასთან“ არის გაიგივებული, რაც ანტიკურ პერიოდში იგივეა, რაც შუა საუკუნეებში „გრაალი“.

გრაალის მიმდინარეობას ქართველურ, კაბადოკიურ ეთნოსს უკავშირებს ზვიად გამსახურდია.

„გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი.

„გრაალის სიმბოლოებია, სინონიმებია: საუნჯე, თვალმარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული“ (ზვიად გამსახურდია, „საქართველოს სულიერი მისია“, თბ., 1990, გვ. 12, 272).

მერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის მოსაზრებას, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი მონსალვატის მთიდან, დასავლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან, ეს პიროვნება კი დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც უმაღლეს დონეზე აერთებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა და მსახურების მისტერიას.

დავით აღმაშენებელი, დასავლეთში იოანე ხუცესად მიჩნეული, თვით იყო გრაალის რაინდი.

გრაალში მოცემულია საკაცობრიო სიყვარულის იდეალი (მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991, გვ. 31).

ლექსი „ძმას ქრისტესმიერს“ მერაბ კოსტავამ ზვიად გამსახურდიას უძღვნა და ის წარმოადგინა გრაალის მცველად (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ., 1990, გვ. 9).

გრაალის თემას ეხება გალაკტიონის ლექსები „მზეო თიბათვისა“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“.

გრიგოლ რობაქიძის რომანში „მცველნი გრაალისა“ გრაალის იდეების ერთგულ რაინდებად წარმოიდგინებიან ქართული მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

ტერენტი გრანელის მეგობარი კონსტანტინე გაჩეჩილაძე (კონნე სპერელი) ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმს – გრანელი – გრაალს უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ ეს კეთილხმოვანი სიტყვა მიღებულია გრაალისგან: გრაალი – გრაალელი – გრანელი (მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები. კონნე სპერელი (კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ, თბ., 2009).

„ლიტერატურულ მოზაიკაში“ ხშირად არის საუბარი ქარზე, გრიგალზე, განსაკუთრებით გამოიყოფა გალაკტიონის ლექსი „გრიგალი“, რომელშიც პოეტის გემი (წარმოსახვა, სული) თავს აღწევს ფათერაკებს.

გრიგალი, ქარი, გალაკტიონის ლირიკის ერთ-ერთი ძალზე გამორჩეული სახეა. პოეტის ლექსებში ბობოქრობს „სიახლის გრიგალი“, რომელსაც თავისი მზე ამოჰყავს ცაზე: „ფანჯარას ტოტებს მიახლის, მთვარეს მიართმევს ზიანებს, ეს გრიგალია სიახლის, მზეს რომ არ დააგვიანებს“...

„ეს მე ვარ ქარი“, „ვერრაგვარი, ვერრაგვარი გრიგალი ვერ წამაქცევს“, აცხადებდა პოეტი, რომელიც თვით იყო გრიგალის ძალის, დაუმარცხებელი კოსმიური ტიტანი.

Indigo - A new 'purple race' of people is the inspiration for Lamara Gergedava's Literary Mosaic

Summary

The work consists of seven chapters.

The first chapter - investigates aesthetic issues, including the spiritual and intellectual journey of the author of the book, both geographically and in the world of the masters of the word, with religious, philosophical, social, aesthetic aspects.

The book conveys the search for a higher, divine wisdom and the foreshadowing of this is faith, the tenets of the Christian religion.

The writer's style runs impressionistic, his ideal being the search for a "beautiful moment" and the discovery of eternal truth in that moment.

The author of the book penetrates into the future through dreams, he is clear about the meaning of dreams in the prophetic vision of the future.

The second chapter of the work deals with the phenomenon of the Indigo 'purple race', their differences from the ordinary, the claims and 'orders' to the teacher which inspired the writing of the 'literary mosaic'.

The book illustrates the difficulties faced by today's teacher, the unconventional situations faced by the omnipotent mentor and the ability to find a way out of the most difficult situations that yield the desired result and achieve the perfect break from the dead-end.

Here, too, the school is illuminated by an encounter with the queen of Georgian poetry, Anna Kalandadze, with her moral perfection, kindness and purity.

Highly moral creativity, imbued with spiritual purity and faith, is seen as a way of rising above the world, thereby creating immortalised masterpieces, expanding the limits of human ability.

The book introduces the reincarnation of Mindia, the eternal character of folk poetry, Vazha, Grigol Robakidze, Konstantin Gamsakhurdia, a young girl gifted with clairaudience and clairvoyance, who cannot be understood by society, which lives by pragmatic interests, and loses this special ability.

Posing this question provides an opportunity to show the importance of clairaudience and clairvoyance in artistic thought through the example of the classics.

The mosaic of letters assesses the covetousness of a limited soul from a high moral point of view.

The book addresses the problem of relations between the nobility and peasants, the search for a harmonious society, which has always been and still is unattainable.

Particular attention is paid to the presentation of the Georgian national phenomenon, the universal appreciation of its musical and choreographic culture.

The book introduces us to the most important episodes of the lives of those distinguished by the Supreme Powers, miracles of the Lord, revelations of holy spirits to mortals, which are the basis for the elevation of the spiritual and moral man, strengthening faith.

"Literary Mosaic" draws attention with its impressive essays, two of which are devoted to the creative work of Rostom Chkheidze, an outstanding writer, scholar, translator, publicist, author of unique biographical novels, among which "like a night vision" "Chronicle of life of Revaz Gabashvili" stands out, which shows artistic and linguistic features of the work of the great writer from a new perspective.

In general, the eternal ideals of Cervantes' Don Quixote and his reminiscences about twentieth-century Georgian literature became the subject of Lamara Gergedava's doctoral dissertation, in which the main problems of our classical writing were comprehended with new criteria.

The seventh chapter of the work presents the sources of wisdom of the "literary mosaic", reminiscences of Georgian and foreign literature, including periods from mythology, ancient literature to the 21st century.

The monograph also pays attention to the writer's issues regarding the fiction portrait, symbols-allegories, riddles in which the deepest religious-philosophical, socio-political thought is woven.

It seems to us that Lamara Gergedava's "literary mosaic" is a multifaceted, topical, artistic statement dedicated to eternal problems.

ლუარა სორდია არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მისი კვლევის სფეროა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის პრობლემები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები.

სრულიად საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირის მიერ დაჯილდოებულია პოეტის სახელობის მედლითა და პრემიით. ასევე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ მიღებული აქვს ტერენტი გრანელისა და ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემიები.

ლუარა სორდია ავტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, „განათლება, თბ.1991 (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისთვის), უცნობი სფინქსი (დაკვირვებები ტერენტი გრანელის პოეზიაზე), „ალაშარა“, სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1993 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), რევაზ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, ფრაზები, „ობოლი მარგალიტი“, თბ. 1999, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2001, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.

2005 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკ-ტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოქმედებითი ნათე-საობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ. 2005, წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფცია, აპოკალიფსური სახეები, გრაა-ლის იდეალი, „უნივერსალი“, თბ. 2009, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართულ პოეზიაში, „უნი-ვერსალი“, თბ. 2009, ქრისტიანული სახისმეტყველების საკი-თხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ. 2009, გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები), „უნივერსალი“, თბ. 2009, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკ-ტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ. 2011, ტერენტი გრანელის ბედისწერა, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოე-ზია, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა, „უნივერსალი“, თბ. 2011, ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერა-ტურაში“, „უნივერსალი“, თბ. 2011, ქართველი მამულიშვი-ლი მსოფლიოს გზებზე (მსოფლიოში მოგზაურ და მსოფ-ლიოს რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას ფენომენი), WWW. Sou.edu.ge 2012. ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან (ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“) WWW. Sou.edu.ge 2012. ქართული სულის კოლიზეუმი (ვაჟა ეგრისელის პოე-ზია) „უნივერსალი“, თბ. 2015. მადლშემოსილი (გულნაზ ხა-რაიშვილის სულის გალობა), „უნივერსალი“,თბ. 2015, ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო, „უნივერსალი“, თბ. 2016, ტერენტი გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ. 2016, მერაბ კოსტავას პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2017, გრაალის ორდენის რაინდი – გრიგოლ რობაქიძის მსოფლ-

მხედველობისა და სახისმეტყველების ზოგიერთი პრობლემა, „უნივერსალი“, თბ. 2017.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო, „უნივერსალი“, თბ. 2018, „სამების სამრეკლოდან“ (თბ., 2018), **თეა კანდელაკის პოეზია**, წერილები, WWW.Sou.edu.ge 2020 წ., ნიკო სამადაშვილის პოეზია, „უნივერსალი“, თბ., 2021, ედგარ პოს რემინისცენციები გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ., 2022, რობერტ მესხის ლირიკის თვალსაწიერი, „უნივერსალი“, თბ., 2022.

გამომცემლობა **„უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com